ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

გუგული კუკულაძე

საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელები:
ისტორიის დოქტორი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ირაკლი ბარამიძე**
ისტორიის დოქტორი **ნუგზარ ზოსიძე**

ბათუმი-2016

შინაარსი

შესავალი - - -

თავი V. ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წელს და საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი

5.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წლის პირველ ნახევარში და მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში - 128

5.2. საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (პორტო-ფრანკო) გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით - - - - - - - - - - - - - - - - - - 138

5.3. საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და პარლამენტის როლი ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებასთან დაკავშირებით - 149

5.4. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წლის მეორე ნახევარში - - - - - - - - - - - - - - - - - - 164

დ ა ს კ ვ ნ ა -180

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

XX საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევარში სწრაფად იცვლებოდა საერთაშორისო ვითარება, რაც აისახებოდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის ტერიტორიულ მთლიანობაზე.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამოძახილს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ოზაკომის შექმნა. ამავე პერიოდში გააქტიურდა ქართული პოლიტიკური ძალები და შეიქმნა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახლდათ გამოჩენილი დიპლომატი აკაკი ჩხენკელი.

მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოლშევიკებმა ვლადიმერ ლენინის მეთაურობით განახორციელეს კონტრრევოლუცია და დაამხეს დროებითი მთავრობა, საქართველოს გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა (სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები) არ ცნეს საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ამიერკავკასიაც ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს და 1917 წლის 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის კომისარიატი“ (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი), 1918 წლის 10 თებერვალს კი - ამიერკავკასიის სეიმი (თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე).

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი გახლდათ. თუმცა ამიერკავკასია, მართალია, გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს, მაგრამ მხოლოდ რუსეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. ამიერკავკასიისათვის არ იყო ხელსაყრელი რუსების მიერ კავკასიის ფრონტზე მყოფი ჯარების გაყვანა. ამას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთის მხრიდან შესაძლოა მოჰყოლოდა აგრესიის გაძლიერება და ამიერკავკასიის ქვეყნების ძალდატანებით ოკუპაცია.

1917 წლის 5 დეკემბერს, ერზინჯანში გაფორმდა დროებითი ზავი საბჭოთა მთავრობასა და გერმანიას შორის. 1918 წლის 23 თებერვალს, გერმანელებმა 10 პუნქტისაგან შედგენილი ულტიმატუმი წაუყენეს საბჭოთა რუსეთს, რომლის

მეხუთე მუხლის თანახმად, რუსეთს ოსმალეთისთვის უნდა გადაეცა ანატოლიის პროვინციები.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო იქცა იმ ,,საჯილდაო ქვად", რომელზეც რამდენიმე ქვეყანას ეჭირა თვალი. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები – არდაგანი (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები – ოსმალეთს გადაეცა.

ერთი რამ ცხადია: გერმანიის მხარე მაქსიმალურად ცდილობდა თურქეთის ინტერესების დაცვას და ამით, ფაქტობრივად, საკუთარი მიზნების რეალიზებას. საფიქრებელია, რომ გერმანიის ასეთი მიზანსწრაფვა შორს გამიზნული გეგმის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, გერმანია ორმაგ თამაშს თამაშობდა. იგი, ერთი მხრივ, ცდილობდა კავკასიის მიმართულებით საკუთარი ინტერესების რეალიზებას ოსმალების ხელით, მეორე მხრივ კი, იგივე მიზნებით, ამიერკავკასიაშივე ეძებდა საყრდენს საქართველოს სახით.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის გაფორმების შემდეგ, ოსმალეთმა მაშინვე მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გადაცემა. ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდათ, რომ ომის დაწყება ოსმალეთთან იმთავითვე მარცხისთვის იქნებოდა განწირული, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. სწორედ ამას მოჰყვა ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციები.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტის თანახმად, ზავზე მოლაპარაკების აუცილებელი პირობა ამიერკავკასიის კომისარიატისათვის უნდა ყოფილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის ომამდელი საზღვრების აღდგენა. ნოე ჟორდანია უფრო რადიკალური იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნევდა, რომ თუკი ტრაპიზონში საზავო მოლაპარაკება არ შედგებოდა, ებრძოლათ ბათუმისა და ყარსის შენარჩუნებისათვის.

მას მხარს უჭერდა დაშნაკების პარტიაც, თუმცა მუსავატებმა არ გაიზიარეს აღნიშნული პოზიცია.

ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია ამიერკავკასიის დელეგაციისათვის უშედეგოდ დამთავრდა.

ტრაპიზონის კონფერენციას მოჰყვა ბათუმის კონფერენცია, რომელსაც წინ უძღოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (1918 წლის 22 აპრილი) ჩამოყალიბება.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ცნობების თანახმად, ამიერკავკასიის ახლად ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ ბათუმის კონფერენციამდე რამდენიმე სახელმწიფოს სთხოვა დახმარება, მათ შორის, ინგლისსაც, რათა მოეხდინათ ოსმალთა წინსვლის შეჩერება, თუმცა ამაოდ. დახმარება არც რსფსრ-მ და გერმანიამ აღმოუჩინა მას.

ბათუმის კონფერენცია, რომელიც, ფაქტობრივად, ტრაპიზონის საზავო კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენდა, ითვალისწინებდა ოსმალეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ტერიტორიულ საკითხებში. მაგრამ ოსმალებისთვის ბრესტის საზავო პირობები აღარ აღმოჩნდა საკმარისი. მათ მიერ შემოთავაზებული ზავისა და ხელშეკრულების პროექტი აშკარად ანექსიურ ხასიათს ატარებდა.

1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, თურქეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის გაფორმდა ,,ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“. იგი მოიცავდა 13 მუხლს, რომლითაც ოსმალეთი კვლავ იბრუნებდა ე. წ. ,,გურჯისტანის დიდ ვილაიეთს“. ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის სერიოზულ მარცხს წარმოადგენდა. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა შეადგინა 9 500 კვ. კმ 350 000 სულით.

1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავის თანახმად, ბათუმის ხელშეკრულება გაუქმდა.

1918 წელს დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი. რუსეთში სოციალისტურ გადატრიალებას სამოქალაქო ომი მოჰყვა. მსოფლიო ქაოსში ყველაზე მძიმე

მდგომარეობაში მცირე ერები აღმოჩნდნენ, რომელთა ბედი მათგან დაუკითხავად, ხშირ შემთხვევაში, მათივე ინტერესების საზიანოდ წყდებოდა.

გერმანიაზე დამყარებული იმედები პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა გააქარწყლა. 1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარების უკანასკნელი ეშელონი. საქართველოს მთავრობა შეუდგა ახალი მფარველის ძებნას.

ჯერ კიდევ 1917 წლის მიწურულს ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებით განისაზღვრა სამხრეთ რუსეთში ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროები. დონი, ყუბანი და კავკასია ინგლისს ერგო, ხოლო ყირიმი, უკრაინა და ბესარაბია – საფრანგეთს. თუმცა შეთანხმება ხელს არ უშლიდა საფრანგეთს, შეჭრილიყო ინგლისის ზონის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ფრანგული კაპიტალი აქტიურად იჭრებოდა საქართველოში.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტერიტორიები ოსმალებიდან გადაეცა ინგლისს, ხოლო 1920 წლის მეორე ნახევრიდან – საქართველოს. ამ მხარეზე თვალი ეჭირა, აგრეთვე, მსოფლიოს მრავალ წამყვან სახელმწიფოს, რაც, ბუნებრივია, ართულებდა მის დედასამშობლოსთან დაბრუნებას.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ თავისი არსებობის მანძილზე განიხილა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის როლს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის პროცესში (1918-1920 წლებში), რომელიც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლდათ.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს მრავალი გარემოება. აღსანიშნავია ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკეული მკვლევრები დაინტერესებული არიან მხოლოდ აჭარის ისტორიის, ან მხოლოდ მესხეთის ისტორიის შესწავლით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკვანძო პრობლემები იმდენადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთიან პრიზმაში თავმოყრისა და მეცნიერული შესწავლის

გარეშე ძირითადი დასკვნების გაკეთება შეუძლებელიც კი არის. ჩვენი სადოქტორო ნაშრომიც ამის ერთგვარი ცდაა.

დისერტაციაში დეტალურადაა განხილული ოსმალეთ-გერმანიის, ინგლის-საფრანგეთის თუ დენიკინისა და ამერიკის ინტერესთა დაპირისპირება და დამფუძნებელი კრების ღონისძიებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები – სადისერტაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად, ისტორიული ლიტერატურისა და წყაროების, დღემდე უცნობი საარქივო დოკუმენტური მასალების და საკანონმდებლო ორგანოს სტენოგრაფიული ანგარიშების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, აგვეხსნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების პრობლემები 1918-1920 წლებში.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები – ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება.

ძირითადი პრინციპებია: ყოველმხრივობა, სისტემატურობა, ობიექტურობა, ისტორიული, ლოგიკური და დიალექტიკური განვითარების ერთიანობა.

კვლევის ძირითადი მეთოდებია: ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, სტატისტიკური, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და წყაროთა პრიორიტეტულობის დადგენის ხერხები.

სამეცნიერო სიახლე. ნაშრომი ძირითადად ეფუძნება იმ საარქივო დოკუმენტებსა და სტენოგრაფიულ ანგარიშებს, რომელთა ნაწილიც ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს.

დისერტაციაში დეტალურადაა საუბარი, თუ როგორ დგას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხები დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით არც ერთ

მკვლევარს არ განუხილავს ეს პრობლემა და მასზე დღემდე არ არსებობს მონოგრაფიული ნაშრომი.

აღსანიშნავია, რომ ე. წ. ,,ყარსის რესპუბლიკის“ საკითხთან დაკავშირებით, დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში სულ რამდენიმე სტატია არსებობს და მათში საკვანძო დეტალები წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ჩვენ, დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებზე მუშაობისას, მივაგენით ისეთ მასალას, რომელიც აქამდე უცხო იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის და იგი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. აღნიშნული მასალა გარკვეულ შუქს ჰფენს ამ ბუნდოვან საკითხს.

აქამდე გაზიარებული იყო მოსაზრება, რომ ,,ყარსის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბების უკან ,,სამუსლიმანო საქართველოს“ სეპარატისტულად განწყობილი ზედა ფენები იდგნენ. მკვლევართა ნაწილის აზრით კი ამის უკან იდგა ინგლისი. ჩვენი მიგნებით, მყარდება ის მოსაზრება, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა ინგლისი, რომელსაც შორსმიმართული გეგმები ჰქონდა.

,,სედაი მილეთელთა“ საქმიანობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი დაიწერა, თუ რა პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგნენ ისინი, რა მრწამსისანი იყვნენ და როგორი იყო მათი დამოკიდებულება ბათუმის ოლქის საქართველოსთან ინტეგრაციის საქმეში.

ჩვენს დისერტაციაში მიმოვიხილავთ ფრიად საინტერესო და სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის ცნობილ, მაგრამ ისტორიის ამ პერიოდით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობ საარქივო საქმეს – ,,სედაი მილეთის“ მასალები“. იგი შედგება 126 გვერდისაგან. მისი დედანი ინახება ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მასში დაცულია ქ. ნიჟარაძის, მ. ქათამაძის, ს. მანელიშვილისა და ი. ქათამაძის მოგონებები. იგი ჩაუწერია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს ალ. ქათამაძეს, 1940 წლის 16 მაისს. იგი მაღალპროფესიონალური დონითაა ჩაწერილი და შეიცავს 1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველ ბევრ მნიშვნელოვან ცნობას. დოკუმენტი დაწერილია გაკრული ხელით, ზოგიერთი ადგილის ამოკითხვა ჭირს, თუმცა შესაძლებელია.

ერთგვარი სიახლეა ბათუმის ოლქში ამფეთქებელთა ჯგუფის არსებობაც, რომელიც ინგლისელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჩვენი აზრით, ისინი იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც ცდილობდნენ ადგილზე სიტუაციის არევას.

თემაზე მუშაობის პერიოდში დაზუსტდა ზოგიერთი დეტალი. კერძოდ, მკვლევარ პ. სურგულაძის აზრით, პირველი წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული საბჭო 60 წევრისაგან შედგებოდა. მაგრამ გაზეთ „საქართველოს“ მიხედვით ირკვევა, რომ ეროვნული საბჭოს დეპუტატთა რაოდენობა 67 მანდატს შეადგენდა.

არჩევნებში მონაწილეობდა მოსახლეობის 60%-ზე მეტი. საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის (თბ., 2012) IV ტომში ვკითხულობთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 550 477 ადამიანმა (აღნიშნული გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში), მაგრამ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ბევრად უფრო მეტს – 618 675 ადამიანს მიუღია მონაწილეობა არჩევნებში. ამათგან 2 525 საარჩევნო ბიულეტენი არასწორად იყო შევსებული და 616 150 ხმა ცნეს კანონიერად.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში მეცნიერულადაა განხილული 1918-1920 წლებში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შენარჩუნებისათვის ბრძოლის პროცესებში. გამოთქმულია მოსაზრებები და გაკეთებულია დასკვნები, რომლებიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც საკითხის ისტორიით დაინტერესებულ პირებს, ასევე, სამეცნიერო წრეებს, ახალგაზრდა თაობას და სტუდენტებს.

ნაშრომის სრუქტურა და მოცულობა. წარმოდგენილი ნაშრომი – „საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)“ – შედგება ხუთი თავისა და თხუთმეტი პარაგრაფისგან. მას თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენე საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის (სცსსა), აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (აცსა), აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის (ამხფ), საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკის, ბათუმის ბსუ-ს ბიბლიოთეკის, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მასალები, ინტერნეტრესურსები.

სადისერტაციო ნაშრომის გარშემო გამოქვეყნებული მაქვს:

1. გ. კუკულაძე, ბრძოლა ბათუმისათვის ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში 1919-1920 წლებში, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა V (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია), ბათუმი, 2014: 169-175.
2. ს. ალექსაია, გ. კუკულაძე, აშშ-ის პოლიტიკური ინტერესები ბათუმში 1919-1920 წლებში, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია), ბათუმი, 2015: 22-28.
3. გ. კუკულაძე, ინგლისური კომპანია ,,სიბუნიონის“ ეკონომიკური პოლიტიკა ბათუმის ოლქში და მისი ასახვა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებში, ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია), ბათუმი, 2015: 121-125.
4. გ. კუკულაძე, გაზეთ ,,განახლებული მესხეთის“ ფურცლებზე დაცული ცნობები ახალციხის მაზრაში მცხოვრები ხალხების რელიგიური კუთვნილების შესახებ, ჩვენი სულიერების ბალავარი VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2015: 169-173.
5. ნ. ზოსიძე, გ. კუკულაძე, ,,სედაი მილეთელთა“ ბათუმის ოლქში საქმიანობის ზოგიერთი უცნობი დეტალი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2016, 1(18): 142-150

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

1.1.წყაროები

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მასალები. ჩვენს თემასთან ,,საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)" დაკავშირებული მასალა მოვიპოვეთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სტენოგრაფიულ ანგარიშებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივსა და ქართველოლოგიის განყოფილებაში ინახება როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს (1 წიგნი), ასევე, პარლამენტისა (2 წიგნი) და დამფუძნებელი კრების (1919 წლის 4 წიგნი და 1920 წლის 3 წიგნი) სტენოგრაფიული ანგარიშები. საერთო ჯამში, ეს გახლავთ 10 წიგნი, რომლებიც შეადგენს დაახლოებით 7 000 გვერდს.

ამ სტენოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხები მთლიანობაშია გაშუქებულია და მას ათობით სხდომაზე საგანგებოდ განიხილავდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საკანონმდებლო ორგანოს სხდომების შემდეგი სტენოგრაფიული ანგარიშები: **1918 წლის** – 4 ოქტომბრის, 22 ნოემბრის; **1919 წლის** – 31 იანვრის, 12 მარტის, 14 მარტის, 22 მარტის, 4 აპრილის, 8 აპრილის, 17 აპრილის, 9 მაისის, 10 მაისის, 27 მაისის, 1 ივნისის, 17 ივნისის, 22 ივლისის, 25 ნოემბრის, 2 დეკემბრის, 31 დეკემბრის; **1920 წლის** – 2 მარტის, 19 მარტის, 8 აპრილის, 11 მაისის, 29 ივნისის, 10 აგვისტოს, 5 ნოემბრის და სხვ. რიგი საკითხებისა განხილულ იქნა სხვა სხდომებზეც.

საარქივო მასალა. 1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ ძირითადი საარქივო მასალა მოვიპოვეთ **საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა)**. ამათგან, აღსანიშნავია ფონდი 5-ის საქმე 8; ასევე, ფონ. 1818-ის საქმეები: 116 და 179; ფონ. 1819-ის საქმე 41; ფონ. 1833, საქ. 772; ფონ. 1834, აღწ. 2, შემდეგი საქმეები: 35; 37, 53, 60; ფონ. 1836, საქმ. 73; ფონ. 1861, აღწ. 2, საქ. 42; ფონ.1874, ან.1, საქ. 2; ფონ. 2344, ან. 1, საქ. 184.

ჩვენი საკვლევი პრობლემის გარშემო საარქივო მასალებს შორის სათანადო ადგილი უჭირავს **აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს (აცსა)**. აქ აღსანიშნავია ფონ. 7, ან.1, საქ. 752; ფონ. 61, ან. 1, საქ.1; ფონ. 67, ან. 1, საქმეები: 5, 13, 15.

1918-1920 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური საკითხები გაშუქებულია **აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშიც (ამხფ)**. მათ შორის, აღსანიშნავია: ფონ. 2 საქ. 87; ფონ. 4 საქმეები: 87 და 372; ფონ. 5, საქ. 242.

გამოქვეყნეული დოკუმენტები. დოკუმენტების კრებულები და მათში დაცული ფაქტობრივი მონაცემები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩვენი ნაშრომისათვის.

1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულ დიპლომატიური ხასიათის მასალას ვხვდებით შემდეგ დოკომენტთა კრებულებში: Документы внешней политики СССР, Т. I, М. 1957; Международные отношения и внешняя политика СССР (сб. документов) 1871-1957 гг., М. 1957; Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб. 1990;

1917-1918 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ რიგ ახალ ცნობებს შეიცავს: დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990 წ.; საქართველო და გარესამყარო, საგანმანათლებლო პროგრამა ,,საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე“) (დოკუმენტების კრებული), შემდგენელი პროფესორი ვ. გურული, თბ., 2010 წ.; ვ. გურული, ლ. ჯიქია, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში (დოკუმენტების კრებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ., 2013 წ.

მასალები უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დაცულია შემდეგ დოკუმენტთა კრებულებში: საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბ., 1949 წ.; მაღლაკელიძე ს., ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები

საქართველოში (დოკუმენტები), ,,საისტორიო მოამბე“, №7, თბ., 1953 წ.; ზოსიძე ნ., ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), ბათუმი, 1998 წ.

პრესა. საკვლევი პერიოდისა და თემის ირგვლივ სხვადასხვა საკითხზე მნიშვნელოვანი და მრავალგვარი მასალაა პერიოდულ პრესაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქალაქ ბათუმსა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, აქ არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკურ პარტიათა თუ ორგანიზაციათა საქმიანობაზე უძვირფასესი ცნობებია დაცული შემდეგ გაზეთებში: ,,ბათომის ფურცელი“, ,,სამუსლიმანო საქართველო“, ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,საქართველო“, ,,ერთობა“, ,,განახლებული მესხეთი“, ,,სახალხო საქმე“, ,,Закавкаская Речь“.

მემუარები. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოვიყენეთ მემუარული ლიტერატურა. ზოგადად მემუარებისთვის დამახასიათებელი ტენდენციურობისა და სუბიექტურობის გამო, ჩვენც სათანადო სიფრთხილით მოვეკიდეთ მათ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული: ჰ. აბაშიძის წერილებში (თბ., 1963 წ.), მ. აბაშიძის რჩეული ნაწერებში (ბათუმი, 1973 წ.); მნიშვნელოვანია მისივე თხზულებანი (გამოსცა გ. შარაძემ, თბ., 1998 წ.); ასევე, მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები. წიგნში: მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები (გამოსცა ი. სიხარულიძემ, ბათუმი, 1973 წ.).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილზე საერთაშორისო ურთიერთობებში ფასდაუდებელია ზ. ავალიშვილის მემუარი: ,,საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (თბ., 2011 წ.).

მნიშვნელოვანი დეტალებია დაცული ნ. ჟორდანიას მემუარებში ,,ჩემი წარსული“ (თბ., 1990 წ.).

1920 წლის მეორე ნახევარში ბათუმის ოლქში უცხო სახელმწიფოთა აგენტების მომრავლებისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესასწავლად ადგილზე ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი პ.

გელაშვილი. პრობლემის შესწავლის შემდეგ, მან წერილი მისწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულ იქნა ა. სილაგაძისა და ვ. გურულის მიერ (პ. გელაშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თბ., 1998 წ.). მასში ისეთი დეტალებია დაცული, რომელთაც სხვაგან არ ვხვდებით.

სამცხე-ჯავახეთის 1918-1919 წლების პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, უძვირფასესია ზ. დიდიმამიშვილის მემუარი ,,დღიური წერილები“, რომელიც შედგება 10 რვეულისაგან (საერთო ჯამში - 138 გვერდი). იგი სრულად გამოაქვეყნა შ. ლომსაძემ თავის წიგნში: ,,მესხები. ახალციხური ქრონიკები“, II, (თბ., 1997 წ.).

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება რუსი კადეტის - პ. მასლოვის მემუარი ,,ბათუმი 1917-1920 წლებში“ (აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 13, 14, 15). მიუხედავად ავტორის ტენდენციურობისა, აღნიშნული წყარო მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ბათუმის ოლქში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, რაც გვეხმარება იმ პერიოდის ისტორიული ფონის აღქმასა და არაერთი დეტალის გარკვევაში.

1.2. ისტორიოგრფია

1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია საბჭოურ პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში ტენდენციური და იდეოლოგიზებულია. მათში გაზვიადებულადაა წარმოდგენელი ბოლშევიკების როლი, სამაგიეროდ, მიჩქმალულია სხვა პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ღვაწლი. ამის კლასიკური ნიმუშია პ. ცქვიტარიას წიგნები: 1. ,,აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები", წ. 2, (1914-1918 წწ.) (ბათუმი, 1962 წ.) და ,,აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922)". ასევე, ტენდენციურია მ. ჯიჯიეშვილის ნაშრომი ,,ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.)" (ბათუმი, 1957 წ.) და ხ. ახვლედიანის წიგნი ,,საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921)" (ბათუმი, 1971 წ.). იგივე ითქმის ა. ლეჟავას ნაშრომის ,,საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დენიკინელები", („მაცნე", ისტორიის სერია, 1969 წ. №5) და მ. ჩავლეიშვილის წიგნის – ,,Октябрьская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.)" (Батуми, 1987) შესახებ. ბოლშევიკების როლი გაზვიადებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების VI ტომშიც (თბ., 1972 წ.).

მართალია, ამ ნაშრომებმა გარკვეული დახმარება გაგვიწია დისერტაციაზე მუშაობის პროცესში, მაგრამ მათ მკვეთრად ატყვია საბჭოური პერიოდის ცენზურის კვალი. იგივეს ვერ ვიტყვით მოგვიანო პერიოდში გამოცემულ შრომებზე. მათში ობიექტურადაა განხილული ჩვენი საკვლევი თემის პრობლემები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები (აჭარა)", III ტ. (ბათუმი 2008), რომლის რედაქტორებიც გახლავთ აბ. სურგულაძე და მ. სიორიძე. ისინი განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყნენ აღნიშული პერიოდის სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების შესწავლით. მათი ნაშრომები გამოირჩევა მეცნიერული სიდინჯით, წყაროთა გამოყენების კეთილსინდისიერებით და რეალური ისტორიული სურათის წარმოდგენით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. სიორიძის წიგნი ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში" (ბათუმი, 2002 წ.), რომელიც მის დისერტაციას

წარმოადგენდა. ასევე, მ. სიორიძის წიგნებიდან და სტატიებიდან, რომლებშიც ჩვენი საკვლევი პერიოდია შესწავლილი, აღსანიშნავია: 1. ,,ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო (1918–1919) (,,საისტორიო მაცნე“, 1996, №5); 2. ,,ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“ (თბ., 2011 წ.), რომელიც მის ბოლო ნაშრომს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. მ. სიორიძე ერთ-ერთი პირველი იყო ქართველ მკვლევართაგან, რომელიც დაინტერესდა ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“, ანუ ,,ყარსის რესპუბლიკის“ საკითხის შესწავლით. სწორედ მას ეკუთვნის სამეცნიერო სტატია ,,ყარსის რესპუბლიკა“ (,,საისტორიო მაცნე“, 1995 წ. №1), რომელიც ამ პრობლემის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მცდელობაა, თუმცა რიგი საკითხებისა დღესაც დასაზუსტებელია. მას ეკუთვნის კიდევ ბევრი ნაშრომი, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. მკვლევარ აბ. სურგულძის ნაშრომებიდან კი აღსანიშნავია: 1. ,,ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძის“ (ბათ., 1994 წ.); 2. ,,ყადირ შერვაშიძე – თამარის ორდენის რაინდი“ (ქუთ., 1998 წ.) და სხვ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბება და მისი ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენისათვის, ქართული პარლამენტის ჩამოყალიბება და დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხები შესწავლილია ნ. ჭანტურიას („ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის“, თბ., 2006), პ. სურგულაძის („ქართული პარლამენტის სათავეებთან“, თბ., 1991 წ.), ზ. ცინაძის („საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (ოფიციალური მონაცემების მიხედვით)“ (საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ., 2011 წ.), ანტ. ვაჭარაძისა და დ. სიჭინავას („1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები“) შრომებში.

1918-1920 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და სასაზღვრო საკითხები შესწავლილია შემდეგ გამოცემებში: ალ. ბენდიანიშვილის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (თბ., 2001 წ.); ნ. ზოსიძის „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918–1920 წლებში“ (ბათ., 1995); ო. გოგოლიშვილის „სოციალური

და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“ (ბათუმი, 2005); პ. სურგულაძისა და ა. სურგულაძის ერთობლივ წიგნში „საქართველოს ისტორია (1783-1990 წწ.)“, (თბ., 1992 წ.); ვ. გურულის: 1. „საქართველოს ისტორია, XX საუკუნე“ (რედ. ვ. გურული, თბ. 2003 წ.) და 2. „საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია (1917 წლის მარტი – 1918 წლის მაისი)“, (ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ. IX, თბ. 2002 წ.); ა. სილაგაძისა ვ. გურულის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, 1917-1918 წწ.“ (თბ., 1998 წ.); მ. ნათმელაძის „საქართველოს ისტორია“ (მე-4 ტომი, თბ., 2012 წ.); ე. მესხიას ,,საქართველოს ერთიანობის მედროშე“ (ბათ., 1999 წ.); ი. მანველიძისა და ნ. ზოსიძის ერთობლივ სტატია ,,ტერიტორიულ-სასაზღვრო საკითხები საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში 1919-1921 წლებში“ („საისტორიო მაცნე“, XVI-XVII, ბათუმი, 2008) და სხვ.

ბათუმის ოლქის აღდგენისა და თვითმმართველობის საკითხებია განხილული ო. გოგოლიშვილის სტატიებში: „ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან“ (სამეცნიერო ჟურნალი ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“, თბილისი, №1-3, 2012) და „ბათუმის ოლქი 1914-1917 წლებში“ (სამეცნიერო ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბილისი, 2012); ასევე, ჯ. კარალიძის სტატიაში: „ბათუმის ოლქის აღდგენა (1903 წელი)“ („საისტორიო მაცნე“ XVI-XVII, შრომების კრებული, ბათუმი, 2008) და სხვ.

ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი გარეშე ძალთა ინტერესთა ჭიდილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. ღამბაშიძის შრომები: ,,ინგლისისა და აშშ-ის აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919 წ.)“ (თბ., 1964 წ.) და ,,იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს“ (თბ., 1970 წ.). ავტორი ცდილობს სრული სიზუსტით აღადგინოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ზრახვანი საქართველოსთან მიმართებით 1918-1920 წლებში. აღნიშნული საკითხით დაინტერესდა, აგრეთვე, მკვლევარი გ. ფიფია, რომელმაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის პრინციპებზე დაყრდნობით შეისწავლა ამიერკავკასიითა და საქართველოთი

გერმანიის დაინტერესების რეალური ზრახვანი. მასვე ეკუთვნის ,,გერმანული იმპერიალიზმი ამიერკავკასიაში 1910-1918 წწ.“ (თბ., 1978 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ცუხიშვილის შრომები, რომლებშიც მეცნიერულადაა შესწავლილი როგორც ინგლის-საქართველოს ურთიერთობანი (,,ინგლის-საქართველოს ურთიერთობა, 1918-1921 წწ.“, თბ., 1995), ისე ტერიტორიული საკითხები ინგლისსა და საქართველოს შორის („ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.)“, თბ., 1996). აღნიშნული საკითხი განხილული აქვს, აგრეთვე, პროფესორ ო. გოგოლიშვილსაც სტატიაში „დიდი სახელმწიფოების ბათუმის ოლქით დაინტერესება პირველი მსოფლიო ომის წინ“ (სამეცნიერო კრებული ,,აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში”, 2010). ეს გახლავთ ის წიგნები და სტატიები, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის აღნიშნული პერიოდით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

1919-1921 წლების საქართველო-იტალიის ურთიერთობები საგანგებოდ შეისწავლა დ. ჯოჯუამ („საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში“, თბ., 1997). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1918-1920 წლების ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შესწავლის საკითხი. ამის ერთ-ერთი პირველი ცდაა კუნინას წიგნი «Провал Американских планов завоевания мирового господства в 1917-1920 гг.» (М. 1954). ამ პრობლემას საკმაოდ ვრცლად შეეხო მკვლევარი შ. ვადაჭკორიაც თავის წიგნში ,,საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე)“ (წიგნი II, თბ., 2006 წ.). ჩვენი საკვლევი პერიოდის ქართულ-ფრანგული ურთიერთობები შეისწავლა ა. ჩოხელმა წიგნში «Политика Франции в отношении Грузии (1917-1921)» (Тб. 1980). ზოგადად, ევროპის სახელმწიფოთა გეგმებში თუ როგორ იდგა საქართველოს საკითხი 1918-1921 წლებში, შესწავლილი აქვს ნ. კირთაძეს თავის ნაშრომში ,,ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო“ (თბ., 1997 წ.).

ჩვენი საკვლევი პერიოდის მესხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამის აღმოფხვრის ერთგვარი წარმატებული მცდელობაა ვ. ნოზაძის წიგნი ,,საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“ (თბ., 1989 წ.) და შ. ლომსაძის ნაშრომი „მესხები“ (,,ახალციხური ქრონიკები“, თბ., 1997 წ.)

1920 წლის 12 თებერვლიდან 10 აპრილამდე მიმდინარეობდა ლონდონის კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. კონფერენციაზე ინგლისელებმა დააყენეს ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად, იგივე პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი ერთა ლიგის მანდატის ქვეშ. აღნიშნული წინადადება მოიწონა ფრანგმა გენერალმა ბერტელომ. იგივე საკითხი შემდგომში განიხილეს სან-რემოს კონფერენციაზეც. ეს თემა განსაკუთრებით კარგათაა შესწავლილი აბ. სურგულაძისა და მ. სიორიძის ერთობლივ წიგნში ,,პორტო-ფრანკო ბათუმში“ (ბათ., 1996 წ.). აღნიშნულ პრობლემას მუძღვნა სტატიები მეცნიერმა ი. ტაბაღუამ: ,,ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე“ (,,მაცნე“, (ისტორიის სერია), 1982 წ., №3), და ,,საქართველო და ევროპის სახელმწიფოები (1918-1921 წწ.)“ (გაზ. ,,თბილისი“, 1989 წ. 12 ივლისი). ცალკე სტატიად გამოიცა მ. სიორიძის ,,ბათუმის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე (1920 წ.)“ (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები V, ბათუმი, 2007 წ.).

ასეთია ის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელმაც ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია სადოქტორო ნაშრომზე) მუშაობის პერიოდში.

თავი II. სამხრეთ–დასავლეთ საქართველო 1917-1918 წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება)

2.1. რუსეთის 1917 წლის რევოლუციები და საქართველო

პირველი მსოფლიო ომის გაჭიანურებამ კიდევ უფრო შეასუსტა რუსეთის ისედაც დასუსტებული ეკონომიკა. ქვეყნის ეკონიმიკური კრიზისი სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა, რამაც გამოიწვია რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის ავტორიტეტის დაცემა. ეკონომიკურმა კრიზისმა პირველადი მოხმარების საგნებიც მოიცვა. ქვეყანას უკვე პურის დარიგებაც უჭირდა.

1917 წლის 23 თებერვალს რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა დაიწყეს დემონსტრაციების მოწყობა. იმავე წლის 26 თებერვლიდან ჯარის ნაწილებმა დემონსტრანტების მხარეზე გადასვლა დაიწყეს. დემონსტრანტებს არც პოლიცია უწევდა წინააღმდეგობას და მალე პეტროგრადი (ეს სახელი პეტერბურგს ეწოდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ) მათ ხელში გადავიდა.

ამ დროს ნიკოლოზ II ფსკოვში იმყოფებოდა. 1917 წლის 2 მარტს მეფეს ფლოტის სარდლებმა სთხოვეს ხალხისა და ჯარის დაწყნარების მიზნით გადამდგარიყო და მეფეც გადადგა.

ამის შემდეგ ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა ლიბერალ ლვოვის მეთაურობით. პეტროგრადის მუშებმა და ჯარისკაცებმა აირჩიეს საბჭო, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) კარლო ჩხეიძე. მალე ასეთივე მუშათა საბჭოები შეიქმნა მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებშიც. თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭო 4 მარტს შეუდგა მუშაობას და მას ძირითადად მენშევიკი მუშები ხელმძღვანელობდნენ.

აღნიშნულმა დროებითმა მთავრობამ და მუშათა საბჭოებმა ხალხს მიანიჭეს სიტყვის, კრების მოწვევისა და კავშირების თავისუფალი ნებით შექმნის უფლება.

რუსეთში შექმნილმა რევოლუციურმა სიტუაციამ იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების გათავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო. მხარის მართვა-გამგეობა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს) ჩააბარა,

რომელიც 8 თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა. იგი ჩამოყალიბდა 1917 წლის 9 მარტის დადგენილებით. ოზაკომის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიაში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, კერძოდ, ,,IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კადეტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატი ნ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო მენშევიკმა ა. ჩხენკელმა შეცვალა. ოზაკომს თავმჯდომარეობდა ვ. ხარლამოვი“ (საქართველოს ისტორიის... 1972: 408).

ოზაკომი იყო ,,ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი“ (ოზაკომს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ საგუბერნიო კომისრები) (იქვე: 409). სამხედრო ხელისუფალთა ყველა განკარგულება, თუ იგი კავკასიას ეხებოდა, ოზაკომთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული (გაზ. ,,ზაკავკასკაია რეჩ“, 1917, №66).

პროფესორ ვ. გურულის თანახმად, ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის აპრილის დამდეგს ჩაატარეს საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრება. ამ კრებას ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. ამ ინტერპარტიული კრების მონაწილე პარტიებმა 1917 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოაყალიბეს ეროვნული ხელისუფლების ორგანო – ,,საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო” (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) (http://ai-ia.info/online-arqivi/119-vaxtang-guruli). ეს იყო პირველი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე პოლიტიკური მოღვაწეები. საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა (იქვე).

1917 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთი გამოეთიშა პირველ მსოფლიო ომს, რამაც ძალთა თანაფარდობა აშკარად გერმანელთა სასარგებლოდ დაარღვია;

აღნიშნულმა კი განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა გერმანიის წინააღმდეგ ომში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რამდენადმე ხელსაყრელი სიტუაცია შექმნა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებისთვის. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ვ. გურული, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას რამდენიმე ფაქტორი ართულებდა:

,,**პირველი.** მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი არ შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, თუ ...როგორ განვითარდებოდა საომარი ოპერაციები მსოფლიო ომის ფრონტებზე. აქედან გამომდინარე, არ შეიძლებოდა რეალური საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, ...რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა;

მეორე. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები ...კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში. კავკასიის დაკარგვით რუსეთის სახელმწიფო კარგავდა პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში;

მესამე. კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა ორ ისლამურ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს (ამათგან არც ერთი არ აპირებდა პოზიციების დათმობას - გ.კ.).

მეოთხე. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში ვერ ერეოდნენ, ამ დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდიოდნენ...

მეხუთე. მოვლენათა იდეალური განვითარების შემთხვევაშიც კი (რუსეთისა და თურქეთის ერთდროულად წასვლა ამიერკავკასიიდან), საქართველო დიდი სირთულეების წინაშე დგებოდა. დიდი სახელმწიფოების წასვლა რეგიონიდან დაუყოვნებლივ ბიძგს მისცემდა აქ მცხოვრები ერების ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების დაპირისპირებას – პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს...

მეექვსე. შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირებაც, თუ საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა ომი, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, როგორი იქნებოდა ომის შემდგომი პოლიტიკური სიტუაცია“ (გურული 2002: 5-6).

ამ ვრცელი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ ამიერკავკასიაში იმჟამად ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა. ფაქტობრივად, აქ ერთმანეთს გადაეჯაჭვა როგორც შიდა, ასევე, გეოპოლიტიკური წინააღმდეგობები, რასაც პირველი მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპის სირთულეებიც ემატებოდა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში სოციალ-დემოკრატები მოექცნენ, მაგრამ თავიდან მათ არ დაუყენებიათ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის საკითხი. ეს შეიძლება იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ამ დროისათვის საქართველოში მოქმედ პოლიტიურ პარტიებს უჭირდათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. მართალია, რევოლუციამ რუსეთი აიძულა უარი ეთქვა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებაზე, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა დაქსაქსული ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევას.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ მხოლოდ ფართო ავტონომიის მოთხოვნით კმაყოფილდებოდნენ, რომლის დაკანონება და პრაქტიკული განხორციელება რუსეთის დროებითი მთავრობის დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. ჩვენ ვიზიარებთ საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევრის, ისტორიკოს ზ. ავალიშვილის აზრს, რომ იმ ეტაპზე ,,არავის უფიქრია რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტა; ისევე, როგორც არ უფიქრიათ ამაზე ესტონეთში, ლატვიასა და რუსეთის განაპირა მხარეებში. საქართველო, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, სხვებთან ფეხშეწყობილი მიდიოდა“ (ავალიშვილი 2011: 18).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროფესორი შ. ვადაჭკორია ფიქრობს, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატების სწორმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ,,ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა დამსახურების არდანახვა,

მიზანდასახული დისკრედიტაცია და ლაფში ამოსვრის ტენდენცია – ათეული წლების განმავლობაში იმ დონეზე მიმდინარეობდა, რომ ლამის ერის მოღალატეებად გამოაცხადეს. უსაფუძვლოდ წაყენებულმა ბრალდებებმა და არაობიექტურმა შეფასებებმა თაობებში ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში ამ პოლიტიკური პარტიისადმი დამოკიდებულება დღესაც ნეგატიურია. მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მისი ფორმირების პროცესს და ქვეყანაში გატარებულ რეფორმებს დადებით შეფასებას აძლევენ, მაგრამ იგნორირებას უკეთებენ იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერთა სახელებს, რომელთაც ეროვნული ფუნდამენტის მომზადებაში ლომის წილი ედოთ... საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობის განახლება-სრულყოფა და ქართული სოციალ-დემოკრატია ერთმანეთისაგან განუყოფელია“ (ვადაჭკორია 2006: 5). რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დიდი წვლილი მიუძღვის 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა, და სხვა პოლიტიკურ პარტიათა თუ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა თავდადებაც.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ქართველ ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც 1917 წელს ეროვნელ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ისინი აგრძელებდნენ უშუალოდ თერგდალეულთა პროგრამას და ურთიერთობის საფუძვლად 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდნენ (გ. დეკანოზიშვილი, თ. სახოკია, პ. სურგულაძე, ლ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი და სხვები).

ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ერთ პარტიად გაერთიანების ცდას ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა ადგილი. ამის შესახებ წერს მისი წევრი ალ. ასათიანი (ასათიანი 1928: 124-125). ამ პარტიის სულისჩამდგმელისა და ლიდერის – ილია ჭავჭავაძის ინიციატივით იმართებოდა შეკრებები. სწორედ ამ შეკრებებზე გადაწყდა დაარსებულიყო „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. შემუშავებულ

იქნა და დაიბეჭდა პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველივე დღიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში გამოკვეთილი იყო ოთხი ძირითადი მიმართულება:

1) ეროვნულ-დემოკრატიული, ანუ ეროვნული სუვერენიტეტის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის მებრძოლი ძალა;
2) სოცილისტ-ფედერალისტური, ანუ ფართო ეროვნული ავტონომიის მომხრე, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებას დამფუძნებელ კრებას ანდობდა;
3) სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), რომელსაც მთელი ყურადღება რევოლუციის განხორციელებაში იმპერიის ძალთა მთლიანობაზე გადაჰქონდა;
4) სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური), რომელიც ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებასა და სამოქალაქო ომში სოციალისტური რევოლუციის ლენინურ პროგრამას იზიარებდა (სურგულაძე 1991: 8-9).

საქართველოში ყველაზე დიდი მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას ჰქონდა.

როდესაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუცია მოხდა, ამ დროს ვ. ლენინი იმყოფებოდა შვეიცარიაში (ემიგრაციაში). ის თავის თანამოაზრეებთან ერთად 1917 წლის 3 აპრილს დაბრუნდა რუსეთში.

1917 წლის 7 აპრილს გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა ლენინის „აპრილის თეზისები", რომელშიც პროლეტარიატის ბელადი მოუწოდებდა ბოლშევიკებს მოეპოვებინათ საბჭოებში უმრავლესობა და არ დაეჭირათ მხარი დროებითი მთავრობისათვის. 19 აპრილს კი პეტროგრადში მოეწყო მუშებისა და ჯარისკაცების გამოსვლა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ უკან

დაიხია და იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა თავისი შემადგენლობის გადახალისებაზე.

1917 წლის 4 ივლისს კვლავ გაიმართა დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, მაგრამ ისინი დაშლილ იქნა ძალის გამოყენებით. მთავრობამ აღნიშნული გამოსვლების ორგანიზატორთა დაკავების ორდერები გასცა. ლენინი ისევ ემიგრაციაში წავიდა.

რუსეთში ბოლშევიკების პოზიციები გააძლიერა ლევ ტროცკის (ბრონშტეინის) რუსეთის დედაქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევამ. ტროცკიმ, გერმანელების მხრიდან შესაძლო საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში ქალაქის დაცვის საბაბით, პეტროგრადის საბჭოსთან შექმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი და 1917 წლის სექტემბერში დაიწყო შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბება.

1917 წლის 7 ოქტომბერს ფინეთში მყოფი ლენინი პეტროგრადში დაბრუნდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს კი ბოლშევიკებმა დაამხეს დროებითი მთავრობა. 26 ოქტომბერს ზამთრის სასახლეში დააპატიმრეს დროებითი მთავრობის წევრები, მათ შორის იყო კერენსკიც. რუსეთში შეიქმნა საბჭოთა მთავრობა.

ამ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ „ოზაკომმა“ დაკარგა თავისი დანიშნულება. გაიგეს რა ეს ანტანტის სახელმწიფოთა მისიებმა, მოინდომეს ამიერკავკასიაში ბოლშევიკური რუსეთისაგან დამოუკიდებელი მთავრობის შექმნა. აშშ-ის კონსული სმიტტი სახელმწიფო მდივანს – ლანსინგს ატყობინებდა: ,,შაბათს მე დავესწრები სხდომას, სადაც ჩამოყალიბდება ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც გაერთიანდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფედერაციაში და უარს იტყვის დაზავებასა და სეპარატიულ ზავზე. აუცილებელია გავუწიოთ მათ ფინანსური დახმარება. ამ დახმარებას ითხოვენ როგორც დროებითი მთავრობის წევრები, ასევე, არმიის სარდალი“ (სცსსა, ფ. 1818, ს. 116: 12).

მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოლშევიკებმა ვლადიმერ ლენინის მეთაურობით განახორციელეს კონტრრევოლუცია და დაამხეს დროებითი მთავრობა, საქართველოს გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა (სოციალ-დემოკრატებმა,

სოციალ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა) არ ცნეს საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ამას ადასტურებს, მათ მიერ, სამხარეო საბჭოზე მიღებული რეზოლუცია, რომ ,,ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში... მოპოვებული წარმატების აშკარა დაღუპვას გამოიწვევს. რევოლუციის ინტერესები გვკარნახობს რევოლუციური დემოკრატიის ყველა ძალებთან შეთანხმებით აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციის აუცილებლობას. აცხადებს რა ამის შესახებ სამხარეო ცენტრი, მოუწოდებს ყველას, შეინარჩუნოს რევოლუციური წესრიგი და რევოლუციური დემოკრატიის ერთიანობა“ (სცსსა, ფონ. 5, საქმ. 8: 110-111).

პეტროგრადში მომხდარი ოქტომბრის პოლიტიკური მოვლენები (თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია მას უკვე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციად აღარ აფასებს – გ. კ.) იქცა სტიმულად, რომელმაც დააჩქარა ამიერკავკასიის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია დამოუკიდებლობი-სათვის ბრძოლის პროცესში. ოქტომბრის გადატრიალება არ ცნო არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, გარდა ბოლშევიკებისა. ფაქტობრივად, თბილისი გადაიქცა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრად. პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ იყო თბილისში ,,ამიერკავკასიის კომისარიატის“ შექმნა, რომელიც 1917 წლის 15 ნოემბერს განხორციელდა. ამიერკავკასიის კომისარიატში გაერთიანდნენ: ევგენი გეგეჭკორი (თავმჯდომარე), აკაკი ჩხენკელი (მენშევიკი), ლონსკოი (ესერი), ნერუჩევი (ესერი), კარჩიკიანი (დაშნაკი), ტერ-კაზარიანი (დაშნაკი), ხანხოისკი (მუსავატი), ხან-მამედოვი (მუსავატი), ალექსეევ-მესხიევი (ფედერალისტი) და სხვ. ამრიგად, ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს.

პოლიტიკოსები დიდ იმედებს ამყარებდნენ არჩეულ დამფუძნებელ კრებაზე. სწამდათ, რომ ეს კრება ხელში აიღებდა ძალაუფლებას და ამით რუსეთი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, მაგრამ ეს იმედებიც არ გამართლდა და რუსეთის დამფუძნებელი კრება დათხოვნილ იქნა. ამის საპასუხოდ, 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი. იგი დაკომპლექტებულ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან. სეიმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ამიერკავკასიის სეიმმა

მკაფიოდ გაუსვა ხაზი ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმცა იურიდიულად ეს მოგვიანებით იქნა გაფორმებული (სილაგაძე ... 1998: 35; სურგულაძე 1991: 12).

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი გახლდათ, ვინაიდან ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს, თუმცა მხოლოდ რუსეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. ამიერკავკასიისათვის არ იყო ხელსაყრელი კავკასიის ფრონტის მოხსნა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას შესაძლოა მოჰყოლოდა თურქეთის მხრიდან აგრესიის გაძლიერება და ამიერკავკასიის ქვეყნების ძალდატანებით ოკუპაცია.

2.2. ხელისუფლების ორგანიზაცია ბათუმის ოლქში

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შეიქმნა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიას გადაეცა 1878 წელს, ბერლინის ტრაქტატით. მისი ფართობი შეადგენდა 6,975 კვ. კმ-ს, სადაც ცხოვრობდა 121 832 ადამიანი (http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/istoria). 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მოაწერა ხელი დებულებას, რომლის თანახმადაც შეიქმნა ბათუმის ოლქი. მას სათავეში ედგა სამხედრო გუბერნატორი. პირველ სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი კონსტანტინე კომაროვი (ბატუმ ი ეგო... 1906: 105). სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში იგი კავკასიის არმიის მთავარსარდალს ემორჩილებოდა. იმავე წელს ბათუმის ოლქი ადმინისტრაციულად დაიყო ბათუმის (ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უბნები), ართვინის (არტანუჯის, ართვინის და შავშეთის უბნები) და აჭარის (ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები) ოკრუგებად (კარალიძე 2008: 63). ოლქის დედაქალაქად დასახელდა ბათუმი.

იმის გამო, რომ ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული ხარჯები ყოველწლიურად საკმაოდ დიდ თანხას – 219,419 მანეთს შეადგენდა (კარალიძე 2008: 64), 1883 წლის 12 ივლისიდან (სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე) 1903 წლის 1 ივლისამდე ბათუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. შემოღებულ იქნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა და მისი თანაშემწის თანამდებობა. ეს უკანასკნელი იჯდა ბათუმში (http://www.batumicc.ge).

ბათუმის სწრაფმა განვითარებამ და ზრდამ ქუთაისის გუბერნატორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმში შემოეღოთ სამოქალაქო მდგომარეობა. ამის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება დაევალა საგანგებოდ შექმნილ კომისიას კ. სევერიანის თავმჯდომარეობით. 1888 წლის 25 აპრილს, რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე, ბათუმში საქალაქო მდგომარეობის შემოღება გადაწყდა. 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ხმოსანთა პირველი არჩევნები. პირველი ექვსი წელი ქალაქის თვითმმართველობა წარმოდგენილი იყო

შემდეგი წევრებით: მთავარმართებლის მიერ ქალაქის თავად არჩეულ იქნა კ. გავრონსკი, მის მოადგილეებად კი – დ. ბიკოვი, ა. კოიანდერი და ი. შადინოვი. ბათუმის საქალაქო სათათბიროში არჩეულ იქნა 36 ხმოსანი (გოგოლიშვილი 2012).

1894 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად, საქალაქო სათათბირო დაკომპლექტებულ იქნა 35 ხმოსნით, 1895 წელს კი ბათუმის ქალაქის თავად არჩეულ იქნა ლუკა ასათიანი. 1899 წელს ის ხელახლა აირჩიეს აღნიშნულ თანამდებობაზე. 1901 წლის 9 ნოემბერს ლუკა ასათიანი მოულოდნელად გარდაიცვალა და 1902 წელს ქალაქის თავად მოგვევლინა თავადი ი. ანდრონიკაშვილი. ის ზედიზედ ოთხჯერ იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე, 1916 წელს კი თავისი სურვილით გადადგა. მისი ადგილი დაიკავა ე. კრინიცკიმ (დარახველიძე). 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დაინიშნა ბათუმის ოლქის კომისრად, ხოლო ბათუმის ახალი ქალაქის თავი გახდა ვ. საბახტარაშვილი. მოგვიანებით იგი შეიცვალა ჯავახიშვილით, ეს უკანასკნელი – ანჯაფარიძით, 1921 წელს კი აჭარის გასაბჭოება მოხდა (იქვე).

რაც შეეხება ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიისგან გამოყოფის საკითხს, იგი წარიმართა შემდეგი თანმიმდევრობით – 1896 წელს, დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ, კავკასიის მთავარმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი (1896-1904 წწ.), რომელიც ხარჯების შემცირების მიზნით ბათუმის ოლქის ქუთაისთან შეერთებას დიდ შეცდომად მიიჩნევდა. ამან, მისი აზრით, გააძლიერა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესი, რაც არ შედიოდა ცარისტული რუსეთის გეგმებში.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი აქტუალური გახდა 1900 წლიდან (კარალიძე 2008: 67). ,,საქმეში ჩაერია რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც, რომლებმაც 1901 წლის 24 აპრილს კავკასიის მთავარმართებელს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის წერილი: ,,...გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, შესაძლებელია, ზურგი გვაქციონ და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადონ. ეს კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დავიწყოთ

ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან“ (იქვე). ანალოგიური შინაარსის წერილი, 1902 წელს, მთავარმართებელს მოუვიდა იმპერატორის კანცელარიიდან.

1903 წლის 17 მარტს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის დადგენილებას (იქვე: 69), ხოლო 1903 წლის 1 ივნისიდან იგი დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. ბათუმის ოლქი შედგებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან, რომელიც იყოფოდა 7 უბნად. ამათგან 4 უბანი იყო ბათუმის ოკრუგში (კინტრიში, გონიო, ქვედა და ზედა აჭარა), ხოლო 3 უბანი – ართვინის ოკრუგში (ართვინი, არტანუჯი, შავშეთ-იმერხევი). ბათუმის ოლქი მოიცავდა 6 195 კვ. ვერსს (იქვე: 69).

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ჩამოყალიბების შემდეგ, 1917 წლის მაისიდან, ბათუმის ოლქში დაიწყო ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – კომისარიატების ჩამოყალიბება. ეს პროცესი საკმაოდ დიდი წინააღმდეგობებით წარიმართა აქ.

ბათუმში მცხოვრებმა დემოკრატიულად განწყობილმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ კომისარიატების გვერდით, ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში, აღმასრულებელი კომიტეტების სახით, შეექმნათ არჩევითი ორგანო. ამ მიზნით, 1917 წლის 14 მაისს, ბათუმში, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის – ე. კრინიცკის უშუალო ინიციატივით, გაიმართა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და ეროვნების 55 წარმომადგენელი. ყრილობამ შეიმუშავა საარჩევნო კამპანიის გეგმა და შესაბამისი დებულება (ახვლედიანი 1971: 15).

,,ოზაკომმა“ თანხმობა განაცხადა ამ არჩევნების ჩატარებაზე და ოლქებსა და მაზრებში დანიშნა თავისი წარმომადგენლები. საარჩევნო კამპანია ოქტომბრამდე გაჭიანურდა, ხოლო შავშეთ-იმერხევში ვერც შედგა. გართულდა ვითარება კინტრიშისა და გონიოს უბნებშიც. აქ არსებულ რუს კოლონისტთა დასახლებებში აქტიურობდნენ რუსი შავრაზმელები. სწორედ მათი მიზეზით, აქ არჩევნები რამდენჯერმე ჩაიშალა (სიორიძე 2002:158). ვითარება დაძაბული იყო ზემო აჭარაშიც.

1917 წლის 14-20 მაისს ბათუმში ჩატარდა ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთა ყრილობა, რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში და დაადგინა შემდეგი: ბათუმის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი დაკომპლექტდეს შემდეგი არჩევითი წარმომადგენლებით ორ-ორი კაცი ქალაქებიდან ართვინიდან და არტანუჯიდან და ექვსი ქალაქ ბათუმის აღმასკომიდან (სდსინ 2008: 401). მოგვიანებით მათ დაემატა წარმომადგენლები ბათუმის საქალაქო სათათბიროდან, პოლიტიკური პარტიებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. 1917 წლის ივლისში ბათუმის საოლქო აღმასკომი 52 წევრისაგან შედგებოდა (იქვე).

1917 წელსვე ბათუმში ჩატარდა საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები. ამ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 10 ორგანიზაცია (გოგოლიშვილი 2012). წამყვან როლს ასრულებდნენ ესერები და სოციალ-დემოკრატები. ეს არჩევნები ჩატარდა 1917 წლის 9 ივლისს, რომლის შედეგადაც ადგილობრივ სათათბიროში ადგილები ასე გადანაწილდა: ესერები - 26; სოციალ-დემოკრატები - 24; დაშნაკები - 4; კადეტები - 2; სოციალ-ფედერალისტები - 1. ქალაქის თავად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე საბახტარაშვილი (იქვე).

ამავე დროს, ბათუმში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ,,ნაციონალური კომიტეტები". უცხო სახელმწიფოთა აგენტები და მათი პროვოკატორები ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების რეალიზებას, ამან კი უკიდურესობამდე დაძაბა სიტუაცია აქ. 1917 წელს გამოცემული გაზეთი ,,საქართველო" წერდა, რომ: ,,აჭარიდან ცუდი ამბები მოდის... სოფლებში დაძრწიან ვიღაც შეიარაღებული უცნობები, ხანდახან სამხედრო ფორმაში გამოწყობილნიც, ისინი თურმე ვიღაცას და რაღაცას ზვერავენ... ამას გარდა, თვით ქალაქ ბათუმში დაუწყია თარეში ბნელ ძალებს და აჭარელთა წინააღმდეგ პროვოკაციას ეწევიან: ხმებს ავრცელებენ, ვითომც მაჰმადიანები იარაღს ისხამენ და რუსის ჯარებს ემუქრებიანო" (გაზ. „საქართველო", 1917, №95).

სწორედ ამ უკიდურესობამდე მძიმე ვითარებამ ,,აუცილებელი გახადა სამუსლიმანო საქართველოში ეროვნული თვითშეგნების, ამ კუთხის ისტორიული წარსულისა და ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობის იდეის პროპაგანდის გაძლიერება" (სდსინ 2008: 402). სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მემედ აბაშიძის

თავმჯდომარეობით, დაარსდა ,,ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი“. მასში გაერთიანდნენ სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ხასან ვარშანიძე და სხვ. კომიტეტი დაამტკიცა 1917 წლის ზაფხულის დამლევს გამართულ ქართველ მაჰმადიანთა კრებამ (აბაშიძე 1973: 60-61). მემედ აბაშიძის ინიციატივით, მალევე, ბათუმში ჩამოყალიბდა ,,ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება“. იგი ,,ქართველ მუსლიმანთა კომიტეტთან“ ერთად (შემდგომში ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა) ებრძოდა თურქოფილებისა და პანთურქისტების საქმიანობას აქ. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი ჰაიდარ აბაშიძე წერდა: ,,ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები, არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედა ენაზე იერიში მიიტანოს“ (აბაშიძე 1963: 93-101).

2.3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებასა და ტრაპიზონ-ბათუმის კონფერენციებზე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი ხშირად იცვლებოდა. ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის სიძლიერესა და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ხშირად განიცდიდა ცვლილებას 1918-1921 წლების საქართველო-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზიც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიის შემდეგ, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების სახელმწიფო საზღვარი საქართველოს მონაკვეთზე რამდენჯერმე შეიცვალა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ობიექტურად დადებითი შედეგი მოუტანა ქართველებს, როდესაც რუსეთის იმპერიას გადაეცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები.

1878-1918 წლებში მოქმედი რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად იცვლებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) ქვეყნის ხელისუფლება ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა ისტორიულ საზღვრებში შეენარჩუნებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, თუმცა იმხანად არსებული საშინაო პოლიტიკური სირთულეებისა და არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების პირობებში ძნელი იყო ამის მიღწევა. საქართველოს მთავრობა (1918-1921 წწ.) ოსმალეთთან სასაზღვრო რეჟიმის 1914 წლამდე არსებული რეალობის შენარჩუნებას ცდილობდა, რასაც ოსმალეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და მეტს ითხოვდა.

საბჭოთა მთავრობამ გერმანიასთან (ერზინჯანის) დროებითი ზავი გააფორმა, რომლის ვადაც იწურებოდა 1918 წლის 17 თებერვალს. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა 1917 წლის 5 დეკემბერს, ქალაქ ერზინჯანის რკინიგზის სადგურში. ამ დროს რუსეთის ამიერკავკასიის ფრონტის დელეგაციას ხელმძღვანელობდა გენერალი ვიშინსკი, ხოლო გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის, დელეგაციას –

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფერიკ-ვეჰიბ-მაჰმუდ-ფაშა. დროებითი ზავის გაფორმების შემდეგ, კავკასიის ფრონტზე შეწყდა საომარი მოქმედება და დაწესდა სადემარკაციო ხაზი.

ერზინჯანის ხელშეკრულება შეიცავდა 14 პუნქტს, რომელშიც გათვალისწინებული იყო მხარეთა მოვალეობები და უფლებები. კერძოდ, საბოლოო ზავის გაფორმებამდე, წინანდელი განლაგების ადგილებზე რჩებოდნენ ჯარები, მოსახლეობა და მმართველობის აპარატი (მე-4 მუხლი). აღნიშნული ზავის პირობები კავკასიის ფრონტს უსიტყვოდ უნდა მიეღო და თუკი ბრესტში გაფორმდებოდა ზავი გერმანიასა და რუსეთს შორის, ამ ხელშეკრულების ყველა პუნქტი კავკასიის ფრონტისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო (მე-12 მუხლი). საბოლოო შეთანხმების მისაღწევად უნდა შეკრებილიყო სპეციალური შერეული კომისია (მე-13 მუხლი). გარდა ამისა, ორივე მხარემ ივალდებულა გაქცეული და ძებნილი დამნაშავეების ერთმანეთისათვის გადაცემა... (დოკუმენტი მატერიალი ... 1990: 18-23).

1918 წლის იანვრის დასაწყისში, საბჭოთა რუსეთმა არ დააყოვნა და ამიერკავკასიისა და საქართველოს ოკუპაცია სცადა. შემუშავებულ იქნა სტეფანე შაუმიანის ცნობილი გეგმა, რომლის თანახმადაც, კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ სამხედრო შენაერთებს სამშობლოში დასაბრუნებლად უნდა ეთხოვათ თბილისის გავლით შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ გატარება, რომელსაც მოჰყვებოდა სამხედრო მოქმედება და თბილისი, ბათუმი და მთელი სარკინიგზო ხაზი რუსეთის ჯარის ხელში აღმოჩნდებოდა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ეს მანევრი ამოიცნო – სამხედრო ეშელონები თბილისში არ შემოუშვა და ბაქოსკენ გაატარა. ზოგიერთი სამხედრო შენაერთის პროვოკაციულ მცდელობას კი წინააღმდეგობა გაუწია – ახლად შექმნილმა სამხედრო კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა აღკვეთეს იგი. პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური მოღვაწეებისათვის უკვე ნათელი გახდა რუსეთის გეგმები საქართველოსთან მიმართებით. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო დროული გადაწყვეტილებების მიღება. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხელისუფლება ამ მხრივ ხშირად არათანმიმდევრული იყო.

ერზინჯანის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, 1918 წლის 9 იანვარს, ბრესტ-ლიტოვსკში გაგზავნილ იქნა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ტროცკი (ტრაპიზონის კონფერენცია 1998: 15). მას ლენინისგან დავალებული ჰქონდა გერმანიასთან ზავის გაფორმება, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ მოსთხოვა მას პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის გადაცემა. ლენინს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება სურდა და ყველაფრისთვის მზად იყო. 1918 წლის 18 იანვარს ტროცკიმ გერმანიის სტატს-მდივან ფონ კულოვს განუცხადა, რომ რუსეთის ახალი ბოლშევიკური ხელისუფლება აცხადებდა პრეტენზიას ყველა იმ ტერიტორიაზე, რომლებიც მანამდე შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თუკი ამ ტერიტორიებზე თურქეთს ექნებოდა რაიმე პრეტენზია, ის უნდა გაერკვია ბოლშევიკურ რუსეთთან (ნოზაძე 1989: 18).

ეს წინადადება გერმანიას არ მოეწონა და მან და მისმა მოკავშირეებმა დაიწყეს რუსეთზე შეტევა. საბჭოთა ჯარები წინააღმდეობას ვერ უწევდნენ მათ და შესაბამისად, ისინიც სწრაფად იკავებდნენ რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ტერიტორიებს.

1918 წლის 23 თებერვალს, გერმანელებმა 10 პუნქტისაგან შედგენილი ულტიმატუმი წაუყენეს საბჭოთა რუსეთს, რომლის მეხუთე მუხლის თანახმად – რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა გადაეცა ანატოლიის პროვინციები.

ყოველივე ამან საბჭოთა რუსეთი აიძულა 1918 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი) ბრესტ-ლიტოვსკის უმძიმეს ზავზე. ამ ზავით გერმანიასა და მის მოკავშირეებს გადაეცა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, ბელორუსია და უკრაინა.

კავკასიის საკითხი, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს, პირველად 1918 წლის 18 იანვარს დაისვა, როდესაც გერმანიის სტატს-მდივანმა ფონ კულოვმა ლევ ტროცკის შეკითხვა დაუსვა: შედის თუ არა ამიერკავკასია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიო. ტროცკიმ დაუდასტურა, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ ოსმალეთმა ოფიციალურად მოითხოვა ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქების გადაცემა. მისი თქმით, ეს ტერიტორიები თითქმის 4 საუკუნის მანძილზე ოსმალეთის

შემადგენლობაში შედიოდა და 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით იძულებით წაგვართვესო. გერმანელებმა წამოაყენეს ამ ოლქებში რეფერენდუმის ჩატარების წინადადება, მაგრამ, საბოლოოდ, ქართული და სომხური მიწა-წყლის ოსმალეთისათვის გადაცემის საკითხი გადაწყვიტეს მათთან შეთანხმების გარეშე.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები – არდაგანი (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები უნდა გადასცემოდა ოსმალეთს (გურული... 2013: 13-14; საქართველო და გარესამყარო 2010: 55-57; დოკუმენტი ვნეშნეი... 1957; მეჟდუნაროდნიე ოტნოშენია ... 1957: 55-56). ხელშეკრულებაში აღნიშნული, რომ: «Договаривающиеся стороны в течение 3 месяца после ратификации настоящего договора образуют две смешанные русско-турецкие комиссии.

Задачей первой комиссии является восстановление пограничной линии, разделяющей Россию и Турцию, начиная от места, где все три границы - русская, турецкая и персидская сходятся до места, где пограничная линия доходит до границ 3 санджаков: Карса, Ардагана и Батума. На этом протяжении комиссия будет руководствоваться пограничной линией, существовавшей до войны. Пограничные знаки, разрушенные во время военных действий, будут там восстановлены и исправлены согласно картам и протоколам комиссии по демаркации 1880 г.

Вторая комиссия устоновит русскую границу и границу трех санджаков, подлежащих эвакуации Российской Республики в сответствии со вторым абзацем статьи 4 коллективного мирного договора. Граница там будет восстановлена в том виде, как она существовала до русско-турецкой войны 1877-78 гг» (დოკუმენტი ი მატერიალი ...1990: 200).

1918 წლის 3 მარტსვე რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმდა დამატებითი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე რუსეთს არ უნდა ჰყოლოდა ერთ დივიზიაზე მეტი (ტრაპიზონის კონფერენცია 1998: 18).

ნოე ჟორდანიას შეფასებით, ,,...რაკი რუსეთმა უარი თქვა ჩვენს დაცვაზე, პირიქით, იქით გააჩუქა ჩვენი ტერიტორია, ცხადი იყო, მან უარი თქვა ჩვენს ქვეყანაზე, თვითონ გავიდა და დაგვტოვა მარტოდ-მარტო“ (ჟორდანია 1990: 82-85).

ერთი რამ ცხადია, გერმანიის მხარე მაქსიმალურად ცდილობდა თურქეთის ინტერესების დაცვას და ამით, ფაქტობრივად, საკუთარი მიზნების რეალიზებას. საფიქრებელია, რომ გერმანიის ასეთი მიზანსწრაფვა შორს გამიზნული გეგმის ნაწილი იყო.

ამიერკავკასიაში არსებული ვითარება გერმანიის ინტერესებს არ პასუხობდა, რეგიონის პოლიტიკურ ერთეულთა დაპირისპირებულობა და მათი განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსი კი ,,ნოყიერ ნიადაგს" ჰქმნიდა მისთვის. ამის გათვალისწინებით, გერმანიის მიერ ოსმალეთის წაქეზება კავკასიის მიმართულებით ბევრ საკითხს ნათელს ჰფენს.

როგორც ჩანს, გერმანია ორმაგ თამაშს თამაშობდა. თუკი იგი, ერთის მხრივ, ცდილობდა კავკასიის მიმართულებით საკუთარი ინტერესების რეალიზებას ოსმალების ხელით, მეორე მხრივ, იგივე მიზნებით, ამიერკავკასიაშივე ეძებდა საყრდენს საქართველოს სახით. საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარად შედიოდა გერმანიის ინტერესებში, მაგრამ, ამავე დროს, იგი გერმანიაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.

თურქეთის პრეტენზიებმა და საომარმა მოქმედებებმა საქართველოსა და სომხეთის წინააღმდეგ, კავკასიაში გერმანიის სასარგებლოდ განავითარა პოლიტიკური პროცესები. გერმანიისათვის უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა, საქართველოს დამოუკიდებლობა და გერმანიაზე ორიენტაცია. კარგად გათვლილი პოლიტიკით, გერმანიამ, ერთი მხრივ, თურქეთის გული მოიგო, მეორე მხრივ, ოსმალეთის აგრესიით შეწუხებული საქართველოს მხსნელის როლის შესრულება იკისრა.

ბრესტის შეთანხმებით, საქართველო კარგავდა თავის ისტორიულ ტერიტორიებს - ბათუმის ოლქსა (ბათუმისა და ართვინის ოკრუგები) და ყარსის ოლქს (არტაანის, ოლთისის და ყარსის ოკრუგებით). საქართველო ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის, როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. რუსეთში ბოლშევიკური ხელიუსუფლების დამხობის მოლოდინში მყოფი ამიერკავკასიის პოლიტიკური

ერთეულები პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ. ისინი არ სცნობდნენ ბრესტის საზავო მოლაპარაკებას, თუმცა ვერც ვერაფერი დაუპირისპირეს მას.

ბრესტის ზავის დადების შემდეგ, რუსეთში ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურა დამყარდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი ტრაპიზონის კონფერენციაზე. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის გაფორმების შემდეგ, ოსმალეთმა მაშინვე მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გადაცემა. ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდათ, რომ ომი ოსმალეთთან რთული იქნებოდა, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 1918 წლის მარტში ქალაქ ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება. აღნიშნულ კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბათუმის კუთვნილების საკითხს.

1918 წლის 1 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა დაამტკიცა ოსმალეთთან ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების დელეგაციის შემადგენლობა: ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე); ჰ. აბაშიძე; გ. გაჯინსკი; დ. ღამბაშიძე; რ. კაჩაზნუნი; გ. ლასხიშვილი; ი. გაიდაროვი; გ. გვაზავა; მ. მეხტიევი; ხ. ბ. ხას-მამედოვი; ა. ხატისოვი და ა. შეიხ-ულ-ისლამოვი (ტრაპიზონის კონფერენცია 1998: 36).

იმავე სხდომაზე სეიმმა დაამტკიცა „ძირითადი დებულებები“, რომლის თანახმად, ზავზე მოლაპარაკების აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის ომამდელი საზღვრების აღდგენა. ამასთანავე, დელეგაციას უნდა ებრძოლა აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევის და ოსმალეთის სომხეთისათვის ავტონომიის უფლების მისანიჭებლად. გ. გვაზავას აზრით, ამას უნდა დამატებოდა ასირიელებისათვის ავტონომიის უფლების მინიჭების საკითხის დასმაც (სცსსა, ფ. 1819, აღ. 1, ს. 41: 59). იმავე წლის 8 მარტს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია კრეისერ „კაროლ კარლით“ ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა. ამ დროს ტრაპიზონი, ფაქტობრივად, ოსმალთა ხელში იყო გადასული (სდსინ 2008: 417).

ტრაპიზონის მოლაპარაკებისათვის მზადების პარალელურად, 1918 წლის 10 მარტს ოსმალეთის მთავარსარდლობამ ოფიციალურად მიმართა ამიერკავკასიის მხარეს და მოსთხოვა ბრესტის ხელშეკრულების თანახმად მისთვის დათმობილი „ბათუმის, ყარსისა და არტაანის სანჯაყების უმოკლეს დროში ევაკუაცია“ და ჯარების 1877 წლის საზღვრებში გაყვანა (სიორიძე 2002: 202).

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიკავეს ტრაპიზონი, აშკარა იყო, რომ ისინი პოზიციებს არ დათმობდნენ, ამიტომ სეიმის წინაშე დადგა კითხვა – „ომი თუ ზავი“? ამ საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად, 11 მარტს თბილისში ჩატარდა საგანგებო სეიმის სხდომა (დოკუმენტი ი მატერიალი... 1990), რომელზეც ნ. ჟორდანიამ წარმოთქვა სიტყვა. მან ხაზი გაუსვა ამიერკავკასიისთვის ბათუმისა და ყარსის მნიშვნელობას, მათი დაცვის აუცილებლობას და აღნიშნა, რომ სოციალურ-დემოკრატიული პარტია ყველაფერს გააკეთებდა ამისათვის. თუკი ტრაპიზონში საზავო მოლაპარაკება არ შედგებოდა, თავის მხრივ, დაშნაკების პარტიაც (აუცი-ლებლობიდან გამომდინარე) გამოთქვამდა სურვილს ომისათვის მზადყოფნაზე. მაგრამ მუსავატელებმა არ გაიზიარეს ომისთვის მზადების პოზიცია.

1918 წლის 12 მარტს ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაცია, რომელ-საც თავმჯდომარეობდა საზღვაო დეპარტამენტის უფროსი, I რანგის კაპიტანი ჰუსეინ რაუფ ბეი. მასთან ერთად, დელეგაციის წევრები იყვნენ: საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე მეჰმედ-ნუსრეთ-ბეი, კავკასიის არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი მაიორი იუსუფ რიზა ბეი, ფლოტის I რანგის კაპიტანი ჰამიდ-ბეი და დელეგაციის თავმჯდომარის ადიუ-ტანტი და მდივანი ლეიტენანტი აბდურახმანი. იმავე დღეს შედგა დელეგაციების მეთაურთა შეხვედრა, ხოლო 13 მარტს – დელეგაციის წევრთა ურთიერთგაცნობა.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია მიმდინარეობდა 1918 წლის 14 მარტიდან 5 აპრილამდე; შედგა კონფერენციის 6 სხდომა, 2 თათბირი და მრავალი „ამიერკავკასიის და ოტომანის დელეგაციათა კერძო სხდომა“ (ტრაპიზონის კონფერენცია 1998).

14 მარტს, დღის 3 საათზე, გაიმართა კონფერენციის პირველი სხდომა, მაგრამ საკითხები არ განუხილავთ. დელეგაციის მეთაურთა მისასალმებელი

სიტყვების შემდეგ, ორივე მხარემ წარმოადგინა დელეგატების სია და აირჩიეს სამანდატო კომისია, რომელმაც განიხილა დელეგატთა უფლებამოსილება და დასამტკიცებლად წარუდგინა კონფერენციას.

15 მარტს გაიმართა კონფერენციის მეორე სხდომა, რომელზეც განიხილებოდა სხდომის თავმჯდომარის საკითხი. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეობა მორიგეობით ეკუთვნოდა ორივე დელეგაციის ხელმძღვანელს, მაგრამ ამიერკავკასიის დელეგაცია მოერიდა კონფლიქტს ამ საკითხის გამო და დათანხმდა რაუფ-ბეის (ქართული ემიგრანტული... 1992: 192) ერთპიროვნულ თავმჯდომარეობას. აქვე გაიმართა მცირე დებატებიც. ა. ჩხენკელმა დაახასიათა ამიერკავკასიის რესპუბლიკის პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომელიც შემოღებულ იქნა ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. მან თქვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკას ჰყავს დემოკრატიული გზით არჩეული სეიმი, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ვინაიდან ბრესტის საზავო კონფერენცია შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს (მათი უშუალო მონაწილეობის გარეშე), და ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დადებული ზავი მათთვის მიუღებელი იყო, ამდენად, ბრესტის საზავო პირობები, რომლებიც ამიერკავკასიას ეხებოდა, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით თავისთავად კარგავდა მნიშვნელობას. ამიერკავკასია უშუალოდ გადაწყვეტს თავის პრობლემებს მეზობელ სახელმწიფოებთან... (ტრაპიზონის კონფერენცია 1998: 47). თუმცა, ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების აღიარება. რაუფ-ბეის თქმით, მართალია, საერთაშორისო სამართლით ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება არ არის სავალდებულო მესამე სახელმწიფოსათვის, მაგრამ რეალურად ამიერკავკასიის რესპუბლიკა არ არსებობს, რის გამოც ის ცალკე სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლებოდა. ანალოგიური ხასიათისა იყო კონფერენციის დანარჩენი სხდომებიც. ქართული მხარე არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, თურქული მხარე კი მას ყურად არ იღებდა და ამ ზავით გადაცემულ მიწებს იკავებდა.

ტრაპიზონის კონფერენცია საომარი ვითარების ფონზე მიმდინარეობდა. შექმნილ მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში, ამიერკავკასიის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, კერძოდ, სოციალ-დემოკრატებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა საქმიანობა წარმართეს არა საერთო ინტერესების დაცვის, არამედ „ნაციონალური პრინციპით“, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებდა საკითხს და „ოსმალთა წისქვილზე ასხამდა წყალს“. ფრონტის მდგომარეობა ყოველდღიურად რთულდებოდა. მარტის შუა რიცხვებში ოსმალეთმა ალყაში მოაქცია არტაანი და სხვა პუნქტები. დაიწყო ძალების მობილიზება ყარსზე და ბათუმზე შემოტევისათვის. 2 აპრილს ტრაპიზონში ჩავიდა თურქთა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეხიბ-ფაშა. მისი ბრძანებით 4 აპრილს ასკერებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები და ქალაქ ბათუმს 10 კმ-ზე მიუახლოვდნენ.

ოსმალთა გენერალმა ვეხიბ-ფაშამ 11 აპრილს ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს, გენერალ გიორგი მდივანს გაუგზავნა ულტიმატუმი (რომელზეც 12 საათში უნდა ეპასუხა), მოსთხოვა 13 აპრილს შუადღემდე დაეცალა ქალაქი და ჯარები გაეყვანა 1877 წლის საზღვრებში. გენერალმა მოითხოვა ულტიმატუმის გაგრძელება 24 საათით, რათა საკითხი შეეთანხმებინა თბილისთან და მიეღო ამ საკითხზე სეიმის გადაწყვეტილება (სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 179: 284). ვეხიბ-ფაშამ ამაზე უარი განაცხადა და 13 აპრილსვე განაახლა შეტევა ბათუმზე.

13 აპრილს თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. მთავრობის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა შეკრებილთ გააცნო ტრაპიზონის კონფერენციაზე შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ ბათუმის დაცვა შესაძლებელი იყო. მიღებულ იქნა ზომები მის გასაძლიერებლად და სამხედრო შემადგენლობის შესავსებად, რასაც ერთვოდა საქართველოს მოსახლეობის პატრიოტული შემართებაც.

„ბოლოს სეიმმა ნოე ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ფორმულირების საფუძველზე ერთხმად დაადგინა:

1) ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის გამოწვევა ტრაპიზონიდან;
2) ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება;

3) ომის ხელმძღვანელობისათვის საგანგებო კოლეგიის შექმნა სამხედრო, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების შემადგენლობით;

4) სათანადო მანიფესტით ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის მიმართვა“ (სდსინ 2008: 422).

14 აპრილს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია ტრაპიზონიდან თბილისში დაბრუნდა. იმავე დღეს ოსმალებმა აიღეს ბათუმი და განაგრძეს შეტევა ოზურგეთისა და ყარსის მიმართულებით.

16 აპრილს ტრაპიზონში ჩავიდა ენვერ-ფაშა. მას თან ახლდნენ სულთნის ბიძაშვილი პრინცი ომარ ფარუქი და გერმანელი სამხედრო მოხელეები (გაზ. ,,საქართველო“ 1918 №84). ტრაპიზონიდან ენვერ-ფაშა წავიდა ბათუმში. მას განუცხადებია, რომ აუცილებელი იყო ამიერკავკასიისთვის ბრესტ-ლიტოვსკის პირობების შესრულება.

ამრიგად, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია ამიერკავკასიის დელეგაციისათვის უშედეგოდ დამთავრდა. ოსმალეთი ბათუმ-ყარს-არტაანს დაეუფლა და სხვა ტერიტორიებზეც ეჭირათ თვალი. ამ წარუმატებლობის მრავალი მიზეზი არსებობდა. პირველ რიგში, ეს იყო ოსმალთა დაჟინებული ნება და იმპერიული სულისკვეთება. მეორე მხრივ, ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის შეუთანხმებლობა და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრი, და მესამე, ამიერკავკასიის სეიმის მიერ ვითარების არასწორად შეფასება; ამიერკავკასიის დელეგაციამ ვერ შეძლო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების არცნობასთან დაკავშირებით თავისი წინადადების ბოლომდე დაცვა და აშკარად უფრო ძლიერ ოსმალთა სახელმწიფოსთან საჭირო მოქნილი დიპლომატიის წარმოება. შესაძლოა, ამას არ მოჰყოლოდა რაიმე შედეგი, მაგრამ ა. ჩხენკელისა არ იყოს, ცდად ღირდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხი ბათუმის საზავო კონფერენციაზე. ბათუმის კონფერენციის წინ, ამიერკავკასიის სეიმმა, ოსმალთა შესაჩერებლად, დახმარება მესოპოტამიაში მყოფ ინგლისის სარდლობასაც სთხოვა, მაგრამ, სიტყვიერი თანაგრძნობის გარდა, ვერაფერი მიიღო (აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 13: 110). დახმარება სთხოვეს გერმანიასაც, მაგრამ, მათი განცხადებით, ამიერკავკასია იურიდიულად რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა და მათ არ ჰქონდათ უფლება

ჩარეულიყვნენ ამ კონფლიქტში. ამიერკავკასიის მთავრობამ თხოვნით მიმართა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს – შეეჩერებინათ ოსმალთა წინსვლა, მაგრამ რუსეთიდან მოვიდა პასუხი, რომლის მიხედვითაც, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების თანახმად, ამიერკავკასიის მთავრობა ვალდებული იყო არ შეეფერხებინა ოსმალთა წინსვლა, მაგრამ თუ ოსმალები ამ ზავის პირობებს გადაამეტებდნენ და ხელშეკრულებით დადგენილ ტერიტორიებზე მეტს მიიტაცებდნენ, მაშინ რსფსრ-ს მთავრობა ოსმალეთს წაუყენებდა საპროტესტო ნოტას (სცსსა, ფ. 1818, ს. 179; დოკუმენტი ვნეშნეი... 1957: 240-241).

ამ დროს კი ოსმალეთი ყოველგვარ ღონეს მიმართავდა ბათუმის ოლქში მცხოვრები მოსახლეობის თავის მხარეზე გადაბირებისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდათ „სედაიმილეთელებს“, რომლებიც იდეოლოგიურად ცდილობდნენ ანტიეროვნული განწყობის შექმნას და ხალხს ოსმალეთის მხარეზე გადასვლისკენ მოუწოდებდნენ.

ამ მოვლენების პარალელურად, ეროვნული საბჭო ცდილობდა დიპლომატიური გზით შეენარჩუნებინა დაკარგული ტერიტორიები, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის სტატუსის გარკვევა, რათა მოლაპარაკების პროცესში კანონიერი მხარის უფლება მიეღო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში, 1918 წლის 22 აპრილს, შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ. დღის წესრიგიც ამგვარად იყო განსაზღვრული:

1. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ;
2. თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე წარსაგზავნი დელეგაციის მოხსენება;
3. ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების შესახებ (სილაგაძე 1998:27).

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და მცირე კამათისა, სეიმმა მიიღო დადგენილება: ,,გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ

ფედერაციულ რესპუბლიკად“ (დოკუმენტი ი მატერიალი... 1990 :221). ამავე სხდომაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული მთავრობა ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით (იქვე: 229).

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას მაშინვე მოჰყვა დაზავებაც, მაგრამ ოსმალებს ომი არ შეუჩერებიათ. მათ 25 აპრილს ყარსიც აიღეს. 28 აპრილს აკაკი ჩხენკელმა – ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა – მიიღო შეტყობინება, რომ ოსმალეთმა სცნო ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და აცნობა ეს თავის მოკავშირეებს.

სამი ქვეყნის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება არ იყო მყარი. ამას განაპირობებდა მაშინდელი საერთაშორისო ვითარებაც. სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ გერმანია, ოსმალეთი და ანტანტის სახელმწიფოები. ასეთ ვითარებაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ორიენტაცია ერთმანეთისაგან განსხვავებული აღმოჩნდა. აზერბაიჯანელები მხარს ოსმალეთს უჭერდნენ, სომხები კი ანტანტის პოზიციაზე იდგნენ, ხოლო ქართველები გერმანიის დახმარებით ფიქრობდნენ ოსმალეთის აგრესიის შეჩერებას.

ოსმალეთი აღარ კმაყოფილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით და დამატებით ითხოვდა რკინიგზის დათმობას. ამიერკავკასიის დელეგაციის პროტესტის საპასუხოდ, ისინი ნელ-ნელა ახალ ტერიტორიებს იკავებდნენ. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას ცდილობდა. საქართველოს მცირერიცხოვან შეიარაღებულ ძალებს არ შეეძლოთ ოსმალთა აგრესიის შეჩერება. ჩხენკელმა ოსმალებს მოსთხოვა დაეცალათ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გაუთვალისწინებელი ოზურგეთის, ახალციხის და ახალქალაქის დაპყრობილი მაზრები, მაგრამ ამ საკითხის განსახილველად ოსმალებმა ახალი კონფერენცია მოიწვიეს ქალაქ ბათუმში (დოკუმენტი ი მატერიალი... 1919: 251-252). ზ. ავალიშვილის შეფასებით, ამ კონფერენციას თავიდანვე არადიპლომატიური ხასიათი ჰქონდა და ოსმალებს სურდათ ქალაქი ბათუმი საერთაშორისო ნორმების დაცვით

გადასულიყო მათ მფლობელობაში. მისი თქმით: „წარმოვიდგინოთ თურქების გრძნობებიც ბათუმის დაკავებისას. ისინი თითქოს ბრუნდებოდნენ აქ ორმოცწლიანი განშორების შემდეგ და თუმცა რაც აქ 1918 წელს დახვდათ, ნაკლებად გავდა 1878 წელს მათ მიერ დატოვებულ ბათუმს, ბრესტ-ლიტოვსკში მათთვის დათმობილ პროვინციებს (სანჯაყებს) ისინი აღიქვამდნენ თავისებურ თურქულ ელზას-ლოტარინგიად, რომელიც კუთვნილებისამებრ მათვე დაუბრუნდათ...“ (ავალიშვილი 2011: 52-53).

აღნიშნული კონფერენცია ორ ეტაპად მიმდინარეობდა: ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის (1918 წლის 11-26 მაისი), ხოლო მეორე ეტაპზე კი მოლაპარაკების მხარეებს წარმოადგენდნენ საკუთრივ ოსმალეთი და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები.

ბათუმის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაცია 45 წევრისაგან შედგებოდა. მათგან 6 დელეგატი იყო: ქართველთაგან – ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ნ. ნიკოლაძე, სომეხთაგან – რ. კაჩაზნური და ა. ხატისიანი, აზერბაიჯანელთაგან – მ. გაჯინსკი და რასულ-ზადე. მათ თან ახლდათ მრჩეველები, ეროვნული საბჭოს მდივნები, სამხედრო მისია და სხვ. დელეგაციის სიმრავლე განაპირობა ურთიერთუნდობლობამ (სდსინ 2008: 424). აღნიშნული დელეგაცია 6 მაისს ჩავიდა ბათუმში.

ამიერკავკასიის დელეგაციის აზრით, ოსმალეთთან მოლაპარაკების ძირითადი თემა ბრესტის ზავის პირობები უნდა ყოფილიყო. ამდენად, ბათუმის კონფერენციაზე, რომელიც ერთგვარად ტრაპიზონის საზავო კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენდა, ამიერკავკასიის დელეგაცია ცდილობდა ტერიტორიულ საკითხებში ოსმალეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას. კერძოდ, ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქების დათმობით უნდა შეჩერებულიყო მოწინააღმდეგის ექსპანსია, რომელიც საქართველოს ისედაც მძიმე ტვირთად აწვა (ზოსიძე 1995: 43). საკითხის ასეთი დასმა ოსმალებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ჰალილ-ბეის აზრით, მარტო ბრესტის საზავო პირობები აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო შეთანხმების საფუძველი. იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასიამ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა და აღარ იმყოფებოდა

რუსეთის იურისდიქციის ქვეშ, ოსმალები ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობასაც ცდილობდნენ. ოსმალებმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას 11 მაისს შესთავაზეს ზავისა და ხელშეკრულების პროექტი, რომელიც აშკარად ანექსიურ ხასიათს ატარებდა. ამ პროექტის თანახმად, ოსმალეთს უნდა გადასცემოდა ახალქალაქი, ახალციხე, ალექსანდროპოლი და ეჩმიაძინის რაიონები (სცსსა, ფ. 1836, ს. 73: 4-5).

ბათუმში ჩამოსულ ოსმალეთის საზავო დელეგაციას შეხვდა მემედ აბაშიძე, რომელმაც ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სახელით სთხოვა მათ საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტა (სილაგაძე 1996: 54).

ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს საიდუმლოდ გაგზავნილ წერილში ამცნობდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას. ის წერდა: „ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერ მხარი. რა ვქნათ? თათრებმა გასწირეს სომხები, აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთის მხარეზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა ომში არ გაერიო“ (საისტორიო ... 1992: 168).

ოსმალეთმა 18 მაისს ნოტა გამოუგზავნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც მუქარას შეიცავდა. კერძოდ, მასში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის დელეგაციას თავი უნდა შეეკავებინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობების დაცვაზე, რადგან ამას შეიძლება ცუდი გავლენა მოეხდინა მიმდინარე მოლაპარაკების შედეგებზე. ამ მოვლენების პარალელურად, 1918 წლის 14 მაისს, თბილისში შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, რამაც ა. ჩხენკელს მისცა საშუალება ენერგიულად ემოქმედა. გახშირდა მისი შეხვედრები გერმანიის დელეგაციასთან და უშუალოდ გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელთან – გენერალ ფონ ლოსოვთან. ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში იგი იუწყება: „საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა

გადაიდგას, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ“ (დოკუმენტი ი მატერიალი... 1990: 173).

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – მის შესანარჩუნებლად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და ოსმალეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატებების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილდებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით (სილაგაძე... 1998: 44-45).

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა 1918 წლის 25 მაისს ოსმალეთის მიერ წამოყენებული ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც, 72 საათის განმავლობაში უნდა დაკმაყოფილებულიყო მათი ყველა მოთხოვნა, პირველ რიგში კი საზღვრების შეცვლა. ამიტომაც, საიდუმლო წერილში ა. ჩხენკელი კიდევ ერთხელ მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას. 1918 წლის 25 მაისს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში შეიკრიბა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამავე დღეს შემუშავებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი (სურგულაძე 1998: 31). მომდევნო დღეს კი, 26 მაისს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

25 მაისს გერმანიის დელეგაციამ ბათუმი დატოვა და ფოთში გადავიდა, სადაც 28 მაისს გერმანიის დელეგაციის მეთაურს – ფონ ლოსოვს შეხვდა ქართული დელეგაცია და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი. საუბრის შემდეგ, ფოთში 4 ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, გერმანია, ფაქტობრივად, დე ფაქტოდ აღიარებდა საქართველოს. გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფონ ლოსოვი აცხადებდა, რომ გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლაში და დაიცავდა მის

საზღვრებს მეზობელი სახელმწიფოებისაგან. ფოთში უნდა ჩამოსულიყო გერმანიის ჯარები, რათა მოეხდინათ საქართველოს ოსმალთაგან დაცვა (ავალიშვილი 2011: 88-89).

31 მაისს ბათუმში განახლდა მოლაპარაკება. აქ ჩამოსულ ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნ. რამიშვილი, დელეგაციაში შედიოდნენ გენერალი ი. ოდიშელიძე, გ. გვაზავა და გრ. რცხილაძე (სდსინ 2008: 431).

გერმანიის მხარდაჭერით დაიმედებულმა ქართულმა დელეგაციამ მოითხოვა საზღვრების საკითხი განეხილათ ბრესტის ზავის საფუძველზე, მაგრამ ოსმალეთმა ომის განახლების მუქარით აიძულა ქართული მხარე მიეღო ულტიმატუმი.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა ,,ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება“ ოტომანთა იმპერიის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის. იგი მოიცავდა 13 მუხლს, რომლითაც ოსმალეთი კვლავ იბრუნებდა ე. წ. ,,გურჯისტანის დიდ ვილაიეთს“. ამ ხელშეკრულებით აღსდგა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე არსებული საზღვარი (გურული... 2013: 15-17). ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის სერიოზულ მარცხს წარმოადგენდა ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით; დაიკარგა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ბათუმ-ყარს-არტაანი), მთელი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები (აბასთუმანისა და აწყურის გამოკლებით), რაც, ფაქტობრივად, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იგნორირებას ნიშნავდა. ოსმალეთმა კარგად ისარგებლა მსოფლიო ომისაგან გამოწვეულ ქაოსური მდგომარეობით და შეუდგა მეზობელი სახელმწიფოების ანექსიას. ამას ხელს უწყობდა აზერბაიჯანის პროოსმალური ორიენტაციაც. საბოლოოდ, საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა შეადგინა 9 500 კვ. კმ 350 000 სულით (ამხფ ფ. 4 ს. 372: 43).

იმავე დღეს გაფორმდა „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ (ძირითადი ხელშეკრულების) 3 დანართი (დამატება). ამათგან პირველი მოიცავდა 9 მუხლს და არეგულირებდა ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისა და ნავიგაციის საკითხებს (დოკუმენტი ი მატერიალი... 1990: 349-351). მეორე დანართი, რომელიც 3 მუხლისაგან შედგებოდა, აწესებდა სამიმოსვლო შეღავათებს. მესამე დანართი, შემდგარი 7

მუხლისაგან, ზრდიდა საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი სასულიერო პირების უფლებებს (იქვე: 351-357). ამავე დღეს ბათუმში გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც საქართველომ სარკინიგზო მაგისტრალი ოსმალებს დაუთმო (სდსინ 2008: 431).

6 ივნისს საქართველომ სთხოვა გერმანიას გადაესინჯა ბათუმის ზავის კაბალური პირობები (მისი შემსუბუქების მიზნით). გერმანიის მთავრობამ ახალ საზავო კონფერენციაზე დაითანხმა ოსმალები (სიორიძე 2002: 270-274). კონფერენცია უნდა გამართულიყო სტამბოლში, მაგრამ, საბოლოოდ, იგი აღარ ჩატარდა.

ცხადია, საქართველო ვერ შეეგუებოდა ამ ზავს. დემოკრატიული საქართველოს მთავრობა დიპლომატიური გზებით ცდილობდა ზავის მძიმე პირობების შეცვლას. თავის მხრივ, არც აჭარის მკვიდრი მოსახლეობა შეგუებია დედასამშობლოსაგან ჩამოცილებას. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა საცხოვრებელი ადგილიც კი მიატოვა და მეზობელ რეგიონებში გაიხიზნა. 1918 წლის 14 ივნისს, საზოგადოებრივი აზრის გაყალბების მიზნით, ოსმალთა ხელისუფლებამ აჭარაში ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობა განიცდიდა ზეწოლას. ამ დროს ბათუმში გამოცხადებული იყო საალყო წესები, ყოველ ჩამოსულ ქართველს რეფერენდუმის წინა დღეს დაატოვებინეს ქალაქი. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის მცირე ნაწილმა (გაზ. „ერთობა“, 1918, №153).

ცხადია, აჭარის მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ოსმალურ რეჟიმს და მიმართავდა პროტესტის სხვადასხვა ფორმას. საოკუპაციო ხელისუფლება კი დათმობაზე არ მიდიოდა. ოსმალები ახშობდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს. ოსმალთა სულთანი სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიას ჰპირდებოდა. ამ ავტონომიაში უნდა შესულიყო: ბათუმის ოლქი, არდაგანი, ახალციხე და ახალქალაქი. თუმცა აჭარაში მცხოვრები პროგრესული მოაზროვნეებისათვის ნათელი იყო ოსმალეთის განზრახვა. ჰაიდარ აბაშიძე წერდა: „დღემდის, თუ ქართველ მუსლიმანთა უმრავლესობისათვის გაუგებარი, შეუსწავლელი იყო ოსმალეთი, დღეს, თითო-ოროლა ხალხის მოღალატეების გარდა, ყველასათვის ნათელია, თუ რა ფასი აქვს ჩვენთვის ოსმალეთს და

ამიტომ ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება...“ (ჯაფარიძე 1994: 81). ოსმალეთის მიერ ბათუმის ოკუპაციას მოჰყვა მძიმე სოციალ-ეკონომიკური და კულტურული შედეგები. არ არსებობდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის არც ერთი სფერო, რომელიც ოსმალურ გავლენას არ განიცდიდა. ბათუმის ოლქში მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 1918 წლის შემოდგომაზე. 30 ოქტომბერს ოსმალეთმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისთან ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომლითაც თავი დამარცხებულად აღიარა. მუდროსის ზავმა ბათუმის ხელშეკრულება გააუქმა.

თავი III. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება

3.1. საქართველოს ეროვნული საბჭო

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გააქტიურდა. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობით გაერთიანებას წარმოადგენდა, ამიტომაც მას არ შეეძლო მთელი ერის სახელით გამოსვლა. იმ დროისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ჩამოყალიბებულიყო ისეთი ორგანო, რომელსაც ქართველი ერის სახელით მოქმედება შეეძლო. საჭირო გახდა ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომლის ორგანიზება თვით „ინტერპარტიულმა საბჭომ“ ითავა (სურგულაძე... 1992: 191).

1917 წლის ოქტომბერში, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის საკრებულოს თავმა, კოტე აფხაზმა საჯაროდ განაცხადა, რომ თავადაზნაურობა მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას, რომელიც მილიონობით მანეთს შეადგენდა, უსასყიდლოდ გადასცემდა საქართველოს საზოგადოებრიობას. აზრთა სხვადასხვაობა და მწვავე პოლემიკა გამოიწვია საკითხმა – თუ ვის ან რომელ ეროვნულ ორგანოს უნდა მიეღო აღნიშნული ქონების განკარგვის უფლება. ასეთად დასახელდა მომავალი უნივერსიტეტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართულ საკულტო დაწესებულებათა კავშირი და კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. საკამათო საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა გიორგი გვაზავასა და გრიგოლ ვეშაპელის განცხადებებმა, რომელთა მიხედვით, ქონება მთელი ერის ნდობით აღჭურვილ ორგანოს უნდა ჩაებარებინა. გაზეთ ,,საქართველოში“ ვკითხულობთ: ,,თავად-აზნაურთა ქონება უნდა გადაეცეს იმ წინასწარი ხასიათის ეროვნულ ორგანოს, რომელსაც აირჩევს საქართველოს ქალაქების თვითმართველობათა, მომავალ ერობათა, პოლიტიკური პარტიებისა და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა წარმომადგენელთა კრება“ (გაზ. ,,საქართველო” 1917 №240).

გამოითქვა შიში, თუ რამდენად იქნებოდა იურიდიული ძალის მქონე ასეთი ეროვნული ორგანო, რასაც ნათელი მოჰფინა ნიკო ნიკოლაძის განმარტებამ, რომ ამის

მიღწევა შესაძლებელი იყო დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტით. ასე რომ, ეროვნული ყრილობის მოწვევისთვის მიზეზი უკვე არსებობდა. 3 ნოემბრის სხდომაზე ინტერპარტიულმა საბჭომ გადაწყვიტა 19 ნოემბრისთვის სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომლის ორგანიზებაც დაეკისრა ინტერპარტიული საბჭოს აღმასკომს, ხოლო ტექნიკური საკითხების მოგვარება – კომისიას შალვა ქარუმიძის ხელმძღვანელობით.

19 ნოემბერს გაზეთმა ,,საქართველომ“ გამოაქვეყნა გრიგოლ ვეშაპელის სტატია – ,,ეროვნული ყრილობის საქმე“, რომელშიც ვკითხულობთ: ,,დღეს სრულდება საქართველოს ეროვნული ცხოვრების ასწლოვანი, პეტროგრადის წრე და დღესვე იწყება ქართველი ერის ახალი პოლიტიკური ისტორია... სწორედ ეს პოლიტიკური ავტორიტეტი იყო, რომ აკლდა დღემდის არსებულ ინტერპარტიულ საბჭოს, რომელიც პარტიათა თანაბარი წარმომადგენლობით იყო წარმოდგენილი და რომელიც მხოლოდ მაშინ აბიჯებდა წინ, როცა ყველა პარტიები შეთანხმდებოდნენ ხოლმე“ (გაზ. ,,საქართველო“ 1917 №256).

ინტერპარტიული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა დამსწრეთა რაოდენობაზე გარკვეული ლიმიტის დაწესება. კერძოდ, ინტერპარტიულ საბჭოს უნდა ჰყოლოდა 25 დელეგატი. თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოს – 12; ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოს – 8; თბილისსა და ქუთაისს – ხუთ-ხუთი, სოხუმს – 3 და ზაქათალას – 1; სამაზრო ქალაქებს უნდა ჰყოლოდათ თითო დელეგატი; უმაზრო ქალაქებს კი – ფოთს 2, დანარჩენებს თითო-თითო. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს სამ-სამი დელეგატი, პოლიტიკურ პარტიებს – ორ-ორი. ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას – ორ-ორი. კულტურის დარგის სხვა ორგანიზაციებს (მოსკოვის, პეტროგრადის, ბაქოს, კავკავისა და როსტოვის კულტურის ცენტრები) თითო-თითო, ქართველ მაჰმადიანთა საზოგადოებას – 3.

ყრილობაზე თავისი დელეგატები ჰყავდა საკათოლიკოსო საბჭოს, პროფკავშირებს, სათავადაზნაურო ბანკებს, ვაჭარ-მრეწველთა კავშირს, ყოველდღიურ პოლიტიკურ გაზეთებს და სხვ. (გაზ. ,,საქართველო“ 1917 №253).

1917 წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში შეიკრიბა რჩეული საზოგადოება. ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა ეროვნების, წოდების, პარტიის ინტერესებს ასახავდა. მისი 350-მდე დელეგატი წარმოადგენდა – პოლიტიკურ პარტიებს (67), ქალაქების თვითმმართველობებს (33), საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს (89), მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს (15), კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს (35), თავადაზნაურობას (20), ქართულ ჯარს (20), მასწავლებელთა კავშირს (9), კოოპერატორებს (8), ქართულ პრესას (9), ვაჭრობა-მრეწველობისა და საბანკო უწყებას (26), ქართველ საზოგადოებრიობას სხვადასხვა ქვეყნებში (6), საკათალიკოსო საბჭოს (1), ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ კათოლიკეებს (7), საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს (3), აფხაზებს (2), სხვადასხვა დაწესებულებებს (8) (გაზ. „ერთობა“ 1917 №153). მოწვეულნი იყვნენ უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ცნობილი ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები.

„ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით, ეროვნული ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა ეროვნულ-პოლიტიკური თვითმმართველობის, კანონმდებლობის, ერობისა და სასამართლოს სრული რეორგანიზაცია. მან თავისი გამოსვლა დაასრულა სიტყვებით: „შეიძლება ამ ყრილობას საქართველოს დამფუძნებელი ყრილობა მოჰყვესო“.

ეროვნული ყრილობის მუშაობის პირველ დღეს სიტყვით გამოვიდნენ ნოე ჟორდანია და ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი. დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ წაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მისასალმებელი გუჯარი. დელეგატებს გააცნეს, აგრეთვე, ესპანეთის ელჩისა და კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის, გენერალ პრჟევალსკის დეპეშები. დასასრულს, ნოე ჟორდანიამ წარმოადგინა ყრილობის მუშაობის დღის წესრიგი, რომელიც პრესაში გამოქვეყნებულთან შედარებით რამდენიმე საკითხით გაიზარდა და, საბოლოოდ, ასეთი სახე მიიღო: „1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი; 2) თავად-აზნაურთა ქონების გადაცემა ქართველი ხალხისთვის; 3)

ერობა; 4) ლაშქარი; 5) ადმინისტრაცია; 6) იუსტიცია; 7) სკოლა; 8) ეროვნული საბჭოს არჩევა“ (http://www.for.ge/view.php?for: 4-5).

20 ნოემბერს ნოე ჟორდანიამ თავის საპროგრამო დებულებაში აღნიშნა, რომ რუსეთში სტაბილური ხელისუფლების ორგანოს არჩევამდე ამიერკავკასიის მთავრობა – სეიმი უნდა შეადგინონ რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელმა დელეგატებმა. ,,ინტერპარტიულ საბჭოში შევთანხმდით, რომ საქართველოს მიენიჭოს შინაგანი დამოუკიდებელი თვითმმართველობა, იმ უფლებით, რომ გამოსცეს კანონები” (გაზ. ,,საქართველო” 1917 № 258).

ყრილობამ თავადაზნაურობის მიერ ბოძებული ქონების ჩაბარებისა და მოვლის გარდა, დღის წესრიგში სხვა საკითხებიც დააყენა, რომლებიც შეეხებოდა: თვითმმართველობებს, არმიას, სკოლებს, სასამართლოს და ა. შ. ყველა საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია. ყრილობამ აირჩია საბჭო 160 კაცის შემადგენლობით, რომელმაც იმავე დღეს ჩამოაყალიბა აღმასრულებელი კომიტეტი. მასში შევიდნენ: 8 სოციალ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-ფედერალისტი, 2 ეროვნულ-დემოკრატი, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი და 1 წარმომადგენელი სამაჰმადიანო საქართველოდან. ბოლშევიკურმა პარტიამ ეროვნულ ყრილობას, ისევე, როგორც ,,ამიერკავკასიის კომისარიატს“, ბოიკოტი გამოუცხადა (გაზ. ,,ერთობა” 1917 №154).

ამავე დღეს ყრილობაზე არჩეულ იქნა სექციები, რომლებსაც ევალებოდათ რეზოლუციების შემუშავება. სულ შეიქმნა 10 სექცია: 1) ეროვნებათა საქმის (ვ. გობეჩია); 2) საერობო (მ. მაჩაბელი); 3) ჯარის ნაციონალიზაციის (ი. გედევანიშვილი); 4) სკოლის ნაციონალიზაციის (ლ. ნათაძე); 5) ადმინისტრაციული (გრ. გიორგაძე); 6) სასამართლო (შ. მესხიშვილი); 7) საფინანსო (ნ. ნიკოლაძე); 8) სასურსათო (ი. ქარცივაძე); 9) ქონების (აკ. ჩხენკელი); 10) ჯანმრთელობის (ალ. ჯავახიშვილი) (http://www.for.ge/view.php?for: 4-7).

21 ნოემბერს, კოტე აფხაზმა ყრილობას გააცნო იმ ქონების ნუსხა, რომელსაც თავადაზნაურობა უსასყიდლოდ გადასცემდა ქართველ ხალხს. ესენი იყო: 1. სათავადაზნაურო ბანკი (წლიური მოგება 300 000 მანეთი); 2. კახეთის რკინიგზა (საერთო ღირებულებით 18 მილიონი მანეთი); 3. თავად-აზნაურების სასახლე

(წლიური შემოსავლი 120 000 მანეთი); 4. ელექტროსადგური (წლიური შემოსავალი 100 000 მანეთი); 5. ქართული გიმნაზიის შენობა (ახლანდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) (საერთო ღირებულება 2 მლნ. მანეთი) (იქვე: 8).

იმავე დღეს, ყრილობაზე სიტყვით წარსდგა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშალი დათა ნიჟარაძე, რომელმაც ქართველ ხალხს გადასცა: 1. ქართული გიმნაზია დამხმარე შენობებითურთ, 2. სენაკის გიმნაზია და 3. ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდა (იქვე: 8).

ყრილობამ მოიწონა თავადაზნაურობის საკრებულოს გადაწყვეტილება. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა შემდეგი:

1. საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო;
2. დაუყოვნებლივ იქნას გამორკვეული მეზობლებთან დამოკიდებულების ფორმები;
3. არჩეულ იქნას ეროვნული საბჭო, რომელსაც ევალება სასწრაფოდ მოამზადოს ნიადაგი დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად და სათანადო მომენტში იგი აღიაროს (გურული... 2011: 171).

პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატების ლიდერი ნოე ჟორდანია. მის მოადგილეებად – აკ. ჩხენკელი, გრ. ვეშაპელი, ვლ. გობეჩია და პ. საყვარელიძე. მდივნებად – ი. მაჭავარიანი, გრ. ურატაძე, ს. დადიანი, მ. გავაშელი და ივ. გომართელი; სამანდატო კომისიის წევრებად დაადგინეს: პ. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, გ. ფაღავა, მ. საყვარელიძე, შ. მიქელაძე, ლ. შენგელაია, ალ. ყანჩელი და ქ. შარაშიძე.

ეროვნულ საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა (25 წევრი). ესენი გახლდათ: ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ვ. ჯუღელი, დ. ონიაშვილი, პ. აბაშიძე, ს. გვარჯალაძე, ს. მაისურაძე, ა. ჭიაბრიშვილი, პ. გელეიშვილი, რ. არსენიძე, შ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჯაფარიძე, გრ. ურატაძე, ა. ფარნიაშვილი, გრ. გიორგაძე, ე. როგავა, გ. კლიმიაშვილი, ვ. თევზაია, ე.სირბილაძე და ნ. ხომერიკი.

სოციალისტ-ფედერალისტებიდან არჩეულ იქნა 10 დეპუტატი: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი და ალ. წერეთელი.

ეროვნულ-დემოკრატებიდან აირჩიეს 9 დეპუტატი: ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, ი. დადიანი, ვ. ჟურული, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, გ. მაჩაბელი, სპ. კედია და გრ. ვეშაპელი.

ესერებიდან ეროვნულ საბჭოში მოხვდნენ 6 დეპუტატი: კ. მესხი, ვ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, იოს. გობეჩია და ივ. გობეჩია. დასახელებულთა გარდა, საბჭოში აირჩიეს რევოლუციონერ-დემოკრატი დ. ჩიქოვანი, უპარტიოები – კ. აფხაზი და კ. მაყაშვილი, აგრეთვე, სამუსულმანო საქართველოს წარმომადგენლები – ჯ. ხიმშიაშვილი, მ. აბაშიძე და რ. ნიჟარაძე, და სხვ.

მკვლევარ პ. სურგულაძის აზრით, პირველი წარმომადგენლობითი ორგანო – ეროვნული საბჭო 60 წევრისაგან შედგებოდა (სურგულაძე 1991: 14). მაგრამ, გაზეთ ,,საქართველოს“ მიხედვით, ეროვნული საბჭოს დეპუტატთა რაოდენობა 67 მანდატს შეადგენდა, რომელთაგან 7 მანდატი საქართველოს განაპირა კუთხეებზე მოდიოდა (გაზ. „საქართველო“, 1917, №260).

ეროვნულმა საბჭომ ჩამოაყალიბა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც 15 წევრისაგან შედგებოდა. ამათგან 8 იყო სოციალ-დემოკრატი. ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავდათ ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებსა და ესერებს, ერთი – სამაჰმადიანო საქართველოს.

1917 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე ეროვნულ საბჭოში 67 დეპუტატი იყო არჩეული. 26 მაისის გაფართოებულ სხდომაზე კი ეროვნული საბჭოს შემადგენლობა 120 წევრამდე გაიზარდა.

ეროვნული საბჭოს მიერ იქნა მიღებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა:

,,1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

6. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“ (http://ka.wikipedia.org/wiki/).

დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა ეროვნულ საბჭოს, რომლის თავმჯდომარედ, ნოე ჟორდანიას ნაცვლად, არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. დამტკიცებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე რამიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 1918 წლის ივნისში შეცვალა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა დაკომპლექტებულ იქნა შემდეგი პირებისაგან: საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი, სამხედრო საქმეთა მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული, განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი, მიწათმოქმედების მინისტრი – ნოე ხომერიკი, იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი, გზათა მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე (საქართველოს ისტორია...2012: 212).

ქვეყნის მთავრობა დაკომპლექტდა კოალიციური პრინციპით, რადგან მასში შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები: რვა მინისტრიდან ოთხი იყო სოციალ-დემოკრატი, ორი – სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი – ეროვნულ-დემოკრატი და ერთი – სოციალისტ-რევოლუციონერი. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოს არსებობისათვის უმნიშვნელოვანესი კანონები. მათ შორის აღსანიშნავია კანონი ,,საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის“, ,,საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის“, ,,საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“, ,,რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს“, ,,საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატისა“, ,,ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფოს უნივერსიტეტად გამოცხადებისა“, ,,საქართველოს რესპუბლიკის დროშისა“, ,,საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა“, ,,დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ და სხვ. (საქართველოს დემოკრატიული... 1990:

15–110). ეროვნული ყრილობის მოწვევა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში. ჩვენ ვიზიარებთ ისტორიკოს პ. სურგულაძის აზრს, რომ საქართველოში მოწვეული პირველი ეროვნული ყრილობა ყველაზე მიზანსწრაფული და დიდმნიშვნელოვანი აქტი იყო დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს შორის, ყრილობა იყო სათავე ქართული ეროვნული პარლამენტისა (სურგულაძე 1991: 15). 1918 წლის 8 ოქტომბერს ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი (იქვე: 41). საქართველოს პარლამენტი და მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების საიმედო და კვალიფიცირებული კადრებით დაკომპლექტებას, ადმინისტრაციული აპარატისა და მილიციის ჩამოყალიბებას.

3.2. საქართველოს დამფუძნებელი კრება

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან (1918 წლის 26 მაისი), ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე ქვეყანა უნდა ემართა ეროვნულ საბჭოს, რომელშიც იქნებოდნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც. დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა ეროვნული საბჭოს წინაშე. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე დიდი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ რა სახელი დარქმეოდა ამ ორგანოს. იყო წინადადებები, მისთვის ეწოდებინათ „პარლამენტი“, „პალატა“, „კრებული“, „სათათბირო“, „დარბაზი“, „ნაციონალური საბჭო“, „სახელმწიფო წარმომადგენელთა პალატა“, „დეპუტატთა პალატა“, „წარმომადგენელთა კრებული“, „სასახლე“, „საზოგადო საკანონმდებლო სასახლე“ და სხვ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა ეროვნულ საბჭოს შერქმეოდა „რესპუბლიკის დარბაზის“ სახელი, სოციალისტ-რევოლუციონერების აზრით კი მას უნდა დარქმეოდა „საქართველოს სახალხო პარლამენტი“ და სწორედ ეს ბოლო წინადადება იქნა მიღებული უმრავლესობის მხარდაჭერით. ამრიგად, 1918 წლის ოქტომბრიდან ეროვნული საბჭო საქართველოს ისტორიაში საქართველოს პარლამენტის სახელწოდებით შევიდა (ეროვნული საბჭო... 1918: 1-19; სურგულაძე 1991: 27-28).

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოემბერს მიიღო დადგენილება „დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ“, რომელიც 130 კაცით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. დაწესდა არჩევნები – საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. დაიწყო აქტიური მზადება საარჩევნო კამპანიისათვის. ამავე დროს, დაარსდა ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია (ცსსკ), რომელშიც საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა პარტიას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი (საქართველოს პარლამენტი... 1918: 1-5; ცინაძე 2011).

დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხზე საუბრობენ შემდეგი მკვლევრები: ვ. გურული (საქართველოს ისტორია... 2003: 61-86), პ. სურგულაძე (სურგულაძე 1991), ალ. ბენდიანიშვილი (ბენდიანიშვილი 2001), ზ. ცინაძე (ცინაძე

2011). დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარება ჯერ კიდევ 1917 წელს სურდა აკაკი ჩხენკელს, მაგრამ ეს არ გაიზიარეს სოციალ-დემოკრატებმა. ნოე ჟორდანიას თქმით, ამ არჩევნების ჩატარება დიდ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის რევოლუციას (ჭანტურია 2006: 20-37).

დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1919 წლის გვიან გაზაფხულზე, მაგრამ 1918 წლის 29 დეკემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა, რომ არჩევნები ჩატარებულიყო 14, 15 და 16 თებერვალს. ამის მიზეზად მან დაასახელა ის, რომ 1919 წლის იანვარში მუშაობას იწყებდა პარიზის კონფერენცია და მასზე წარდგენილ საქართველოს დელეგაციას უნდა ჰქონოდა იურიდიული ლეგიტიმაცია (ვაჭარაძე http://www.archives.gov.ge/ge/scientific-publications). ნოე რამიშვილის წინადადება საარჩევნო კომისიამ განიხილა და ერთხმად დაამტკიცა 1918 წლის 31 დეკემბერს (სცსსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 60).

საარჩევნო კომისიამ 1919 წლის 22-26 იანვარს განიხილა პოლიტიკური პარტიების საკანდიდატო სიები და მიანიჭა მათ ნუმერაცია (ცინაძე 2011: 314). არჩევნები ჩატარდა 13 მაზრასა და 17 ქალაქში. მასში მონაწილეობას ღებულობდა 15 პარტია:

1) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
2) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
3) საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტია;
4) დაშნაკცუთიუნი;
5) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტები;
6) მუსლიმთა ეროვნული საბჭო;
7) საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა პარტია;
8) საქართველოს ეროვნული პრტია;
9) მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია;
10) შოთა რუსთაველის ჯგუფი;
11) დამოუკიდებელთა (უპარტიო) კავშირი;
12) ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი;

13) რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მუშათა პარტია;

14) ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა;

15) საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი (ვაჭარაძე http://www.archives.gov.ge/ge/scientific-publications: 36).

დამფუძნებელი კრების პირველ არჩევნებში მხოლოდ 4 პარტია (სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები) იქნა არჩეული. თუმცა, დამატებით ჩატარებულ 2 არჩევნებში დამფუძნებელ კრებას დაემატა კიდევ ორი – საქართველოს ეროვნული პარტია და დაშნაკები.

1919 წლიდან წინასაარჩევნო ბრძოლა გააქტიურდა. განსაკუთრებით აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. გაზეთი ,,ერთობა“ წერდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა სათანადო პასუხი უნდა გასცენ როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, ასევე, აგრარული კანონის მოწინააღმდეგეებსო. მათ უნდა იზრუნონ ერებს შორის მშვიდობის დამყარებაზეო (გაზ. „ერთობა“, 1919, №145).

სოციალისტ-ფედერალისტები წინასაარჩევნო პროგრამაში (,,საქართველოს მშრომელ ხალხს“) აღნიშნავდნენ, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში; იბრძოლებდნენ მუშათა და გლეხთა პირობების გასაუმჯობესებლად; გაზრდიდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს (საქართველოს... 2012: 231).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიიჩნევდა, რომ მას ინტელიგენცია და გლეხობა მისცემდა ხმას.

საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 31 იანვრის დადგენილებით,

,,2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელ კრების შეკრებისა.

3. დამფუძნებელ კრებას მოიწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლა-მენტის ცენტრალური დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია“ (საქართველოს დემოკრატიული ... 1990: 236).

1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს (ყოველი დღის 8 სააათიდან 20 საათამდე) ჩატარდა დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა 20 წლის ასაკიდან, საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

არჩევნებში მონაწილეობდა მოსახლეობის 60%-ზე მეტი. საქართველოს ისტორიის IV ტომში წერია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 550 477 ადამიანმა (საქართველოს... 2012: 232), მაგრამ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ბევრად უფრო მეტს – 618 675 ადამიანს მიუღია მონაწილეობა არჩევნებში. მათგან 2 525 საარჩევნო ბიულეტენი არასწორად იყო შევსებული და 616 150 ხმა ცნეს კანონიერად (სცსსა, ფ. 1834. აღ. 2. ს. 37, 53). ადგილები ასე გადანაწილდა: სოციალ-დემოკრატები – 109 (1. ნოე ჟორდანია; 2. სილიბისტრო ჯიბლაძე; 3. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე; 4. ირაკლი წერეთელი; 5. ნოე რამიშვილი; 6. ევგენი გეგეჭკორი; 7. ნოე ხომერიკი; 8. ისიდორე რამიშვილი; 9. აკაკი ჩხენკელი; 10. რაჟდენ არსენიძე; 11. ალექსანდრე ლომთათიძე; 12. გრიგოლ გიორგაძე; 13. გერასიმე მახარაძე; 14. ნიკოლოზ ელიავა; 15. ბენიამინ ჩხიკვიშვილი; 16. ვარლამ შერვაშიძე; 17. ვალერიან ჯუღელი; 18. კირილე ნინიძე; 19. მიკიჩ ვარდოიანცი; 20. ვლადიმერ ახმეტელაშვილი 21. კონსტანტინე ანდრონიკაშვილი; 22. მიხეილ კოვალიოვი; 23. დავით ონიაშვილი; 24. მუხრინიონა ხოჭოლავა; 25. ალექსანდრე დგებუაძე; 26. ალექსანდრე ფარნიევი; 27. ვიქტორ თევზაია; 28. კონსტანტინე გვარჯალაძე; 29. ჰაიდარ აბაშიძე; 30. ერიკ გერნშტეინი; 31. გიორგი ერაძე; 32. ანდრია ლოსკუტოვი; 33. იოსებ სალაყაია; 34. პეტრე გელიეიშვილი; 35. სერგო ჯაფარიძე; 36. ელეონორა ტერ-პარსეგოვა-მახვილაძისა; 37. ანანია სალუქვაძე; 38. დიომიდე თოფურიძე; 39. ვლადიმერ ჯიბლაძე; 40. ჰუსეინ მამედოვი; 41. მელიტონ რუსია; 42. გიორგი ანჯაფარიძე; 43. ყადირ შარვაშიძე; 44. ივანე პაშალიდი; 45. რაფიელ ჩიხლაძე; 46. პავლე საყვარელიძე; 47. ვასილ ცაბაძე; 48. ლევან ნათაძე; 49. გიორგი გაგლოევი; 50. გრიგოლ ურუტაძე; 51. მოსე დავარაშვილი; 52. კონსტანტინე ჯაფარიძე; 53. ნოე ცინცაძე; 54. ბარნაბ ძველაია; 55. ზაქარია გურული; 56. ალექსანდრე ჩიქავა; 57. რუბენ ყიფიანი; 58. დავით

შარიშიძე; 59. ვლასა მგელაძე; 60. დიმიტრი გონაშვილი; 61. მინადორა ტოროშელიძე; 62. სიმონ სურგულაძე; 63. ვასილ გურჯუა; 64. ვასილ ნოდია; 65. რუბენ აუშტროვა; 66. ოსმან მიქელაძე; 67. ნიკოლოზ ქუმსიშვილი; 68. კონსტანტინე საბახტარაშვილი; 69. კონსტანტინე პანიევი; 70. კონსტანტინე კანდელაკი; 71. ილია ბადრიძე; 72. ქრისტინე შარაშიძე; 73. აპოლონ სულაქველიძე; 74. ილია კოპალეიშვილი; 75. ივანე ჭავჭანიძე; 76. ანდრია ჭიაბრიშვილი; 77. გიორგი ცინცაძე; 78. დავით ჩხეიძე; 79. ელისაბედ ბოლქვაძე; 80. გაბრიელ ცისკარიშვილი; 81. სარდიონ თევზაძე; 82. გრიგოლ ცინციბაძე; 83. ილია ფირცხალაიშვილი; 84. თედორე კიკვაძე; 85. ნიკოლოზ კაციაშვილი; 86. ივანე ტატიშვილი; 87. იოსებ კვარაცხელია; 88. ვასილ წულაძე; 89. ნიკიფორე იმნაიშვილი; 90. არზაყან ემუხვარი; 91. ივანე გომართელი; 92. პავლე გიული; 93. იოსებ ელიგულაშვილი; 94. ლავროსი კიღურაძე; 95. თავაზ-ყადირ გვარამაძე; 96. ლევან რუხაძე; 97. სიკო ახმეტელაშვილი; 98. გერასიმე შევჩუკი; 99. დიმიტრი ზახაროვი; 100. პავლე წულაია; 101. პავლე ბერიშვილი; 102. პავლე ბაკურაძე; 103. ერმალოზ კალაძე; 104. თეიმურაზ ჭელიძე; 105. გიორგი მურვანიძე; 106. გიორგი ფაღავა; 107. იოსებ მაჭავარიანი; 108. ლეონტი ჟღენტი; 109. ფილიპე ლორია). ეროვნულ-დემოკრატები – 8 (1. ალექსანდრე ასათიანი, 2. გიორგი გვაზავა, 3. სპირიდონ კედია, 4. იოსებ მაჭავარიანი, 5. ნიკო ნიკოლაძე, 6. გერონტი ქიქოძე, 7. ექვთიმე თაყაიშვილი, 8. პეტრე სურგულაძე). სოციალისტ-ფედერალისტები – 8 (1. შალვა ალექსი-მესხიშვილი, 2. იოსებ გედევანიშვილი, 3. იოსებ ბარათაშვილი, 4. სვიმონ მდივანი, 5. გრიგოლ რცხილაძე, 6. გიორგი ლასხიშვილი, 7. სამსონ ფირცხალავა, 8. შალვა ნუცუბიძე). სოციალისტ-რევოლუციონერები – 5 (1. ივანე გობეჩია, 2. იოსებ გობეჩია, 3. ილია ნუცუბიძე, 4. ლევან შენგელია, 5. გრიგოლ ნათაძე) ადგილი.

1919 წლის 12 მარტს გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა იქვე: 206), რომელიც გახსნა უხუცესმა დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. პირველსავე სხდომაზე დადასტურებულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი. ხოლო, 1919 წლის 14 მარტს, დამფუძნებელი კრების დავალებით, ნ. ჟორდანიამ შეადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა: ,,დაევალოს

დამფუძნებელ კრების წევრს ნ. ჟორდანიას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით“ (საქართველოს დემოკრატიული... 1990: 237).

სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა დამფუძნებელი კრება, უნდა აერჩიათ მთავრობის თავმჯდომარე. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ამ თანამდებობაზე ნ. ჟორდანია წარადგინა, რასაც მხარი ეროვნულ-დემოკრატებმაც დაუჭირეს. თუმცა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა ბოიკოტის ნიშნად კენჭისყრაში არ მიიღეს მონაწილეობა. მიუხედავად ამისა ნ. ჟორდანია მაინც იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე. იმავე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი რაჟ. არსენისძე, რომელმაც განაცხადა, რომ დამფუძნებელ კრებას შეუძლია მთავრობის მეთაურის ინსტიტუტი შექმნას, მათ შორის, პრეზიდენტისაცო. ამან დიდი კამათა გამოიწვია დარბაზში. გიორგი გვაზავამ გააპროტესტა პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა. დეპუტატ ივანე გობეჩიას აზრით, აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო კომისიას უნდა გადაეწყვიტა. საბოლოოდ დაადგინეს, რომ ,,საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“ (საქართველოს... 2012: 233).

ნ. ჟორდანიამ 1919 წლის 21 მარტს დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა მინისტრთა კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით – ევგენი გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრად); ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრად); ნოე ხომერიკი (მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრად) და კონსტანტინე კანდელაკი (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად). 1919 წლის 25 აპრილს კი დამტკიცებულ იქნა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი და განისაზღვრა მისი სტრუქტურა (იქვე: 240-267). დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნის ერთგვარი ცდა იყო (ჯაფარიძე 1994: 41-42). სხვადასხვა მიზეზთა გამო, დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოს რამდენიმე ოლქსა და მაზრაში ვერ იქნა ჩატარებული. დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები მოგვიანებით

ჩატარდა კიდევ ორჯერ. პირველი დამატებითი არჩევნების მონაცემები ასახულია ცსსკ 1919 წლის 28 აგვისტოს სხდომის ოქმში. ეს არჩევნები ჩატარებულა სვანეთში, ხევსურეთში, ფოცხოვის რაიონში, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში (სცსსა, ფ. 1834. აღ. 2. ს. 35).

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არჩევნების 14-16 თებერვალს ვერჩატარება განაპირობა იმან, რომ ამ დროს ეს ტერიტორიები ოსმალთა ზეგავლენის ქვეშ იყო მოქცეული. როგორც კი გათავისუფლდა მათგან, აღნიშნულ მაზრებში მოეწყო დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დამატებითი არჩევნები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ჭარბობდა სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, არჩევნები, ფაქტობრივად, რეფერენდუმის ხასიათსაც ატარებდა. შედეგები წარმატებული აღმოჩნდა საქართველოსათვის. კერძოდ – ახალციხის მაზრაში 30 000 ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში და მათგან 24 000-მა (80%) ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, 3 000 კი – სომხურ დაშნაკცუთიუნს. რაც შეეხება ჯავახეთს – 21 687-მა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და აქედან 13 000 (60%) ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, დაშნაკცუითუნს კი – 8 000. სხვა პარტიებმა ხმების მინიმალური რაოდენობა დააგროვეს (სურგულაძე 1992: 207).

პირველ დამატებით არჩევნებში (საერთო ჯამში) მონაწილეობა მიიღო 87 379 ამომრჩეველმა, რომლის შედეგადაც, დამფუძნებელმა კრებამ თავიდან გადაანაწილა მანდატები. შედეგად – სოციალ-დემოკრატებს დარჩათ 105 დეპუტატი; ეროვნულ-დემოკრატებს – 7; სოციალისტ-ფედერალისტებს – 9. 3 დეპუტატი იქნა არჩეული დაშნაკებიდან და 1 – დეპუტატი საქართველოს ეროვნული პარტიიდან (სცსსა, ფ. 1834. აღ. 2. ს. 35). მეორე დამატებითი არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 17 სექტემბერს. მასში 23 294 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. ეს არჩევნები ჩატარდა დუშეთის მაზრის ნაწილში და მთელ სვანეთში.

საბოლოოდ, დამფუძნებელი კრება დაკომპლექტდა შემდეგნაირად – სოციალ-დემოკრატებს ჰყავდათ 102 დეპუტატი; ეროვნულ-დემოკრატებს – 8; სოციალისტ-ფედერალისტებს – 9; სოციალისტ-რევოლუციონერებს – 6; საქართველოს ეროვნულ პარტიას – 2; დაშნაკებს – 3.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი არსებობის მანძილზე განიხილა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რომლის უმთავრესი საკითხი ფულად-საფინანსო სისტემის გამართულად ფუნქციონირება იყო. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 11 ივლისს მიღებული დეკრეტი ,,საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის" შესახებ (საქართველოს დემოკრატიული... 1990: 290). ხოლო 1919 წლის 19 დეკემბერს, მათ მიერ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონი ,,ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" (იქვე: 319). 1919 წლის 31 დეკემბერს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მიღებულ იქნა კანონი საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ. იმავე დღეს დამტკიცებულ იქნა მისი წესდებაც (იქვე: 325). ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა სასამართლო სისტემის რეფორმა. შეიქმნა საქართველოს უმაღლესი სასამართლო – სენატი. 1919 წლის 29 ივლისს დამფუძნებელი კრების სხდომაზე მიღებულ იქნა დებულება საქართველოს სენატის შესახებ (იქვე: 295-307). დიდი ყურადღება მიექცა ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც დამოუკიდებლობის პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაიქმნა (1918 წლის 3 სექტემბერი) (იქვე: 57-58). დამფუძნებელი კრების დადგენილებების თანახმად, ამავე პერიოდში გაიხსნა არაერთი ეროვნული სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი – საქართველოს მუზეუმი (1919 წლის 1 აგვისტო), სამხატვრო გალერეა (1920 წლის 30 მარტი), ცენტრალური სამეცნიერო არქივი (1920 წლის 23 აპრილი). მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა საქართველოდან ხელოვნების ნიმუშებისა და ისტორიული მნიშვნელობის ნივთების გატანას (1920 წლის 28 მაისი) (იქვე: 308-396).

უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ საქართველოს კონსტიტუციის მიღება, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს (იქვე: 458-484).

თავი IV. საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული და ტერიტორიული საკითხისადმი 1918-1919 წლებში

4.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმის ოლქში და მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში

1918-1919 წლებში ბათუმის ოლქში მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი, რაც განპირობებული იყო არსებული საერთაშორისო ვითარებით. ბათუმის ოლქზე, როგორც სტრატეგიულად გამორჩეულ რეგიონზე, თვალი ეჭირა რამდენიმე ქვეყანას. ესენი გახლდათ: ოსმალეთი, რომელიც, მართალია, პირველი მსოფლიო ომიდან დამარცხებული გამოვიდა, მაგრამ მაინც ახერხებდა გარკვეული ზეგავლენის მოხდენას მასზე. ამას ემატებოდნენ ინგლისელები, რომლებიც აქ ოსმალეთის სამართალმემკვიდრეებად მიიჩნევდნენ თავს და 1918 წლის მიწურულიდან ბათუმის ოლქს უშუალოდ აკონტროლებდნენ. თავიანთი ინტერესები გააჩნდათ ბათუმის ოლქზე დენიკინს, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

პირველ მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ფიქრობდა, რომ ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს უკან დაიბრუნებდა და ინგლისი ამაში ხელს შეუწყობდა, მაგრამ იმედები არ გამართლდა. ინგლისელ დიპლომატებს შორსმიმავალი გეგმები ჰქონდათ და ისინი ამ ტერიტორიების დათმობას არ აპირებდნენ.

ინგლისელთათვის ბათუმის ოლქის მოწყობის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა: პირველი – ეს იყო ძალაუფლების გადაცემა ადგილობრივ მოსახლეობა-ზე, მეორე – ბათუმის ოლქზე სრული კონტროლის დამყარება, მესამე – მისი ,,რუსული ნაციონალური საბჭოსათვის“ გადაცემა, რომელიც დენიკინის ინტერესე-ბის გამტარებელი გახლდათ, დაბოლოს – ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნება. საბოლოოდ, ინგლისელებმა გადაწყვიტეს ბათუმის ოლქი გადაეცათ „რუსული ნაციონალური საბჭოსათვის“ (აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.15: 221-224). მასში 9 წევრი

იყო გაერთიანებული. ესენი იყვნენ: მასლოვი, ანისიმოვი, ქორიბუტ-დაშკევიჩი, ხიტაროვ-ბესტავაშვილი, მგალობლიშვილი, პილოიანი, გენდლერი, სიმეონიდი, ომერ-აღა-მემედ-აღა-ზადე). ამ საბჭოს ხელმძღვანელობდა კადეტი პ. მასლოვი (ჯიჯიეშვილი 1957: 89).

ინგლისელთა სამხედრო ძალების მთავარსარდლის, გენერალ მილნის ბრძანებით, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი.

ბათუმის ოლქს რეალურად ინგლისელები განაგებდნენ და მოხსენიებული საბჭო ბუტაფორულ ორგანოს წარმოადგენდა, რომელსაც მკვლევარი მ. სიორიძე „ბათუმის ოლქის მმართველ საბჭოს“ უწოდებდა (სიორიძე 1996: 35-41). იგი მოქმედებდა 1918 წლის 27 დეკემბრიდან 1919 წლის 15 აპრილამდე და გამოსცემდნენ საკუთარ გაზეთს ,,ნაშ კრაი“-ს.

1918 წლის 30 დეკემბერს ინგლისელებმა ოფიციალურად გადასცეს ძალაუფლება აღნიშნულ საბჭოს, რომელსაც ევალებოდა ბათუმის ოლქში წესრიგის დამყარება და დაცვა. სამმართველო საბჭომ აჭარაში აღადგინა საპოლიციო უბნები, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ძველი ოფიცრები, უმეტესად, რუსები. მოხდა გაერთიანება ოლქის მილიციისა (ჯიჯიეშვილი 1957: 90). ამისათვის მათ განკარგულებაში იყო 500-კაციანი რუსული მილიცია (სდსინ 2008: 460). 1919 წლის დასაწყისისათვის მმართველ ორგანოებში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე 80-85% ეროვნებით რუსი მსახურობდა (აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.15: 238). პარალელურად, ბათუმის ოლქის ,,წესრიგზე“ პასუხისმგებელი იყო ინგლისის სამხედრო პოლიცია.

ინგლისელთა დავალებით, მასლოვმა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ ერთეულებში უფროსებად დანიშნა ძველი მონარქისტი ოფიცრები. მათ ნატანებთან გაავლეს საზღვარი, აღმართეს რუსეთის დროშა და დააყენეს ჯარები. აღნიშნულ ღონისძიებათა შესახებ მასლოვმა 1919 წლის 2 თებერვალს წერილობით მოახსენა გენერალ დენიკინს (სდსინ 2008: 461).

დენიკინისა და მასლოვის ილუზიები მალევე დაიმსხვრა. ისინი მიხვდნენ, რომ ინგლისელები ბათუმის ოლქს არავის დაუთმობდნენ და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ფანდი იყო, რასაც ადასტურებს რუსული ნაციონალური

საბჭოს 1919 წლის 28 მარტის დადგენილებაც: ,,სამწუხაროდ, ბათუმში რუსთა მოლოდინი და იმედები, დაკავშირებული ინგლისელების მოსვლასთან, არ გამართლდა; ისინი, როგორც სჩანს, აქ მოვიდნენ არა გაწამებული რუსეთის დასახმარებლად, არამედ საკუთარი ანგარებითი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის“ (იქვე: 461).

ბათუმის ოლქის მმართველად პრორუსული ორიენტაციის საბჭოს არჩევამ გაანაწყენა ადგილობრივი საზოგადოება. ისინი მოითხოვდნენ მონარქისტი ოფიცრებისა და ინგლისელების ადმინისტრაციული ერთეულებიდან გადაყენებას (აცსა, ფ. 61, ან. 1, ს.1: 34). გაზეთი ,,ერთობა“ იუწყებოდა, რომ ბათუმში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი და ,,გუბერნატორთან არსებულ საბჭოზე უკმაყოფილება თანდათან იზრდება, მისგან დანიშნული კაცებით ოლქში აჭარლები დიდად უკმაყოფილონი არიან და მოითხოვენ თავიანთი კაცების დანიშვნას“ (გაზ. „ერთობა“, 1919, №5).

ამ მძიმე პოლიტიკური ვითარების ჟამს ბათუმის ოლქში ეკონომიკური მდგომარეობაც უკიდურესობამდე დაიძაბა. 1919 წელს გაზეთი „ერთობა“ წერდა: ,,ბათუმში ყველაფერი გადასხვაფერებულია, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულია, გადამწვარი, აოხრებული, განაპირა ბათუმი ცრემლებს მოგგვრის, დაგამწუხარებს, სამხედრო ბანაკად ქცეული... ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ლოთობა, ქალებისა და ბავშვების დახრჩობაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა და ბოროტება იმალება ბათუმის საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში. ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი. მმართველობის აპარატი ინგლისელების ხელშია. მთელი ფინანსები ინგლისელების ხელშია. მაგალითად, 20 მანეთის ასიგნოვკაზედაც, რომელიც უნდა მიეღო ქალაქის სკოლის მასწავლებელს, ხელი უწერია ინგლისელ მაიორ გენდომს“ (გაზ. ,,ერთობა“, 1919, №96).

ბათუმის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებდა ფრანგული ოფიციოზი „ტანი“, რომელიც ხაზს უსვამდა ბათუმის სტრატეგიულ მდებარეობას მსოფლიო ბაზრებთან და ამ მდებარეობასთან შეუთავსებელ ცხოვრების გაძვირებას (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 62). ხოლო გაზეთი ,,საქართველო“ იუწყებოდა, რომ ,,შავი ზღვის სანაპიროზე თავისი მდებარეობით ბათუმი წარმოადგენს ჭიშკარს არა მარტო

ამიერკავკასიაში შესასვლელად, არამედ სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში. საქართველოსათვის ბათუმი კი ,,სახლის გასაღებია“... კურიოზულია ის გარემოება, რომ ბათუმში ცხოვრება უფრო ძვირია, ვიდრე თბილისში. თუმცა პირველი თავისი მდებარეობით მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობასთან უფრო ახლოს არის“ (გაზ. „საქართველო“, 1919, №7). იგივე გაზეთი ბათუმის მუშების შესახებ წერდა, რომ „მშიერ-მწყურვალნი არიან დარჩენილნი და დახმარებას ითხოვენო“. ინგლისელმა ოკუპანტებმა აუკრძალეს გლეხებს ბათუმის ბაზარზე სურსათის გატანა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია. გაზეთი ,,საქართველო“ გულისტკივილით აღნიშნავდა: ,,ამ ბოლო დროს ბათუმის ქუჩებში ხშირად შეხვდებით შიმშილისაგან გულშეწუხებულ ხალხს. ქალაქის საავადმყოფოში ამგვარ ავადმყოფთა რიცხვი მატულობს“ (გაზ. „საქართველო“, 1919, №19).

1920 წლის დასაწყისში რუსეთში სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა. იმავე წლის აპრილში კი საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ინგლისელებმა გააძლიერეს ბათუმიდან კონსტანტინეპოლსა და ყირიმში ფასეულობების, ნავთის, პროდუქტებისა და სურსათის გატანა. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ბათუმის სოციალური და ეკონომიკური სურათი. სპეკულაციამ და სიძვირემ ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესა.

ამ დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია არსებობდა. ისინი გამოხატავდნენ პოლიტიკური მოვლენებისადმი საზოგადოების განწყობას. მათგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია („სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ რომელიც ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აქ. მასში შედიოდნენ იმ პერიოდის საქართველოში საზოგადოების აღიარებული ლიდერები - მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე, ხასან თხილაიშვილი, ქემალ ნოღაიდელი და სხვები.

კომიტეტის შექმნა განაპირობა სამხრეთ საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ. ოსმალების, ინგლისელების, ფრანგებისა და დენიკინელების ანტიქართულ ქმედებებს ბოლო უნდა მოღებოდა.

აღნიშნული კომიტეტი ჩამოყალიბდა თბილისში, 1918 წლის 15 მაისს. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. აბაშიძე, მოადგილედ კი ჰ. აბაშიძე (სიხარულიძე 1973: 124).

კომიტეტმა თავისი პოლიტიკური მრწამსი ჩამოაყალიბა დოკუმენტში – ,,პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“, რომელიც 3 თავისა და 79 მუხლისაგან შედგებოდა. პროგრამას თავიდან ბოლომდე ლაიტმოტივად გასდევდა სამუსლიმანო საქართველოს დედასამშობლოსთან შეერთების იდეა (ოქროპირიძე 2001: 124).

მასალებიდან საკმაოდ აქტიური ჩანს ხასან თხილაიშვილი, რომელსაც ქობულეთიდან ოზურგეთში გადაჰქონდა ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიერ შედგენილი მოწოდებები და თავის თანამოაზრეებთან ერთად (ისმაილ, მურად და აზიზ კაიკაციშვილები და სხვები) ავრცელებდა მოსახლეობაში (ამ დროს, 1918 წლის მაის-დეკემბერში, ოზურგეთში არსებობდა განყოფილება) (ამხფ, ფ. 5, ს. 242: 4).

ხ. თხილაიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ე.წ. ,,მფრინავი რაზმი“, რომელშიც 75 კაცი იყო გაერთიანებული და იყოფოდა 4-5-კაციან, საერთო ჯამში, 15-მდე ჯგუფად (სდსინ 2008: 490). მათი მისია იყო დაეცვათ ქართული საზოგადოება პროვოკაციების, თურქოფილების, დენიკინელებისა და მათ მიერ დაქირავებული ბანდებისაგან.

კომიტეტმა ყველა ღონეს მიმართა ოსმალთა მიერ დანიშნული რეფერენდუმის ჩასაშლელად. 1918 წლის აგვისტოში ზია აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე ჩავიდნენ ბერლინში და გაასაჩივრეს ოსმალების მიერ ბათუმში მიზანმიმართულად გაყალბებული რეფერენდუმის შედეგები (იქვე: 491). 1918 წლის ბოლოსათვის კი განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა ახალციხის განყოფილება, სადაც მწვავედ იგრძნობოდა ოსმალთა ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

1919 წლის 11 იანვარს გამოვიდა გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველოს“ პირველი ნომერი, მაგრამ ინგლისელებმა იგი მალევე აკრძალეს (გაზ. „ერთობა“, 1919, №22). მოგვიანებით, გაზეთი აღდგა და კვლავინდებურად იდგა ქართული ინტერესების სადარაჯოზე. ის ყოველთვის გამოხატავდა ქართული ინტელიგენციის

ეროვნულ მისწრაფებებს. 1919 წლის 1 თებერვალს, ჰაიდარ აბაშიძის უშუალო თანადგომით, გამოვიდა გაზეთი ,,განახლებული მესხეთი“, რომელშიც გაშუქებული იყო ახალციხეში მომხდარი მოვლენები. პირველივე ნომერში დაიბეჭდა ვინმე კორესპოდენტ კარაღი ეფენდის სტატია ,,ვერაგული აქტი“, რომელშიც მხილებული იყო მასლოვის მთავრობის, დენიკინელებისა და ინგლისის ანტიქართული ქმედებები. ხაზგასმულია ამ მხარის დედასამშობლოსთან დაბრუნების ურყევი ნება – ,,ბათუმის მასლოვის მთავრობამ დახურა გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“. აჭარა-ქობულეთს მოუსპეს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება, უფლება თავისი ცხოვრების იმგვარად მოწყობისა, როგორც ამას მოითხოვს ამ დაბეჩავებული და დღემდი დამონებული ხალხის ინტერესები. ძველი რუსეთის რეაქციონერები (იგულისხმება დენიკინელები – გ.კ.), განდევნილი ბოლშევიკებისაგან თავის საკუთარ სამშობლოსაგან, სხვის ქვეყანაში, სხვის ოჯახში აფათურებენ ხელს, რომ ამით დააშორონ ერთმანეთს ორი ძმა, ერთი დედის შვილები - ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები...

ნუთუ გონია მასლოვის მთავრობას, რომ ამით ჩაახშობს ქართველ მუსლიმანებში ქართველურ გრძნობას, ნუთუ ფიქრობენ ეს გზააბნეული რეაქციონერები, რომ გაზეთის დახურვით მოსპობენ იდეას საქართველოს გაერთიანებისას“ (გაზ. ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №1).

კიდევ უფრო საინტერესოა კორესპოდენტ ოსმან ეფენდის გაზეთ ,,განახლებულ მესხეთის“ შემდეგ ნომერში დაბეჭდილი სტატია - ,,სამუსლიმანო საქართველოს ბედი“. აქ მოკლედ და ლაკონიურადაა ჩამოყალიბებული შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და საზოგადოებრივი განწყობაც. დიდებული მჭევრმეტყველი ოსმან ეფენდი წერდა, რომ ,,...ბათუმის ტრაღედიამ სამუსლიმანო საქართველოს საკითხი გადააქცია საერთაშორისო საკითხად და ჩვენი შინაური საქმე, ორი ძმის, განუყრელი ოჯახის საკითხი, საერთაშორისო იმპერიალისტების საძიძგნად გახადა... აქ ყოველ ნაძირალას სურს ფეხი მოიკიდოს და ამით საქართველოს რესპუბლიკას დაემუქროს... სდევნიან სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს, სდევნიან იმ მამულიშვილ ქართველ მუსლიმანებს, რომელნიც თავის ხალხს თავს ევლებიან და ემსახურებიან საქართველოს

მთლიანობის აღდგენას...“ (გაზ. ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №2). ფრიად მნიშვნელოვანია ამავე გაზეთის მე-9 ნომერი, რომელშიც მოცემულია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის, მემედ-ბეგ აბაშიძის, შეფასება აჭარაში შექმნილი ვითარების შესახებ. მისი თქმით, ,,ამ მხარის მუსლიმანები დღეს მხოლოდ საქართველოს ცნობენ. მომლოდინე არიან მათი მოსვლის და მეგობრობის...“ (გაზ. ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №9). აღნიშნული აზრი წარმოადგენდა ქართული საზოგადოებისა და სამუსლიმანო საქართველოს დიდი ნაწილის მოსაზრებას.

გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“ ასახავდა არა მხოლოდ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, არამედ მშრომელთა მძიმე სოციალურ პრობლემებსაც (სდსინ 2008: 495).

ბათუმის ოლქში მოქმედებდა ,,სედაი მილეთის“ პარტიაც. ისინი ბათუმის ოლქში არაეროვნული ძალების პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველოდან“ ირკვევა, რომ მათ ჰქონდათ თავიანთი რაიონული ორგანიზაციები (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №356), რომლებიც ახდენდნენ ტერორისტულ აქტებს. ისინი, ძირითადად, თურქოფილები იყვნენ და, როგორც მკვლევარი ე. მესხია აღნიშნავს, ,,აერთიანებდნენ ზედა და საშუალო ფენის წარმომადგენლებს. უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობის დიდი უმრავლესობა ,,სედაი მილეთს“ არ სცნობდა (მესხია 1999: 33).

მუსლიმი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, შეიქმნა არდაჰანის, ყარსის, ართვინის და ბათუმის პროთურქული ორგანიზაციები. მათ ხელმძღვანელობდნენ ოსმალეთში დამკვიდრებული პანთურქული მოძრაობის მესვეურები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა ოსმალური პარტია „ერთობა და პროგრესი“. სწორედ მათი ხელშეწყობით შეიქმნა საქართველოში კიდევ სამი ორგანიზაცია. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყარსის საბჭო. ეს საბჭო მითითებებს ღებულობდა ოსმალური პარტია „ითთიხადისა“ და აზერბაიჯანელი მუსავატელებისაგან. სერვეთ ბეგის ხელმძღვანელობით, ისინი მიზნად ისახავდნენ შეექმნათ ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამური რესპუბლიკა“. ქართული ჯარების დამაჯერებელმა გამარჯვებამ ყარსის საბჭოს დიდი დარტყმა მიაყენა და

1919 წლის აპრილის შემდეგ ის, ფაქტობრივად, დაიშალა. მისმა ნაწილმა გადმოინაცვლა ბათუმის ოლქში და ჩაება „სედაი მილეთის“ საქმიანობაში (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, № 223).

,,სედაი მილეთს“ ჰქონდა საკუთარი ორგანო – გაზეთი თურქულ ენაზე გამოდიოდა და მისი რედაქტორი იყო ა. ჯაფარიძე (მესხია 1999: 33). იგი გამოდიოდა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის ზაფხულამდე, კვირაში სამჯერ. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ ,,... ეს გაზეთი სანამ ბუტაფორული ყარსის მთავრობა არსებობდა, მისი ორგანო იყო, ის იცავს ოსმალეთის უფლებებს ყარსსა, არტაანსა და ბათუმის ოლქზე, მოითხოვს, რომ ეს ოლქები ოსმალეთს გადაეცეს“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №223). ხოლო გაზეთი ,,ერთობა“ ,,სედაი მილეთელთა“ გაზეთს უშუალოდ მასლოვის დაარსებულად და დენიკინელთა მეხოტბედ მოიხსენიებდა (გაზ. „ერთობა“, 1919, №177).

ბათუმის ოლქში მოქმედი „სედაი მილეთის“ ორგანიზაცია თავისი შემადგენლობით განსხვავდებოდა ყარსის დაჯგუფებისაგან. აქ უფრო მეტად თავი მოიყარეს ბაქოს მუსავატურმა და სომხეთის დაშნაკურმა ელემენტებმა. რა თქმა უნდა, საერთო ხელმძღვანელობას ეწეოდა ოსმალეთის აგენტურა. გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ განმარტებით, აჭარის „სედაი მილეთის“ რაზმს უმთავრესად შეადგენდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის აგენტები, დენიკინელები, ოსმალო ოფიცრები და, მათთან ერთად, შეცდომაში შესული ადგილობრივ მუსლიმთა ნაწილი, რომელთაც ემატებოდნენ საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმოხვეწილი საეჭვო წარსულის მქონე პირები, ყაჩაღური ბანდები ვინმე ბაიკოზ-ოღლის მეთაურობით (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №375). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი მუსლიმი „სედაიმილეთელები“ თავიანთ მოქმედებას ხსნიდნენ რელიგიური ფაქტორით. ისლამისა და ღვთის სიყვარულით ასეთი ადამიანები ძალაუნებურად „სედაი მილეთის“ გავლენის ქვეშ ექცეოდნენ (ზოსიძე 1995: 97).

თუ როდის შეიქმნა ეს პარტია – ამაზე ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ალ. ქათამაძის რესპოდენტთა აზრით, ეს პარტია ჩამოყალიბდა ინგლისელთა ბატონობის პერიოდში (ზოსიძე 2016: 142). თურქი ისტორიკოსი ს. ესინ

დაი თავის წიგნში ,,ნაციონალური ორგანიზაციები“ ,,სედაი მილეთის“ შექმნის დროდ მიიჩნევს 1918 წელს (ესიდ დაი 1991: 88). პროფესორი ე. მესხია რეალობასთან ახლოს მიიჩნევს ისტორიკოს ხ. ახვლედიანის მოსაზრებას, რომ ეს ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო თურქთა ექსპანსიის დროს, ქართული ეროვნული ორიენტაციის ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ თანადროულად (ახვლედიანი 1971: 40; მესხია 1997: 80). ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „სედაი მილეთის“ იდეური ჩამოყალიბება გაცილებით ადრე დაიწყო.

„სედაი მილეთელთა“ მოღვაწეობის მთავარი მიზანი იყო ბათუმის ოლქის დედასამშობლოსგან ჩამოშორება და ავტონომიის სტატუსით მისი ოსმალეთთან გაერთიანება. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1919 წლის თებერვალში ჩამოყალიბებული ,,ბათუმის ისლამური საზოგადოებაც“. ამ საზოგადოების ოფიციალურმა წარმომად-გენელმა 1920 წლის 10 იანვარს ქალაქ ტრაპიზონში თურქეთის ხელისუფლებას ჩაუტანეს კრების რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნული იყო: ,,საზოგადოება დაარსდა იმ მიზნით, რათა ბათუმსა და მისდამი დაქვემდებარებული რაიონების მუსლიმანური მოსახლეობა შევიდეს ოსმალეთის შემადგენლობაში, როგორც ავტონომია“ (ზოსიძე1995: 99).

,,სედაი მილეთის“ საქმიანობის შესახებ ჩვენამდე მოაღწია ქ. ნიჟარაძის და მ. ქათამაძის მოგონებებმა, რომელიც ჩაუწერია ა. ქათამაძეს, 1940 წლის 16 მაისს. მასში გადმოცემულია ქართველ მუსლიმანთა მცირე ნაწილის ანტიქართული ქმედებანი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ გამოხატავდნენ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის პოლიტიკურ მრწამსს.

აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთის აჭარაში შემოსვლის დროს (1918 წლის აპრილში) ქობულეთის სოფლებში ,,სედაი მილეთელებს“ თოფის სროლა აუტეხიათ ქართული ჯარისთვის. სოფელ წყავროკაში ქართული სკოლის კედელზე გაუკრავთ განცხადება, რომ მასწავლებლებს იმ დღესვე დაეტოვებინათ სოფელი, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. საზოგადოების პროგრესული ნაწილი გამოესარჩლა მასწავლებლებს. საგანგებოდ შეიკრიბა ათამდე კაცი (ქ. ნოღაიდელი, ს. რომანაძე, ი. წულუკიძე, ი. ქათამაძე, ხ. ნოღაიდელი და სხვ.)

და ეს მასწავლებლები სასწრაფოდ გადაუყვანიათ გურიის სოფელ ლიხაურში (ზოსიძე 2016:143).

სოფელ ოჩხამურთან ოსმალური ორიენტაციის ხალხს ,,ბოგა“ გაუმართავთ. ამ ქმედებას ხელმძღვანელობდა მ. ჯინჭარაძე. მას თან ახლდა წყავროკელი ე. ხახუტაიშვილი, მ. ხახუტაიშვილი, ქ. ვერულიძე (ხოჯა), ი. გოგიტიძე და სხვ. როდესაც დილით ქართული ჯავშნოსანი მატარებელი ბათუმის ოლში შემოდიოდა, იგი ჩავარდნილა ოჩხამურთან მოწყობილ ბოგაში, რომლისთვისაც ცეცხლი გაუხსნიათ „სედაი მილეთელთა“ რაზმებს. ქართულმა ჯარმა მოახერხა სოფელ მუხაესტატემდე მოსვლა. „სედაი მილეთელები“ კი ხალხში იძახდნენ: ,,ნუ გეშინიათ, თურქები მოვლენ მალეო“. მეორე დღეს ფიცხელი ომი გამართულა ქართველებსა და ოსმალებს შორის. ოსმალებს ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები გამოუყენებიათ (ტყვიამფრქვევები ოსმალებს დაუდგამთ ვინმე დურსუნ გერკელიანის ეზოში). მეორე დღეს ოსმალებს 60 000-იანი დამხმარე რაზმი მოსვლიათ (დასახელებული რაოდენობა გაზვიადებული ჩანს – გ.კ.). ქართველები იძულებული გამხდარან ჩოლოქამდე დაეხიათ. სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, ჩოლოქთან ერთ-ერთ „სედაი მილეთელს“ – ისკანდერ რომანაძეს დაუტრაბახია, ჩემი ბიძის მოკვლისათვის ორი კაცის მოჭრილ თავს ამოვიტან სახლშიო და ხუთ-ექვს კაცთან ერთად დანით ხელში წასულა ჩოლოქისაკენ. როცა ჩოლოქს მიუახლოვდნენ, იქ ჩასაფრებულმა ქართული ჯარის ნაწილებმა დაუძახეს: გელბურიაო! (თურქულად ნიშნავს – მოდი აქ). ისკანდერს ისინი თურქები ჰგონებია და მისულა მათთან. ქართველებს მოღალატე ისკანდერი სიცოცხლეს გამოუსალმებიათ (იქვე: 144).

ჩოლოქთან მდგარ ქართულ ჯართან ოსმალებმა რამდენიმე ბრძოლა აწარმოეს, მაგრამ უშედეგოდ. მარტო ერთ დღეს ქართველებმა მათ 2500 ჯარისკაცი დაუხოცეს. მიუხედავად ამისა, ოსმალებმა მაინც მოახერხეს ოზურგეთში შესვლა. სამწუხაროდ, „სედაი მილეთელთა“ ერთმა ნაწილმა ოზურგეთის სოფლების ძარცვა დაიწყო. ერთ დღესაც მათ ოზურგეთიდან ,,ტაჭკებით ბოჭკები და დიდი ბოთლები“ მოჰქონდათ. ერთი ბოთლი არაყით ყოფილა სავსე. უკან დაბრუნებულებს ეს ბოთლი გასტეხიათ. „სედაი მილეთელი“ ჯარისკაცები ,,დაემხვნენ მიწაზე და დაქცეული არაყი სულ შესვეს, ალოკეს მიწა“. ამის შემხედვარე ოსმალებს უთქვამთ, რომ ესენი გურჯები

ყოფილან. გარკვეულმა უთანხმოებამ იჩინა თავი მათ შორის. ოსმალები უკვე უნდობლობის თვალით უყურებდნენ „სედაი მილეთელებს“. ერთ დღესაც სოფელ ლეღვას მცხოვრებ მამულ სეფერთელაძეს ასკერის მოკვლა დააბრალეს. ბაწრით ჩამოიყვანეს და სოფელ წყავროკაში ტყეში ხეზე მიაკრეს. ერთი კვირა დაბმული ჰყოლიათ თურმე. სედაი მილეთელებიც არ აკლებდნენ ოსმალებს ხელს. მაგალითად, წყავროკელ არიფ მელამედოღლს ერთი ოსმალო ასკერი დაუჭერია თავის ბოსტანში, რომელიც ყურძენსა და სიმინდს შეექცეოდა და წარუდგენია იგი სოფლის ,,უფროსებისათვის“. ამ უკანასკნელებთ ასკერისთვის ასი ჯოხის დაკვრა მიუსჯიათ, რის შედეგადაც ასკერს იქვე დაულევია სული. ხუცუბნელ მურად სამკაცოღლის თვითონ მოუკლავს ოსმალო ასკერი ყურძნის შეჭმისათვის და შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ტყეს აფარებდა თავს. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ოსმალებსა და „სედაი მილეთელებს“ შორის ბზარი გაჩნდა.

სწორედ ამ დროს გააქტიურებულან ქართული საზოგადოების პროგრესული ძალები, რომლის ბირთვსაც წარმოადგენდა ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. მათ ოზურგეთის სოფლებიდან ქობულეთში შემოუტანიათ პროკლამაციები, სადაც სააშკარაოზე იყო გამოტანილი ოსმალთა ანტიქართული ქმედებები (იქვე: 7-9).

გარდა საერთაშორისო ვითარებისა, ,,სედაი მილეთელთა“ საქმიანობისა და საქართველოში უცხო სახელმწიფოთა ინტერესთა ჭიდილისა, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ძირითადი ნაწილის პოლიტიკური ორიენტაცია. სწორედ ისინი აღუდგნენ წინ ბათუმის ოლქის დედასამშობლოსგან გამთიშველ პოლიტიკას.

1919 წლის 31 აგვისტოს ქალაქ ბათუმში შეკრებილი ოლქის მაჰმადიან ქართველთა ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომლის რეზოლუციაშიც ვკითხულობთ: ,,ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ბათუმში, რიცხვით 100, 1919 წლის 31-სა (იგულსხმება 31 აგვისტო - გ.კ.), კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე!

ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსულმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ,

მუსულმანი ქართველები და ტერიტორიულად, ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე, დედასამშობლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა...

გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში. უმცირესობას მიენიჭოს ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

დადგენილება ეს ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლკიკის მთავრობას მიიღოს ყოველი ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად“ (სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42: 1-3). ეს გადაწყვეტილება ოცი კაცისაგან შემდგარმა დელეგაციამ მემედ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით დამფუძნებელ კრებას ჩაუტანა თბილისში.

ბათუმის ოლქში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას და საზოგადოებრივ განწყობას არაერთხელ გამოეხმაურა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო, რომლის მასალებიც დაცულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივსა და ქართველოლოგიის განყოფილებაში.

1919 წლის 21 მარტს გაიმართა დამფუძნებელი კრების მეოთხე სხდომა, რომელზეც ევგენი გეგეჭკორმა ვრცლად ისაუბრა პირველი მსოფლიო ომის შემდგ მთელ მსოფლიოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ კრიზისზე, იმაზე, თუ როგორ ახდენს იგი გავლენას საქართველოზეც. მან ხაზი გაუსვა საქართველოს განაპირა კუთხეებში შექმნილ მძიმე სიტუაციას, რომელიც, ძირითადად, უცხო ძალების მიერ იყო ინსპირირებული. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი კი, ბატონი გეგეჭკორის თქმით, მდგომარეობს შემდეგში: ,,... მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს აშკარად განაცხადოს, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებში ბნელი რეაქციული ელემენტები ცდილობენ რესპუბლიკის დამხობას და ამ მიზნით გარეშე ძალებს იშველიებენ. აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს. ჩვენი მიზანია, ამ კუთხეებში თავისებური განვითარების უზრუნველყოფა, ადგილობრივი ძალებით შინაური მართვა-გამგეობის მოწყობა და დედასამშობლოსთან შეგნებულად დაკავშირება...

მთავრობა ახლო მომავალში შემოიღებს საერობო თვითმმართველობას იმ მაზრებში, რომელნიც ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან ამ ინსტიტუტს და დაჩქარებით შეუდგება წვრილი საერობო ერთეულების მოწყობას, რომელნიც დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველს წარმოადგენენ და ხალხის ბატონობას განამტკიცებენ“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №4).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საერობო თვითმმართველობის დანერგვა ერთგვარ გამოსავლად მიიჩნია სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამაც. მათ დამფუძნებელი კრების მეხუთე სხდომაზე (1919 წლის 22 მარტი) განაცხადეს, რომ ,,...დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფას. თუ ჩვენ აფხაზეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში არ განვახორციელებთ გამოცხადებულ თვითმმართველობას, ფრიად გართულდება საქმე და ჩვენ ვერ შემოვიკრებთ ჩვენს გარშემო გაფანტულ ელემენტებს...“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №5).

ეროვნულ-დემოკრატების აზრით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარება არა მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის, არამედ მმართველი პარტიის, სოციალ-დემოკრატების ბრალი იყო. ეროვნულ-დემოკრატ სპირიდონ კედიას თქმით, ,,...მთავრობას საქართველოს განაპირა კუთხეებში შეცდომა შეცდომაზე მოსდით. სოხუმის ოლქი, ბათომისა და ზაქათალას ოლქები, იგივე ბორჩალო, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, ყველა ეს კუთხე ერთი ცოცხალი სურათია ჩვენი მთავრობის შემცდარი პოლიტიკისა“ (იქვე).

ს. კედიას აზრით, ამავე პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოს სრული იზოლაცია მეზობელ სახელმწიფოთაგან, ,,როგორიცაა, ადერბეიჯანი, მთიელთა რესპუბლიკა და სომხეთი... საქართველოს მთავრობა ამ სახელმწიფოებთან დაახლოებას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზომითა და საჭიროებით კი არ არკვევდა, არამედ პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით და ამიტომაც განმარტოებული რჩებოდა. მისი მოქმედების ხაზია მუდმივი მერყეობა მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის... მთავრობას დღესაც არა აქვს გამორკვეული სახელმწიფოებრივი მოქმედობის ორიენტაცია, ის, თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა –

მოსკოვისას თუ პარიზისას, რომელი გაიხადოს სახელმძღვანელოდ. დღეს ეს ორი ცენტრია მთელს ევროპასა და ამერიკაში...

ამნაირად, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა შინ გვასუსტებს, გვაკარგვინებს ტერიტორიას...“ (იქვე).

ამრიგად, ეროვნულ-დემოკრატები მთავრობის მთავარ შეცდომას მის საგარეო პოლიტიკის უუნარობაში ხედავენ. ის, რომ ქვეყანას გამოკვეთილი უნდა ჰქონოდა საგარეო პოლიტიკური ორიენტირები, მართალია. არადა, იმ ,,ორპოლუსიან სამყაროში“ რამდენადმე ბუნდოვანი იყო, თუ რომელ მხარეს იყო გადახრილი ჩვენი მისწრაფებანი. არათანმიმდევრული და ქაოსური იყო ჩვენი საგარეო პოლიტიკაც. სწორედ ამიტომაც, ნაწილობრივ, ჩვენც ვეთანხმებით ეროვნულ-დემოკრატების ამ მოსაზრებას.

საქართველოს მმართველ პარტიას, სოციალ-დემოკრატებს, არასწორ საგარეო პოლიტიკურ კურსში ბრალს სდებდნენ სოციალ-ფედერალისტებიც. დამფუძნებელი კრების მეთხუთმეტე საგანგებო სხდომაზე (1919 წლის 10 მაისი) სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მისი თქმით, არ შეიძლებოდა საქართველოს მთავრობის ინგლისელებისადმი ბრმად ნდობა, რომლის შედეგად მივიღეთ შემდეგი: ,,... პირველად ბათუმში აირჩიეს მთავრობა (იგულისხმება ინგლისი – გ.კ.), რომელსაც არავითარი კავშირი ადგილობრივ საქმეებთან და ხალხთან, ადგილობრივ ინტერესებთან არ ჰქონდათ...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1919: 7-8).

სიმონ მდივანი თავის ვრცელ სიტყვაში შეეხო ფრიად საინტერესო ფაქტს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე უცნობია. მისი თქმით, ინგლისელებმა ბათუმში, ბაქოსა და ბორჩალოს მაზრებში გამოაკრეს შემდეგი პროკლამაცია: ,,რადგანაც ინგლისის ჯარმა კავკასიის ოკუპაცია მოახდინა – მოკავშირეთა და ოსმალეთს შორის დადებული საზავო პირობების განხორციელების უზრუნველსაყოფად; და საზავო კონგრესის დადგენილებამდე ტერიტორიული საკითხების წესიერად და კანონიერად მოსაგვარებლად, ამისთვის: მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი ინგლისის ჯარების უფროსი, ვაცხადებ, რომ მცხოვრებთა მოვალეობაა სრულიად მშვიდობიანად მოიქცნენ და რამდენადაც შესაძლებელია

თავიანთ კერძო საქმეებს მოკიდონ ხელი. რამდენადაც ისინი წესიერად მოიქცევიან და ინგლისისა და მოკავშირეთა წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ საქმეში თავს შეიკავებენ და არ გაერევიან, იმდენად ინგლისელთა სარდლობაც მას არავითარ პასუხისგებაში არ მისცემს და იმდენად ისინი საფრთხეს არსაიდან არ უნდა ელოდნენ. მათი საკუთრება და თავისუფლება სრულიად ხელ-უხლებელი დარჩება. მაგრამ თუ თავის მოვალეობას გადაუხვია, მაშინ სამხედრო დროის აუცილებლობა გვაიძულებს მივმართოთ ძალიან მძიმე სასჯელს.

ამისთვის ვაცხადებ: ვინც მოკავშირეთა წინააღმდეგ რაიმეს მოიმოქმედებს, ან დააპირებს, ან მტერს რაიმე საშუალებით დაეხმარება (ან რკინიგზის გაფუჭებით, ან ხიდების აფეთქებით, სამხედრო საწყობების დანგრევით, ან სხვაგვარად) მიეცემა სამხედრო სასამართლოს, ან სიკვდილით, და ან შესაფერ სასჯელით, დაისჯება.

კავკასიაში მოქმედ ინგლისის ჯარების მთავარსარდალი გენ. გ. მილნი“ (იქვე).

აშკარაა, რომ ინგლისელები ორმაგ თამაშს თამაშობდნენ. ერთი მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დებდნენ ხელშეკრულებას, რომ შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდნენ და მეორე მხრივ, აღნიშნული პროკლამაციით ცდილობდნენ საშინაო საქმეებიც თვითონვე გაეკონტროლებინათ. ჩვენი აზრით, სათანადო მიზეზი რომ არა, აღნიშნულ პროკლამაციას ინგლისელები ასე ხელაღებით არ გაავრცელებდენ. ჩვენს ვარაუდს ადასტურებს ბათუმის გაზეთ ,,ნაშ კრაი“-ში გამოქვეყნებული სტატია, სადაც საუბარია შემდეგზე: ,,ჩვენ გადმოგვცემენ ავტორიტეტული წყაროებიდან, რომელნიც ახლოს დგანან მოკავშირეთა სამხედრო წრეებთან, რომ ლონდონში უკმაყოფილონი არიან საქართველოს მთავრობის მოქმედებით და მოსკოვთან კავშირს აპირებენ. ეს გამოიხატა სხვათა შორის იმითაც, რომ მილნიმ ამას წინათ არ მიიღო თბილისის მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი. ინგლისელები აპირებენ ამიერკავკასიაში მთელი ძალაუფლება თვით ჩაიგდონ ხელში“ (იქვე). აღნიშნული ამონარიდი რამდენადმე გაუგებარია, მაგრამ ლოგიკას რომ მივყვეთ, გამოდის, რომ ინგლისელები სწორედ იმიტომაც არიან განაწყენებულნი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებზე, რომ მათ ბრალს სდებენ მოსკოვთან ურთიერთობაში. რა აძლევს ამის თქმის საშუალებას ავტორს – უცნობია. თუმცა, ცხადია, რომ ინგლისელები

თავის ქმედებას ბათუმის ოლქში ამით ამართლებენ. არადა, ქართულ მთავრობას რუსეთთან დასაახლოებლად ნაბიჯები არ გადაუდგამს. გამოდის, რომ: ინგლისელებისათვის მიზანი ამართლებს საშუალებას და ისინი ყოველი გზით ცდილობდნენ საქართველოს მთავრობის დაკნინებას. სწორედ ამას აღნიშნავდა სპირიდონ კედიაც თავის სიტყვაში, რომ ,,საქართველოში შემოსულმა მოკავშირემ (იგულისხმება ინგლისი – გ.კ.) რომ ქართველი ხალხის ეროვნული უფლების შეგნება და სუვერენობა შელახა, ეს ცხადია: შელახა არა დეკლარატიულად, არა სიტყვიერად, პირიქით, სიტყვიერად და დეკლარატიულად. იგი აცხადებს პრინციპს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ხელუხლებელია. მაგრამ, ფაქტიურად... ის არ სცემს თავის სიტყვას პატივს და სტეხს მას ძალიან ხშირადაც“ (იქვე).

ამავე პრობლემას გამოეხმაურა სოციალ-რევოლუციონერი ივანე გობეჩიაც. მისი თქმით: ,,... ჩვენ თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, რომ ინგლისის სარდლობის გულს საქართველოს სოციალისტები ვერ მოიგებდნენ და მასთან კეთილგანწყობას ვერ დაამყარებდნენ...

არის თუ არა ეს მოწოდება (იგულისხმება პროკლამაცია – გ.კ) შინაურ საქმეებში ჩარევა? არის... ჩვენში ინგლისელ ჯარების შემოსვლისთანავე, ინგლისის სარდლობამ ოფიციალურად აცნობა ჩვენს მთავრობას, რომ ის საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდა, მაგრამ მან დღეს ეს თავის დაპირება დაარღვია და ამის შემდეგ მათ გულწრფელობაზე ლაპარაკი ზედმეტია და ჩემის აზრით, მომავალში საქართველოს რესპულიკის მდგომარეობა გაუარესდება...“ (იქვე). დამფუძნებელ კრებაზე ი. გობეჩიას მიერ წარმოთქმული სიტყვა იმითაცაა საინტერესო, რომ იგი შეეცადა გაერკვია, თუ რა იყო ინგლისელების ანტიქართული პოზიციის მიზეზი. მისი თქმით, ეს იყო შემდეგი: პირველი ის, რომ ქართულმა ჯარმა დაიკავა ფოცხოვის რაიონი. მეორე – წარმატებით განახორციელა ოპერაციები არტაანისა და გაგრის ოლქში და ბოლოს ის, რომ თბილისში მოკლულ იქნა ინგლისელი ექიმი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ფოცხოვის, არტაანისა და გაგრის ოლქში წარმოებული სამხედრო ოპერაციები ქართულ მხარეს წინასწარ ჰქონია შეთანხმებული ინგლისთან. ხოლო რაც შეეხება ინგლისელი ექიმის მკვლელობას, ქართულმა მხარემ დააპატიმრა და გაასამართლა მკვლელები და მათ

არ დაუდგინდათ რაიმე პოლიტიკური მოტივი; ეს იყო წმინდა მძარცველობის ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომაც, ჩვენი აზრით, ეს იყო ინგლისელთა ანტიქართული პოზიციის არა მიზეზი, არამედ საბაბი.

აბსოლუტურად სწორია ამავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატ რაჟდენ არსენისძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომ ,,აქ არ არის კითხვა თავად არც ფოცხოვისა და არტაანისა, არც მეხადირის მდინარისა, არც მოკლულ ექიმისა.

აქ არის კითხვა არსებითი, კითხვა საქართველოს თვითარსებობისა, აქ არის მთავარი ძირითადი საკითხი იმისა, უნდა იარსებოს დემოკრატიულმა საქართველომ, თუ ეს უნდა გახდეს უბრალო კოლონიად რომელიმე დიდი სამეფოსი?...

მთელი პოლიტიკა ინგლისელებისა არის პოლიტიკა არა ხელშეწყობისა და იურიდიულ ფორმალობისა, არამედ უბრალო პოლიტიკა, ფაქტიურ მდგომარეობის შექმნისა. დიახ, ეს არის მთავარი ღერძი იმ სახელმწიფოსი, რომელიც მოსულია დღეს ჩვენში...“ (იქვე).

დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე მიიღეს სპეციალური დადგენილება: ,,მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ – დამფუძნებელი კრება სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საქართველოს სუვერენული უფლების და მისი არსებითი, სასიცოცხლო ინტერესების დაცვისაკენ.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ეს ინტერესები ჩვენის რესპუბლიკისა არ ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ომის შემდეგ შემოსულ შეთანხმების სახელმწიფოებისა და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის არსებით ინტერესებს. იგი დაიმედებულია, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელია განხორციელება ჩვენი ახალ-აღორძინებული დემოკრატიის თანამშრომლობისა მსოფლიოს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან.

დამფუძნებელ კრებას სწამს, რომ ჩვენი მთავრობის ზრუნვა ამ მხრივ მიმართული, შეხვდება სრულ თანაგრძნობას აქ ჩამოსულ უცხო ძალის მხრივ, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესუბლიკას, რომლის განუყოფელი ნაწილი უნდა შეიქმნას სამუსლიმანო

საქართველო, სურს და შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და რომ მხოლოდ ამ პრინციპის ცნობით შეიძლება საქართველოს დემოკრატიის მეგობრული განწყობილების მოპოვება; დამფუძნებელი კრება მთელი ერის სახელით აღიარებს, რომ ქართველი ხალხი მთელი თავის ძალ-ღონით დაუჭერს მხარს მთავრობას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვაში, რომლის უფლებები საქართველოს დემოკრატიის ბრძოლით და სისლხით არის მოპოვებული“ (იქვე).

დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან არაერთხელ ისმოდა ბათუმის ოლქის მნიშვნელობისა და მისი საქართველოსათვის დაბრუნების სურვილის შესახებ. იგი კიდევ ერთხელ აღინიშნა დამფუძნებელი კრების 27-ე სხდომაზე (1919 წლის 17 ივნისი), სადაც მგზნებარე სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი: ,,მე არ დამჭირდება იმის დასაბუთება, რომ საქართველოს არ შეუძლიან დასთმოს ბათომის ოლქი და ქალაქი ბათომი, ვინაიდან ეს არის ნაწილი საქართველოს მთლიან ტერიტორიისა, ეს არის ცენტრი სამაჰმადიანო საქართველოსი, ეს არის ძველი აკვანი, სადაც მძლავრი იყო საქართველოს კულტურა. ვინაიდან ჩვენს სხეულს ჩამოშორებული აქვს ეს ნაწილი, ჩვენი სხეული დაავადებული, დასუსტებული არის, და სანამ ის არ შემოუერთდება საქართველოს, ჩვენ ჯანმრთელობაზე ლაპარაკს ვერ დავიწყებთ...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეორე)1919: 11-12). იგივე პათოსი იგრძნობა საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის სიტყვაშიც: ,,...ბათომის მხარე – ეს განუყოფელი ნაწილია საქართველოისა. საქართველოს მთავრობას ვერ წარმოუდგენია საქართველო უბათომოდ და ბათომი უსაქართველოდ...“ (იქვე).

ბათუმის ოლქში სხვადასხვა ქვეყნის აგენტები ცდილობდნენ სიტუაციის არევას, რომელსაც არაერთხელ გამოეხმაურა ქართული საკანონმდებლო ორგანო. 1919 წლის 17 ივნისს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სოციალ-ფედერალისტებმა წარმოადგინეს ფრაქციის ფორმულა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

,,1. ვინაიდან ბათომის ოლქისა და ქალაქ ბათომის დღევანდელი გამოურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობა, გარდა იმისა, რომ აშორებს სამუსლიმანო საქართველოს საერთო სამშობლოს, ამავე დროს ხელს უწყობს შავ რეაქციის მსახურთ ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოქმედების ბაზად გადააქციონ ეს

მხარე და ვინაიდან ბათომს უაღრესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის არსებობისათვის, ამიტომ მთავრობამ ყოველი ღონე იღონოს ბათომის ქალაქსა და ოლქის საქართველოსთან შეერთების დასაჩქარებლად.

2. სასტიკი ზომები მიიღოს აგრეთვე საერთოდ ჩვენი საზღვრების დასაცავად, რათა შავი რეაქციის მსახურთა და აგენტებს საშუალება მოესპოთ ადვილად რესპუბლიკაში შემოსვლისა...“ (იქვე).

1919 წლის 25 ნოემბერს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მოხდა განსჯა ბათუმის ოლქში მიმდინარე მოვლენებისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური დეკრეტით სამუსლიმანო საქართველოში ჩამოაყალიბა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც საკმაოდ სოლიდური თანხა გადაეცა და დაევალა საზოგადოების კულტურული ცხოვრების დონის ასამაღლებლად ღონისძიებათა გატარება. ამის საპირისპიროდ გარკვეული ქმედებები განახორციელეს ინგლისელებმა. სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების წევრმა ნ. იმნაიშვილმა საქმის კურსში ჩააყენა დამფუძნებელი კრება და მათ მოახსენა, რომ ,,ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამუსლიმანო საქართველოში ჩვენი მტრები კულტურულ მუშაობას. ისინი აღადგენენ იქ ძველ სკოლებს, ხსნიან ახალს და ყოველივე ამას შვებიან იმ მიზნით, რომ ეს დაუპირისპირონ იქ საქველმოქმედო საზოგადოების კულტურულ მოღვაწეობას. ამით ისინი ხელს უშლიან იმ იდეის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო საქართველოს დედა-საქართველოსთან გაერთიანებაში...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეოთხე)1919: 15). აღნიშნული დივერსიული აქტი დროულად აღიკვეთა დამფუძნებელი კრების მიერ. ამრიგად, 1918-1919 წლებში ბათუმის ოლქში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ მთლიანობაში ასახვა ჰპოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მასალებში. სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ არ დარჩენილა საკითხი, რომელიც დამფუძნებელი კრების სპეციალური განსჯის საგანი არ გამხდარიყო. ნაწილი საკითხებისა გაკრიტიკებულ იქნა ოპოზიციური პარტიების ფრაქციების მიერ, რასაც, ნაწილობრივ, ჩვენც ვეთანხმებით.

4.2. გარეშე ძალთა ინტერესთა ჭიდილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ქვეყნის პარლამენტის დამოკიდებულება

მას შემდეგ, რაც დასრულდა პირველი მსოფლიო ომი და რუსეთში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, ერთგვარმა ქაოსმა დაისადგურა მთელ მსოფლიოში. პარიზის საზავო კონფერენციას, მართალია, უნდა მოეწესრიგებინა მსოფლიოში შექმნილი მძიმე სიტუაცია, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. უმეტეს შემთხვევაში, ილახებოდა მცირე სახელმწიფოთა ინტერესები. საქართველომაც იგივე ბედი გაიზიარა. გაზეთი „ერთობა“ 1918 წელს წერდა ,,...წვრილი ერების ბედი დიდი სახელმწიფოების ხელშია, ამიტომ სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია... ქართველი ერის პოლიტიკა პირველყოვლისა, მის საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ეს ძალები არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, საჭიროა კიდევ გარეშე ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებს საქართველოს დამოუკიდებლობას“ (გაზ. ,,ერთობა“, 1918, №7).

საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის 1918 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, რომლის თანახმადაც, გერმანიასა და მის მოკავშირეებს გადაეცა პოლონეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, ბელორუსია და უკრაინა. ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები – არდაგანი (არტაანი), ყარსისა და ბათუმის ოკრუგები უნდა გადასცემოდა ოსმალეთს. ამას მოჰყვა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები, რომლებიც გახლდათ ერთგვარი მცდელობა ისტორიულად ძირძველი მიწების ბუნებრივ სამშობლოში დაბრუნებისა, მაგრამ ამის მიღწევა ქართულმა ინტელიგენციამ მაშინ ვერ შეძლო.

1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (ბათუმის ხელშეკრულება), რომლის მეორე მუხლის თანახმად, აღდგა 1877-1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი და ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი. დაიკარგა მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ეს ხელშეკრულება

გაუქმდა 1918 წლის 30 ოქტომბერს, როდესაც ოსმალეთმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისთან ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომლითაც იგი თავს დამარცხებულად აცხადებდა.

ამიერიდან ოსმალეთს დიდი ბრიტანეთი ჩაენაცვლა, რომელიც 1918 წლის დეკემბერში შემოვიდა აქ. ინგლისელებმა დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი. ისინი დენიკინელებთან უფრო თანამშრომლობდნენ, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან. ამასთან, არ აძლევდნენ საშუალებას ფრანგებს და ოსმალებს - კონკურენცია გაეწიათ საქართველოში პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში (გოგოლიშვილი 2010).

უნდა ითქვას, რომ ინგლისელებს საქართველოსა და კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში მეტოქეობას უწევდა საფრანგეთი. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 დეკემბრის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებით განისაზღვრა სამხრეთ რუსეთში ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროები. დონი, ყუბანი და კავკასია ინგლისს ერგო, ხოლო ყირიმი, უკრაინა და ბესარაბია – საფრანგეთს (ჩოხელი 1980: 95). თუმცა, აღნიშნული შეთანხმება ხელს არ უშლიდა საფრანგეთს, შესულიყო საქართველოში, იმ ფონზე, როდესაც ფრანგული კაპიტალი აქტიურ როლს თამაშობდა ქართულ რეალობაში. ფრანგი დიპლომატები ცდილობდნენ ინგლისელების წინააღმდეგ გამოეყენებინათ დენიკინის ძალები და კავკასიის რეგიონიდან გამოედევნათ ისინი.

არც ინგლისელები ისხდნე გულხელდაკრეფილნი და 1918 წლის ბოლოს დიდი ბრიტანეთის ჯარის ნაწილები, გენერალ ტომსონის მეთაურობით, ბაქოში შევიდნენ. მათი მიზანი იყო ბაქოს ნავთობისა და ამიერკავკასიის წიაღისეული სიმდიდრეების ხელში ჩაგდება.

ამ დროს გააქტიურდნენ ნავთობის მონოპოლისტები, რომლებიც ინგლისელებისაგან მოითხოვდნენ ამიერკავკასიის სრულ ოკუპაციას. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის აზრითაც, ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი ისევ ინგლისთან კარგი ურთიერთობის დამყარება იყო (ღამბაშიძე 1964: 25). სამწუხაროდ, ქართველ დიპლომატთა იმედები არ გამართლდა. ინგლისელებისათვის მთავარი მხოლოდ მათი პრაგმატული გეგმების სისრულეში მოყვანა იყო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი 1919 წლის 4 სექტემბერს ინგლისის უმაღლეს კომისართან - ო. უორდროპთან საუბარში ამბობდა: ,,საქართველოს მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს რომელიმე მტკიცე სახელმწიფოს ორგანიზმს და ამ შეგნებამ გვიკარნახა გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი დახმარება შეერთებული სამეფოს მხრივ ჩვენ უნდა ავანაზღაუროთ ამა თუ იმ მიმართულებით... საქართველო თხოვს დახმარებას ინგლისს და სურს იცოდეს, რას მოისურვებს ინგლისი ამის სანაცვლოდ“ (სურგულაძე 1972: 599-600). აშკარა იყო, რომ ქართველი მენშევიკები ვერ გაერკვნენ ინგლისელთა პოლიტიკაში და ერთგვარი უნდობლობით უყურებდნენ მათ.

1918 წლის 14 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი დეპეშით აცნობებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ბათუმში, დ. თოფურიძეს, რომ ჟორდანიას აზრით, შესაძლოა, ინგლისელებმა საქართველოში დენიკინის მოხალისეთა ჯარის შემოყვანა გადაწყვიტონ, რაც ჩვენთვის მიუღებელიაო... თუ ისინი ამას მართლაც გააკეთებენ, ჩვენი საქმე წაგებული იქნება. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს არ მოხდესო (ამხფ, ფ. 2 ს. 87).

ინგლისელები პირველად 1918 წლის 29 ნოემბერს გამოჩნდნენ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროებზე. ამ დღეს კრეისერი ,,ლივერპული“ და ორი ნაღმოსანი სოხუმში შევიდნენ, მეორე დღეს – ფოთში, ხოლო 1 დეკემბერს – ბათუმში. შემოსვლას სადაზვერვო ხასიათი ჰქონდა. მათ უნდა შეემოწმებინათ ნავსადგურებში არსებული მდგომარეობა და შეესწავლათ პირობები მათი სამხედრო ნაწილების განლაგებისათვის (ცუხიშვილი 1995: 18). 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20-ათასკაციანი ჯარით. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი და გენერალ-საგუბერნატოროს ჩაუყენეს გენერალი კუკ-კოლისი (იქვე: 21). ბათუმის მმართველობა ჩააბარეს კადეტ მასლოვს, რომელიც ერთდროულად ასრულებდა ინგლისელთა განკარგულებასა და დენიკინის მითითებებს.

ინგლისის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის შემდეგ ფრანგები დარწმუნდნენ, რომ ინგლისი არავის დაუთმობდა ამიერკავკასიას, მაგრამ მაინც გაიბრძოლეს.

საფრანგეთს უნდა შეემუშავებინა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების კონკრეტული გეგმა, რომელიც, ამავე დროს, უზრუნველყოფდა აქ მისი ინტერესების დაცვას. ასეთი გეგმა შეიმუშავა საქართველოში საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურმა შარდინმა, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასია გადაიქცეოდა შვეიცარიის მსგავს პატარა შტატების კავშირად, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა თბილისი (ჩოხელი 1980: 121). ფრანგებს გაურთულდათ ვითარება რუსეთთანაც. წითელი არმიის ჯარებმა ფრანგები გამოდევნეს ოდესიდან და სევასტოპოლიდან. ამან კი, 1919 წლის აპრილში, უკიდურესობამდე გაართულა ვითარება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რადგან ინგლისის ხელში აღმოჩნდა ყირიმი და უკრაინა. საფრანგეთის ავტორიტეტი დაეცა.

1919 წელს არ გამართლდა ინგლისურ ორიენტაციაზე დამყარებული საქართველოს მთავრობის იმედები. ის ხომ ინგლისისაგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას მოელოდა, რაც არ განხორციელდა.

ქართული პრესის მწვავე რეაქცია გამოიწვია ბათუმში მომხდარმა ინციდენტმა. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბათუმში - პოლკოვნიკმა გედევანოვმა ორჯერ სთხოვა მიღება ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, ინგლისელ გენერალ კუკ-კოლისს, ამ უკანასკნელმა კი მოუცლელობის საბაბით არ მიიღო ის. ქართველებმა ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღეს. ამის გამო ე. გეგეჭკორმა გენერალ ფორესტიე-უოკერს პროტესტის წერილი გაუგზავნა, რაც გასარკვევად გენერალ კუკ-კოლისს გადაეგზავნა. ამ უკანასკნელმა კი მოითხოვა, საქართველოს მთავრობას პრესის საშუალებით ბოდიში მოეხადა ინგლისის სარდლობის წინაშე, რაც ქართველებმა არ დააკმაყოფილეს. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი პოლკოვნიკი შარდინი ასკვნის, რომ ,,ინგლისის პრესტიჟი შეირყა საქართველოში“ (ტაბაღუა 1989).

პროფესორ ო. გოგოლიშვილის თქმით, ,,1919 წლისათვის ბათუმში არ იყო ისეთი ძლიერი ძალა, რომელიც შეძლებდა ოკუპანტების წინააღმდეგ დროშის აფრიალებას. მხარეში შექნილი მძიმე პირობების გამო, პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობა ოლქს გარეთ იმყოფებოდა. ხოლო ისინი, ვინც ქალაქში იყო დარჩენილი, სასტიკ რეპრესიებს განიცდიდა...“ (გოგოლიშვილი 2005: 135-136).

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითა და ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმით შეწუხებული ბათუმის მოსახლეობა საბრძოლველად განეწყო მათ წინააღმდეგ. ამას ისიც დაემატა, რომ 1919 წლის 5 სექტემბერს ინგლისელებმა ბათუმში გამოაცხადეს საალყო მდგომარეობა (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 72). ამის საპასუხოდ, ინგლისელთა წინააღმდეგ, 1919 წლის ზაფხულში, ბათუმში გახშირდა ტერორისტული აქტები (გოგოლიშვილი 2005: 140). ბათუმში არალეგალურ კომიტეტთან არსებულმა მებრძოლმა რაზმმა ,,სოხუმში გაგზავნეს – გუბელი, ბელენკი და ჩაკალოზიანი ,,ჯოჯოხეთური“ მანქანისა და ფეთქებადი ნივთიერების შესაძენად. ეს მანქანა ბათუმში ანასტასიადის ბინაზე ინახებოდა (მასალებიდან არ ჩანს, უშუალოდ რა მისამართზე მდებარეობდა ეს ბინა – გ.კ.). ამფეთქებელთა ჯგუფმა კ. ბერძენიშვილის, ვ. ჩანგიშვილის, პ. ნოდიას, ა. დუმბაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით, ააფეთქეს (ინგლისელთა – გ.კ.) გემი, რომელსაც თეთრგვარდიელებისათვის საომარი და საწვავი მასალა უნდა მიეწოდებინა“ (იქვე: 72). 1919 წლის ეს აჯანყება შეთქმულთათვის ბოლომდე სასურველი შედეგით არ დასრულდა იმის გამო, რომ მათი ორგანიზატორები წინა დღით იქნენ დაპატიმრებულნი. მიუხედავად ამისა, ჯგუფი მომდევნო, 1920 წელსაც აგრძელებდა მოღვაწეობას.

1919 წლის გაზაფხულზე ინგლისის მთავრობაში დაისვა ამიერკავკასიიდან ჯარების გამოყვანის საკითხი, რაც რუსეთის გააქტიურებით იყო ნაკარნახევი. ინგლისელები მიხვდნენ, რომ ბოლშევიკური რუსეთი ამიერკავკასიას არავის დაუთმობდა და მასთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდნენ. ინგლისელები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ თუკი ისინი თავიანთ ჯარებს გაიყვანდნენ ამიერკავკასიიდან, მათ ნაცვლად აქ აშშ-ის საოკუპაციო ჯარები შემოვიდოდნენ. აშკარა იყო, რომ ამიერკავკასიაში თავისი პროტექტორატის დამყარება სურდა ამერიკასაც. ამიტომაც, ინგლისელები ცდილობდნენ, რომ ამიერკავკასიაში მათ ნაცვლად შედარებით სუსტი სახელმწიფოს ჯარები შემოსულიყვნენ და თუკი სამომავლოდ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, ისევ თვითონ დაპატრონებოდნენ მას.

1919 წლის 8 აპრილს ინგლისსა და იტალიას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ამიერკავკასიაში ინგლისელებს შეცვლიდნენ იტალიელები (ჯოჯუა 1997: 68-69). შეთანხმებიდან ორი კვირის შემდეგ იტალიიდან ჩამოვიდა

დელეგაცია პოლკოვნიკ გაბას მეთაურობით. ამ დელეგაციის წევრები, ორლანდო და სონინო, აქტიურად შეუდგნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაკავებისათვის მზადებას. გაბა იტალიაში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ: ,,საქართველოში დიდი მასშტაბით ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში იყოს ბათუმის ნავსადგური, სადაც შეიძლება საზღვაო ბაზა აშენდეს. აქედან შეიძლება რკინიგზასაც გაეწიოს კონტროლი“ (ტაბაღუა 1982, №3: 89).

იტალიელებმა ვერ შეძლეს ამიერკავკასიის ოკუპაცია. ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული: პირველი, რუსეთის ფაქტორით, რადგან აშკარად ჩანდა მისი დაინტერესება ამიერკავკასიით, მეორე – იმით, რომ 1919 წლის ზაფხულში იტალიაში დაიწყო პოლიტიკური გამოსვლები. შეიცვალა ორლანდოს კაბინეტი და ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ფრანჩესკო ნიტი. ნიტის აზრით, ამიერკავკასიაში ჯარების შეყვანას შესაძლოა მოჰყოლოდა რუსეთთან ან თურქეთთან შეჯახება, რაც დამღუპველი იქნებოდა იტალიის ეკონომიკისათვის. ამიტომაც, 1919 წლის ზაფხულში, მან ოფიციალურად უარი განაცხადა ამ ტერიტორიაზე ჯარების შეყვანაზე (ნიტი 1923: 182-183). ინგლისელებმა ეს ქმედება შეაფასეს, როგორც იტალიის მცდელობა ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის (ჯორჯი 1957: 409).

1919 წლის 8 აპრილის ინგლის-იტალიის ხელშეკრულებამ ძალიან გააღიზიანა ამერიკა. ამით უკმაყოფილო იყო სამხედრო და მთავრობის წევრები. იმ პერიოდისათვის სომხეთში მყოფი ამერიკელი გენერალი ჯორჯ მოსლი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიაში ამერიკელთა ბაზა უნდა გამხდარიყო ქალაქი ბათუმი (კუნინა 1954: 111). 1919 წლის აპრილში ამერიკელები გეგმავდნენ დაეკავებინათ თურქეთის ნავსადგური ალექსანდრეტა და აქედან სომხეთში შეეყვანათ 70 000 მეომარი. აქვე განიხილებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციაც (იქვე: 111-112). ამერიკელებმა რამდენიმე მისია მოავლინეს (სომხეთში) (მათ შორის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯედსონი, კაპიტანი ბ. მური, გენერალი ჯ. ჰარბორდი და სხვ.) (https://www.facebook.com/notes).

ამერიკელებმა მოახერხეს და გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს პარიზის კონფერენციის მონაწილეებზე. 1919 წლის 14 მაისს ამერიკას მიაკუთვნეს მანდატი სომხეთსა და შავი ზღვის სრუტეებზე (ღამბაშიძე 1964: 148). იმავე წლის 5 ივლისს კი

პოლკოვნიკი ჰასკელი დაინიშნა სომხეთში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად (იქვე: 158). ინგლისელები შიშობდნენ, რომ პოლკოვნიკი ჰასკელი შეეცდებოდა მთელი ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარი გამხდარიყო და ამიტომაც ამ თანამდებობაზე (სომხეთის გამოკლებით) დაინიშნა ინგლისელი ქართველოლოგი ოლივერ უორდროპი.

ამერიკელები მარტო სომხეთით შემოფარგვლას მართლაც არ აპირებდნენ. 1919 წლის 11 აგვისტოს პარიზის კონფერენციის სხდომაზე მათ ნიადაგი მოსინჯეს და მოინდომეს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია (შტეინ 1949: 322). იმავე წლის 14-15 ნოემბრის სხდომებზე ამერიკელებმა აშკარად მოითხოვეს პოლკოვნიკ ჰასკელისათვის გადაეცათ მთელი ამიერკავკასია, მაგრამ ამჯერად პარიზის კრების მონაწილეებმა უარი გაუბედეს ამერიკას (სიორიძე 2011: 122).

ამრიგად, ამიერკავკასიაში პირველობას ინგლისს აშკარად ეცილებოდა აშშ (მაღლაკელიძე 1953: 24), მაგრამ ამერიკელი დიპლომატებიც თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიას რუსეთი არავის დაუთმობდა და მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ამას ადასტურებს 1920 წლის 10 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის მიერ იტალიის მთავრობისადმი გაგზავნილი ნოტა, სადაც წერია, რომ: ,,ამერიკა მხარს უჭერს ბოლშევიკური რუსეთის სახელმწიფოს იმპერიისდროინდელ საზღვრებში აღდგენას“, ოღონდ გარკვეული კორექტივებით. ეს ცვლილებები უნდა შეხებოდა ,,ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიასა და ასევე იმ ტერიტორიებს, რომლებიც შემდგომი ხელშეკრულებებით უნდა შეურთდეს სომხეთის სახელმწიფოს. ამ ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია. ყველა ისინი ძალით იყო ანექსირებული რუსეთის მიერ“ (კირთაძე 1997: 100).

მკვლევარი ღამბაშიძე აბსოლუტურად სწორად მიიჩნევს, რომ აშშ-ს სომხეთის მიმართ აშკარა სიმპათიები ამოძრავებდა. ეს გამოწვეული იყო სომეხი მონოპოლისტების ძალისხმევით. ამერიკის ,,პრეზიდენტი, მთავრობა და მთელი აღმოსავლური აპარატი სომხეთზე ამერიკის მანდატის მომხრედ გამოდიოდა. ყველაფერს აკეთებდა... (მათი) ინტერესების დასაკმაყოფილებლად“ (ღამბაშიძე 1970:

115). მართლაც, ,,ამერიკელი კონგრესმენი, ვოლტერ მარიონ ჩენდლერიც, რომელიც შეერთებულ შტატებში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის ოფიციალურ ლობისტად მუშაობდა, ამერიკიდან იტყობინებოდა, რომ მას წარმატების მიღწევის ძალზე მცირე შანსი ჰქონდა, რადგანაც ის ამერიკაში ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა სომხეთის ლობისტების წინააღმდეგობას“ (http://www.spekali.tsu.ge/).

ჩვენი აზრით, სომეხი მონოლისტების ძალისხმევა ამერიკაზე უფრო საბაბი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი აღნიშნული აშშ-ის ინტერესებშიც შედიოდა. სომხეთი მას გამოადგებოდა იმ პოლიტიკურ პლაცდარმად, საიდანაც იგი შეძლებდა თავისი პოლიტიკის გატარებას ამირკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველოში აშშ-ის პირველი კონსული ფელიქს უილოუბი სმითი კი საერთოდ არ ცნობდა ქვეყნის დამოუკიდებლობას (http://iberiana.wordpress.com/about/georgia-usa/). რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ვარაუდს.

აშშ-ის მხარდაჭერით გათამამაბულმა სომხეთმა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე თავისი ტერიტორიების გაფართოება დაისახა მიზნად და ვერსალის საზავო კონფერენციაზე წარადგინა თავისი ზრახვები.

სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების გამოსარკვევად, პარიზიდან ლონდონში ჩავიდა სომხეთის დელეგაცია, სადაც ეს საკითხები განიხილებოდა 1920 წლის თებერვალ-მარტში. ამ საკითხს განიხილავდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისია.

ამ კომისიაზე სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა შავ ზღვაზე გასასვლელი გზის უზრუნველყოფა. სომხური პროექტის თანახმად, მათ უნდა გადასცემოდა მთელი ლაზისტანის სანჯაყი, რომელზეც ქართულმა დელეგაციამ თავისი უფლებები განაცხადა ვერსალის კონფერენციაზე (ავალიშვილი 2011: 297).

მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიაზე ქართულმა დელეგაციამ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა ლაზისტანის ტერიტორიის ისტორიულად საქართველოსადმი კუთვნილება, კომისიის თავმჯდომარემ ბ. კამმერერმა აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ზღვაზე გასასვლელი. ,,როცა ვქმნით დამოუკიდებელ სომხეთს, ჩვენ იგი აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ გასავალი

გზით; მეორეს მხრით, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმასაც, რომ ბათომს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების სპარსეთთან სატრანზიტო ვაჭრობისათვის. ბათომი არის აგრეთვე ბაქოს ნავთის ნაწარმის გასაზიდი ნავთსადგური და სხვ. ამიტომ ბათომის კითხვა უნდა გადასწყდეს ყველა ჩამოთვლილ მრავალფერ ინტერესებთან შესაფერისადო“ (იქვე: 299). აშკარა იყო, რომ ამ კომისიას უფრო მეტად აინტერესებდა თავისი პრაგმატული ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება, ვინემ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

ამრიგად, აშშ-ის მანდატის სომხეთზე გავრცელება მიზნად ისახავდა ,,დიდი სომხეთის“ იდეის სისრულეში მოყვანას, რომელიც მათ პლაცდარმად იქცეოდა ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

ამის საპასუხოდ, 1920 წლის 15 აგვისტოს, ქართულმა დელეგაციამ ვერსალის კონფერენციის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს წარუდგინა დოკუმენტი, სადაც საუბარი იყო ,,დიდი სომხეთის“ აღდგენის მიზანშეუწონლობაზე. იმაზე, რომ მსოფლიოს ცივილიზებულმა ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დაპყრობა და აშშ-ის მიერ მათი ხელოვნურად შეყვანა ,,დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს შემადგენლობაში (გაზ. ,,ერთობა“ 1920 №82).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა აღნიშნული ამგვარად შეაფასა: ,,შეერთებული შტატები, რომელიც ამას წინათ ერთა თვითგამორკვევის მხურვალე დამცველად გამოდიოდა, ეხლა ერთი კალმის მოსმით ქართველი ხალხის უდაო ისტორიულ და ეროვნულ უფლებებს, თვითგამორკვევას უარყოფს“ (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №75). ანალოგიური პათოსი იკითხება ე. გეგეჭკორის მიერ რომის გაზეთ ,,ტრიბუნას“ თანამშრომლებთან გაკეთებულ განცხადებაშიც (საერთაშორისო სამართლისა და ... 1949: 80-83).

საქართველოსთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია სათანადოდ აქვს შეფასებული მთავრობის თავმჯდომარეს – ნოე ჟორდანიას. მისით თქმით, ,,საქართველოს მომავალი დასავლეთს მტკიცედ მიეჯაჭვა, მაგრამ ქართველი ხალხი ევროპის წინაშე მოწყალებისათვის კი არ წარმსდგარა, არამედ უფლებებისათვის, რომ

შესაფერისი ადგილი მიეჩინათ ,,აზიის გზის ყურეში“ (დამფუძნებელი კრება... (წიგნი პირველი) 1919: 2-3).

აშშ-მ სამომავლოდ დათმო თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში ბოლშევიკური რუსეთის სასარგებლოდ. ალბათ, ზოგადად დასავლეთისათვის მომგებიანი იქნებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან გამოენახა საერთო ენა. ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე მიდგომოდა ამ სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენის საკითხსაც და ეფიქრა მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებაზე; ექცია იგი იმ ბუფერულ ზონად, რომელიც გადაულახავი იქნებოდა მოსკოვისათვის. მაგრამ მან, პირიქით, დაასუსტა ისინი, შეიტანა გარკვეული დოზით დესტაბილიზაცია და ბოლოს რუსეთის უზარმაზარი გასაღების ბაზრისა და ულევი ნედლეულისათვის გაყიდა...

გარდა ამისა, საქართველოს სამხრეთ ნაწილზე თვალი ეჭირათ დენიკინსა და ოსმალეთს, რამაც კიდევ უფრო მეტად გაართულ აქ პოლიტიკური ვითარება (მანველიძე 2008).

თეთრგვარდიელ გენერალ დენიკინის საბრძანებლოში შედიოდა ე.წ. ყუბანის რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა სოჭის რაიონიდან. იგი არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მას რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და ამზადებდა ძალებს საქართველოს ოკუპაციისათვის.

იმაზე, რომ დენიკინსაც ჰქონდა პრეტენზიები ბათუმის ოლქზე და მას ერთიანი რუსეთის ნაწილად მოიაზრებდა, ზემოთაც გვქონდა საუბარი, მაგრამ საინტერესოა ერთი მომენტი. ჯერ კიდევ 1919 წლის 12 იანვარს დენიკინის კომისარი გოლიცინი დენიკინისათვის გაგზავნილ მოხსენებაში შენიშნავდა (ამაზევე იყო საუბარი 1919 წლის 28 მარტს ,,ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს“ მიერ დენიკინისათვის გაგზავნილი დადგენილების ასლშიც), რომ ინგლისელები არავის დაუთმობდნენ ამიერკავკასიას და ბოლშევიზმთან ბრძოლის ლოზუნგით ახდენდნენ მის ოკუპაციას (სდსინ 2008: 471). მაგრამ, დენიკინი ინგლისელებთან ურთიერთობაში ამას არ იმჩნევდა. აქ გამოვლინდა მისი დიპლომატიური ალღო. იგი ცდილობდა შექმნილი ვითარებით ესარგებლა და ბათუმის ოლქიდან გაეტანა ბრძოლისათვის საჭირო აღჭურვილობა, თხევადი საწვავი და გაეყვანა ცოცხალი ძალაც. 1919 წლის 5 იანვარს

ბათუმში ჩამოვიდა გენერალ დენიკინის რწმუნებული – გენერალი ერდელი, რომელსაც სისრულეში უნდა მოეყვანა დენიკინის გეგმები. იგი შეხვედრია ინგლისის ჯარების მთავარსარდალს აღმოსავლეთში – გენერალ მილნს, რომელსაც მიუცია პირობა, რომ იარაღით, ცოცხალი ძალით და თხევადი საწვავით აღმოუჩენდა დახმარებას დენიკინს. ინგლისელებმა შესთავაზეს ერდელს, რომ დენიკინს ბათუმში ჰყოლოდა მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც ადგილზე გაუწევდა მის გეგმებს კოორდინირებას. 1919 წლის თებერვლის დამლევს ბათუმში ჩამოვიდა დენიკინის წარმომადგენელი ნ. პოროხონსკი, რომელსაც ევალებოდა სამხედრო აღჭურვილობის გაგზავნის ორგანიზება, თეთრგვარდიელ ოფიცერთა რეგისტრაცია და მოხალისეთა არმიის ჩამოყალიბება (აცსა, ფ.67, ან.1, ს. 15: 259). პოროხონსკიმ 1919 წლის მარტ-აპრილში მართლაც მოახერხა კაზაკთა 600-კაციანი რაზმის შეკრება, რომელიც დენიკინის დასახმარებლად იქნა გაგზავნილი სამხედრო აღჭურვილობასთან ერთად (ლეჟავა 1969: 26). არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ ბათუმის ნავსადგურიდან გამგზავრებამდე კაზაკთა ეს რაზმი, რომელსაც კადეტი მასლოვი მფარველობდა, საკმაოდ თვითნებობდნენ, ძარცვავდნენ ხალხს, ხოლო 1919 წლის 28 მარტს შეურაცხყოფა მიუყენებიათ ბათუმის სათათბიროს დეპუტატ ხ. ლორთქიფანი-ძისათვის (აცსა, ფ.7, ან.1, ს. 752:6).

დენიკინის სასარგებლოდ ბათუმის ოლქში მოხალისეთა ჯარის ჩამოყალიბებას გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრებაც, სადაც საგანგებოდ იყო ხაზგასმული: ,,...ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ დავიცვათ საქართველოს საზღვრები იმ შემთხვევაშიც, თუ ბათუმი გადაიქცა ბაზად დენიკინის ჯარისათვის. ასე გვესმოდა ჩვენ დამფუძნებელ კრების მიერ ერთხმად გამოტანილი დადგენილება დენიკინის წინააღმდეგ ომის წარმოების შესახებ“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1919: 13-14). ანალოგიური პათოსი ისმოდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ფორმულაშიც, რომ ,,ბათომი არ გადაიქცეს დენიკინის ჯარების ბაზად“ (იქვე).

დენიკინმა წითელარმიელებთან ბრძოლაში 1919 წლის აპრილში საკმაოდ დიდი მარცხი იგემა და ინგლისელებმაც რუსეთიდან დევნილი თეთრგვარდიელები ბათუმში შეიფარა. 1919 წლის 12 ივლისს ინგლისელმა გუბერნატორმა კუკ-კოლისმა

დენიკინის დასახმარებლად მოხალისეთა არმიის ჩამოყალიბების სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა (აცსა, ფ.67, ან.1, ს. 5: 115). ქართული პრესა იუწყებოდა, რომ 1919 წლის მაისში დენიკინს ბათუმში გაუგზავნია ქართველი გენერალი ნათიევი, რომელსაც ევალებოდა მოხალისეთა არმიაში ამიერკავკასიელთა ჩაწერაც. გაზეთი ერთობა აღნიშნავდა, რომ: ,,ამ ბოლო დროს დენიკინელები მთლად გათავხედდნენ – ჩოლოქზე ააფრიალეს ,,ნიკოლოზის" სამფეროვანი დროშა და დენიკინის წარმოგზავნილმა გენერალმა ნათიევმა გამოაცხადა, რომ ის ადგენს ამიერკავკასიის ე.წ. ,,ტუზემნი კორპუსს". მოუწოდებს მცხოვრებლებს, რომ ჩაეწერონ" (გაზ. ,,ერთობა", 1919, №135). ქართული პრესის მასალებიდან ირკვევა, რომ ამ კორპუსში რამდენიმე ქართველიც ყოფილა გაწევრიანებული. კერძოდ, პოლკოვნიკი ძმები ერისთავები, ოფიცრები – დადიანი და ახვლედიანი, ამასვე ემატებოდა გურიაში მცხოვრები დიმიტრი მგელაძეც (ოქროპირიძე 1996:161). დიმიტრი მგელაძის ანტიქართულ ქმედებებს გამოეხმაურა დამფუძნებელი კრებაც. სოციალ-ფედერალისტმა სიმონ მდივანმა საკმაოდ ვრცელი პასუხი გასცა გენერალ ნათიშვილის მიერ დენიკინის დასახმარებლად კავკასიის მკვიდრთა კორპუსის შედგენის შესახებ დასმულ კითხვას, სადაც აღნიშნა: ,,...თქვენ გახსოვთ, ინგლისის მთავრობა რომ ბათომში ჩამოვიდა. მაშინ მათ აირჩიეს ბათომის საბჭო და საბჭოში უმეტეს ნაწილად რუსები მოხვდნენ. სარდლობა დარწმუნდა, რომ ეს საბჭო ყოვლად მავნებელ პირებისაგან შესდგებოდა და ისინი განდევნა და თავის ხელში აიღო ძალა, მაგარამ ნატანებსა და ქობულეთს შორის, ჭოროხის საზღვარზედაც დარჩა ყოფილი რუსეთის ბიუროკრატია. იმ საზღვარს იცავს რუსებისაგან შემდგარი რაზმი და იმავე დროს აქ არის დანიშნული წარმომადგენელი, ვითომცდა ინგლისის მთავრობისა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს წარმომადგენელნი არიან ბეგებისა და აღლარების ერთი გურულის დახმარებით, რომლის გვარი ყველამ იცით და რომელიც ცნობილია 1906 წლიდან. ეს გახლავთ დიმიტრი მგელაძე. ამასთან ერთად, ეს საუცხოო კომპანია ქმნის ორგანიზაციას, ჰქმნიან ერთგვარ მოჩვენებას. თითქოს აქ რუსეთი არსებობს" (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1919: 25-26).

გენერალ ნათიევის აზრით, ასეთი კორპუსის შექმნისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობა იყო აჭარაში, ლაზისტანსა და აფხაზეთში (ამხფ, ფ. 4 ს. 87).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ინგლისელები დენიკინელთა რაზმებით აპირებდნენ საქართველოს მთავრობის დამხობას და ,,ქალაქ თბილისის განსაკუთრებული მმართველობის“ ჩამოყალიბებას, რომელსაც ინგლისელები ჩაუდგებოდნენ სათავეში (სცსსა, ფ.2344, ან.1, ს.184: 97). მაგრამ, გაზეთ ,,ერთობის“ ცნობით, 1919 წლის 28 ივნისს გენერალი ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი ბათუმის ბულვარში მოკლეს და ინგლისელთა გეგმები ჩაიშალა (გაზ. ,,ერთობა“ 1919 №145).

ინგლისელთა გეგმები ცნობილი გახდა საქართველოს მთავრობისათვის და ამიტომაც ისინი იძულებულნი გახდნენ გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ. გაზეთ ,,ერთობის“ თანახმად: ,,ქობულეთში მოხსნეს მოხალისეთა ჯარის დროშა და აღმართეს ინგლისური. 6 ივლისს ნოვოროსიაში გაიგზავნა გენერალ ნათიევის მიერ შედგენილი 250-კაციანი რაზმი“ (გაზ. ,,ერთობა“, 1919, №232).

დენიკინს თავისი ღონისძიებების გატარებაში ეხმარებოდა მასლოვის მთავრობა. ბათუმის ოლქიდან დენიკინისათვის მათ გაუგზავნიათ 2000-მდე საველე ტელეფონი, 6000-მდე ვაზნა და სხვა სამხედრო აღჭურვილობაც (აცსა, ფ.67, ან.1, ს. 15: 248).

დენიკინის სასარგებლოდ ბათუმის ოლქში ასევე მუშაობდა გენერალი ბ. რომანოვსკი-რომანკო. ფრიად საინტერესოა მის მიერ შედგენილი დოკუმენტი ბათუმის შესახებ. მასში დეტალურად არის საუბარი იმ ღონისძიებებზე, რომლის გატარებასაც გეგმავდნენ დენიკინელები ბათუმის ოლქში. მისი თქმით, თავდაპირველად უნდა ამუშავებულიყო სასურსათო სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფდა დენიკინელების მიერ სურსათისა და საქონლის გაცვლაზე კონტროლს. ამას უნდა მოჰყოლოდა ფოსტა-ტელეგრაფის ამუშავება და საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების რეგულარული მიმოსვლა. ინტენსიური უნდა გამხდარიყო საბანკო ოპერაციები ჩრდილო კავკასიასა და ბათუმს შორის. იმის გამო, რომ დენიკინელების ხელში გაზეთი ,,ნაშ კრაი“ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა, იგეგმებოდა მისი დაფინანსების გაზრდა. მათივე გეგმებში შედიოდა ქართველ მუსლიმებს შორის ანტიქართული პროპაგანდის წარმოება. საერთო ჯამში, რომანოვსკი-რომანკოს მოთხოვნები 14 პუნქტად იყო ჩამოყალიბებული (ზოსიძე 2014: 166).

აღნიშნულ მოვლენას გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრება. 22-ე სხდომის (1 ივნისი) მასალებში აღნიშნულია, რომ ,,...ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მზადდება ჩვენს წინააღმდეგ კიდევ ახალი ფრონტი. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ბათუმში აპირებენ გენერალ-გუბერნატორ რომანოვსკის დანიშვნას. მის განკარგულებაში იქნება მცირე რაზმი მოხალისეთა ჯარისა. ასეთია, მოქალაქენო, საერთო სურათი. თქვენ აქედან აშკარად დაინახავთ, რომ დენიკინი და რუსეთის რეაქცია ამიერ-კავკასიას და ჩვენ რესპუბლიკას რგოლივით გარს ერტყმის და მას დედამიწის ზურგიდან ალაგვმას უქადის“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეორე)1919: 29).

დენიკინელთა ანტიქართულ ქმედებებს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა 1919 წლის 17 ივნისს გამართული საქართველოს დამფუძნებელი კრების 27-ე სხდომა, რომლის თანახმადაც, ,,...მთელ ამიერკავკასიაში არის ერთი კუთხე, ეს კუთხე, გახლავთ ბათომის მხარე, სადაც მთელი ეს დაბნეული და გამოქცეული ხალხი (იგულისხმება დენიკინელები – გ.კ.) თავს კი არ აფარებს, არამედ ამ კუნძულზე ფიქრობს შექმნას დიდი რუსეთის სახელმწიფო“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეორე)1919: 31).

დენიკინელებისა და ინგლისელების გაძლიერებული ანტიქართული პროპაგანდის გამო, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა უ. უორდროპს 1919 წლის 8 ოქტომბერს გადასცა საპროტესტო ნოტა, სადაც დაგმობილი იყო დენიკინელთა მოხალისე ჯარების თვითნებობა ბათუმის ოლქში, რომლებსაც აშკარად მფარველობდნენ ინგლისელები (გაზ. ,,ერთობა“, 1919, №230). 1920 წლის აპრილში დენიკინმა ანტანტის იმედები ვერ გაამართლა და იგი გენერალ პ. ვრანგელით შეცვალეს. ინგლისელებმა მასაც აღმოუჩინეს დახმარება. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1920 წლის 1 მაისიდან 7 ივლისამდე ბათუმიდან თეთრგვარდიელთა დასახმარებლად გაგზავნილ იქნა 30 000-მდე ჯარისკაცი (სცსსა, ფ.1874, ან.1, ს.2:86).

1920 წლის ივნისის ბოლოს ინგლისმა გადაწყვიტა ბათუმიდან ჯარების გაყვანა და წასვლის წინ დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა და ავტომანქანები, ასევე, 2000-ზე მეტი თეთრგვარდიელი ოფიცერი და კაზაკი გაგზავნილ იქნა ვრანგელთან (იქვე:

49). საბოლოო ჯამში, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის ფრონტებზე თეთრგვარდიელებმა მარცხი განიცადეს და ბათუმის ოლქის შემოერთების მცდელობაც კრახით დასრულდა.

იმან, რომ ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თვალი ერთდროულად დაადგა რამდენიმე დამპყრობელმა, გაართულა მისი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წინსვლა. ბუნებრივია, ეს პრობლემა არაერთხელ იქცა დამფუძნებელი კრების განსჯის საგნად. 1919 წლის 10 მაისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მე-15 საგანგებო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მან საკმაოდ ვრცელი ანალიზი გაუკეთა შექმნილ ვითარებას და აბსოლუტურად სწორად აღნიშნა, რომ უცხო სახელმწიფოები ჩაგრავენ ქართულ სახელმწიფოს. მისი თქმით, ,,როდესაც ჩვენში მოკავშირეთა ძალები შემოდიოდნენ (იგულისხმება ინგლისი – გ.კ.), ჩვენთვის აშკარა იყო ერთი რამ, ჩვენ გვეგონა, რომ იმ ლოიალობისათვის, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ გამოიჩინა ორივე მოწინააღმდეგე მებრძოლი მხარისადმი, იგი ჩვენ მოგვეპყრობოდა ისე, როგორც ეპყრობოდა საქართველოს დემოკრატიას წინათ შემოსული ძალა (იგულისხმება გერმანია – გ.კ.). მართალია, თავიდანვე სრული ნეიტრალობა გამოვაცხადეთ, მაგრამ ჩვენ ასეთი ნეიტრალობის სრული დაცვა, ვიცოდით, რომ არ შეგვეძლო. ჩვენ მოვითხოვდით იმ ძალისაგან, რომელიც აქ შემოდიოდა, რამდენადაც მაინც ეს ნეიტრალიტეტი დაეცვა და როდესაც მოკავშირეებმა დააპირეს აქ შემოსვლა, ჩვენმა მთავრობამ მათ მოსთხოვა შემდეგი: ჩვენ წინააღმდეგობას არ გავუწევთ თქვენს ჯარს, თქვენს ჯარს აქვს საკუთარი მიზანი – გაწმენდა ამიერ-კავკასიისა ოსმალთა და გერმანიის ჯარისაგან, მაგრამ რაც შეეხება ჩვენ საკუთარ შინაურ საქმეებს, ამაში ჩარევის ნებას არ მივცემთ...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეორე)1919: 33-34). თუმცა, მისივე თქმით, ინგლისელებმა ეს პირობა დაარღვიეს.

საკმაოდ დიდი მსჯელობა იყო გამართული დამფუძნებელ კრებაში ქართული ფულის – ბონის გაუფასურების გამო, რომელმაც ცხოვრების ყველა სფეროზე ჰპოვა ასახვა. დამფუძნებელი კრების წევრთა აზრით, ამის მიზეზი ინგლისელები იყვნენ: ,,...სულ არ არის 5 თვე, რაც შემოსულან ინგლისელები, და ჩვენი ფული ფულს აღარ

ჰგავს. და თუ ასეთი მდგომარეობა, ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა – ჩვენი ფული წონით გასაღდება და არა რაოდენობითო. როდესაც ისინი შემოვიდნენ, გირვანქა ღირდა 45, დღეს კი ორასამდე არის ასული. ჩვენი ემისია ამავე დროს ასი მილიონით გაიზარდა... დღეს კი ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება, სანამ ჩუმი ბლოკადაა“ (იქვე). ინგლისელებისა და ნაწილობრივ ფრანგების მიზეზით, ბათუმის ნავსადგური შეზღუდულად მუშაობდა, რაშიც ინგლისელები დენიკინელებს ადანაშაულებდნენ. დამფუძნებელი კრების შეფასებით, ამაში ბრალი უფრო ინგლისელებს უნდა ჰქონდეთ: ,,...ჩვენ ნავსადგურში (იგულისხმება ბათუმი – გ.კ.) ამას აბრალებენ ხან დენიკინს, ხან სხვას; მე კი გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ არავითარი ბრალი დენიკინს არ უდევს. საკმარისია ხმა ამოიღოს ინგლისის, ან საფრანგეთის სარდლობამ, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა მოისპოს. ეხლა კი არა თუ გემს არ უშვებენ ჩვენში, არავითარ სურსათს არ გვაძლევენ“ (იქვე).

იმის შემდეგ, რაც ქართული ეკონომიკა მეტ-ნაკლებად დაასუსტეს, ინგლისელებმა დაიწყეს თავიანთი საქონელის შემოტანა აქ. ფირმა, რომელსაც დიდი ოდენობის სხვადასხვა დასახელების სურსათი შემოჰქონდა საქართველოში, იყო ,,სიბუნიონი“. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში დიდი მსჯელობა იყო იმის შესახებ, თუ სადაური წარმოშობისა იყო იგი. 1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ სხდომებზე დეპუტატები გაიძახოდნენ, რომ ეს იყო რუსული ფირმა და აღნიშნული მონათლეს, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსია. საქმე რომ გამწვავდა, ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა ოფიციალურად მოსთხოვა ინგლისელებს დასტური იმისა, თუ სადაური წარმოშობისა იყო აღნიშნული ფირმა. 1919 წლის მიწურულს ბათუმში მყოფმა დიდი ბრიტანეთის საკონსულომ და ბრიტანეთის კონსულმა პ. სტივენსმა ოფიციალური დადგენილება გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას, რომელიც ადასტურებდა ,,სიბუნიონის“ ინგლისურ წარმომავლობას (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მესამე)1919: 51). დამფუძნებელი კრების მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობამ ,,სიბუნიონთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც ამ უკანასკნელს 22% რჩებოდა მოგება. ფაქტს დიდი აურზაური მოყვა დამფუძნებელ კრებაში და არაერთმა დეპუტატმა საკმაოდ გააკრიტიკა მთავრობის წევრები. კ. კანდელაკის თქმით,

,,სიბუნიონთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, ქართული მხარე ვალდებული იყო ,,სიბუნიონისათვის“ საქონლის შემოტანისთანავე მიეცა ერთი მილიარდი ბონი, რომელიც ქართული ბიუჯეტისათვის საკმაოდ დიდ ტვირთად იქცა.

1919 წლის 28 ნოემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების 65-ე სპეციალურ სხდომაზე საუბარი იყო საქართველოს სხვა ეკონომიკურ პარტნიორებზეც. სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი თევდორე ღლონტი. მისი თქმით, სავარაუდო პარტნიორები შეიძლება ყოფილიყვნენ: არკადი მილოვი; ალექსანდრე ძეგველოვი (რომელსაც შემოქონდა თევზი), არტემ სეილანოვი, ამიერკავკასიის ბანკის დირექტორი ტერ-ზახაროვი, არამ ბაღდასაროვი (,,აფრიკიანი ფართლეულობით მოვაჭრე“), ქალანთაროვი და სხვები. ქართველმა დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს მათ სომხურ წარმომავლობას. ისინი ეჭვის თვალით უყურებდნენ მათ კომერციულ საქმიანობას (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეოთხე)1919: 54).

ქართულ ეკონომიკას მძიმედ დააწვა ისიც, რომ საქართველოში მოღვაწე რუს მოხელეებს, რომლებიც მანამდე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ, საქართველოს ბიუჯეტიდან 100 მილიონი მანეთის დახმარება გამოეყოთ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეოთხე)1919: 55). მართალია, ეს ერთგვარად ჯენტლმენური ჟესტი იყო, მაგრამ საკმაოდ მძიმე ქართული ეკონომიკისათვის.

საქართველოს ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას გამოეხმაურა დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატი გრიგოლ გიორგაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს საქართველოში აქვთ კონკრეტული, რეალური ინტერესები და ბრმად ნდობა მათდამი არ შეიძლება: ,,ამავე დროს, ჩვენ კარგად გვქონდა წარმოდგენილი, და დღესაც ეს დებულება რჩება ძლაში, რომ ყოველი კავშირი ამა თუ იმ სახელმწიფოსთან არ შეიძლება იყოს აგებული მარტო ერთგვარ პლატონურ საფუძველზე“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი მეოთხე)1919: 60). ეროვნულ-დემოკრატ სპირიდონ კედიას თქმით, ,,საქართველოში შემოსულმა მოკავშირემ, ქართველი ხალხის ეროვნული უფლების შეგნება და სუვერენობა შელახა, ეს ცხადია“ (იქვე). ამას ემატება ინგლისელების კეთილგანწყობა

დენიკინელებისადმი, რომელიც გამოიხატება მის სამხედრო აღჭურვილობით დახმარებაში: ,,...დენიკინი თავისი ძალებით ილაშქრებდა საქართველოსა და მთიელთა და სხვა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამავე დროს, წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ სახელმწიფოდან გენერალ დენიკინს თექვსმეტ ვაგონს უგზავნის სხვადასხვა ამუნიციას: თოფს, ზარბაზანს და სხვას. ხომ შეიძლება გენერალმა დენიკინმა ჩვენივე თოფ-ზარბაზნით ჩვენვე გაგვანადგუროს!... ინგლისის მისიის ასეთი მოქმედება ბუნებრივად ბადებს ჩვენში ეჭვს და გაუგებრობას. აქ აშკარად წინააღმდეგობაა ინგლისის სიტყვას და საქმეს შორის...“ (იქვე). სპირიდოს კედიას თქმით, ინგლისელთა ამგვარ ქმედებას სათანადო შეფასება უნდა მიეცეს და ,,ინგლისის პოლიტიკა სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ“, ამის გაუკეთებლობა კი ,,მინუსია ჩვენის დიპლომატიის ხერხიანობისა“. დამფუძნებელ კრებაზე საკმაოდ ხმამაღლა გაისმოდა ინგლისელთა კრიტიკა. ითქვა, რომ ,,ამიერ-კავკასია და მისი პოლიტიკური და ტოპოგრაფიული გული – საქართველო პლაცდარმია ინდოეთისაკენ მისაშვერი ზარბაზნებისათვის. ეს პლაცდარმი დიდი მუქარა იყო რუსეთის ხელში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ეს პლაცდარმი რუსეთს ხელიდან გაუვარდა. როგორც ჩვენ ვართ დაინტერესებულნი, ისე ინგლისიც დაინტერესებული უნდა იყოს ეს პლაცდარმი დარჩეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და მისთვის უვნებელი“ (იქვე). აღნიშნული გეოპოლიტიკური ანალიზი აბსოლუტურად სწორია. გამოცდილი დიპლომატები, ინგლისელები საქართველოს ძარცვა-რბევით კი არ უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულები, არამედ, პირიქით, იგი უნდა ექციათ ძლიერ ბუფერულ ზონად, რომელიც გადაულახავ ბარიერად იქცეოდა საბჭოთა რუსეთისათვის. ინგლისელები თავისას არ იშლიდნენ. სოციალ-რევოლუციონერ ივანე გობეჩიას თქმით, ,,...რისთვის არიან ინგლისის ჯარები ჩამოსულნი საქართველოში და უწევენ თუ არა სერიოზულ ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელ არსებობის ფაქტს“ (იქვე). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან განიხილებოდა თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ეხებოდა საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციას და გარეშე სახელმწიფოთა ინტერესთა ჭიდილს საქართველოში, და კეთდებოდა შესაბამისი დასკვნები.

4.3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა მესხეთში და მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში

მესხეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა პირველი მსოფლიო ომის მიწურულს. პოლიტიკური სიჭრელე და საზოგადოების გაორება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია. პირველ რიგში, აღსანიშნავია ოსმალთა პანისლამისტური და პანთურქისტული პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერდა აზერბაიჯანის ისლამური საზოგადოებაც. ამ გზით ცდილობდნენ ოსმალები მესხეთის დაპყრობას. მესხეთზე თვალი ეჭირა, აგრეთვე, სომხეთს და მოგვიანებით – ინგლისსაც. დენიკინიც აგზავნიდა თავის აგენტებს მესხეთში, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ ეწეოდნენ პროპაგანდას. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც ცდილობდა მესხეთის შენარჩუნებას.

სომხებმა და აზერბაიჯანელებმა თავიანთი მოთხოვნები მესხეთთან მიმართებაში პარიზის საზავო კონფერენციასაც წარუდგინეს. სომხებს რუკაც კი დაუბეჭდავთ, სადაც მთელი მესხეთი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში იყო შესული (ნოზაძე 1989:13). აზერბაიჯანელთა მოთხოვნები მესხეთისადმი უფრო რელიგიურ ფაქტორს ემყარებოდა, ვიდრე ეთნიკურს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური სულისკვეთება სუფევდა ოსმალეთში. სულთნის დესპოტურ რეჟიმს დაუპირისპირდნენ ,,ახალგაზრდა თურქები“. ისინი ცდილობდნენ ,,ძველი დიდების დაბრუნებას“, რომელიც, მათი აზრით, მიიღწეოდა ,,პანისლამიზმისა“ და ,,პანთურქიზის“ აღორძინებით. მესხთა ნაწილიც ეზიარა ამ მოძღვრებას და აქტიურად ჩაერთო ამ მოძრაობაში. მათ შორის აღსანიშნავია „ახალგაზრდა თურქთა“ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, სტამბოლში მცხოვრები აჰმედ ბეგი (თავდგირიძე); ამავე ქალაქში მცხოვრები ზექი-ბეი (ჯაფარიძე). ასევე, მაკედონიის პროვინციის მმართველი უსუფ-ბეი (ლორთქიფანიძე) და სხვები. ისინი ინარჩუნებდნენ გარკვეულ კავშირებს მესხეთთან და ზეგავლენას ახდენდნენ საზოგადოების ნაწილზე.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში რევოლუციის გზით სათავეში მოვიდა ბოლშევიკური პარტია და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. 1917 წლის 15 ნოემბერს ჩამოყალიბებულმა ამიერკავკასიის კომისარიატმა, იმავე თვის მიწურულს, ახალციხის მხარეში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა შემოიღო. პირველად ამ თანამდებობაზე ოფიცერი შალვა მაღლაკელიძე იქნა დანიშნული.

ამავე პერიოდში გააქტიურდნენ ოსმალთა აგენტები, რომლებმაც ქალაქი ახალციხე ალყაში მოაქციეს. ამ ალყას ხელმძღვანელობდა ომარ ყიფიანი. გენერალ-გუბერნატორ შალვა მაღლაკელიძესთან გამოცხადდა ურავლის უბნის ბოქაული ზია-ბეგ აბაშიძე სამი ბეგის თანხლებით და შვიდპუნქტიანი მოთხოვნა წაუყენა მას: „1. ახალციხე გამოცხადდეს სამცხე–ჯავახეთის და არტაანის მთავარ ქალაქად; 2. სახელი „ახალციხე“ შეიცვალოს თურქიზებული ფორმით და ეწოდოს „ახისხა“; 3. ქალაქში დარჩენილი თავისუფალი ყაზარმები გადაეცეს მაჰმადიანურ მოსახლეობას; 4. ოფიცერთა საკრებულოს შენობა მიეცეს მაჰმადიანთა პოლკს; 5. გარნიზონის უფროსად ქართველი ოფიცრის ნაცვლად დაინიშნოს მაჰმადიანი პოლკოვნიკი ყაჯარი, რომელიც კომისარიატმა განაწესა მე-8 პოლკის უფროსად და რომელსაც გენერალ-გუბერნატორი მესხეთში შესვლის უფლებას არ აძლევდა; 6. გენერალ-გუბერნატორი თავისი შტაბით ქალაქიდან გადავიდეს რაბათში და იქ ციხის ტერიტორიაზე განლაგდეს; 7. ამ წინადადების მიუღებლობის შემთხვევაში მაჰმადიანთა შეიარაღებული რაზმები იძულებული იქნებიან შეიჭრნენ ქალაქში“ (ლომსაძე 1997: 257). გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე ვერ შეაშინა ამ ულტიმატუმმა, მარტო წავიდა აჯანყებულებთან და შეხვდა ომარ ყიფიანს. მან საქმე ისე დახატა, რომ თითქოს ახალციხეში შესვლა სომეხთა ამოხოცვისთვის უნდოდა. გენერალი მაღლაკელიძე მიუხვდა ჩანაფიქრს, მოერიდა კონფლიქტს და ახალციხეში დაბრუნდა. მან დაიწყო ჯარების მობილიზება, ჩამოაყალიბა სომეხთა ათასეულიც, რომელსაც სათავეში ქართველი პოლკოვნილი კაჭახიძე დაუყენა (იქვე: 258). ქალაქ ახალციხეში ძმებმა ჯაფთალარიანებმა საგანგებოდ მოაწყვეს ტყვიის დამამზადებელი საამქრო. ქარხნისათვის საჭირო მასალას ისინი მოიპოვებდნენ მდიდრულ შენობებზე, საფლავის ქვებზე, კოლონებზე და სხვა ადგილებზე ტყვიების სხმულების აგლეჯით (იქვე: 259). სატელეფონო ხაზებით დაუკავშირდა ერთმანეთს ქალაქის

უბნები და ის სოფლებიც, სადაც სპეციალური საგუშაგოები იყო განლაგებული. ახალციხის გარშემო გაითხარა სანგრები, მასში მთელი ქალაქის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. უბნებში შემოღებულ იქნა სადღეღამისო მორიგეობა. შეიქმნა სამედიცინო პუნქტებიც. ყოველივე ამას აკონტროლებდნენ ქართული შტაბის ოფიცრები (იქვე: 260).

1917 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ქართველები სამი მიმართულებით გადავიდნენ შეტევაზე ახალციხის გარშემო დაბანაკებულ აჯანყებულთა წინააღმდეგ. ქართველ ოფიცერთა რაზმმა კაპიტან აბაშიძის მეთაურობით მოახერხა მათი განდევნა. ამ დროს აჯანყებულთა დასახმარებლად აბასთუმნის მხრიდან შეტევაზე გადმოვიდა სერვერ-ბეგ ათაბაგი და ბახში-ბეგ მაჩაბელი, მაგრამ პოლკოვნიკმა კობეშავიძემ მოახერხა მათი მოგერიება. აჯანყებულ ზია-ბეგ აბაშიძის ჯარს მინაძის ხიდთან გზა მოუჭრა პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმმა და დაამარცხა ისინი. გენერალ მაღლაკელიძისა და ქართული შტაბის დროულმა ქმედებამ დაამარცხა აჯანყებულები. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

მაჰმადიანმა ბეგებმა სამხრეთ საქართველოს მომავლის საკითხი აბასთუმანში დანიშნულ მაჰმადიანთა ყრილობაზე გაიტანეს. მათ მიიღეს შემდეგი დადგენილება, რომლის თანახმად, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ფოცხოვი, აჭარა, არტაანი, შავშეთი, როგორც ერთმორწმუნე მუსლიმებით დასახლებული, გაერთიანებულიყო ერთ ავტონომიური მმართველობის ქვეშ ყარსის მხარესთან, რომელიც უნდა გამოყოფოდა ამიერკავკასიის კომისარიატს და თბილისის გუბერნიას (მაღლაკელიძე: 350-351).

ამ ყრილობას მეთვალყურის რანგში ესწრებოდა გენერალი მაღლაკელიძეც. იგი გამოსულა სიტყვით, დაუგმია ყრილობის გადაწყვეტილება და პროტესტი გამოუთქვამს მისთვის. იგი ტრიბუნიდან ჩამოუგდიათ. იმავე საღამოს, ქართველ გენერალს სამ თანმხლებთან ერთად დაუტოვებია აბასთუმანი და წასულა ახალციხეში. გზად მას თავს დაესხნენ და მოუკლეს ერთ-ერთი მხლებელი, გვარად ბერიძე. გენერალმა თავს გაქცევით უშველა (მაღლაკელიძე: 346). ახალციხეში ჩასულმა გენერალმა ომარ ყიფიანს და მის თანამზრახველს ახმედ ფეფენოვს მასთან შეთანხმების გარეშე სხდომების ჩატარება აუკრძალა.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ასახვა ჰპოვა მესხეთის მოსახლეობაზე. მკვლევარ ვ. ნოზაძის თანახმად, ჯერ კიდევ ბრესტის საზავო მოლაპარაკების დროს, მუსლიმურმა მოსახლეობამ დააყენა საკითხი მესხეთის ოსმალეთთან შეერთების შესახებ (ნოზაძე 1989:19-20), მესხეთის მოსახლეობის ნაწილი კი ქართულ პოზიციაზე იდგა.

მესხეთში აქტიურად მუშაობდა ოსმალთა აგენტურა. მათ შორის აღსანიშნავია ექიმი ლორთქიფანიძე, აგრონომი ზია-ბეგ ავალიშვილი, აწყვერის უბნის სოფელ აგარის ბეგი ომარ ფაიკ ნუმანზადე (იგივე ომარ ყიფიანი). ამ უკანასკნელს დამთავრებული ჰქონდა სტამბოლის უნივერსიტეტი. გახლდათ ,,ახალგაზრდა თურქთა“ აჯანყების მონაწილე და ,,ერთობისა და პროგრესის“ პარტიის წევრი. სწორედ ოსმალთა დავალებით შემოგზავნეს ის მესხეთში; თავიდან სოფელ აწყვერში მუშაობდა მასწავლებლად და 30 აზერბაიჯანელ და 10 ადგილობრივ მუსლიმ მასწავლებელს ზრდიდა.

1918 წლის მარტ-აპრილში გააქტიურდა მუსლიმთა შეიარაღებული ბანდები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ახალციხის სოფლებს. გენერალი არჯევანიძე 16 აპრილს წერდა გენერალ გაბაშვილს, რომ ამ ბანდებბა დაარბიეს ქართული ქრისტიანული სოფლები ზველი და ჭობარეთი. იმავე აპრილის მეორე ნახევარში მუსლიმი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ახალციხეში მდგარ ქართულ ჯარს და სომეხთა ბატალიონს. მოგვიანებით, დარბეულ იქნა სხვა ქართული სოფლებიც. ახალციხის მაზრის 23 ქართული სოფლიდან მხოლოდ ოთხი გადაურჩა დარბევას (ლომსაძე 1997: 276).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა ამ მხარეში დემოკრატიული რეფორმები გაეტარებინა. აღნიშნულს დამფუძნებელი კრებაც გამოეხმაურა. 1919 წლის 21 მარტის დამფუძნებელი კრების მეოთხე სხდომაზე ევგენი გეგეჭკორმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია: „მთავრობას განზრახული აქვს დროებით ქალაქ ახალციხეში სამუსლიმანო საქართველოს მმართველობის შედგენა...

მთავრობა ახლო მომავალში შემოიღებს საერობო თვითმმართველობას იმ მაზრებში, რომელნიც ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან ამ ინსტიტუტს და დაჩქარებით შეუდგება წვრილ საერობო ერთეულების შედგენას“ (დამფუძნებელი

კრების... (პირველი წიგნი) 1919:14). მომდევნო, 22 მარტის სხდომაზე სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციამაც გააკეთა განცხადება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა განხორციელებულიყო თვითმმართველობის რეფორმები (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №5).

მესხეთის კუთვნილების საკითხი აქტუალური იყო ბრესტის, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების დროსაც. ბრესტის ზავით, არდაგანი და ყარსი, ბათუმის ოლქთან ერთად, წილად ერგო ოსმალეთს, რომელმაც 1918 წლის 19 მარტს აიღო არდაგანი. ტრაპიზონის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელმა მოითხოვა არდაგანის უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ (ტრაპიზონის საზავო კონფერენცია..., 1998: 99-106). ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ანუ სამუსლიმანო საქართველო, მესხეთი-აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით, წილად ერგო ოსმალეთს.

1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რამდენიმე დღეში (11 ივნისს), ნოე ჟორდანიას ინიციატივით, ჩამოყალიბდა საზღვრების გამომრკვევი კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენა. ამ კომისიაში შედიოდნენ: ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე. კომისიის გადაწყვეტილებით, მთელი მესხეთი გამოცხადდა საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

1918 წლის 2 ივნისს, ახალციხეში მცხოვრები ქართული ეროვნული საბჭოს წევრების მიერ რაბათში მოწვეულ იქნა კრება. მას დაესწრო მთელი ქართველობა. სიტყვით გამოვიდნენ საბჭოს თავმჯდომარე ივ. ასათიანი და წევრი დ. ბააზოვი, რომლებმაც საზოგადოებას მიულოცეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. იმავე დღეს კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „1. ახალციხის ქართველობა მზად არის თავის სიცოცხლე შესწიროს საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცებას. 2. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკურ მთავრობას, რათა ახალციხე მტერს არ ჩაუგდოს ხელში, რადგანაც ახალციხის დაკარგვა მოუმზადებს საქართველოს სამარის გათხრას“ (ლომსაძე 1997: 392).

იმავე საღამოს, თვითმმართველობის საბჭოს მიერ მოწვეულ იქნა საერთო საზოგადო კრება – საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. კრება გახსნა თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ, სოციალ-რევოლუციონერმა ჩილონგარიანმა. კრებაზე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები გამოვიდნენ სიტყვით და მიულოცეს ,,ქართველობას დამოუკიდებლობა“. მათ შორის იყვნენ ტერ-გრიგორიანი (კადეტი), ზარაფიანი (დაშნაკელთა ხელმძღვანელი). აღსანიშნავია სოციალ-დემოკრატის (ბოლშევიკი) ვ. გარდავანიძის სიტყვა: ,,სასიხარულო და მოსალოცი დღეს არაფერი არ არის, ვინაიდან ამნაირი აქტით გაიმარჯვა ერთმა და დამარცხდა მეორეო“ (იქვე: 394). მისი აზრით, საქართველო დიდხანს ვერ შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას. თუ პესიმისტ ვ. გარდავანიძის პათოსი გახლავთ გასაგები, თავისი პოლიტიკური (კოსმოპოლიტური) მრწამსიდან გამომდინარე, რამდენადმე უცხოა სოციალ-რევოლუციონერთა წარმომადგენლის, ახალციხის მილიციის უფროსის, თეიმურაგოვის სიტყვა. მან ჯერ აღნიშნა, რომ ,,ისე სასიხარულო არაფერია“, მაგრამ ქართველებისაც შეეშინდა და ბოლოს მიულოცა მათ ეს დღე. მილოცვისათვის, სამადლობელი სიტყვით კრებაზე გამოვიდა ადგილობრივ ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ივ. ასათიანი, რომელმაც მადლობა გამოუცხადა მიმლოცველთ (იქვე: 395).

ბათუმის ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი დღის შემდეგ (6 ივნისს), ახალციხეში შემოვიდა ოსმალთა ჯარი – ოსმალეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, კაპიტან ბააკი-ბეის ხელმძღვანელობით. მან შეკრებილ ხალხს, თურქულ ენაზე, მიმართა შემდეგი სიტყვებით: ,,საჭიროა დავივიწყოთ სუყველა მძულვარება წარსულ უთანხმოებაზე აღმოცენებული და ახალი ენერგიით შევუდგეთ ძმურად ცხოვრებას. ყველგან არსებობს სახელმწიფოებრივი კანონი და არსებობს ხალხის ზნე-ჩვეულება. გწამდეთ, რომ ჩვენ (ოსმალეთი) არ გადავუხვევთ ჩვენს კანონებს და ამავე დროს არ გადავუხვევთ თქვენს ზნე-ჩვეულებებს. ჩვენი მთავრობის სურვილია შემოიტანოს ისეთი ცივილიზაცია, რომელიც დღეს არის ევროპიდან ამერიკამდე...“ (იქვე : 400).

11 ივნისს, ბააკი-ბეის ბრძანებით, გაუქმდა ახალციხის მილიცია და დაარსდა თურქული პოლიცია. ქალაქ ახალციხიდან ოსმალო კომენდანტის ნებართვის გარეშე

აიკრძალა გასვლა. 15 ივნისს ახალციხეში ჩავიდა მხარის სამხედრო და სამოქალაქო მმართველი ხალით-ფაშა. ახალმა ადმინისტრაციამ სამცხე-ჯავახეთის ოფიციალურ ენად თურქული გამოაცხადა. მოგვიანებით (28 ივლისს), ახალციხეში ჩამოვიდა თურქეთის ტახტის მომავალი მემკვიდრე, სულთან აბდულ ჰამიდის უფროსი შვილი, რომლის ვიზიტსაც საზეიმო ელფერი დასდევდა (იქვე: 291).

იმავე წლის 18 ივნისს, ახალციხეში ოსმალთა დამატებითი 500-კაციანი ჯარი შემოვიდა. სამწუხაროა ის, რომ მათი უმეტესობა ადგილობრივი მუსლიმი იყო, რომელნიც გლეხის ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. მათგან 50 კაციც კი არ იქნებდა ოსმალო. ანალოგიური განმეორდა მოგვიანებითაც. ახალციხეში შემოსული ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი ამჯერადაც ადგილობრივი მუსლიმები იყვნენ. მათ შორის იყო ვინმე მოლა ასლან ჩომახიძე, რომელიც „უნტერ-აფიცერი“ გახლდათ.

ახალციხეში ოსმალთა შემოსვლიდან ორი კვირის შემდეგ შიმშილის პირას მივიდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ქალაქში მდგარი ქართველთა ჯარი, გენერალ მაყაშვილის მეთაურობით, 23 ივნისს გადავიდა აბასთუმანში. ოსმალებმა აწყვერისა და აბასთუმანის მიმართულებით დაიწყეს ადგილობრივი მუსლიმი ჯარისკაცების გაგზავნა. ისინი ცდილობდნენ საქმე ისე წარმოეჩინათ, რომ თითქოს ადგილობრივი მუსლიმები არ უთმობდნენ ამ ტერიტორიებს საქართველოს. თავად კი თითქოს ნეიტრალიტეტს იცავდნენ. ამავე დროს, საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, თითქოს თვითონ დიდი დემოკრატები ყოფილიყვნენ და ახალციხის მაზრის მმართველად ერთი კი არა, ოცდაცამეტკაციანი მმართველი საბჭო დაამტკიცეს. სწორედ ეს განუცხადა ბააკი-ბეიმ 7 ივლისს შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობას: ,,ოსმალებისა კარგი ის არის, რომ თითო მაზრაში მმართველად ნიშნავენ 33 კაცს და არა ერთს, როგორც რუსებში და ქართველებშია მიღებული“ (იქვე: 415).

ახალციხეში ოსმალთა შემოსვლამ და აქედან ქართველთა ჯარის გაყვანამ რამდენადმე არეულობა გამოიწვია. ამ მომენტით ისარგებლეს იქ მყოფმა სომხებმა და ქართველთა წინააღმდეგ განახორციელეს შეტევები. მათ გადაუწვავთ ქართველებით დასახლებული სოფელი აბი. თუმცა, ბააკი-ბეისთან საუბრისას, სომხებმა ეს გადააბრალეს ახალციხელ ქართველებს (იქვე: 425). ქალაქ ახალციხის თვით-

მმართველობამ არც ქართველთა წარმომადგენლები მიიღო და არც საქმე გამოიძია. სრული უნიათობა გამოიჩინა.

ამას ემატებდა მოღალატე ქართველების ქმედებები, რომლებიც ცდილობდნენ ეამებინათ ოსმალთათვის. მათი ნაწილი, ოსმალო გენერლის ტანსაცმელში გამოწყობილნი, მხოლოდ ოსმალო გენერლების და აღალარების წრეში ტრიალებდნენ და ,,მათ უცხადებდნენ სიყვარულს".

ოსმალებმა ეკონომიკურად უკიდურესობამდე დაასუსტეს ახალციხის მაზრის მკვიდრი მოსახლეობა. ქალაქი ახალციხე უფრო სოფელს დაემსგავსა. ჩაკვდა ვაჭრობა და მაღაზიებიც დღითი დღე იკეტებოდა. გლეხობასაც უკიდურესობამდე უჭირდა. მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილობდა. შედეგად, ქართველ მუსლიმთა ნაწილი, რომელიც ადრე ოსმალებს ემხრობოდა, ეხლა ლანძღვით მოიხსენიებდა იმ გზას, რომელითაც ოსმალები იქ მოვიდნენ (იქვე: 429). ამას ემატებოდა ისიც, რომ ოსმალეთმა დაიწყო სოფლებიდან მოსახლეობის მასობრივად ჯარში გაწვევა. სახლში ტოვებდნენ მხოლოდ ავადმყოფებს. ამიტომაც, გლეხები ,,ბოროტი თვალით" უყურებდნენ ოსმალებს, თუმცა უძლურების გამო იძულებული იყვნენ დამორჩილებდნენ მათ.

ოსმალების გულის მოგების მიზნით, ახალციხელმა სომხებმა და ებრაელებმა მათი ოფიცრები არა ერთხელ დაპატიჟეს სადილსა თუ ვახშამზე. მხოლოდ აქაური ქართველები ამჟღავნებდენ ოსმალებისადმი სიძულვილს. ისინი გამასპინძლების გარეშე, თხოვნით ცდილობდნენ მათგან თავის დაძვრენას.

ოსმალები აქაურ ქართველობას უკრძალავდნენ ქართულად საუბარს და მათგან თურქულად საუბარს მოითხოვდნენ. ქალაქმა ახალციხემ ოსმალური ელფერი მიიღო. ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა წნეხმა ახალციხელი ქართველები აიძულა მასობრივად დაეტოვებინა იქაურობა და ოჯახებიანად გადასახლებულიყვნენ ბორჯომისაკენ (იქვე: 432-33). როგორც ჩანს, ოსმალთა მიზანიც ეს იყო. ისინი ცდილობდნენ, ამ მხარიდან სრულად გაეძევებინათ ქართველი მოსახლეობა.

როცა ფეხი მყარად მოიკიდეს, ოსმალებმა ახალციხეში დაიწყეს თურქოფილი ბეგების შევიწროებაც, რადგან მათ ბოლომდე არ ენდობოდნენ. აწყვერის კომისრის

თანაშემწე და ოსმალთა ჟანდარმერიის ოფიცერი ზია-ბეგ შარაბჩიევი ცრუ ბრალდებით დაუთხოვიათ სამსახურიდან. სხვა ქართველმა თურქოფილებმაც გაიზიარეს მისი ბედი. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ საერთაშორისო არენაზე სიტუაცია შეიცვალა და ინგლისელებმა ოსმალებს ნელ-ნელა უკან დაახევინეს. ახალციხის მაზრაში შეიმჩნეოდა ინგლისელებისადმი კეთილგანწყობა, რომელიც აქ ოსმალთა საპირწონე ძალად განიხილებოდა. ამ განწყობას ,,ხელი შეუწყო“ ოსმალთა არასწორმა და აგრესიულმა პოლიტიკამ. ამავე დროს, აქ გააქტიურდა სომეხთა დაშნაკური პარტიაც, რომელიც, ინგლისელთა ახალციხეში შემოსვლით, გეგმავდა ქართველთა საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ტერიტორიების საკითხს. როგორც ცნობილია, სომხები მესხეთის დიდ ნაწილს თავისად მიიჩნევდნენ.

მართალია, ბათუმის ხელშეკრულებით, აწყური და აბასთუმანი ქართულ მხარეს ერგო, მაგრამ ოსმალებმა იგი გაძარცვეს და მიიტაცეს. 1918 წლის 23 აგვისტოს ისინი ისევ საქართველოს დაუბრუნეს, იმ პირობით, რომ ოსმალებს ჰქონოდათ უფლება ბათუმიდან ბაქოსკენ მიმავალი რკინიგზით ესარგებლათ. ამან ახალციხელ ქრისტიან ქართველებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა, რომ შესაძლოა მალე ახალციხეც დაბრუნებოდა საქართველოს (იქვე: 445).

თურქოფილ ქართველ ბეგებსა და ოსმალებს შორის ურთიერთობა ამავე წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბერში კიდევ უფრო დაიძაბა. საკუთრივ ბეგებს შორისაც თავი იჩინა განხეთქილებამ. 1918 წლის 3 ნოემბერს, სანამ ძალაუფლება ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო, ახალციხის ციხეში გაიმართა კრება, რომელსაც ოსმალთა მხრიდან ესწრებოდნენ ხალით-ბეი და ბააკი-ბეი. კრებაზე მყოფმა მუსლიმმა ბეგებმა ოსმალებს განუცხადეს: „თქვენი წასვლის შემდეგ მხარე ჩვენ დაგვიტოვეთ და ინგლისელებთან ჩვენ თვითონ გავაწყობთ საქმესო“. ბეგების ნაწილი მიიჩნევდა, რომ მესხეთის საქართველოდან გამოყოფა არ იყო აუცილებელი და იგი ავტონომიის სტატუსით უნდა დარჩენილიყო მის შემადგენლობაში. სულ რამდენიმე ბეგი (მაგალითად, ბახში-ბეგ მაჩაბელი) იყო ისეთი, რომელიც საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა ყოველგვარი ავტონომიის გარეშე (იქვე: 294).

ამ შეხვედრას მოჰყვა 5 ნოემბრის კრება, რომელზეც ბეგებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი მთავრობა ომარ ყიფიანის მეთაურობით.

1918 წლის 10 ნოემბერს გენერალ-მაიორი კ. მაყაშვილი დაინიშნა ახალციხე-ახალქალაქის მხარეთა ჯარების უფროსად და გენერალ-გუბერნატორად, რომელსაც, იმავე წლის 4 დეკემბერს, დაევალა იქ ქართული საჯარისო ნაწილების შეყვანა (ნოზაძე 1989: 43; ლომსაძე 1997: 295).

13 ნოემბერს ახალციხეში ფრანგი ტყვეები ჩამოიყვანეს ოსმალებმა, რომლებმაც ადგილობრივ ქართველებს უთხრეს, რომ სტამბოლი უკვე ინგლისელებისა და ფრანგების ხელში იყო გადასული. ამან დიდი სიხარული გამოიწვია, ,,დესპოტური ოსმალური რეჟიმის გადავარდნას უკვე ყველა ოცნებობდა“ (ლომსაძე 1997 : 453).

19 ნოემბერს ოსმალთა ჯარმა დაიწყო ახალციხის დაცლა და არტაანის მიმართულებით დაიძრა. სანამ აქაურობას დატოვებდნენ, მთლიანად გაუძარცვავთ იგი. 2 დეკემბერს ახალციხეში ხმა გავრცელდა, ორ დღეში აქ ქართველები შემოვლენო. ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ ამ სასიხარულო ამბავს. ბეგებს გენერალ მაყაშვილისათვის მოუთხოვიათ მუსლიმებისთვის სრული ავტონომიის მინიჭება. გენერალმა ამაზე უარი უთხრა მათ, მხოლოდ პირობა მიუცია, რომ მათ ხელს არავინ ახლებდა.

იმავე დღეს ქალაქ ახალციხის თავის მოადგილემ მურხან მუსაკიევმა მოიწვია ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანთა კრება, რომელსაც ქართველი და სომეხი ინტელიგენციაც დაესწრო. მუსაკიევმა შეკრებილებს განუცხადა, რომ სანამ ახალციხეში საქართველოს მთავრობა შემოვიდოდა, ექსცესების თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო მილიციის შედგენა. მან მიმართა იქ მყოფ ქართველებს, რომ სომხებისა და მუსლიმების სიცოცხლე დაეცვათ ბრბოთა თავდასხმებისაგან. როდესაც მუსაკიევი სიტყვით გამოდიოდა, სწორედ ამ დროს მუსლიმთა ბრბო არბევდა სომხებს და იტაცებდა სახელმწიფო საწყობიდან თოფსა და იარაღს.

4 დეკემბერს ახალციხეში შევიდა ქართველთა ჯარი გენერალ გელოვანის მეთაურობით. მას სიხარულით შეხვდა მოსახლეობა და ქალაქის თვითმმართველობა. გელოვანმა სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ საზოგადოებას. ქართულ ჯარისადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს ქალაქის თავის მოადგილემ აივაზიანმა.

ქართველთა მხრიდან სიტყვით გამოვიდა ექიმი ასათიანი და ხახუტაიშვილი. სომხებიდან აზნაურავი, ებრაელებიდან – კრიხელი, მუსლიმების სახელით კი კაზი ეფენდიევი.

მუდროსის ზავით, ოსმალები ინგლისელებმა ჩაანაცვლეს. მათ ქართულ მხარეს განუცხადეს, რომ 1918 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ახალციხე-ახალქალაქის მაზრები დაცლილი იქნებოდა ოსმალებისაგან და გადაეცემოდა საქართველოს. მართლაც, 1918 წლის 4 დეკემბერს, ქართულ ჯარს საშუალება მისცეს ახალციხეში შესულიყო. ამრიგად, სეპარატისტულად განწყობილი მესხი ბეგების ავანტიურამ მარცხი განიცადა. შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც მძიმე იყო მესხეთისთვის 4 ივნისი, იმდენად ბრწყინვალე იყო მისთვის 4 დეკემბერი.

1918 წლის 13 დეკემბერს ახალციხის ბეგებმა მემორანდუმი გადასცეს ინგლისელებს, რომელშიც ისინი თავიანთ თავს ახალციხე-ახალქალაქის დროებით კომისრებს უწოდებდნენ და ცდილობდნენ დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას. მართლაც, 1919 წლის დასაწყისში სახელდახელოდ ჩამოყალიბებული ბანდები, რომლებსაც სათავეში სერვერ ბეგი ედგა, ფოცხოვის გარშემო დაირაზმნენ.

რაც შეეხება სერვერ-ბეგ ათაბაგს, იგი მესხეთის მოსახლეობის ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობას გამოხატავდა. მკვლევარ ვ. ნოზაძის თანახმად, თავიდან იგი ანტიქართული პოზიციის არ იყო. ბეგი სამცხე-საათაბაგოს მმართველთა? „უკანასკნელი შთამომავალი იყო“, დიდი სამფლობელოები გააჩნდა და საზოგადოებაშიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. საქართველოს მთავრობის აგრარულმა პოლიტიკამ მესხეთის მსხვილ მიწათმფლობელებს და მათ შორის სერვერ-ბეგსაც მამულის დაკარგვის შიში გაუღვივა. სწორედ ამიტომაც განუდგა იგი საქართველოს. სერვერ-ბეგი თავის მომხრეებთან ერთად გამოცხადებულა გენერალ მაყაშვილთან და განუცხადებია მისთვის, რომ არ სცნობდა საქართველოს მთავრობას (ნოზაძე: 49). მართალია, ათაბაგს საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, მაგრამ, 1919 წლის 1 იანვარს გაიმართა ახალციხის გლეხთა ყრილობა, რომელმაც დაგმო სეპარატიზმი და საქართველოსთან თანაარსებობის სურვილი გამოთქვა. ამ ყრილობაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, „მუსულმანური და ქრისტიანული

საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ოჯახში გაერთიანებული ძალებით მთელი საქართველოს მცხოვრებნი მოიპოვებენ ბედნიერებას“ (იქვე: 51).

1919 წლის 1 თებერვალს ახალციხის მაზრის გენერალ-გუბერნატორად, ბ. მაყაშვილის ნაცვლად, დაინიშნა გ. მაზნიაშვილი. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა, ომარ ყიფიანი და 3 ოსმალო ემისარი კი დააპატიმრეს (ლომსაძე 1997: 299).

3 თებერვალს ახალციხეში ინგლისელთა ჯარი შევიდა. 5 თებერვალს გენერალი მაზნიაშვილი შეტევაზე გადავიდა და სეპარატისტი მესხი ბეგებისაგან რამდენიმე სოფელი გაათავისუფლა. ამან ინგლისელები შეაშფოთა, რადგან მათ არ აწყობდათ არეულობა. ქართველი გენერლის მიერ სამხედრო მოქმედებების წარმოება, იმ მომენტისათვის, არც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოეწონა და მაზნიაშვილი უფრო ფრთხილი გენერლით – გ. კვინიტაძით იქნა შეცვლილი. 1919 წლის 23 თებერვალს ინგლისელი გენერლის, უოკკერის კითხვაზე, თუ როგორი იქნებოდა საქართველოს შემდგომი პოლიტიკა ახალციხეში, ნოე ჟორდანიამ უპასუხა: „ჩვენ მოვსპობთ შეიარაღებულ ბანდებს და გავაძევებთ არასასურველ ელემენტებსო“ (ნოზაძე: 49; 51). ნ. ჟორდანია ამ აჯანყების მეთაურად სერვერ ბეგს ასახელებდა, რომელსაც, მისი თქმით, ათასი ჯარისკაცი ჰყოლია, უმეტესად – ოსმალო ასკერები. მალე გენერალი კვინიტაძე იძულებული გახდა ბრძოლები ეწარმოებინა მათთან. 7 მარტს მან ქალაქი ახალციხე აიღო. მესხეთის მოსახლეობის მუსლიმთა დიდი ნაწილი (ერისთავები, მაჩაბლები და სხვ.) მომხრე იყო საქართველოსთან გაერთიანებისა. მეორე ნაწილი კი განსხავებულად ფიქრობდა. მართებულად აღნიშნავს მკვლევარი შოთა ლომსაძე, რომ: ,,მესხეთის მაჰმადიან ქართველთა მეორე ნაწილს, რომელთა თვალსაწიერიც ფანატიზმის ბურუსით იყო დაბინდული და რომელთა შეგნებაშიც მაჰმადიანობა ერთად აღებულ მამულსაც და ეროვნებასაც ფარავდა. მათ არც მესხეთის მიწა-წყლის განთავისუფლება არ ეხატათ გულზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა ქრისტიანული სახელმწიფოს მეშვეობით, მისი ძალაუფლების ქვეშ. ქრისტიანობა მათ შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა“ (ლომსაძე 1997: 243). ისინი ოღონდ ქრისტიანულ საქართველოს არ შეერთებოდნენ და ყველაფერზე იყვნენ წამსვლელი. სწორედ ეს უმზადებდა ნიადაგს უცხოელ დამპყრობლებსაც.

4.4. „ყარსის რესპუბლიკა“ დამფუძნებელი კრების აქტებში

ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად არ არის შესწავლილი სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“, ე. წ. ,,ყარსის რესპუბლიკის“ საკითხი. ამასთან დაკავშირებით, არსებობს ,,საისტორიო მაცნეში“ გამოქვეყნებული მკვლევარ მ. სიორიძის რამდენიმეგვერდიანი სტატია ,,ყარსის რესპუბლიკა“, რომელიც, ასევე, შესულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში. საკითხს გარკვეულწილად შეეხნენ მკვლევრები – ვ. ნოზაძე და შ. ლომსაძე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ზ. დიდიმამიშვილის მემუარი ,,დღიური წერილები“ (რომელიც სრულად გამოაქვეყნა შ. ლომსაძემ თავის წიგნში ,,მესხები. ახალციხური ქრონიკები“ - II) და გენერალ შ. მაღლაკელიძის მოგონებანი.

წყაროთა სიმწირის გამო, ამ საკითხის ბევრი დეტალი დღემდე ბურუსითაა მოცული. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ,,ყარსის რესპუბლიკის“ პრობლემა მეტ-ნაკლები სისრულით იქნა განხილული კრების სხდომებზე.

1919 წლის იანვარში, სამხრეთ-საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. ,,ახალი სახელმწიფო“, რომელიც თავს უწოდებდა ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკას“. მისი ცენტრი იყო ქალაქი ყარსი და სწორედ ამიტომ მას ,,ყარსის რესპუბლიკის“ სახელითაც იხსენიებენ. ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩათვლით. ამას ემატებოდა სურმალოს, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების დიდი ნაწილი (სიორიძე 1995: 24-28).

ამ უკანონო ქმედებას ნიადაგი მოუმზადა ბაქოს საქველმოქმედო-რელიგიური საზოგადოების ინიციატივით 1917 წლის აპრილში ყარსში ჩამოყალიბებულმა ,,საიდუმლო ისლამურმა კომიტეტმა“, რომლის ზეგავლენითაც აბასთუმანშიც გაიმართა სმხრეთ-დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა. სწორედ ამ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში გაიჟღერა ცალკე სახელმწიფოს შექმნის იდეამ (სდსინ 2008:464).

ეს ის პერიოდია, როცა პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა და მკვეთრად იცვლებოდა ვითარება. ჯერ იყო და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი წილად ერგო ოსმალეთს, ხოლო მუდროსის ზავის შემდეგ – ინგლისელებს. 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში ყარსსა და არტაანში გაიმართა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა ოთხი შეხვედრა, რომლებმაც აქ საფუძველი მოუმზადა ყარსის სეპარატისტული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას.

1919 წლის 17-18 იანვარს გაიმართა ე.წ. ყარსის მესამე კონგრესი, რომელსაც 131 დელეგატი ესწრებოდა. სწორედ ამ კონგრესზე იქნა ჩამოყალიბებული ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯიჰანგიროღლუ იბრაიმ ბეი (იქვე:464). რესპუბლიკის ცენტრად გამოცხადდა ქალაქი ყარსი. ამ სეპარატისტულ სახელმწიფოს ჰყავდა თავისი მეჯლისი (პარლამენტი), რომელიც 70 წევრისაგან შედგებოდა. პარლამენტს ხელმძღვანელობდა დოქტორ ესად ბეი. სეპარატისტები უფრო შორსაც წავიდნენ: მათ ჰქონდათ სამფეროვანი დროშა (ალუბლისფერი, თეთრი და მუქი მწვანე ფერებით), ხოლო სახელმწიფო საკანცელარიო ენად გამოაცხადეს თურქული. ისინი გაზეთ ,,სედაი მილეთში“ აქვეყნებდნენ თავიანთ ბრძანებებს.

სეპარატისტულ სახელმწიფოს სჭირდებოდა აღიარება და ამ მიზნით მათ დელეგაციაც კი გააგზავნეს სტამბოლში, ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია (ნოზაძე 1989:118).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ,,ყარსის რესპუბლიკა“, ძირითადად, ოსმალთა ინიციატივით იქნა ჩამოყალიბებული. თურქულ ისტორიოგრაფიაში კი დამკვიდრებულია ის აზრი, რომ თითქოს ამ სეპარატისტული რესბუბლიკის ჩამომყალიბებელთა საბოლოო მიზანი იყო მისი გაერთიანება ოსმალეთის სახელმწიფოსთან. მკვლევარი მალხაზ სიორიძე მიიჩნევს, რომ ეს მოსაზრება მცდარია და ,,ყარსის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბების უკან „სამუსლიმანო საქართველოს“ სეპარატისტულად განწყობილი ზედა ფენები იდგნენ. ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ისეთი ,,რესპუბლიკა“, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საქართველოს, ისე ოსმალეთის სახელმწიფოსაგან (სდსინ 2008:465). არსებობს მოსაზრება, რომ ამ სეპარატისტთა

უკან იდგა ინგლისიც. ჩვენი აზრით, რომელიც დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებს ემყარება, სეპარატისტული სახელმწიფოს ერთ-ერთი წამქეზებელი და მათი ანტიქართული საქმიანობის ორგანიზატორი იყო ინგლისი, თავისი შორსმიმავალი გეგმებით.

1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავის შემდეგ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები უნდა გადასცემოდა ინგლისს. საქმე ისე წარიმართა, რომ თითქოს ეს ტერიტორიები უნდა გადასცემოდა ქართულ მხარეს, მაგრამ საქართველოს მთავრობის აგრარული რეფორმით შეშინებული მესხი ბეგები გაემიჯნენ მას და ჩამოაყალიბეს ,,ახალციხის დროებითი მთავრობა“. მას სათავეში ჩაუდგა ომარ ფაიქი (ყიფიანი). სამხედრო მინისტრად არჩეულ იქნა სერვერ-ბეგ ათაბაგი (ჯაყელი), მიწათმოქმედების მინისტრად – რიზა-ბეგ აგალოვი, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრად მურსალ მუსაკიევი, გენერალ-გუბერნატორად კი დანიშნულ იქნა ბახში-ბეგ მაჩაბელი (იქვე: 465). ქართული ჯარის მიერ ახალციხის დაკავების შემდეგ აღნიშნული მთავრობა დაიშალა.

,,ყარსის რესპუბლიკის“ ლაშქარში, ძირითადად, გაერთიანებულნი იყვნენ ოსმალო ოფიცრები და ასკერები, ასევე, ბათუმიდან ჩასული რუსი თეთრგვარდიელები. გაზეთ ,,ერთობის“ ცნობით, მათი რიცხვი 12 000-მდე აღწევდა (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №70).

მასალებიდან ირკვევა, რომ სეპარატისტებს კავშირი ჰქონდათ აზერბაიჯანის ბათუმის კონსულ მაჰმუდ-ბეგ ეფენდიევთან (სდსინ 2008:466).

საბოლოოდ, გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით, 20 000-იანმა ქართულმა ჯარმა 1919 წლის 7 მარტს აიღო ახალციხე (ლომსაძე 1997: 476), ხოლო აპრილის პირველ ნახევარში სეპარატისტებისაგან გაწმენდილ იქნა ფოცხოვი და არტაანიც. 1919 წლის 13 აპრილს დაშლილად გამოცხადდა ე.წ. ,,ყარსის რესპუბლიკის“ მეჯლისი, ხოლო 12-კაციანი მთავრობა კუნძულ მალტაზე იქნა გადასახლებული.

ყარსში მიმდინარე მოვლენებს ცოტა მოგვიანებით (1919 წლის 4 აპრილს) გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრება. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, დამფუძნებელ კრებაზე ჩამოუყალიბებიათ ახალციხეში მიმდინარე მოვლენების შემსწავლელი საგანგებო კომისია, რომელსაც სათავეში ედგა

სოციალ-დემოკრატი გ. ანჯაფარიძე. მან, 1919 წლის 4 აპრილს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარმოადგინა საკმაოდ ვრცელი, 11-გვერდიანი ანგარიში. კომისია შეეცადა დაედგინა ახალციხეში მომხდარი აჯანყების მიზეზები. მათი თქმით, ეს იყო ქართული ჯარისა და ადმინისტრაციის არასწორ ქმედებათა შედეგი, რასაც ემატებოდა ოსმალთა პანისლამისტური და პანთურქული აგიტაციები.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ ოსმალო ემისრები აქ ნიადაგის მოსამზადებლად საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავდნენ. ოსმალებს ახლო კავშირი დაუმყარებიათ აზერბაიჯანელებთან. ბაქოს მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოებას ფართომასშტაბიანი აგიტაცია გაუმართავს, ერთი მხრივ, ბათუმისა და ყარსის და, მეორე მხრივ, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. აღნიშნული აგიტაციები ქართველთა წინააღმდეგ იყო მიმართული და მას მეთაურობდა ექიმი სულთანოვი. ვინმე გ. ანჯაფარიძის თქმით, ზოგჯერ ამ აგიტაციას რუსეთის მთავრობაც უჭერდა მხარს. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში აგიტაციას ხელმძღვანელობდნენ ეთნიკურად ინგუში პირები. იქ მცხოვრები ქართველები სერიოზულ საფრთხის შემცველად არ მიიჩნევდნენ ასეთ აგიტაციებს და არ მიმართავდნენ საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

1905 წლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში მოღვაწეობდა მუსლიმურ-თურქულ ლიტერატურაში ცნობილი მწერალი ომარ ფაიყი, რომელიც ოსმალეთიდან დაბრუნებისთანავე შედგომია პანისლამისტურ აგიტაციას და ოსმალთათვის სასარგებლო ნიადაგის მომზადებას. ამასვე ცდილობდნენ სეიმის ყოფილი წევრი პეპინოვი, სერვერ-ბეგ ათაბაგოვი და ადგილობრივი მსხვილი მემამულეები.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ანგარიშიდან შემდეგი მონაკვეთი: ,,1917 წელს 17 ნოემბერში ახალციხის მაზრაში მოხდა ყრილობა კავკასიაში მოსახლე ყველა მუსლიმისა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ბედი მუსლიმი მოსახლეობისა. პირველი სხდომის შემდეგ სხდომები დახურულ კარებშიც წარმოებდა და ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ იქ, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილი იყო, ყოველგვარი კავშირი შეეწყვიტათ საქართველოსთან... რომ საქართველო ბორჯომის აქეთ არ იყოსო. შევქმნათ სახელმწიფო ყარსისა, არდაგანისა და ბათუმის ოლქებისაგან, რომელსაც შეიძლება

მივუმატოთ ახალციხე და ახალქალაქი. ყარსი ჩვენი ციხე იქნებაო, არდაგანი გამოგკვებამს პურით და სხვა სურსათით და ბათუმი კი თბილისის ადგილს დაიჭერს, რადგანაც ის დაგვაკავშირებს დასავლეთ ევროპასთან. იყვნენ ზოგიერთნი, რომლებიც ლამობდნენ ამ სახელმწიფოსათვის ავტონომიის მოპოვებას ოსმალეთის ფარგლებში, მაგრამ მაინცდამაინც ამ უკანასკნელ საკითხს დიდ ყურადებას არ აქცევდნენ“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №7).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) III ტომში კავკასიის მაჰმადიანთა პირველ ყრილობად 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერი არის დასახელებული (სდსინ 2008: 464). დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ყოველივე ეს ერთი წლით ადრე, 1917 წლის 17 ნოემბერს მომხდარა. ამ ყრილობის მოწვევას 1917 წლის ნოემბერში ვარაუდობდა მკვლევარი შ. ლომსაძეც (მაგრამ დღეს არ აკონკრეტებს) (ლომსაძე 1997: 261).

გ. ანჯაფარიძის აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ: პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, როდესაც ოსმალები იძულებულნი გამხდარან ახალციხე-ახალქალაქის მაზრები დაეცალათ, ანტიქართული აგიტაციები ისევ გამოცოცხლებულა. ოსმალები შიშობდნენ, ქართველებს არ დაბრუნებოდათ ეს ტერიტორიები. სწორედ ამ დროს მომხდარა სომხებისა და თურქოფილი მესხი ბეგების შეთანხმება, რომ ჯავახეთი უნდა გადასცემოდა სომხებს, ხოლო მესხეთი კი იმ სახელმწიფოს, რომელსაც ქმნიდა სერვერ-ბეგი და სხვები. სეპარატისტულად განწყობილ ძალებს ახალქალაქიდან დეპეშა გაუგზავნიათ კონსტანტინეპოლში, სადაც ისინი პროტესტს აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ ,,...საქართველო, რომელსაც ყავს მოკავშირედ გერმანია, ცდილობს ძალით ჩაიგდოს ხელში ახალციხის და ახალქალაქის მაზრები...“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №7). აქ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სეპარატისტები სთხოვდნენ ანტანტის სახელმწიფოებს მფარველობის ქვეშ მიღებას და თუ ეს არ იქნებოდა შესაძლებელი, საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ისევ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ერჩივნათ.

აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ახალციხეში ჩამოყალიბებული იყო ე.წ. სეპარატისტული მთავრობა, რომელმაც ადგილობრივ მუსულმან მოსახლეობას

იარაღი დაურიგა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართული ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ 1918 წლის 4 დეკემბერს ქართულმა ჯარმა დაიკავა ახალციხე და სერვერ-ბეგი და ხალილ-ფაშა გაიხიზნენ აქედან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ახალციხეში დაიწყო რეფორმების გატარება, რომელიც გულისხმობდა გლეხებისათვის მიწების გადაცემას. აღფრთოვანებულ გლეხებს ყრილობაც კი მოუწვევიათ და გადაუწყვეტიათ საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა, თუმც ომარ-ფაიყს და სხვებს დაუწყიათ პროვოკაციური ტალღის აგორება, თითქოს საქართველოს მთავრობა არ აპირებდა ადგილობრივ გლეხებზე მიწების გადაცემას, რომ საქართველოში მიწა ძალიან ცოტაა და ,,საქართველოს სურს ტეტიები და რაჭველები გადმოასახლოს აქ, თქვენ კი ყველანი ამოგხოცოთო“ (იქვე). ქართულმა მხარემ ომარ-ფაიყი და პროვოკატორთა ნაწილი დააპატიმრა.

სწორედ ამ მოვლენების შემდეგ მოხდა ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ფაქტი – ქართული ჯარის მიერ ფოცხოვის დაკავება. გ. ანჯაფარიძის ანგარიშის თანახმად, პროვოკატორებმა აქაც დაიწყეს თავიანთი ხლართების დაგება. თითქოსდა, ამ ომის დაწყების მიზეზი იყო ქართული ჯარის უწესობა (მოსახლეობის დარბევა და სხვ.). არადა, ბრძოლები დაიწყო იქ, სადაც ქართული ჯარი არც კი მდგარა. თავდაპირველად, სეპარატისტები გადმოვიდნენ შეტევაზე. აჯანყებულებმა მცირერიცხოვანი ქართული ჯარი ალყაში მოაქციეს. ამან განაპირობა მათი უკან დახევა. ქართველ ჯარისკაცთა სწრაფ უკუსვლას არავინ მოელოდა. იქ მყოფი ქრისტიანი ქართველები, რომლებიც ქართულ ჯართან ერთად იბრძოდნენ, აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. უმრავლესობას არ მიეცა ევაკუაციის საშუალება, ხოლო ვინც გააღწია, ქონების წაღება ვერ მოახერხა. სეპარატისტებმა ასობით ქართული სოფელი დაარბიეს და გაძარცვეს, ბევრი ქართველი დახოცეს და დაჭრეს, ბევრიც ტყვედ წაიყვანეს, განსაკუთრებით, ქალები.

როგორც კი ქართულმა ჯარმა დატოვა ახალციხე, იქ ჩავიდა რაზმი სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს არ იყო პროფესიონალური არმია. სწორედ ამ დროს ჩამოსულან ოსმალეთიდან ოფიცრები, რომლებსაც დაუწყიათ მათი გაწვრთნა. სერვერ-ბეგმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში შექმნა დროებითი კომისარიატი,

რომელსაც თვითონვე თავმჯდომარეობდა. მაღალ თანამდებობებზე სერვერ-ბეგს რუსებიც დაუნიშნავს. ქართველთა წარმომადგენლად მას დაუნიშნავს დედით ქართველი და მამით რუსი, რომელიც სეპარატისტთა თანამოაზრე იყო. ქრისტიანი ქართველები მას თავიანთ წარმომადგენლად არ თვლიდნენ. ამ კომისარიატს ჩამოყალიბებული ჰქონდა სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა რგოლი. ჯარის გაწვთნის მიზნით, სერვერ-ბეგს რუსი პოლკოვნიკიც ჩამოუყვანია (სავარაუდოდ, ბათუმიდან). ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ პოლკოვნიკს სერვერ-ბეგისათვის ჯარის რეფორმის პროექტი წარუდგენია დასამტკიცებლად.

სერვერ-ბეგის „მმართველობა“ ახალციხის მაზრაში მხოლოდ 26-27 დღეს გაგრძელებულა. მიზეზი მისი ბატონობის დასრულებისა იყო ის, რომ მას ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ დაუჭირა მხარი. ვერც ხარკი აკრიფა მოსახლეობის უმრავლესობიდან და ვერც მობილიზაცია მოახდინა ჯარის შესაქმნელად. ძირითადი საყრდენი სერვერ-ბეგისა ყოფილა ფოცხოვი. მას ზოგიერთი ბეგიც ჩასდგომია ოპოზიციაში – „ის რატომ უნდა იყოს ბატონი და არა ჩვენო“ (იქვე).

სწორედ ამ განხეთქილების დროს გადავიდა ქართველთა ჯარი შეტევაზე. აწყურში გაიმართა პირველი ბრძოლა, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ორი კვირის შემდეგ, ქართველებმა მთლიანად გაწმინდეს სეპარატისტებისაგან ახალციხის მაზრა და აიღეს ფოცხოვიც. ჯარს გენერალი კვინიტაძე მეთაურობდა, რომელსაც მხარში ედგა შტაბის უფროსი გენერალი გედევანიშვილი. სერვერ-ბეგმა და მისმა მომხრეებმა გაქცევით უშველეს თავს. სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ სწრაფად ვერ მოახერხა ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბება. ამით უსარგებლიათ ბნელ ელემენტებს და დაუწყიათ მოსახლეობის ძარცვა. როგორც კი ქართულმა ჯარმა დატოვა ახალციხე, სერვერ-ბეგი ისევ დაბრუნებულა იქ თავისი რაზმით. მათ ქართველ ჯარისკაცთა სამოსი სცმიათ და ქართველთა სახელით უწესობას სჩადიოდნენ თურმე – ისინი ძარცვავდნენ სოფლებს და მოსახლეობას ართმევდნენ ხორბლეულს.

ქართულმა მხარემ დაზარალებულთა და ლტოლვილთათვის ჩამოაყალიბა სპეციალური დამხმარე კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი ქართველები.

ბრძოლები სეპარატისტებსა და ქართულ ჯარს შორის ისევ გაგრძელებულა. მხოლოდ ქართველთა ჯარის მე-4 პოლკმა დაიხია უკან (თუმცა მალევე გამოასწორა შეცდომა), დანარჩენებმა კი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

საბოლოო ჯამში, ახალციხეში მიმდინარე მოვლენების შემსწავლელმა საგანგებო კომისიამ გააკეთა დასკვნა, რომ აღნიშნული იყო არა ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილი აჯანყება, არამედ ოსმალთა მიერ ინსპირირებული მოძრაობა, რომელიც დაიწყო ფოცხოვის რაიონიდან.

დამფუძნებელი კრების მომდევნო სხდომაზე (1919 წლის 15 აპრილი) შემუშავებულ იქნა კანონპროექტი ახალციხე-ახალქალაქის ლტოლვილთა და დაზარალებულთათვის ორი მილიონი მანეთის გადაცემის შესახებ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №10).

1919 წლის 25 აპრილს დამფუძნებელი კრების მე-12 სხდომაზე ისევ მესხეთში არსებული პრობლემები იქნა გამოტანილი განსასჯელად. ნოე რამიშვილის განცხადებით, სეპატარისტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციები აპრილის შუა რიცხვებშიც გაგრძელებულა. იმავე წლის 16 აპრილს, ქართული დივიზიის ორ სამთო ბატარეას გენერალ ართმელაძის მეთურობით, გადაულახავს ხანიორის უღელტეხილი და დაბანაკებულა სოფლებში: სეიდი, ძირანურა, ზემო და ქვემო გიუნდაში და ტამალში. 18-19 აპრილს ქართულმა ჯარმა უკუაქცია სეპარატისტები. 20 აპრილს კი გამართულა გადამწყვეტი ბრძოლა და მოწინააღმდეგენი იძულებულნი გამხდარან დაეტოვებიათ არტაანი. ისინი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასულან და გადაუწყვეტიათ ხიდის დაწვა, რის საშუალებაც ქართულმა არტილერიამ არ მისცა. მას შემდეგ, რაც ქართული ჯარი გადავიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მოწინააღმდეგენი, სერვერ-ბეგ ათაბაგოვისა და ჯამალ-ბეი ხიმშიაევის მეთაურობით, გამაგრებულან არტაანის სიმაგრეებში, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს ქართული ჯარის შემოტევას და დაუხევიათ უკან, ოლთისისა და ყარსის მიმართულებით. ამ ოპერაციების შედეგად, ქართულ ჯარს ხელში ჩაუვარდა მტრისაგან მიტოვებული ერთი ზარბაზანი და 18 ყუთი ყუმბარა, ხოლო არტაანის ციხის აღების შედეგად – 4 საციხოვნო გაუბიცა და 33 ზარბაზანი. ბრძოლების დასრულებისას, ქართული მხარის დანაკლისი იყო 2 დაღუპული და 19 დაჭრილი

ჯარისკაცი, ხოლო მოწინააღმდეგისა – გაცილებით მეტი (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №12).

21 აპრილიდან, გენერალმა ართმელაძემ სამხედრო ოპერაციები წარმართა ოლთისისა და ყარსის მიმართულებით, რომლებიც ასევე წარმატებით იქნა განხორციელებული. შედეგად, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები მთლიანად გაიწმინდა სეპარატისტებისგან (იქვე).

განსაკუთრებით საინტერესოა 1919 წლის 10 მაისის დამფუძნებელი კრების მე-15 საგანგებო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, სადაც სიტყვით გამოსულა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მისი თქმით, მესხეთში მომხდარი ამბები მთლიანად ინგლისელების ბრალი ყოფილა. მას ხელში ჩავარდნია კერძო კორესპონდენცია ყარსიდან, სადაც დაცული ყოფილა შემდეგი ინფორმაცია: ,,ჩამოვიდნენ თუ არა ინგლისის წარმომადგენელნი, მათ განაცხადეს: ინგლისელებმა ჩამოართვეს ოსმალეთს ბათომის და ყარსის ოლქი იმიტომ, რომ შექმნან იქ წესიერება და კანონიერება და აქ იქნებიან, ვიდრე ამ ოლქების ბედს არ გადასწყვეტს საზავო კონფერენცია. შინაურ საქმეების მართვა-გამგეობა ჩაჰბარდება ადგილობრივ მაჰმადიანებს, ხოლო თვითონ იკისრეს უმაღლესი განმგებლობა და კონტროლი. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოლაპარაკება გამართეს მუსულმანებთან და მისცეს წინადადება დაეარსებიათ ახალი რესპუბლიკა ახალი მთავრობით. ეს მოლაპარაკება დამთავრდა მით, რომ მთავრობა დაარსდა. როდესაც მათ მიერ დანიშნულ დეპუტატებისაგან პარლამენტიც შესდგა, ინგლისის წარმომადგენელი მოდის პარლამენტის პირველ სხდომაზე და მიმართავს შემდეგი სიტყვებით: ,,ბატონებო, მოგესალმებით თქვენ, ხალხის არჩეულნო! (თუმცა არავის ისინი არ აურჩევიათ). მე ჩამოვედი თქვენში მოკავშირე სახელწიფოს – ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკისაგან სახელმწიფოებრიობის და წესიერების შესაქმნელად. მოკავშირეთა გამარჯვება არის გამარჯვება პატარა ერებისა. მე არ ჩავერევი თქვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ ყოველის მხრივ დაგეხმარებით და გამოგესარჩლებით. ჩვენ საქმით გავამართლებთ ჩვენ დაპირებას“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (პირველი წიგნი) 1919: 71).

სიმონ მდივანის თქმით, აღნიშნული მომხდარა 1919 წლის თებერვალში. მაგრამ მოგვიანებით ინგლისელები დარწმუნებულან მათ უუნარობაში და ინგლისელი გენერალი ისევ დასწრებია მათი პარლამენტის მორიგ სხდომას და განუცხადებია „...თქვენი „შურა“ (პარლამენტის სახელია) გამოცხადებულია დაშლილად და ამიერიდან მთელი ძალაუფლება გადადის ინგლისის სარდლობის ხელში...“ (იქვე). როგორც კი დაასრულა სიტყვა გენერალმა, შურადან გარეკეს დეპუტატები და ქუჩები გაივსო ინგლისელთა ჯარებითა და საჰაერო პლანებით. მთელი მთავრობა დააპატიმრეს და გადაასახლეს კუნძულ მალტაზე.

ინგლისელები მიაჩნდა ყარსის რესპუბლიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორად მკვლევარ მ. სიორიძესაც (სდსინ 2008: 466-467), თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ სხვა მეცნიერები. ამ სტენოგრაფიული ანგარიშიდან კი დასტურდება მ. სიორიძის ვარაუდი. გარდა ამისა, თვითმარქვია სახელმწიფოს პარლამენტის დაშლაც მთლიანად ინგლისს დაბრალდა.

ჩვენც ვეთანხმებით აღნიშნულ ვარაუდს და ვფიქრობთ, თუ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლები კუნძულ მალტაზე იქნენ გადასახლებულნი, მათი იქ გადასახლება უფრო მეტად ინგლისელებს ხელეწიფებოდათ, ვიდრე ქართველებს.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინგლისელები თავისი მოქნილი დიპლომატიით ცდილობდნენ კონტროლის დამყარებას მთელ კავკასიაზე, რატომ არ შეეცდებოდნენ მის განვრცობას მესხეთზე?! ვფიქრობთ, რომ ს. მდივანის წარმოთქმული სიტყვები (და მ. სიორიძის ვარაუდი) ჭეშმარიტების საკმაოდ დიდ მარცვალს შეიცავს და ყარსის რესპუბლიკის ჩამოყალიბებასა და მის დაშლაში ინგლისელებსაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით.

თავი V. ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წელს და საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი

5.1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წლის პირველ ნახევარში და საქართველოს პარლამენტი

1920 წლის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვითარება ისევ დაძაბული იყო. მასზე ერთდროულად თვალი ეჭირა რამდენიმე დამპყრობელს. აშკარა იყო, რომ რუსეთში სამოქალაქო ომი ბოლშევიკების გამარჯვებით დასრულდებოდა და შესაბამისად, ინგლისელებისა და დენიკინელების პოზიციები ველარ იყო ისეთი მტკიცე. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა თვისი ჯარები შეეყვანა ამ ტერიტორიაზე. მიუხედავად ინგლისელების გაფრთხილებისა, რაზეც ჩვენ დეტალურად გვექნება ქვემოთ საუბარი, ქართველებმა მაინც მოახერხეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აღნიშნულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა საზოგადოების განწყობაზე. ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი თანაუგრძნობდა ქართულ ჯარს და ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“ იუწყებოდა: ,,სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აზერბაიჯანის აგენტები აშკარად აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე. ჩვენი ხალხი საქართველოს ჯარს ელის აღფრთოვანებით და სიყვარულით, რათა დაიცვან ძველი საქართველო“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №321). გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა ქართველ ერს, რათა ისინი არ წამოგებოდნენ დენიკინელების, ოსმალების, აზერბაიჯანელებისა და ბოლშევიკების აგენტების პროვოკაციებს: ,,ჩვენი მტრები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ ჩვენი ქვეყანა დაღუპონ. ადერბაიჯანის, ოსმალეთის ავანტიურისტების, დენიკინელების და ბალშევიკების აგენტები შეერთდნენ, რომ მათი ბნელი განზრახვები სისრულეში მოიყვანონ. მათი უმთავრესი სამოქმედო გეგმა კი ის გახლავთ, რომ ჩვენი ხალხი რამეფრად ჩამოაშორონ საქართველოსთან

ერთობას. ამ მიზანს ხელი-ხელ ჩაკიდებული ემსახურებიან ზემოთ ჩამოთვლილ ძალების აგენტები. ამ მიზნისთვის ხურჯინებით არიგებენ ფულებს, როგორც ადერბაიჯან – ქემალ-ფაშის აგენტები, ისე ,,დიდი რუსეთის“ მოციქულები – ბალშევიკები“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №320).

დენიკინელებისა და ბოლშევიკების ანტიქართული ქმედებანი მხილებულ იქნა იმავე გაზეთის ფურცლებზე, სადაც ვკითხულობთ, რომ ,,დენიკინი ,,მატუშკა როსიის“ სახელით აერთიანებდა რუსეთს, ლენინი კი ამასვე ლამობს სოციალიზმის სახელით. მარა ვისთვის არაა გასაგები, რომ სოციალიზმი აქ არაფერ შუაშია, სოციალიზმი მხოლოდ შირმაა, ნამდვილად კი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმი, რომელიც არაფრით განსხვავდება კაპიტალისტური იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკისაგან“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №331). აღნიშნული შეფასება აბსოლუტურად სწორია, რადგან დენიკინელებიცა და ბოლშევიკებიც ცდილობდნენ ცარისტული რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში აღედგინათ თავისი ქვეყანა.

ამ მძიმე ვითარების ერთგვარი ანალიზია მოცემული გაზეთ ,,საქართველოს რესუბლიკაში“ გამოქვეყნებულ მემედ აბაშიძის წერილში. მასში ავტორი ცდილობს ბათუმის ოლქის მკვიდრთ აუხსნას საქმის არსი და საერთაშორისო ვითარება, რომელიც შექმნილია იმ დროისათვის. მისი თქმით: ,,...რუსეთის თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ჩვენ სავსებით გავენადგურებინეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენ საყვარელ მიწა-წყლიდან... მთელი ქართველობა აღაშფოთა თვითმპყრობელობის ასეთმა ვერაგულმა საქციელმა. მთელი ქართველი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას...

მშობლიურმა გრძნობამ იფეთქა, ძმამ ვერ მოითმინა ძმის ტანჯვა-ვაება, ერთმა ძმამ – ქართველ ქრისტიანებმა, მეორე ძმას – ქართველ მუსლიმანებს – ძმური ხელი გამოგვიწოდა...

ზოგიერთები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ოსმალეთს უნდა შევუერთდეთ. კარგათ ჩავუკვირდეთ: შესრულდება ეს თუ არა.

ოსმალეთმა ომი წააგო. შეთანხმების სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია მას ანაწილებენ. მას ჩამოაცილეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა – მთელი არაბეთი. თვით სტამბულის ბედზეა ახლა დავა.

ასეთია ოსმალეთის მდგომარეობა. სამწუხაროა ეს, მარა ეს ასეა, მწარე სინამდვილეა.

და თქვენ გატყუებენ, ძმებო!..

ჩვენი ერთად ერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია...“ (გაზ. ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №40).

ქართული ჯარების ბათუმის ოლქში შეყვანა მოიწონა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (1920 წლის 19 მარტი), რომელმაც დაადგინა:

,,1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს;

2. დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 59).

ბათუმის ოლქში მყოფი ინგლისელები მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროვოკაციებს ქართული ჯარის საწინააღმდეგოდ. ისინი ისე გაკადნიერდნენ, რომ იარაღის დარიგებაც კი დაიწყეს მოსახლეობაში. იარაღს, ძირითადად, აძლევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც გახლდათ ოსმალური ორიენტაციისა ან რუსეთისადმი კეთილად განწყობილნი. აღნიშნული დაგმობილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, რომელმაც საპროტესტო ნოტაც კი გაგზავნა ანტანტის უმაღლესი საბჭოს სახელზე (სდსინ 2008: 500).

ქართული ჯარის ბათუმის ოლქში შემოსვლას გარკვეული ინციდენტიც მოჰყვა. ქობულეთის რაიონში, მდინარე ჩოლოქთან, მათ მოსახლეობის ნაწილი აღუდგა წინ. ესენი იყვნენ ძირითადად ანტიქართულად განწყობილი ძალები, რომელთაც ,,სედაი მილეთის“ პარტია აერთიანებდა.

„სედაი მილეთელები“ შეიარაღებულ რაზმებს ადგენდნენ და ძარცვავდნენ ყველას, ვინც უარს განაცხადებდა მათთან გაწევრიანებაზე. ამის მაგალითები უხვად

შემოგვინახა იმ პერიოდის ქართულმა პრესამ და მათგან ერთ-ერთი მაგალითი გადმოცემულია გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველოს“ ფურცლებზე. მასში აღწერილია, თუ როგორ დაატყვევეს ორი ოძგვირეთელი (შავშეთი) გლეხი, რომლებიც უარს ამბობდნენ ამ რაზმში გაწევრიანებაზე. შემდეგ საქმეში ჩარეულა მთელი სოფელი და 30 ოქროს საფასურად გაუთავისუფლებიათ ისინი (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №390).

მას შემდეგ, რაც რუსეთში დასასრულს მიუახლოვდა სამოქალაქო ომი და აშკარა გახდა, რომ ბოლშევიკები არავის დაუთმობდნენ ამიერკავკასიას, ინგლისელებმაც ნელ-ნელა შეასუსტეს თავისი გავლენა აქ. ამ მომენტით სარგებლობა დააპირა ოსმალეთის მთავრობამ. მართალია, მას იმის ძალა არ გააჩნდა, რომ ბათუმის ოლქში დიდი სამხედრო ძალები გადმოესროლა, მაგრამ პატარ-პატარა ბანდფორმირებების შემოგზავნა მოახერხა. სწორედ ისინი ღებულობდნენ მონაწილეობას ქობულეთისა და ხულოს ტერიტორიაზე ქართული საქმის საწინააღმდეგო პროვოკაციებში. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ ,,...ვისგან შესდგება ის ,,ბანდები“, რომლებიც დღეს ბათომის ახლო-მახლო დათარეშობენ, დაწვრილებით არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ აქ ოსმალო იმპერიელისტების ხელი მუშაობს“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №45).

ჰაიდარ აბაშიძის თქმით: ,,დიდი ხანია, რაც ოსმალეთის და ადერბაიჯანის აგენტები, ისლამის ქურქში გამოხვეულნი, დადიან სამუსლიმანო საქართველოში. ეს ვაჟკაცები, ქართველ-მუსლიმანებს ევლინებიან ისლამის დარაჯათ და ხალხს არწმუნებენ, რომ თუ ისინი არა, ქართველ-მუსლიმანებს, დიდი ხანია შეუბღალავდნენ მათ წმინდათა წმინდა სარწმუნოებას, როგორც რუსები, აგრეთვე ქართველი ქრისტიანებიც.

ჩვენ კარგათ ვიცოდით და დღესაც ვიცით, თუ რა აინტერესებდათ ამ აგენტებს. მათ უნდათ არა ისლამის დაცვა ჩვენში, არამედ ჩვენი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება მათ საკუთარ ინტერესების და მიზნებისათვის...“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №57).

იმის შემდეგ, რაც ოსმალებმა ვერ მოახერხეს ქობულეთსა და ჩოლოქთან სიტუაციის გამწვავება, დაიძრენ ზემო აჭარისაკენ. მათ მიზანს წარმოადგენდა

ხულოში მყოფი ქართული ჯარის განიარაღება. მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ ამის შესახებ, ინგლისელებმა არანაირი ღონისძიებები არ გაატარეს მის აღსაკვეთად. გაზეთი ,,საქართველო“ იუწყებოდა, რომ ხულოში დისლოცირებული ქართული ჯარის წინააღმდეგ შეტევის გეგმაში გარკვეული ცვლილებები შეუტანიათ ოსმალეთიდან გადმოსულ ემისრებს (გაზ. ,,საქართველო“ 1920 №66) და ქესკინ-ზადეს (სდსინ 2008:502). ქესკინ-ზადე, გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ თანახმად, გახლდათ: ,,...თავხედი კაცი, აცხადებს რა თავის თავს ,,დამოუკიდებელი აჭარისტანის პირველ კაცად“, კატეგორიულად ამბობს, რომ ის ,,აჭარისტანის მთავარ სარდლად დანიშნა გენ. კუკ-კოლისმა, რაც სრულებით არ უნდა უკვირდეს ვისმესო!“..

ის ის კაცია, რომელიც ბოლშევიკების ფულებით, თურქების ხელმძღვანელობით და სხვა ავანტიურებით ბათომის ოლქს იარაღში სხამს, ის კაცი, რომელიც ნახევრად ოფიციალურ პირთან ლაპარაკში ამაყად ამბობს, რომ როდესაც ხულოში ქართველ ჯარზე ,,გავიმარჯვე“, გენ. კუკ-კოლისმა მომილოცა და მირჩია ქართველები დამეტყვევებინაო...“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №135).

ოსმალები უშედეგოდ ცდილობდნენ მოსახლეობის გადაბირებას. ზემო აჭარის მკვიდრნი ბათუმში მყოფ საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულ მ. ხოჭოლავას სთხოვდნენ, რომ აღმკვეთი ღონისძიებები გატარებულიყო და ხულოსა და არტანუჯ-ართვინის ქართული რაზმები გაეძლიერებინა, მაგრამ დიდთოვლობამ გოდერძის უღელტეხილი ჩაკეტა და ვერ მოხერხდა ახალციხიდან დამატებითი რაზმების შემოყვანა. ამით ისარგებლეს მოწინააღმდეგეებმა და დაიწყეს საომარი ოპერაციები (იქვე). ფიცხელი ომები გაიმართა სოფელ დანისპარაულთან და გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში. გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა, რომ ამ ბრძოლებში ქართულ ჯარს აჭარელთა ასკაციანი რაზმიც ეხმარებოდა (გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1920, №843).

ხულოსა და ჭვანაში გამართულ კრებაზე ქესკინ-ზადეს პირდაპირ განუცხადებია, რომ დავალებული ჰქონდა გოდერძის უღელტეხილის გადაკეტვა და აჭარიდან ქართული ჯარების განდევნა. ამის შემდეგ აჭარა უნდა გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად და მასზე უნდა დამყარებულიყო

ინგლისის პროტექტორატი (სდსინ 2008: 503). აჭარის მოსახლეობამ მას მხარი არ დაუჭირა, უფრო მეტიც, „სედაი მილეთელთა“ ნაწილმა მემედ ჭყონიას ხელმძღვანელობით ასკაციანი რაზმი ჩამოაყალიბა და აჭარაში მოქმედი ბანდფორმირებების ლიკვიდაციას შეუდგა.

ბათუმის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლობითი ყრილობის მიერ არჩეულმა მეჯლისმაც დაგმო უცხო სახელმწიფოთა აგენტების ანტიქართული ქმედებანი. მეჯლისის მიერ მიღებული დადგენილებით: ,,...გამოვთქვამთ რა ამით მთელი ხალხის ნების ყოფას, აღვნიშნავთ აღშფოთებით, რომ გარედან შემოსული ძალები სხვა და სხვა მიმართულებისა და ჯგუფებისა ცდილობენ ჩვენი მხარის ისედაც მძიმე მდგომარეობის უფრო გართულებას. ეს გარეშე ძალები, რომელთაც არავითარი თავშესაფარი არა აქვთ ქ. ბათუმთან და მის ოლქთან, ყოველ ძალღონეს ხმარობენ ჩვენში არევ დარევის შესატანად და მით გვიშლიან ხელს მოვაწყოთ ჩვენი ბედი...“ (გაზ. ,,საქართველო“, 1920, №93). 1920 წლის 23 აპრილს გამართულ მეჯლისის სხდომაზე მემედ აბაშიძე გამოეხმაურა აღნიშნულ საკითხს: ,,...ჩვენი მტრები ყოველივე ზომებით ცდილობენ და ილაშქრებენ ჩვენს წინააღდეგ, რომ ხელი შეგვიშალონ ხალხის მისწრაფების და სურვილების განხორციელებაში...

თქვენ მოწოდებული ხართ გააკეთოთ დიდი საქმე. ჩვენ ბევრი საკითხი გვაქვს გადასაჭრელი. მე დარწმუნებული ვარ თქვენი მუშაობა ნაყოფიერი იქნება და ქვეყნას სამშვიდობოს გაიყვანთ...“ (გაზ. ,,საქართველო“, 1920, №97).

სწორედ ამ დროს, ლონდონის კონფერენციაზე გადაწყვიტეს ბათუმი გამოეცხადებინათ თავისუფალ ქალაქ-სახელმწიფოდ ერთა ლიგის მანდატის ქვეშ, რომელზეც დეტალურად გვექნება საუბარი ქვემოთ. ამას მოჰყვა დიდი საპროტესტო გამოსვლები მთელ საქართველოში. აღნიშნული ფაქტი დაგმობილ იქნა სამუსლიმანო საქართველოს 23 აპრილს გამართულ მეჯლისის სხდომაზეც, სადაც მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი დადგენილება, რომ ,,ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ხოლო ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით ქართველები უცხადებთ ყველას, რომ არავის მივცემთ უცხოს ნებას ჩაერიოს ჩვენს საქმეებში და დაეპატრონონ ჩვენი ქვეყნის გამგებლობას“ (აბაშიძე 1998: 221-222).

ამ დროს საქართველოს მთავრობამ დამატებითი ჯარები შეიყვანა ბათუმის ოლქში, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ინგლისსა და საქართველოს შორის (ცუხიშვილი 1996: 42-50). ქართულმა მხარემ თავიდან აირიდა მოსალოდნელი საფრთხე და ინგლისელებს შესთავაზა ბათუმის ოლქში შემოსული ჯარები დაქვემდებარებოდა მათ სარდლობას. აღნიშნული წინადადება მოიწონა ინგლისელთა უმაღლესმა კომისარმა ოლივერ უორდროპმაც. თუმცა ინგლისელთა სარდლობა მაინც მოითხოვდა ქართული ჯარის გაყვანას (სურგულაძე 1996: 77-80).

საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკურ რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს გააფორმა ხელშეკრულება, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს ხელშეკრულება ინგლისელებმა აღიქვეს იმ ,,მესიჯად", რომელმაც გადააწყვეტინა მათ ბათუმის დატოვება და მისი დედა-სამშობლოსთან გაერთიანება.

1920 წლის პირველ ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები, საზოგადოებრივი განწყობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური ასპექტები გაშუქებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომებზე.

1920 წლის 19 მარტს დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე საკმაოდ ვრცელი სიყვით გამოვიდა სოციალ–ფედერალისტი ს. მდივანი, რომელმაც ხაზი გა-უსვა ბათუმის ოლქში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მისი თქმით, ,,...ბათომში აუარებელი ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. სპეკულაცია აყვა-ნილია უმაღლეს წერტილამდე..." (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 5-13). ანალოგიურზე საუბრობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ,,...საშინელი სასურსათო კრიზისი, ზღაპრულად ცხოვრების გაძვირება, აღვირახსნილი სპეკულიანტთა ვაქხანალია, ადმინისტრაციული აპარატის სრული დაცემა, აი რა ახასიათებს ბათომის და მისი ოლქის დღევანდელ ვითარებას" (იქვე: 13-17). ბუნებრივია, ოლქში შექმნილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ყველაზე მწვავედ აწვა ადგილობრივ მოსახლეობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ-ბეგ აბაშიძის გამოგზავნილ დეპეშას, რომელსაც

ტაშით მიეგება დამფუძნებელი კრება (იგი წაკითხულ იქნა 1920 წლის 19 მარტის სხდომაზე). ამ დეპეშაში ვკითხულობთ შემდეგს:

,,საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს.

გასული წლის 31 აგვისტოს მთელი ბათომის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენელთა ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ქალაქ ბათომში ინგლისის ადგილობრივი სარდლობის ნებართვით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ქალაქი ბათომი და ბათომის ოლქი განუყრელი და განუყოფელი ნაწილია საქართველოსი და მოითხოვა, რომ ხელოვნურად საქართველოსაგან მოწყვეტილი ოლქი ავტონომიურად გაერთიანებულ იქნას დედა-სამშობლო საქართველოსთან. ყრილობამ აირჩია მეჯლისის წევრნი, რომელთაც დაევალათ ეზრუნათ ყრილობის ხსენებული დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. ეს გადაწყვეტილება ბათომის ოლქის მუსლიმან ქართველებისა, რომელიც 95 პროც. შეადგენენ ოლქის მცხოვრებლებისას, მეჯლისმა აცნობა სპეციალური დელეგაციის საშუალებით როგორც საქართველოს მთავრობას და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში მისტერ უორდროპს, ისე სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებსაც. ამის შემდეგაც ბათომის ოლქის ქართველ მუსლიმანებს არა ერთჯერ და ორჯერ გამოუთქვამთ თავისი ნებისყოფა ოლქისა და ქალაქ ბათომის საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ.

მიუხედავად ოლქის მცხოვრებთა ასეთი სურვილისა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს გადაუწყვეტია, რომ ქალაქ ბათომისაგან მცირედი ზონითურთ გამოიჭრას ,,პატარა სახელმწიფო“. უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის ნება-სურვილს, სასიკვდილო ლახვარს სცემს როგორც ჩვენს ოლქს, ისე დედა-სამშობლოს საქართველოს, რომლის განუყოფელი და განუყრელი ნაწილია ქალაქი ბათომი და მისი ოლქი.

ბათომის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის სახელით, ვაცხადებ რა უმაღლეს პროტესტს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილების გამო, ვთხოვ ჩვენ ძმებს – ქრისტიან ქართველებს, საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას არ დაგვტოვონ ასეთ უბედურ მდგომარეობაში, რაც თავს დაგვატეხა

ქართველ მუსლიმანებს უმაღლეს საბჭოს დადგენილებამ; მოგვხედონ და დაგვეხმარონ ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად; მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება, რათა ბათომი და ბათომის ოლქი ავტონომიურად გაერთიანდეს დედა-სამშობლო საქართველოსთან...

ბათომის ოლქის მუსლიმან ქართველთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე“ (იქვე: 18-21).

ამ დეპეშაში კარგად ჩანს ბათუმის ოლქის მკვიდრთა განწყობა და პოლიტიკური მრწამსი.

ბათუმში შექმნილ მძიმე ვითარებას ართულებდა ოსმალო აგენტების დემაგოგიური ქადაგება, „რომ ბათომი ოსმალეთს დაუბრუნდებაო, რომ ოსმალეთი არის ხვალინდელი პატრონი ბათომისაო“. დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ პრობლემას გამოეხმაურა აკაკი ჩხენკელიც, რომლის თქმითაც, „ბათუმის ოლქში ირაზმებიან ჩეტნიკები, ისინი შემოდიან ლაზისტანიდან და დიდ საფრთხეს უმზადებენ რესპუბლიკას. ვინ რაზმავს ამ ჩეტნიკებს, ვინ აწარმოებს ოლქში ოსმალეთის ნაციონალისტების პოლიტიკას, ვინ ქმნის აუტანელ ანარქიას?..“ (იქვე: 21-22). მართალია, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი არ წამოეგო მათ პროვოკაციას, თუმცა მცირე ნაწილი პროოსმალური ორიენტაციისა იყო. დამფუძნებელი კრების შეფასებით, მოძრაობა ბათუმის დასაცავად მიმართული იყო ოსმალეთის, დენიკინელების, ბოლშევიკების და ანტანტის წინააღმდეგ.

დამფუძნებელი კრების სხდომაზე გახმიანებულ იქნა ქართული საზოგადოების პოლიტიკური მრწამსი ,,...ჩვენ არ დაგვივიწყნია ძველი ანდერძი, რომელიც ამბობს: საქართველომ არ უნდა დაკარგოს არტანუჯ-არტაანის ხაზი, თუ არ უნდა თავის მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ გვახსოვს მეორე ანდერძი, რომელიც დაიწერა ბათომში. ეს არის ის, რომ ჩვენ ჩვენს მომავალს ვუკავშირებთ დემოკრატიას, ვუკავშირებთ პროგრესს, წინსვლას. ამ ორ ანდერძში სავსებით გამოხატულია და გადაჯაჭვულია ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ამის დამადასტურებელია მოზღვავებული ხალხი გარედან და მრავალი დეპეშები ჩვენი მოძმე

მაჰმადიანებისაგან ბათომიდან. ჩვენ სრული იმედი გვაქვს დამფუძნებელი კრება და მთავრობა თავიანთ მოვალეობას ღირსეულად შეასრულებენ და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების ღირსეული შვილნი ვართ“ (იქვე: 40).

შეიძლება ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში დეტალურად არის განხილული ბათუმის ოლქში მიმდინარე მოვლენები და ისიც, თუ რა ზეგავლენას ახდენდა ყოველივე ეს ქართულ საზოგადოებაზე.

5.2. ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (პორტო-ფრანკო) გამოცხადების საკითხი და საქართველოს პარლამენტი

მუდროსის ზავით, ოსმალებს დიდი ბრიტანეთი ჩაენაცვლა, რომელიც 1918 წლის დეკემბერში შემოვიდა ბათუმში. ინგლისელებმა დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი. ისინი დენიკინელებთან უფრო თანამშრომლობდნენ, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან. ამასთან, არ აძლევდნენ საშუალებას ფრანგებს, ოსმალებსა და ამერიკელებს – კონკურენცია გაეწიათ საქართველოში პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში.

მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ცდილობდნენ ქალაქ ბათუმის დასაკუთრებას. იგი, ერთი მხრივ, გახლდათ მოხერხებული ნავსადგური ბაქოდან ნავთობის ტრანზიტისათვის, მეორე მხრივ კი – ევროპა-აზიის მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი. საბოლოო ჯამში, ევროპის ცნობილ დიპლომატებში მომწიფდა ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად, იგივე „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადების იდეა (სურგულაძე 1996). პირველად აღნიშნული იდეა გააჟღერა იტალიელმა დიპლომატმა კარლო სფორცამ – იტალიის უმაღლესმა კომისარმა კონსტანტინეპოლში, რომელმაც 1919 წლის 14 სექტემბერს რომში გაგზავნა შეტყობინება, სადაც საუბარია შემდეგზე: ,,თუ პარიზის საზავო კონფერენცია გადაწყვეტს, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცეს, სასურველი იქნება ბათუმის ნავსადგურზე, საბაჟოსა და რკინიგზაზე დარჩეს მოკავშირეების კონტროლი...“ (ტაბაღუა 1982: 89). ანალოგიურ აზრამდე მივიდნენ ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებიც (იქვე: 90).

მას შემდეგ, რაც ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი 1919 წლის ბოლოსათვის დარწმუნდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში, მისი სურვილი იყო დაემყარებინა მასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები (ლოიდ ჯორჯ 1957: 284-286), ასევე, მოეხდინათ ბათუმიდან ჯარების გაყვანა (ავალიშვილი 2011:198). აღნიშნულ დადგენილებას მხარს არ უჭერდნენ ინგლისის მთავრობის წევრები ჯ. კერზონი და უ. ჩერჩილი. 1920 წლის 9 თებერვალს კერზონმა მთავრობას შესთავაზა ბათუმის საკითხი განეხილათ ლონდონის პირველ კონფერენციაზე

(სიორიძე 2007:127-131). კერზონის წინადადება ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ თუკი ინგლისელები დატოვებდნენ ბათუმის ოლქს, ამიერკავკასიის რესპუბლიკები ამას აღიქვამდნენ, როგორც ღალატს.

ლონდონის კონფერენცია მიმდინარეობდა 1920 წლის 12 თებერვლიდან 10 აპრილამდე. კონფერენციას ესწრებოდნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტი ა. მილერანი. განსახილველი იყო უმთავრესი პრობლემა – რუსეთში თეთრგვარდიელთა დამარცხება და ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ შესაძლო ცვლილებები. კონფერენციაზე უნდა შეემუშავებინათ კავკასიაში ბოლშევიზმის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებანი. დიდი ყურადღება დაეთმო ბათუმის საკითხს. კერზონმა დააყენა ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად, იგივე პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი ერთა ლიგის მანდატის ქვეშ. აღნიშნული წინადადება მოიწონა ფრანგმა გენერალმა ბერტელომ. მისი თქმით, ბათუმის ბოლშევიკებისაგან გადასარჩენად საკმარისი იქნებოდა სამი ბატალიონი და საფრანგეთი მზად იყო გაეგზავნა ერთი ბატალიონი. თავის მხრივ, იტალიის წარმომადგენელმაც გამოთქვა მზაობა ბათუმში ერთი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. 25 თებერვლის მიწურულს, ლონდონის კონფერენციის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: ბათუმი გამოცხადებულიყო თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატის ქვეშ, რომლის უსაფრთხოებას დაიცავდა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის თითო ბატალიონი (სიორიძე 2011:139).

საბოლოოდ, ლონდონის კონფერენციაზე, 1920 წლის 29 თებერვალს, ბათუმის კრიზისის გადასაწყვეტად, ქალაქი პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ქალაქად) გამოაცხადეს (ამხფ ფ. 4 ს. 372: 74). ამ ქმედებით ინგლისი ცდილობდა ბათუმის ექსპლუატაციაში შეზღუდვა არ ჰქონოდა.

კონფერენციის წევრები ცდილობდნენ აღნიშნული გადაწყვეტილება მის საბოლოო აღსრულებამდე საიდუმლოდ შეენახათ, მაგრამ 1920 წლის 5 მარტს იტალიის სამხედრო მისიამ საქართველოს მთავრობას აცნობა ბათუმის პორტო-

ფრანკოდ გამოცხადების ამბავი (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №62). აღნიშნულს ადასტურებს გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკაც“, სადაც ნათქვამია:

,,იტალიის სამხედრო მისია ამიერ კავკასიაში. ტფილისი, 5 მარტი 1920 წ. № 2434.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. ტფილისი.

თქვენო აღმატებულბავ, მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი დეპეშა, დღეს კონსტანტინეპოლიდან მივიღე საქართველოს წარმომადგენლისაგან იტალიის უმაღლესი კომისარის შუამავლობით: გეგეჭკორს, საგარეო საქმეთა მინისტრს.

პირველ მარტს ვნახე მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესი კომისარი. გადაწყვეტილია დაიჭირონ ბათომი სამის ბატალიონით: საფრანგეთის, ინგლისის და იტალიისა...

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი მიქელი“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 №61).

ამიერკავკასიაში იტალიის სამხედრო მისიამ იგივე ინფორმაცია დაადასტურა 1920 წლის 9 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გეგეჭკორისადმი მოწერილ დეპეშაში, რომელშიც ვკითხულობთ:

,,ბ-ნო მინისტრო, დამატებად და დასადასტურებლად ამ თვის შვიდს ჩვენი საუბრისა, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ეს არის ეხლა მივიღე იტალიის სამეფო მთავრობის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ:

,,ლონდონის კონფერენციაზე გადაწყდა შეიქმნას პორტო-ფრანკო ბათომში მცირე ტერიტორიულ ზონით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. გარანტიის მიზნით საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან ქვეითი ჯარის თითო ბატალიონს“

მისიის უფროსი“ (იქვე).

იტალიელთა სამხედრო მისიის მიერ ამ საიდუმლოების საქართველოს მთავრობისათვის გამჟღავნება ინგლისელებმა აღიქვეს, როგორც მათ წინააღმდეგ ჩადენილი აქტი და იტალიის მთავრობას საპროტესტო ნოტით მიმართეს.

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების მცდელობამ მთელ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მარტის თვეში საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში მოეწყო საპროტესტო მიტინგები, რომელმაც პიკს მიაღწია 19 მარტს.

საქართველოს მთავრობამ დაგმო ინგლისელთა ეს ქმედება პრესის ფურცლებიდან და საპროტესტო ნოტებით მიმართა ანტანტის სახელმწიფოების და ევროპის სხვა ქვეყნების პარლამენტებს (სცსსა, ფ. 1833, ს. 772). გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, რომ: ,,ბათუმის საკითხმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენა... ზღვა აუარებელი ხალხი, რომელიც სასახლეს სხვა და სხვა დროშებით მოადგა, და ის ენთუზიაზმი, რომლითაც გაჟღენთილი იყო 19 მარტს თვითეული მოქალაქე, ეს ადვილი ასახსნელი არის: ბათუმის საკითხის საბოლოო გადაჭრით, წყდება არა მარტო ქალაქ ბათუმის ბედი, არამედ საქართველოს დემოკრატიის ბედიც...

იშვიათად ახსოვს ტფილისის ქუჩებს ასეთი დემონსტრაცია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი განურჩევლად მიმართულებისა გააერთიანა ბათომის საკითხმა და ერთი ლოზუნგი დაუსახა: ,,ბათომი, ბათომი უნდა დაგვიბრუნდესო“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 №64). დემონსტრაციაზე სიტყვით გამოსულან იუსტიციის მინისტრი რ. არსენისძე და დამფუძნებელი კრების წევრები: ო. ბარათაშვილი, ივ. გომართელი, გრ. გიორგაძე და ს. დადიანი. ასევე – მღვდელი ნ. თალაკვაძე და სხვები. საქართველოს პროვინციებიდან წერილები მოსწერეს საქართველოს მთავრობასა და დაფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. მათი ძირითადი შინაარსი იყო: ,,ბათომი ჩვენია, მას ვერავის დავანებებთ“. მსგავსი წერილი გაგზავნილ იქნა ბათუმის ოლქის შეერთებულ მუსლიმთა საბჭოს სახელითაც, რომელსაც ხელს აწერდა შეერთებული მუსულმანური საბჭოს თავმჯდომარე ალი ჯაფარიძე (იქვე).

მიუხედავად საქართველოს მხრიდან გამოთქმული პროტესტისა, ლონდონის კონფერენციაზე გააგრძელეს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე. განიხილეს ინგლისელ გენერალ მილნის პროექტი – ბათუმის ქალაქ-სახელმწიფოს საზღვრების შესახებ. პროექტის მიხედვით, ბათუმის საზღვრებს უნდა მოეცვა ბათუმიდან 16 მილის რადიუსის ტერიტორია, რომელიც, ერთი მხრივ, ჩავიდოდა სამხრეთით მდინარე ჭოროხამდე, ჩრდილოეთით სოფელ ბობოყვათამდე, ხოლო აღმოსავლეთით გაუყვებოდა მდინარეების აჭარისწყლისა და ჭოროხის შესართავს. აღნიშნული პროექტი განიხილეს ლონდონის კონფერენციის 16 მარტის სხდომაზე, თუმცა

საბოლოო გადაწყვეტილება ოდნავ მოგვიანებით მიიღეს. 24-25 მარტს კვლავ გაგრძელდა მსჯელობა ბათუმის ირგვლივ და კომისიის წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე: ბათუმის ოლქი უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად. მისი სამხრეთი ნაწილი, ე. წ. ართვინის ოკრუგი უნდა გადასცემოდა სომხებს. აჭარა, ქალაქ ბათუმის გამოკლებით – საქართველოს, ხოლო ბათუმი, მის ირგვლივ ტერიტორიით, უნდა გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ (სიორიძე 2011: 141).

ლონდონის კონფერენციას ესწრებოდა ქართული დელეგაციაც, რომლის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეიძემ საგანგებოდ განაცხადა, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს შემადგენელი ნაწილია და ქალაქ ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ საქართველოს დელეგაციის სამართლიანი მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა.

ბათუმში მომხდარ მოვლენებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებში. მაგალითად, აზერბაიჯანის მთავრობის ,,ოფიციოზში“ – გაზეთ ,,აზერბაიჯანში“ გამოთქმული იყო ის მოსაზრება, რომ ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება, მართალია, ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის ინტერესებს, მაგრამ ,,ბათომი უნდა დარჩეს თავისუფალ ქალაქად“. ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის აღნიშნული დაპირისპირება ინგლისის წისქვილზე ასხამდა წყალს. იმ ფონზე, როცა სომხეთის პოლიტიკა არ განსხვავდებოდა აზერბაიჯანისაგან.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა მოკავშირეთა სან-რემოს კონფერენციის 1920 წლის 18-23 აპრილის სხდომებზეც, სადაც დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთისა და იტალიის სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო. მათ თავი შეიკავეს ბათუმში თითო ბატალიონის გაგზავნაზე იმ მოტივით, რომ ეს რუსეთთან ომის ტოლფასი იქნებოდა, რითაც ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება უგულებელყვეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრიტანეთს მოკავშირეთა იმედი არ უნდა ჰქონოდა.

საბოლოოდ, სან-რემოს კონფერენციაზე ბათუმის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები ისევ ღიად დარჩა და ვერც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიზმის წინააღმდეგ ფრონტის ორგანიზება მოხერხდა (ჯოჯუა 1997:164).

სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ბათუმის ხელში ჩაგდებას ცდილობდა აზერბაიჯანიც. ეს დასტურდება 1920 წლის 8 აპრილს გამართული დამფუძნებელი კრების მასალებიდანაც: ,,...მიუხედავად ამისა, ადერბეიჯანი აცხადებს დაუსაბუთებელ პრეტენზიებს ბათომის ოლქზე. დიპლომატიური წარმომადგენელი გავგზავნეთ. თითქოს შეთანხმებაც არის მომხდარი ჩვენს შორის, ადერბეიჯანი სიტყვით გაიძახის შევთანხმდითო, მაგრამ მე არ შემიძლია, სამწუხაროდ, ვირწმუნო ამ განცხადების გულწრფელობა, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ადერბეიჯანი აუარებელ ფულს ხარჯავს ბათომის ოლქში და ჰსურს იქ არევ-დარევა შეიტანოს...

ადერბეიჯანისთანა მოკავშირეებს ჩვენმა მთავრობამ ჯეროვანი პასუხი უნდა გასცეს...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 8). ბათუმის ოლქზე პრეტენზიები ჰქონდა სომხეთსაც.

თუმცა სიტუაცია მალევე შეიცვალა – 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა რუსეთმა გამოიყენა ანტანტის სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოება და დაიკავა აზერბაიჯანი. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებსაც იგივე ბედი ელოდათ.

აღნიშნულ პრობლემას არაერთხელ გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920 წლის 19 მარტს გამართულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მისი თქმით, ,,...ეს ოლქი, წინააღმდეგ ისტორიისა, წინააღმდეგ კულტურისა, ეთნოგრაფიისა და სამართლიანობისა, ძალადობით ჩამოგლიჯეს საქართველოს, დღეს იგი უპატრონოდ არის მიტოვებული და ამ უპატრონობის გამო განიცდის საშინელ გაჭირვებას; და ეს გაჭირვება აღიბეჭდება მთელი საქართველოს სხეულზე და საფრთხეს უქადის მას და მის სუვერენობას; თუ ბათომი და მისი ოლქი არ დაგვიბრუნდა, საქართველოს გაუჭირდება ცხოვრება, გაუჭირდება თავისი სუვერენობის შენარჩუნება; და ამ პატარა ერმა აუარებელი ენერგია, მორალური ძალა უნდა დახარჯოს, რომ თავი დააღწიოს ამ უბედურებასა და განსაცდელს, რომელიც მას კარს მოსდგომია“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 10). იმავე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ვითარება ძალიან მძიმეა და ,,...რუსეთის ძველი რეჟიმის მოხელენი სცდილობენ ბათომის მხარეში შეიტანონ არევ-დარევა. მათ არა აქვთ არავითარი

კავშირი ადგილობრივ მცხოვრებლებთან, მაგრამ სცდილობენ გამოიყენონ ეს არევ-დარევა და შექმნან სამხრეთ-აღმოსავლეთის აჭარისტანის სახელმწიფო. ამათ ემატება ოსმალეთის აფიცრობა და იქიდანვე გადმოხვეწილი ავანტიურისტები, რომელთაც თავის სამშობლოში სახრჩობელა ელით. ეს შემოსული ხალხი ქმნის ანარქიას და ხელს უწყობს არევ-დარევას. არც ეს არის დიდი საშიშროება, უფრო სერიოზული მიზეზები რომ არ გვეღობებოდეს წინ...“ (იქვე: 11).

სასტიკად იქნა დაგმობილი ბათუმის პორტო-ფრანკოდ და დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მცდელობა დამფუძნებელი კრების სხვა დეპუტატების მხრიდანაც. მათი ზოგადი პოზიცია იყო შემდეგი: ,,...თებერვლის 24 მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ბათომი გამოაცხადა პორტო-ფრანკოდ. მაგრამ იქვეა დაწერილი, რომ ეს ეხება მხოლოდ ქალაქ ბათომს. ეხება ეკონომიკურ მხარეს, რაიცა შეეხება ქალაქს, იქ იქნება ცალკე სახელმწიფო ხალხთა ლიგის ზედამხედველობის ქვეშ.

ეს იგივეა, რაც ინგლისის გენერლებმა ჩაიდინეს აქ, რომ ჩამოვიდნენ და შექმნეს ახალი სახელმწიფოები. მე ვამბობ, რომ ბათომში სამოთხის კანონებიც რომ დაწესდეს, ცალკე სახელმწიფოს ვერ შექმნიან, ვინაიდან ეს იქნება მთელი სხეულიდან ბუნებრივი ნაწილის ხელოვნურად მოწყვეტა. მე მგონია ამას ბ. მინისტრებიც დაგვიდასტურებენ, აუარებელი ქახალდი არის დაწერილი, რომ ბათომი უკან დაგვბრუნებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკითხი გადაიჭრა ისე, როგორც არ უნდა ყოფილიყო გადაჭრილი. ამ პირობებში მოკავშირენი ჩვენ ნდობას, ჩვენ სიმპათიას ვერ დაიმსახურებენ. რასაკვირველია, შეიძლება ეს ნდობა მათთვის ძვირფასი არ იყოს, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ჩემი თავი, საქართველო. ამგვარად საკითხის გადაწყვეტა არის საკითხის თავიდან მოშორება და მათ მოუხდებათ გაიმეორონ ის რყევითი პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის მიმართ აწარმოებდნენ: ხან მოიყვანენ ჯარს, ხან უკან წაიყვანენ და გაჩნდება ის საქანელა, რომელიც მათ რუსეთში მოაწყეს; ისინი რუსეთის ფრონტზე იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, სანამ დენიკინი ზღვისპირს არ მოადგა, მაშინ კი ჩასხდნენ გემში და წავიდნენ“ (იქვე: 12-13).

საკითხის სიმძიმიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრების სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, რომელმაც მეტ-ნაკლები სრულყოფილებით წაროაჩინა ბათუმის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია. მის ვრცელ სიტყვაში ჩვენ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მომენტი:

1. საქართველოს მთავრობას ხელიდან არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა ბათუმის საკითხის გაშუქებისა ანტანტის ყველა ავტორიტეტულ წარმომადგენელთა წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს მთავრობამ შეასრულა თავისი მოვალეობა მოკავშირეთა წინაშე და მათ მისცა სწორი ინფორმაცია, რათა უნებლიე შეცდომა არ მოსვლოდათ მათ;
2. მართალია, ბათუმი და მისი ოლქი შეადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს, მაგრამ ქართულ მხარეს კარგად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბათუმის ნავსადგურს ამიერკავკასიისათვის. ,,ქართველი ერი არასოდეს არ მოისურვებს ბოროტად ისარგებლოს ბათომით, ჩაკეტოს ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები, არ მისცეს მათ გასავალი გზა და ხელი შეუშალოს ამ მხარეში საწარმოო ძალების და აღებ-მიცემის განვითარებას“;
3. 1920 წლის თებერვლის შუა რიცხვებში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცნობა ინგლისელებისგან, რომ ეს უკანასკნელნი აპირებდნენ ბათუმისა და მისი ოლქიდან ჯარების გაყვანას. მართლაც, ბათუმიდან ინგლისელთა ჯარების ,,საგრძნობი ნაწილი“ გემით გაემგზავრა;
4. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ბათუმის ოლქის დაკავება, როგორც კი ინგლისელები ევაკუაციას მოახდენდნენ, მაგრამ 29 თებერვალს უორდროპისაგან მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისელები რჩებიან ბათუმში და ქართულ ჯარს არა აქვს უფლება შემოვიდეს ბათუმის საზღვრებშიო;
5. მიუხედავად ამისა, ქართულმა ჯარებმა მაინც მოახერხეს ბათუმის ოლქში ნატანებისა და არტანუჯის მიმართულებით საზღვრების გადალახვა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება (იქვე: 17-18).

დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ 1920 წლის 2 მარტს გენერალმა კუკ-კოლისმა შემდეგი განცხადებით მიმართა ქართულ მხარეს:

,,1. ბათომის ოლქში ნატანების, ახალციხის და არტაანის მხრით აშკარად სწარმოებს შეტევა საქართველოს ჯარისა;

2. ამ ჟამამდის ორი უკანასკნელი პუნქტის სამხედრო ძალებმა გადმოლახეს არსებული საზღვარი. არტაანის რაზმმა უკვე გადააყენა შავშეთში ადგილობრივი ადმინისტრაცია და მის ადგილზე თავისი დანიშნა. ამას გარდა, სამი ქართველი ჯარისკაცი შევიდა ქალაქ არდანუჭში. ნატანების რაზმი მზვერავებს უშვებს საზღვარზე.

3. ვინაიდან მე მაქვს მიღებული კატეგორიული ბრძანება მთავარსარდლის გენერალ სერ ჯორჯ მილნისაგან, რომ არავითარ სამხედრო ძალას არ მიეცეს საზღვრის გადალახვის საშუალება და საქართველოს ჯარი კი ნება დაურთველად გადმოვიდა ბრიტანეთის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ გაიყვანოთ საქართველოს ჯარის ყველა ნაწილები, რომლებიც ამჟამად ბათომის ოლქის ფარგლებში იმყოფებიან.

4. თუ არავითარი ამგვარი ბრძანება არ იქნა გაცემული, ამისათვის საჭირო დროის განმავლობაში, მე ვიტოვებ უფლებას მივიღო ისეთი ზომები, როგორსაც საჭიროდ ვცნობ, რომ საშუალება მექნეს მთავარსარდლის განკარგულება სისრულეში მოვიყვანო.

მე ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ პასუხი გამომეგზავნება“ (იქვე: 18-19).

მიუხედავად ასეთი კატეგორიული მოთხოვნისა, საქართველოს მთავრობამ ჯარები უკან არ გაიყვანა. უფრო მეტიც, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაგმო უცხო სახელმწიფოთა მისიების უმაღლესი საბჭოს დადგენილება და განაცხადა, რომ ,,მთელი ის მუშაობა, რომელიც ბათომისა და მის ოლქში სწარმოებს, ეს არის ცდა, ნიადაგი და საფუძველი მისცენ იმ პატარა სახელმწიფოს, რომელზედაც საფრანგეთის მისიის ცნობა ლაპარაკობს და რომელსაც სხვა და სხვა აგენტები დამოუკიდებელ აჭარისტანს ეძახიან...

ვერავითარი ძალა და მილიონები ასეთ კურიოზულ პროტესტს ხორცს ვერ შეასხამს. განა არ იციან, რომ საკმარისია საქართველომ დაკეტოს თავის საზღვრები, აჭარისტანის სახელმწიფოდან, მხოლოდ უსიამოვნო მახსოვრობა დარჩება. შესაძლოა ამას თან მიჰყვეს საქართველო და მთელი ამიერკავკასია. და ვინ იცის, როგორ დაშავდებიან ისინიც, ვინც ბედავს ეს ბოროტი საქმე ინგლისის სახელით აკეთოს“ (იქვე: 20).

ვიდრე დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, ქართულმა სახელმწიფომ, შეიძლება ითქვას, დიდ პოლიტიკურ ქარცეცხლში გამოიარა, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებით ისარგებლა და თავი დააღწია რუსეთის მონარქიული იმპერიის ბრჭყალებს. შემდეგ, მენშევიკურმა მთავრობამ არჩია სახელმწიფოს მოწყობის დასავლეთევროპული გზა. იმის მაგივრად, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს წაეხალისებიათ საქართველოს არჩევანი და ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფერხულში ჩაებათ იგი, პირიქით, მის ხელშემშლელ ძალად იქცნენ. სწორედ ანალოგიური პათოსი იგრძნობოდა აკაკი ჩხენკელის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან: ,,განა მოკავშირეებმა არ უნდა გაუწიონ ანგარიში მეორე გარემოებას, უდიდეს გარემოებას, რომ რუსეთის ყველა ხალხთა შორის – ეს იყო ერთად-ერთი საქართველოს ხალხი, ქართველი ერი, რომლებმაც სხვების დაუხმარებლად და პირიქით, მიუხედავად აუარებელ გარეშე დაბრკოლებათა, შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ევროპული სახელმწიფო, დემოკრატიული სახელმწიფო“ (იქვე: 24-25). აკაკი ჩხენკელის სიტყვაში იგრძნობა ერთგვარი საყვედური, რომელიც მას მოკავშირეთა არაკონინიერმა ქმედებებმა, კერძოდ, ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების მცდელობამ ათქმევინა.

მთავარი ინიციატორი აღნიშნულისა გახლდათ ინგლისი, რომელიც, დამფუძნებელი კრების წევრ სოციალ-რევოლუციონერ ლ. შენგელაიას თქმით, ,,ის იყო ყოველთვის ინტრიგების, ის იყო ცბიერების, ერების ერთი-მეორეზე წასისინების პოლიტიკა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ალბიონის ცბიერ პოლიტიკას ჩვენმა მთავრობამ ვერ დაუპირდაპირა ახალი პოლიტიკა დემოკრატიისა, პოლიტიკა გაბედული და პირდაპირი...“ (იქვე: 32).

შექმნილი კრიტიკული ვითარების განმუხტვას ცდილობს შემდეგი მომხსენებელი – გ. გვაზავა. მისი თქმით, უმაღლესმა საბჭომ ბათუმი რომც გამოაცხადოს პორტო-ფრანკოდ, ეს არ ნიშნავს ბათუმის საქართველოსაგან საბოლოოდ ჩამოშორებას, რადგან ეს არის დროებითი მოვლენა, რომელსაც ერთა ლიგა, სამართლიანობის პოზიციიდან გამომდინარე, ისევ საქართველოს დაუბრუნებს, რადგან ბათუმის ოლქი და ,,სამუსლიმანო საქართველო იყო ქართველებისა. ეს იყო პირველი კულტურის სხივი საქართველოსი“ (იქვე: 37).

გ. გვაზავას სიტყვა, ერთა ლიგის შეფასებასთან დაკავშირებით, ერთი შეხედვით, მიამიტური ჩანს დღევანდელი გადასახედიდან, თუმცა, მეორე მხრივ, გამოცდილი დიპლომატი, ისტორიული ჭეშმარიტებადან გამომდინარე, კარგად ხვდებოდა, რომ ამ უკანონო ქმედებას დიდი დღე არ ეწერა. რამდენადმე, ამ აზრის გაგრძელებაა დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე ე. გეგეჭკორის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომ ,,... შეიძლება ინგლის-საფრანგეთ-იტალიამ დაიჭირონ დროებით ბათომის ოლქი, მაგრამ მათ სტამბოლიც ხომ დაიჭირეს. და განა ეს იმას ნიშნავს, რომ სტამბოლი მათ საბოლოოდ დარჩებათ?..“ (იქვე: 38). გ. გვაზავა და ე. გეგეჭკორი არ შემცდარან – დღეისათვის ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი კარია და მას ვერანაირი ძალა ვერ მოგლეჯს მისი მშობლიური, ისტორიული ფესვებიდან...

5.3. საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და პარლამენტის როლი ბათუმის ოლქის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებასთან დაკავშირებით

1920 წლის დასაწყისში, საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა. თეთრგვარიელი გენერლები – ვრანგელი და კოლჩაკი დამარცხდნენ. სამხრეთის ფრონტზე გენერალი დენიკინიც მარცხს მარცხზე განიცდიდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა სულ უფრო წინ მიიწევდა. ამას ემატებოდა საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოწყობის სურვილი. ამ იდეით ,,აღტკინებულები", ლევან თოიძისა არ იყოს, ,,...საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებაში საჩოთიროს თითქმის ვერაფერს ხედავდნენ, რადგან, მათი აზრით, საქართველოც იმ ქვეყნებს განეკუთვნებოდა, სადაც დამოუკიდებლობა მოჩვენებითი იყო და ხალხი კაპიტალის უღლის ქვეშ გმინავდა" (თოიძე 1991: 47). საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა ისე იყო შეპყრობილი სოციალისტური რევოლუციის ,,ექსპორტზე გატანით", რომ მათ ოსმალეთი ამის ,,ნოყიერ ნიადაგად" მოეჩვენათ. იქაც ხომ ანტანტას ებრძოდნენ, თანაც ბოლშევიკური იდეებიც მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო თითქოს. სწორედ ამიტომაც მუსტაფა ქემალს უზარმაზარი დახმარება გაუწიეს... (თოიძე 1991: 46-50). ყველაფერ ამისთვის კი ამიერკავკასია პლაცდარმი უნდა ყოფილიყო...

აშკარა გახდა, რომ მოსკოვი ამიერკავკასიას არავის არ დაუთმობდა. ინგლისელებისა და ამერიკელებისათვის რუსეთის ნედლეულს და გასაღების უზარმაზარ ბაზარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომაც მათ ამიერკავკასიის დატოვებაზე დაიწყეს ფიქრი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინგლისზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. ჯერ კიდევ 1919 წლის 31 დეკემბერს გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ: ,,ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა გახლავთ შემდეგი: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპიდან ვერაფერ დიდს ვერ მივიღებთ, შეიძლება სრულებითაც არაფერი მივიღოთ" (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეოთხე) 1919: 31).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა 1920 წლის 6 იანვარს უორდროპს გაუგზავნა წერილი, სადაც იგი ინგლისელთა პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას გამოხატავდა. მისი თქმით: ,,ინგლისი არ დაეხმარა მას (იგულისხმება საქართველო - გ.კ.) და ბევრ რამეში ავიწროებდა. ასე, ბათუმში ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წყალობით, საქართველოს არ მიეცა საშუალება გაამაგროს ბათუმის ოლქის საზღვრები მასზე თურქების შესაძლო თავდასხმისათვის. ამას გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის არცნობა სახელმწიფო წყობილების განმტკიცებისათვის მუშაობას აფერხებს. შემდეგ ინგლისმა არ გამოავლინა აუცილებელი ძალისხმევა ფაქტიური ბლოკადის მოხსნისათვის, რომლისგანაც ძლიერ ზარალება საქართველო...

რეალური მხარდაჭერის გარეშე, საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, არ შეუძლია წინ აღუდგეს საშიშროებას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან (იგულისხმება რუსეთი და ოსმალეთი). საქართველოს დაცემა კი სერიოზულად აისახება აღმოსავლეთში ანტანტის და, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის ინტერესებზეო“ (ცუხიშვილი 1995: 93-94).

გეგეჭკორის სიტყვაში იმედგაცრუების პათოსი იკითხება. იგი აბსოლუტურად სწორად ხატავს სიტუაციას. აღნიშნულიდან არა მარტო საქართველოს, არამედ ინგლისელთა ინტერესებიც შელახული ჩანს. კიდევ უფრო მეტად არის კატეგორიული გეგეჭკორის მიმართვა ინგლისელებისადმი, სადაც იგი, საქართველოს მთავრობის სახელით, მოითხოვს შემდეგს: ,,1. ინგლისის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ ცნობა; 2. საქართველოსთვის ბათუმის ოლქის დაბრუნება რესპუბლიკის საზღვრების გამაგრების მიზნით...“ (იქვე: 94). იმავე წერილში გეგეჭკორი აღნიშნავდა, რომ თუ ინგლისელები საქართველოს დახმარებას არ აღმოუჩენენ, ,,ქართველი ხალხი... იძულებული იქნება ეძებოს სხვა გზები მის წინაშე მდგარი საფრთხისაგან თავისი არსებობის გადარჩენისათვის“ (იქვე: 94).

შეიძლება ითქვას, რომ გეგეჭკორმა პირდაპირ გააფრთხილა დიდი ბრიტანეთი, რომ თუ ის არ გამოიჩენდა გულისხმიერებას და არ დაეხმარებოდა საქართველოს, ქვეყანა ინგლისურ ორიენტაციაზე უარს იტყოდა.

გეგეჭკორის ამ წერილებმა და ინგლისელთათვის არახელსაყრელმა საერთაშორისო სიტუაციამ, რომელიც გამოიხატა საბჭოთა რუსეთის გაძლიერებაში, გარკვეული შედეგი გამოიღო საქართველოსათვის და 1920 წლის 12 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდი კერზონის ინიციატივით, დასვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ აღიარების შესახებ, რომელიც იმავე დღეს გადაწყვეტილ იქნა დადებითად.

ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დე-ფაქტოდ აღიარებამ დიდი სიხარული გამოიწვია საქართველოში. აღნიშნული საქართველოს მთავრობას 12 იანვარსვე აცნობა უორდროპმა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ,,მიმდინარე კვირა დაუვიწყარი იქნება საქართველოსათვის. ეს იყო კვირა ზეიმისა და აღტაცებისა, კვირა მრავალ წელთა ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებისა... იანვრის 12-ს უორდროპმა ცნობა მოუტანა ჩვენს მთავრობას უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურად ცნობის შესახებ... ამ დღესვე გაიმართა მანიფესტაციები და ჯარის აღლუმი“ (იქვე: 97).

ამ სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში წირვა გადაიხადა. 12 იანვარსვე მთავრობის სასახლესთან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მოიყარა თავი, რომელთაც აივნიდან მიესალმენ ჟორდანია, გეგეჭკორი და უორდროპი.

13 იანვარს, თბილისის თეატრის შენობაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოხსენება წაიკითხა ა. ჩხენკელმა. იმავე საღამოს, ქალაქის თვითმმართველობის შენობაში, საქართველოს მთავრობის წევრებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უორდროპს, პოლკოვნიკებს – ჰასკელს და გაბბას და უცხოეთის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

14 იანვარს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ:

,,მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! აღსრულდა!

ტყვედ ქმნილი საქართველო დღეს ბორკილ გაწყვეტილი თამამად შედის ევროპის ხალხთა საერთო ოჯახში, ვით სრულ უფლებიანი წევრი...

საქართველოს დემოკრატიას და მის დამფუძნებელ კრებას, რასაკვირველია, არ შეუძლიათ, რომ დღეს თავიანთი მხურალე სალამით არ მიეგებონ იმათ, ვინც ამ ზეიმის უპირველესი მიზეზი არიან. თქვენის ნებართვით, მე სალამს უძღვნი მოკავშირეთა უზენაეს ორგანოს და დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს, რომლის ინიციატივით აღძრულია ეს საკითხი და რომლის მხურვალე დახმარებით საქართველოს ერს ეღირსა დღევანდელი დღე...

ჩვენი სალამი ამერიკის ხალხს... რომლის დახმარება, თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო...

სალამი... საფრანგეთს... გამარჯვება თავის მისწრაფებაში იტალიის თავისუფალ ხალხს. სალამი საბერძნეთს...

სალამი იაპონიას...

სალამი ყველა იმ სახელწიფოს, რომელთა გადაჭრილი ხმა ჯერ არ მოგვსვლია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არ დაყოვნდება...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი მესამე) 1920: 5-6).

დამოუკიდებლობის ცნობამ ქართველ პოლიტიკოსებს ინგლისზე ,,გული მოუბრუნა“. საქართველოში ისევ მყარი გახდა ინგლისური ორიენტაცია. ამან შეაშფოთა საბჭოთა რუსეთი. 1920 წლის 31 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ნოტა გამოუგზავნა საქართველოს მთავრობას ინგლისზე ორიენტაციის გამო და მოუწოდებდა საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას (ცუხიშვილი 1995: 99-100).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ინგლისური პოლიტიკის გეგმის ნაწილი იყო. მათი აზრით, თუ მოხერხდებოდა ამიერკავკასიის გაერთიანება, შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთის შეჩერება, რომლის გაძლიერებაც აშკარად დაარღვევდა ,,ძალთა ბალანს“. აღნიშნული კი, ბუნებრივია, არ აწყობდა ინგლისს.

სწორედ ამიტომაც გააქტიურდნენ ანტანტის ქვეყნები. 19 იანვარს გაიმართა ანტანტის უმაღლესი საბჭოს სხდომა. მას ესწრებოდნენ: დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ-ჯორჯი, ბრიტანეთის სამხედრო მინისტრი ჩერჩილი, ფელდმარშალი სერ გენრი ვილსონი, საზღაოსნო საქმეთა პირველი ლორდი უ. ლანგი და ადმირალი ლორდი ბიტტი, საფრანგეთის მარშალი ფერდინანდ ფოში და სხვები.

სხდომას ესწრებოდნენ ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციებიც. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ა. ჩხეიძე, მ. წერეთელი და ზ. ავალიშვილი, ხოლო აზერბაიჯანულ დელეგაციაში შედიოდნენ თოფჩიბაშევი და მაგერამოვი. სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო. მთავარი საკითხი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანება და მათი თავდაცვისუნარიანობის გაზრდა. ზ. ავალიშვილის მოგონებით, სხდომაზე ,,ლაპარაკი იმავე საგანზე იყო: როგორიცაა კავკასიის რესპუბლიკების ძალა, რა დახმარება სჭირდებათ თავდაცვის გაძლიერებისათვის, თუ მოხდა თავდასხმა“ (ავალიშვილი 2011: 287). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ანტანტის სახელმწიფოები თითქოს ზრუნავდნენ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა გაძლიერებაზე, მგრამ მათ ქმედებაში შეინიშნებოდა პასიურობა და პრაქტიკულად ამისათვის არაფერს აკეთებდნენ.

1920 წლის 12 თებერვლიდან 10 აპრილამდე მიმდინარეობდა ლონდონის კონფერენცია, რომელზეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისელებმა დააყენეს ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად, იგივე პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი (სიორიძე 2011:137). აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გაანაწყენა საქართველოს მთავრობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1920 წლის აპრილის თვეში ინგლისსა და საქართველოს შორის, ბათუმის საკითხის გამო, ვითარება დაიძაბა. ამას დაემატა ისიც, რომ მარტის დასაწყისში ნ. ჟორდანიამ ინგლისელებთან შეთანხმების გარეშე დაიწყო ქართული ჯარების ბათუმის ოლქის მიმართულებით გადასროლა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბათუმის ოლქის შემოერთება იყო სანუკვარი ოცნება. ქართული ჯარი ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესვლას როგორც ნატანებ-ქობულეთის, ასევე, ახალციხის მხრიდან. ნატანებთან ინგლისელებმა შეაჩერეს იგი, მაგრამ სამხრეთით ქართულმა ჯარმა მოახერხა არტანუჯისა და არტაანის ნაწილის დაკავება. ჯარის ნაწილი ხულოშიც იქნა შეყვანილი. ქართული მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს. „გაერთიანებულ მუსლიმთა საბჭომ“ ოლივერ უორდროპისადმი გაგზავნილ ნოტაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ჩვენი ხალხი საქართველოს ჯარს ელის აღფრთოვანებით

და სიყვარულით, რათა დაიცვან ძველი საქართველო“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №321).

საქართველოს გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ზაქარიაძემ, განაცხადა, რომ: ,,ჩვენი ჯარი შედის რა ბათომის ოლქში თავის თავს გრძნობს სამშობლო ქვეყანაში და მახლობელ ხალხთან და მიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან მათ დამოკიდებულებას აქვს მეგობრული და რეალური ხასიათი...“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №151).

ინგლისის ხელისუფლება მოითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისგან ჯარების გაეყვანას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. ხულოს მისადგომებთან ქართული ჯარის შესაჩერებლად სანგრებიც კი გაუთხრიათ, მაგრამ ქართულმა ჯარმა მაინც მოახერხა ხულოში შესვლა, რასაც ზეიმით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა. საქართველოს მთვრობა ცდილობდა ბათუმშიც შეეყვანა თავისი ჯარები და ამისთვის ყველა ღონეს ხმარობდა. აღნიშნულს გამოეხმაურა 1920 წლის 19 მარტის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, სადაც სიტყვით გამოვიდა სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი. მან საქართველოს მთავრობას მოუწოდა გააქტიურებულიყო ბათუმის დაბრუნების საქმეში და გამოეყენებინა შექმნილი სიტუცია. მისი თქმით: ,,თქვენი დანაშაული ისაა, როდესაც გამოცხადდა ინგლისელები სტოვებენ ბათომსო, როდესაც თქვენთან მოვიდნენ და გითხრეს ინგლისელები მიდიან, ბათომი თქვენ უნდა დაგეკავათ; მართალია, არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ინგლისის მცირე ნაწილი მაინც არ დარჩენილიყო ბათომში, რათა შერჩენოდათ საბუთი ეთქვათ წავედით და კიდეც არც წავსულვართო, მაგრამ ხსენებულ მომენტში შეიძლებოდა მეტი ენერგიის გამოჩენა“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი პირველი) 1920: 12). იმავე სხდომაზე, სიმონ მდივანს პასუხი გასცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა: ,,...დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მთავრობას არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა გაეშუქებინა ბათომის საკითხი ანტანტის ყველა ავტორიტეტულ წარმომადგენელთა წინაშე“ (იქვე: 15). სიტყვით მრავალი ორატორი გამოვიდა. საბოლოოდ კი, დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა შემდეგი: „დამფუძნებელი კრება მიესალმება დედა-საქართველოს სახელით მის განუყოფელსა და ავტონომიურ ნაწილს სამუსლიმანო საქართველოს,

უთვლის ვაშას ბათომის ოლქში მდგომ შეაირაღებულ ძალებსა და მთელ ჯარსა და სახალხო გვარდიას და ადგენს: 1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს. 2. დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში“ (იქვე: 59). გენერალი კუკ-კოლისი ცდილობდა ქართული ჯარი დაეპირისპირებინა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მან ოფიციალური მიმართვაც კი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, რომ თუ ქართული ჯარი არ დატოვებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, „თუ... ამგვარი ბრძანება არ იქნება გაცემული, მე ვიტოვებ უფლებას, მივიღო ისეთი ზომები, როგორსაც საჭიროდ ვცნობო“ (სდსინ 2008: 500). გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა, რომ ინგლისელებმა დაიწყეს მოსახლოებაში საქართველოსთან შეერთების საწინააღმდეგო იდეების მოგროვება, რათა იგი გადაეგზავნათ ანტანტის უმაღლესი საბჭოსათვის (გაზ. ,,საქართველო“ 1920 №58). ინგლისელებს ანტიქართულად განწყობილ მოსახლეობაში იარაღის დარიგება დაუწყიათ. ოსმალეთიც ცდილობდა ესარგებლა აღნიშნული ვითარებით, მას არ ჰქონდა დიდი ჯარების შეყვანის საშუალება, მაგრამ მცირე ჯგუფები შემოდიოდნენ აჭარაში და თავს ესხმოდნენ ქართულ ჯარს. ამ დროს ოსმალეთში დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იყო გაჩაღებული მუსტაფა ქემალ ფაშას მეთაურობით. იგი 1920 წლის აპრილში არჩეულ იქნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების და მთავრობის თავმჯდომარედ. თურქეთი უპირისპირდებოდა ანტატის ძალებს. ოსმალები სარგებლობდნენ აჭარაში მყოფ ინგლისელთა სისუსტით და ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების გამაგრებას.

საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. ქემალ ათათურქის ძალებმა დაიწყეს საბჭოთა რუსეთთან დაახლოება. ეს რუსეთისათვის ორმაგად სარგებლიანი იქნებოდა. ერთი მხრივ, მახლობელ აღმოსავლეთში სოციალისტური იდეების გავრცელება მოხდებოდა და მეორე მხრივ, იქმნებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოების დაპყრობის პერსპექტივა.

ქართული ჯარი ცდილობდა ქობულეთის მხრიდანაც შემოსულიყო ბათუმის ოლქში, მაგრამ ანტიქართული ძალები მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. კუკ-კოლისის ბრძანებით, სროლა აუტეხეს ქართულ ჯარს და აიძულეს ისინი მდინარე ჩოლოქთან შეჩერებულიყვნენ, რაშიც ინგლისელებს დახმარებას უწევდა აზერბაიჯანის საკონსულო, რუსთა ეროვნული საბჭო, ოსმალეთიდან შემოსული შეიარაღებული პირები და „სედაი მილეთელთა“ ერთი ნაწილი ქესკინ ზადეს ხელმძღვანელობით (სდსინ 2008: 501). ისინი აიძულებდნენ მოსახლეობას მათ მხარეს გადასულიყვნენ. მაგალითად, 1920 წლის მარტში ქობულეთელ იუსუფ ქათამაძეს გარდაეცვალა შვილი. „სედაი მილეთელები“ არ აძლევდნენ მისი დაკრძალვის უფლებას, სანამ იუსუფი მათ მხარეს არ გადავიდოდა. გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, იუსუფი იძულებული გახდა, შეპირებოდა მათ იარაღით ხელში მათ მხარეს ბრძოლას (იქვე). სოფელ დაგვის მკვიდრ მამუდ ქათამაძის თქმით, იმის გამო, რომ ქართველთა მხარეს იყო, ხალხი აღარ ესალმებოდა მას. გაუჩერეს წისქვილიც. შემდეგ „სედაი მილეთელებმა“ მოიწვიეს საერთო კრება და მამუდს მოსთხოვეს ფიცით დაემტკიცებინა, რომ მათ მხარეზე გადავიდოდა. იგივე განმეორდა მეორე დღესაც. ამ დაჟინებულმა მოთხოვნამ, რომელსაც დაემატა მოხუცი დედის ავადმყოფობა, მამუდ ქათამაძე აიძულა დაეფიცებინა მათ ერთგულებაზე და გადასულიყო მათ მხარეს.

როცა ქართული ჯარი მიუახლოვდა ქობულეთს, „სედაი მილეთელთა“ ერთი ნაწილი მივიდა მათთან და უთხრეს, რომ არ შემოსულიყვნენ ბათუმის ოლქში, მეორე ნაწილი კი ინგლისელებთან მივიდა და მოახსენა მათ ქართველთა მოახლოების ამბავი. ინგლისელებმა ქართველთა ჯარი აიძულეს უკან დაეხიათ და მუხაესტატეში გამაგრებულიყვნენ.

მუხაესტატესთან თავი მოიყარეს „სედაი მილეთელთა“ 500-კაციანმა რაზმმა, რის შემდეგაც ქართულმა ჯარმა კიდევ ერთი კილომეტრით დაიხია უკან. როგორც მასალებიდან ირკვევა, „სედაი მილეთელთა“ ამ ჯარს სამხედრო წვრთნებს უტარებდა შუქრი მჟავანაძე. იგი გახლდათ ძველი მუჰაჯირი, რომელიც ოსმალო ასკერებს შემოჰყვა ქობულეთში და დარჩა აქ.

ქართული ჯარი შევიდა მუხაესტატეში, მაგრამ ინგლისელებისა და „სედაი მილეთელებთან“ ბრძოლების გამო იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ (ზოსიძე 2016: 145-146).

საქართველოს ჯარის სარდლობა სწორი ტაქტიკითა და მანევრით ცდილობდა ამ პრობლემის თავიდან აცილებას. ოსმალური ბანდფორმირებები დაიძრნენ ზემო აჭარისკენ. ისინი ცდილობდნენ ხულოში მყოფი ქართული რაზმის განიარაღებას. გაზეთ „საქართველოდან“ ირკვევა, რომ ხულოზე შეტევის გეგმა შემუშავეს ანტიქართული ძალების მედროშეებმა - ქესკინ ზადემ და ბიბინ ზადემ. ამ გეგმაში გარკვეული წვლილი შეუტანიათ ოსმალეთიდან გადმოსულ ემისრებსაც (გაზ. ,,საქართველო“ 1920 №66). ისინი ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გადაბირებას, ხშირ შემთხვევაში – უშედეგოდ. სოფელ ჭვანაში ოსმალებისა და „სედაი მილეთელების“ სამხედრო ოპერაციის სამზადისთან დაკავშირებით, ზემო აჭარის მოსახლეობამ საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულს ბათუმში მ. ხოჭოლავას სთხოვა გაეძლიერებინა ხულოში დისლოცირებული ქართული რაზმები, მაგრამ დიდთოვლობის გამო გოდერძის უღელტეხილზე ვერ მოხერხდა დამატებითი რაზმების შემოყვანა. გაიმართა ბრძოლები სოფელ დანისპარაულსა და გოდერძის უღელტეხილთან. ქართულ ჯარს დახმარებას უწევდა აჭარელთა ასკაციანი რაზმი (სდსინ 2008: 502). მიუხედავად ამისა, ქართველები დამარცხდნენ.

ხულოსა და ჭვანაში ჩატარდა კრება, რომელზეც ქესკინ ზადემ აღნიშნა, რომ ისინი გეგმავდნენ გოდერძის უღელტეხილის გადაკეტვას და აჭარის გაწმენდას ქართული ჯარისაგან. ყოველივე ეს შეთანხმებული იყო ინგლისელებთან. იგეგმებოდა აჭარის დამოუკიდებლობის გამოცხადება ინგლისელთა პროტექტორატის ქვეშ (სდსინ 2008: 503).

ამასობაში, „სედაი მილეთის“ წევრებს შორის მოხდა განხეთქილება. მას გამოეყო ასკაციანი რაზმი მემედ ჭყონიას ხელმძღვანელობით, რომლებიც შეუდგნენ აჭარაში არსებული რაზმების განადგურებას.

1920 წლის 12 აპრილს ბათუმში გაიმართა დიდი მიტინგი – ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში შესვლის მოთხოვნით (გოგოლიშვილი 2005: 146).

სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილება – ჩამოყალიბებულიყო ბათუმის თავისუფალი ქალაქ-სახელმწიფო ერთა ლიგის მანდატით. აღნიშნულმა დიდი პროტესტი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. 1920 წლის 23 აპრილს მოწვეულ იქნა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით. მან დაგმო აღნიშნული გადაწყვეტილება: „...არავის მივცემთ უცხოს ნებას ჩაერიოს ჩვენს საქმეებში და დაეპატრონონ ჩვენი ქვეყნის გამგებლობას“ და „ბათუმი და აჭარა უნდა დაუბრუნდეს საქართველოს“ (აბაშიძე 1998: 221-223; გაზ. ,,ერთობა“, 1920, №94).

საქართველოს მთავრობამ მოახერხა ბათუმის ოლქში დამატებითი ჯარების შეყვანა, რამაც დაძაბა ურთიერთობა ინგლისის საოკუპაციო ძალებთან. საქართველოს მთავრობამ ინგლისელებს შესთავაზა, რომ ქართული ძალები შემოვიდოდნ ბათუმის ოლქში, მაგრამ ისინი დაემორჩილებოდნენ ინგლისის ხელისუფლებას. უმაღლესმა კომისარმა ოლივერ უორდროპმა მოიწონა აღნიშნული კომპრომისული ვარიანტი და მოუწოდა ინგლისის მთავრობას – მხარი დაეჭირა ამ წინადადებისათვის. იგი 25 აპრილს სწერდა ინგლისის მთავრობას, რომ ,,თუ ქართველებს მივცემთ წინადადებას ბათუმის და მისი ოლქის დაცვაში მიიღონ მონაწილეობა, მე მჯერა, რომ ისინი ამაზე დათანხმდებიან და იმოქმედებენ ბრიტანეთის კონტროლქვეშ“ (სურგულაძე 1996: 79).

მიუხედავად ამისა, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა ქართული ჯარების ბათუმის ოლქიდან გაყვანას. გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი სამხედრო ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. ამაში მას მხარს უჭერდა აღმოსავლეთში ინგლისელთა ჯარების მთავარსარდალი გენერალი მილნიც. ამ უკანასკნელმა თბილისში გაგზავნა თავისი ოფიცერი და კატეგორიულად მოითხოვა ქართული ჯარების უკან გაყვანა (იქვე: 77).

4 მაისს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე ე. გეგეჭკორმა აღნიშნა: ,,...სარწმუნო წყაროებიდან მესმის, რომ დღეს ბათომში გაბატონებული საოკუპაციო ძალა იმით აბათილებს ჩვენ უფლებას ბათომზე, რომ, როცა ანტანტამ იქ ფეხი შემოადგა, იგი ოსმალოს ხელში იყოვო. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარია“ (საქართველოს

დამფუძნებელი კრება... (წიგნი პირველი) 1920: 13). გეგეჭკორის თქმით, ბათუმის დაბრუნება ,,სამართლიანობისა და საერთაშორისო თავაზიანობის საქმეა“.

მასალებიდან ირკვევა, რომ ვრანგელისათვის იარაღისა და საომარი მასალის მიწოდების საქმეში ინგლისელთა ხელის შესაშლელად, ბათუმში მყოფმა ამფეთქებელთა (ბოლშევიკურმა) ჯგუფმა გააძლიერა მუშაობა და თვით ბათუმში მოაწყო სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ ,,ჯოჯოხეთურ “ მანქანასა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. პირველად ააფეთქეს გემი ,,ვოზრაჟდენიე“ (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 78), 1920 წლის 23 აპრილს კი – კინტრიშის რკინიგზის ხიდი, რამაც შეუძლებელი გახადა რამდენიმე დღით მატარებელთა მოძრაობა და ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მოქმედება.

კინტრიშის ხიდის ამფეთქებლები – ბოლშევიკები სურგულაძე და ჯიბლაძე 1920 წლის ივლისში საქართველოს რესპუბლიკის კონტრმზვერავთა მიერ იქნენ დაპატიმრებულნი (ორცსა, ფ. 11, ს. 506: 3).

1920 წლის 30 აპრილს, ბათუმში, ერისთავის ქუჩაზე, ვინმე სერგო გუბელის ხელმძღვანელობით, მოკლეს გენერალი ლიახოვი, რომელიც ვრანგელისათვის ბათუმის ოლქში სამხედრო ნაწილებს ქმნიდა და ყირიმში აგზავნიდა. გუბელი ინგლისელებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას უსათუოდ ელოდა დახვრეტა, მაგრამ, ბათუმში, აზიზიეს მოედანზე, გაიმართა დიდი მიტინგი, რამაც აიძულა სამხედრო გენერალ-გუბერნატორი თავდებით გამოეშვა გუბელი, რომელმაც აზიზიეს მოედანზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა. ხალხმა გუბელი ბათუმიდან გააპარა (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 79).

1920 წლის 7 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელმაც ბათუმის ოლქი საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა. ამის სანაცვლოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისი ტერიტორიებიდან უნდა განედევნა ინგლისელთა ჯარები. ინგლისის ხელისუფლება მიხვდა, რომ საბჭოთა რუსეთი ცდილობდა მთელი ამიერკავკასიის და, მათ შორის, ბათუმის ოლქის დაკავებას და მოერიდა მასთან დაპირისპირებას. ინგლისელებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ ბათუმი და ის გადაეცათ საქართველოსათვის.

19 მაისს ლორდი კერზონი წერდა ამიერკავკასიაში უორდროპის შემცვლელს – კაპიტან ლუკს: ,,რას ფიქრობთ იმაზე, რომ ქართველებს მივცეთ აღჭურვილობა და მოვუხმოთ მათ, ითანამშრომლონ ჩვენთან ბათუმის დაცვის საქმეში“. 21 მაისს კი, იმავე კერზონის თქმით: ,,უთხარით გენერალ მილნს, რომ კონფლიქტი ქართველებთან არასასურველია და რაც შეიძლება თავი ავარიდოთ“ (იქვე: 79-80). 11 ივნისს ინგლისის კაბინეტმა გადაწყვიტა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემა და ამ მიზნით ბათუმში გამოგზავნეს ამიერკვკასიაში ინგლისის უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი სტოკსი.

ინგლისელთა ამ გადაწყვეტილების თაობაზე ზურაბ ავალიშვილი წერს: ,,11 ივნისს ჩვენ (საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრებს) ლონდონში საიდუმლოდ შეგვატყობინეს, რომ ინგლისის მთავრობამ დაადგინა დასტოვოს ბათომი, და მთელი ოლქი გადასცეს საქართველოს მთავრობას...

ბათომის ოლქის შემოერთება დიდ ზნეობრივ და პოლიტიკურ დაკმაყოფილებას აძლევდა საქართველოს“ (ავალიშვილი 2011: 336). თუმცა იქვე ავალიშვილი სვამს საკმაოდ ლოგიკურ კითხვას: ,,ბათომის ოლქის შემოერთება ხომ არ დაასუსტებს საქართველოს შემოსევისათვის გაშლილ აღმოსავლეთის საზღვარს? მოახერხებს საქართველო გაუმკლავდეს ოსმალეთის ნაციონალიზმს, რომელიც უეჭველია თავს იკავებს ბათომში ინგლისელების ყოფნის გამო? აი რა ეჭვი იბადებოდა უნებურათ და რატომ იყო, რომ ამიერკავკასიიდან ევროპის წასვლა... მე სრულიადაც არ მომწონდა...

მოვლენათა ,,ფილოსოფია“ მეტად მარტივი იყო: საქართველო განცალკავებული დარჩა მიყრუებულ ჯვარედინზე, ევროპისა და აზიის შუა, უშუალო მეზობლად საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისა: ეს ორი ფილაკვანი ემზადებოდა საფუძვლიანათ ამოეგდოთ კავკასიის შუაკედელი“ (იქვე: 336-337). ბუნებრივია, აღნიშნულ კითხვებზე დაფიქრება აუცილებელი იყო, მაგრამ ბათუმის ოლქზე უარის თქმა, ნებისმიერი მიზეზით, საქართველოს მხრიდან დაუშვებელი იქნებოდა.

ბათუმიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო საფრანგეთის მთავრობამაც. აღნიშნულის სისრულეში მოყვანა დააკისრეს საფრანგეთის უმაღლეს კომისარს გენერალ დე მარტელს.

20 ივნისიდან დაიწყო ინგლისის ჯარების გაყვანა ბათუმიდან. პროცესის უმტკივნეულოდ წარსამართავად, ინგლისელებმა გარკვეული ღონისძიებები გაატარეს: ბათუმიდან გაიყვანეს პრორუსულად განწყობილი (დენიკინელთა) ჯარები; 2 ივლისს დაიხურა ოსმალური გაზეთი ,,სედაი მილეთი“; ინგლისელებმა იფიქრეს უსაფრთხოების ზომებზეც და ,,გენერალმა კუკ-კოლისმა გააგზავნა ინგლისელი ოფიცრები თარჯიმნებითურთ ოლქის სხვადასხვა ნაწილში, რათა მოსახლეობისათვის აეხსნათ, რომ ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქი გადაეცა საქართველოს, მიეწოდებინათ მათთვის ინფორმაციები და ამით თავიდან აეცილებინათ გაუგებრობები“ (ცუხიშვილი 1995: 108).

28 ივნისს, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს მთავრობასთან ბათუმის ოლქის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ.

29 ივნისს, დამფუძნებელ კრებაზე, ე. გეგეჭკორმა განაცხადა: ,,...ბათომი ორი წლის წინ დავკარგეთ, მაგრამ ყველა ჩვენგანს, ვისაც სწამდა და სწამს ჩვენი ბრწყინვალე მომავალი, ეჭვიც არ დაბადია იმაში, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ბათომი და მისი ოლქი, ეს განუყოფელი ნაწილი საქართველოსი, ბოლოს დედა სამშობლოს დაუბრუნდებოდა. დღეს ასრულდა ნებისყოფა მთელი საქართველოსი, შეთანხმების სახელმწიფოებმა და კერძოდ ინგლისმა ფორმალურად აღიარეს, რომ ბათომი დაუბრუნდეს საქართველოს და ასეთი მათ მიერ განცხადება დოკუმენტალურად არის ჩვენ წინაშე“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეორე) 1920: 5-7).

1920 წლის 1 ივლისს დაიწყო ქართული ჯარის წინსვლა ბათუმის მიმართულებით. იმავე დღეს ისინი შევიდნენ ქობულეთში.

2 ივლისს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა გ. კვინიტაძემ მიმართა ბათუმის ოლქის მოსახლეობას: ,,მოკავშირეთა სახელმწიფოების გადაწყვეტილებით, ინგლისთან შეთანხმებით და საბჭოთა

რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას. საქართველოს მთავრობის ბრძანებით, მე ჯარებით შემოვდივარ ბათუმის ოლქში...

საქართველოს ჯარები არავის ხელს არ ახლებენ, არავის არ აწყენინებენ“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №146).

3-4 ივლისს ქართული ჯარი შევიდა ბათუმის გარეუბან ბარცხანაში.

გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ თანახმად, ,,6 ივლისს, 12 საათზე, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ბორჩხა, სადაც ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებმა მმართველობა ჩვენი ჯარების უფროსს გადასცეს. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენ ჯარებს პურ-მარილით მიეგება“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №151).

6 ივლისს, სოფელ ორთაბათუმში და ყოროლისთავში, თურქმა ოფიცრებმა დიდი მიტინგი ჩაატარეს და მოუწოდეს ხალხს ხელი შეეშალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებისათვის (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №24). გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ: ,,ორთაბათომელებმა საშვილიშვილოთ შეირცხვინეს თავი. წაიცხეს ლაქა სიმახინჯისა. 1918 წ. ოსმალთა ბანდების შემოსევების დროს ორთაბათომმა წყალსადენი გააფუჭა, 6 ივლისს, ქართველი ერის უდიდეს სიხარულის აღსავლის კარების წინ, ორთაბათომი შეკრებილ იყო, პროვოკატორები ეწვია და საქართველოს ჯარის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ შემოსულიც არ იყო ოლქში, ბრალდებებს ჩმახავდა (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №25). მიუხედავად ამისა, 7 ივლისს ქართული ჯარები შევიდნენ ბათუმში, სადაც მოეწყო აღლუმი, მთავარსარდალ გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით. აღლუმს მოუძღოდა აჭარის მეჯლისი მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. აქვე იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: პ. საყვარელიძე, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია. დაშვებულ იქნა ინგლისისა და საფრანგეთის დროშები და საზეიმო ვითარებაში აღიმართა საქართველოს ბაირაღი. ,,ინგლისის ფლოტმა მისცა სალუტი და ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნები. საღამოს გაიმართა გამოსათხოვარი ბანკეტი ზღაპრული სუფრითა და უხვი სადღერგძელოებით“ (სურულაძე 1996: 81). ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან დაბრუნება შედარებით გვიან გაიგეს ზემო აჭარაში. სწორედ ამიტომ ბათუმის ოლქის

კომისარს ბ. ჩხიკვიშვილს მთავრობის თავმჯდომარის მინდობილობით აღჭურვილი პირისაგან მოუვიდა ცნობა, რომ: ,,ზემო აჭარაში არაფერი იციან აჭარის გადაცემაზე და მრავალი ხალხის პროვოკაციული ხმებია; საჭიროა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ბათუმიდან შერეული კომისია ქართველ-ინგლისელებისაგან, რომ გამოუცხადონ ხულოში საქმის ნამდვილი მდგომარეობა“ (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 176: 10). 9 ივლისს ინგლისისა და საფრანგეთისა ჯარებმა საბოლოოდ დატოვეს ბათუმი.

5.4. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წლის მეორე ნახევარში

ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთების შემდეგ აუცილებელი იყო მისი ადმინისტრაციული მოწყობა. ამ მიზნით, 1920 წლის ივნისის ბოლოს, ბათუმში ჩავიდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ჩამოყალიბებული საგანგებო კომისია. მასში შედიოდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, დათა ვაჩნაძე, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ ვეშაპელი და ივანე გობეჩია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომელთა მოსაზრებებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მემედ აბაშიძის აზრით, საქართველოს შემადგენლობაში აჭარის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება – წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი იყო ანტიქართული ძალების გააქტიურება, რასაც მოჰყვებოდა აჭარის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნა (გუგუნავა 1997: 128). აღნიშნულ თემას ჯერ კიდევ 1918 წლის 25 დეკემბერს შეეხო მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელმაც თავის მიმართვაში აჭარლებისადმი სთქვა: ,,მთავრობა აცხადებს, რომ ის სამუსლიმანო საქართველოს აძლევს ავტონომიას. თვითონ აჭარის წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლებითაც თავიანთი გემოვნებითა და სინდისით მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთი რწმენის უფლებებს, მოაგვარებენ ადგილობრივ საქმეებს და მათ თავიანთ მშობლიურ მხარეში დაამყარებენ ბედნიერებას“ (გაზ. ,,ერთობა“, 1919, №9).

ჰაიდარ აბაშიძის თქმით კი, უკეთესი იქნებოდა აჭარის საქართველოსთან შეერთება ყოველგვარი ავტონომიის გარეშე, რადგან ,,ზედმეტად მიგვაჩნია ორ ძმათა შორის მიჯნებზე ლაპარაკი“. ამას მოჰყვებოდა ავტონომიის გამო ხარჯების ზრდაც, რაც ,,მძიმე ტვირთად დააწვებოდა ისედაც ეკონომიკურად ღარიბ ქვეყანას“ (სურგულაძე 1994: 63). ანალოგიურად ფიქრობდა თბილისში ჩასული ჯემალ-ბეგ ხიმშიშვილიც. მისი თქმით, ,,...ამჟამად მე შემიძლია კატეგორიულად განვაცხადო, რომ აჭარა ლოიალურად არის განწყობილი თავის მომმე ქართველებისადმი.

როდესაც გსურთ მაშინ დავამტკიცებ, რომ აჭარას არც წინეთ სურდა და არც ეხლა სურს ავტონომია, როგორც ამას ზოგიერთი პირები მას თავს ახვევენ. ბათომში მყოფ ზოგ მუსულმან მოღვაწეთა განცხადებას აჭარის ავტონომიის შესახებ ხალხი მხარს არ დაუჭერს. ამგვარათვე უფლება არა აქვს ხალხის სახელით ილაპარაკოს ბათომის მეჯლისმა, რომელიც დემოკრატიული საარჩევნო სისტემით არ არის არჩეული. ბათომის მეჯლისი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაშვებული. აჭარას არ სურს ავტონომია და იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №168). ჰაიდარ აბაშიძისა და ჯემალ-ბეგ ხიმშიშვილის მოსაზრებანი არ გაიზიარა საქართველოს მთავრობამ. ავტონომიის იდეას მხარი დაუჭირა ნოე რამიშვილმაც. თუმცაღა, აჭარისათვის ავტონომიის მინიჭება-არმინიჭების საკითხი აქტუალური დარჩა შემდეგაც.

გაიმართა მსჯელობა სამომავლოდ ავტონომიური აჭარის სახელისუფლებო სტრუქტურის ჩამოყალიბების შესახებ. მემედ აბაშიძე მის საკანონმდებლო ორგანოდ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს მოიაზრებდა, რომელსაც ლეგიტიმაცია საქართველოს დამფუძნებელი კრებისაგან უნდა მიეღო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის 3 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბათუმის ოლქში დროებით ჩამოეყალიბებინა საგანგებო, სამხედრო მდგომარეობასთან შეფარდებული მმართველობა და მისთვის სათავეში ჩაეყენებინა გენერალ-გუბერნატორი. იგი წარმოადგენდა ავტონომიური მმართველობის გარდამავალ ეტაპს. აღნიშნული გადატყვეტილება მთავრობამ დაასაბუთა შემდეგი არგუმენტებით: ,,ეს გადატყვეტილება გამოიწვია საშიშროებამ, რასაც ქვეყნის ერთიანობას უქმნიდნენ ბათუმსა და მის ოლქში მოკალათებული სხვადასხვა მიმართულების ანტისახელწიფოებრივი დაჯგუფებები. ისინი 1920 წლის მაისში მდინარე ჩოლოქთან შეიარაღებული წინააღმდეგობის პროვოცირების შემდეგაც ცდილობდნენ ჩამოეგლიჯათ ეს კუთხე საქართველოს სხეულიდან“ (გაზ. „ერთობა“, 1920, №148).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობდა გაემართლებინა თავისი გადაწყვეტილება, ჰ. აბაშიძის თანახმად, აღნიშნულმა ,,ბათუმში დიდი მითქმა-მოთქმა და ბევრი გულისწყრომა გამოიწვია...“ (აბაშიძე 1920 №142).

ბათუმის ოლქის კომისრად დაინიშნა სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი. იგი, პარალელურად, იყო ქალაქ თბილისის მოურავი და დამფუძნებელი კრების წევრი. იგი ჩამოსულიც არ იყო ბათუმში, რომ განაცხადა – საქართველოს მტრებს ბათუმსა და მის ოლქში არ ექნებათ ადგილი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები დაუშვებელი იქნებაო (ცქვიტარია 1962: 165).

ამ დროისათვის ვითარება ბათუმში საკმაოდ მძიმე იყო. როგორც გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“ იუწყებოდა, ,,იმდენი ბოროტებაა ჩვენს მხარეში (იგულისხმება ბათუმის ოლქი - გ.კ.) დაბერტყილი, იმდენი შხამია დანთხეული და ისე რიგათ არის ხალხი მოწამლული, რომ აქ ჩვენ გიგანტური გამაჯანსაღებელი ზომები გვჭირდება, რომ ოლქი გონს მოვიყვანოთ, თვალი აუხილოთ და საერთოდ სწორცნობიერების გზაზე დავაყენოთ...“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №26).

ბ. ჩხიკვიშვილი ბათუმში ჩამოვიდა 1920 წლის 7 ივლისს. მას თან ჩამოყვა ცენტრალური უწყების წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილზე გადაიბარეს მმართველობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გადაეცა ინგლისელი გუბერნატორის სამოქალაქო, საოლქო და ქალაქის მილიციის სამმართველები. დაადგინეს, ბათუმის ოლქი დაეყოთ საგამომძიებლო და სამოსამართლო უბნებად. ქალაქი ბათუმი დაიყო 5 სამილიციო უბნად. მათ სათავეში ჩაუდგნენ მილიციის კომისრები. ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოში 330 მილიციელი მუშაობდა. დაახლოებით ამდენივე იყო ბათუმის ოლქის საოლქო მილიციაშიც.

ბათუმის ოლქში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განსახილველად, ბ. ჩხიკვიშვილის ინიციატივით, გადაწყდა აღმდგარიყო შარიათის კანონმდებლობა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა გადაიბარეს ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის სასამართლო დაწესებულებები. მათვე დაემორჩილა ბათუმის საპყრობილეც.

მიწის საკუთრებისა და მისი მოხმარების საკითხი ხელუხლებლად დატოვეს. საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს გადაეცა სატყეო და საადგილმამულო განყოფილება – ჩაქვის მამული და ბოტანიკური ბაღი. მასვე გადაეცა სააგარაკო და სხვა სახელმწიფო ნაკვეთები. ასევე, ართვინის ზეთისხილისა და ხეხილის სანერგე.

გზათა სამინისტროს წარმომადგენელს გადაეცა ბათუმის საზღვაო სანაოსნოს სამმართველო, ტრანსპორტი და ელექტროსადგური.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს გადაეცა ხაზინა, საბაჟო, სახელმწიფო ბანკი და სააქციზო სამმართველო.

ხელისუფლების გადაბარების შედეგები აგვისტოს შუა რიცხვებში ბ. ჩხიკვი-შვილის ხელმძღვანელობით გამართულ თათბირზე შეაჯამეს (სდსის 2008: 505).

ვიდრე ბათუმის ოლქი გადაეცემოდა საქართველოს, ბათუმიდან ყირიმში მყოფ ვრანგელთან წავიდნენ მასლოვი, გინკული, კობიევი და მალინოვსკი. მათ თან გაჰყვნენ ვაჭარ-სპეკულიანტები და მდიდარი მიწათმფლობელები. მათ მიერ ბათუმის ოლქში დარჩენილი ქონება გადაეცა საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს (სდსის 2008: 506).

ბ. ჩხიკვიშვილს, პირველ რიგში, უნდა გამოევლინა და დაესაჯა ბათუმის ოლქში მოქმედი ანტიქართული ძალები და მათი ხელშემწყობი პირები. გაზეთი ,,ერთობა“ იუწყება, რომ ქონება ჩამოაერთვეს სეპარატისტ ქესკინ-ზადეს თანამზრახველ გენერალ ტერმენს და პოლკოვნიკ იონინს. ისინი ხოფაში გაქცეულან და დაუწყიათ რაზმების შეგროვება ბათუმზე თავდასასხმელად (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №168). სასჯელი ელოდა ქესკინ-ზადესაც.

ამ დროს ბათუმში გააქტიურდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა თავისი უჯრედები ,,მელითონეების, მჭედავების, სანაპირო არტელისა და ბერძენ მუშათა შორის. ბოლშევიკური უჯრედები იყო ჩამოყალიბებული... ბარცხანაში, ჭაობში, გოროდოკში...

პროფკავშირს ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო - პოლიტიკური და ლიტერა-ტურული გაზეთი ,,ბატუმსკიე ვესტი“ (ამხფ, ფ. 4, ს. 372: 64-65).

აღნიშნული განაპირობა 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, რომელიც ლეგალური მუშაობის საშუალებას აძლევდა საქართველოში არსებულ კომუნისტურ პარტიას. ს. კიროვის მეთაურობით, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა კომუნისტური პარტიის მრავალრიცხოვანი დელეგაცია. ისინი ცდილობდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ: ,,...კომუნისტები წინააღმდეგ გზას დაადგნენ. თავის ორგანიზაციაში თავს უყრიდნენ უცხოელ მოქალაქეებს, აგრეთვე შეუდგნენ ჯარში მუშაობას და ცდილობენ ჩვენი ფრონტის დასუსტებას აზერბაიჯანისა და აჭარელ მეაბოხეთა წინააღმდეგ, რომელთაც ,,სედაი მილეთის“ ჯგუფი მეთაურობს და პანთურქისტებისაგან შესდგება. მთავრობამ ხელთ იგდო მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომლისგანაც აშკარაა, რომ ღალატი, რომელიც ჩაიდინა სათადარიგო ჯარის ჯგუფმა, მიატოვა რა ფრონტი აჭარელ მეამბოხეთა წინააღმდეგ და მით საფრთხეში ჩააგდო ხულოში ჩვენი მოქმედი ჯარის ნაწილი, კომუნისტების ზეგავლენით მომხდარა“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 №132).

ბ. ჩხიკვიშვილმა შეზღუდა მათი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი ბათუმის ოლქში და გამოაცხადა ბოლშევიკთა ლიდერის - ივ. პეცკოვის ძებნა.

დაპატიმრებულ იქნენ ქალაქ ბათუმში, დაბა მახინჯაურში, ციხისძირსა და ქობულეთში მყოფი ის ჩინოვნიკები და ოფიცრები, რომლებიც ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდში ჩადიოდნენ ანტიქართულ ქმედებებს. საქართველოდან გაასახლეს გაზეთ ,,ნაშ კრაის“ რედაქციაც (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №135).

ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ბათუმის ,,ოლქში თითქმის ძველებურად ნავარდობდნენ ტყუპი, ქემალ-ლენინის აგენტები და პოხიერ ნიადაგზე შხამს უნთხევენ...“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №30).

თურქეთთან საზღვრის საიმედო ჩაკეტვის, ბათუმის ოლქში უსაფრთხოების გაზრდისა და ბანდიტიზმთან ბრძოლის მიზნით, 1920 წლის 13 ივლისს ბ. ჩხიკვიშვილმა მოითხოვა თბილისიდან დამატებითი ძალების გამოგზავნა.

ბ. ჩხიკვიშვილის თქმით, ბევრად უფრო სიმშვიდე იყო ზემო აჭარაში, რაც, ძირითადად, ჯემალ ხიმშიაშვილის დამსახურება გახლდათ. თუმცა აბსოლუტური სიმშვიდე არც იქ იყო.

აჭარაში არსებული არეულობისა და ხალხის უკმაყოფილების მიზეზი, მემედ აბაშიძის თქმით, იყო ავტონომიის საკითხის გადაუწყვეტელობა. სწორედ ამიტომაც, 26 ივლისს, მემედ აბაშიძის მეთაურობით, თბილისში გაემგზავრა სამუსლიმანო

საქართველოს მეჯლისის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ხ. სურმანიძე, ს. ბეჟანიძე, მ. ჩიმურიძე და ჯ. ქიქავა. მათ თბილისში ჩაიტანეს მეჯლისის დადგენილება აჭარაში ავტონომიის გამოცხადების შესახებ. მემედ აბაშიძის თქმით: ,,ჩვენ ავტონომია ისე გვაქვს წარმოდგენილი, რომ ის კითხვები, რომლებიც გარეშე საქმეებს და ფინანსურ პოლიტიკას შეეხება, აგრეთვე, სამხედრო მოწყობილობას და იმ შინაგან საქმეებს, რომლებსაც საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, უნდა გადასწყვიტოს ცენტრალურმა კანონმდებლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა. ის საკითხი კი, რომლებსაც ოლქისათვის ადგილობრივი ხასიათი აქვს, ადგილობრივ სახელმწიფოებრივ აპარატის საშუალებით უნდა გაირჩეს. ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა გადასწყდეს აგრეთვე აგრარული საკითხი“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №173).

მემედ აბაშიძე გაზეთ ,,ერთობაში“ წერდა, რომ აჭარაში ვითარებას ამძიმებდა აქ მოქმედი ანტიქართული დაჯგუფებანი. ესენი გახლდათ: ,,ახალგაზრდა თურქე-ბის“ კომიტეტი, აზერბაიჯანის აგენტები, ბოლშევიკები, თეთრგვარდიელები, ძველი ადმინისტრაცია და სხვა მოსული ელემენტები. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ის ძალაუფლების სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისთვის გადაცემაში ხედავდა (გაზ. ,,ერთობა“ 1920 №175). ბათუმის ოლქში უცხო სახელმწიფოთა აგენტების მომრავლებას ადასტურებს დამფუძნებელი კრების წევრის პ. გელაშვილის წერილიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144: 2).

ყოველივე ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც აჭარაში მოსახლეობის რიცხვი კლებულობდა და იგი 190 000 კაცს მოითვლიდა (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №173).

საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა, 26 ივლისს, მისწერა წერილი ნ. ჟორდანიას. მასში აღნიშნულია, რომ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისში იყვნენ ანტისახელმწიფოებრივი ორიენტაციის წევრებიც, რომლებზეც არ შეიძლებოდა ნდობა. გარდა ამისა, ბ. ჩხიკვიშვილის აზრით, მეჯლისი არა საკანონმდებლო, არამედ ადგილობრივი მმართველობის ორგანო უნდა ყოფილიყო, რომელიც თავიდან უნდა

აერჩიათ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად (გაზ. ,,ბათუმის ფურცელი“, 1920, №29; გაზ. ,,ერთობა“, 1920, №175).

გაზეთი ,,ერთობა“ იუწყება, რომ ბ. ჩხიკვიშვილმა ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობის კომპეტენციის შესამუშავებლად, 15-კაციანი კომისია ჩამოაყალიბა (იქვე). ამ დროს კი აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი ისევ აქტუალური რჩებოდა.

გაზეთ ,,ბათუმის ფურცელში“ დაბეჭდილ სტატიაში სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი ხ. თხილაიშვილი იუწყებოდა, რომ ავტონომია უნდა ყოფილიყო არჩევითი თვითმმართველობა (გაზ. ,,ბათუმის ფურცელი“, 1920, №29 და №31).

აჭარაში ავტონომიის თემას შეეხო თაჰსიმ ხიმშიაშვილიც. მისი თქმით, ავტონომია ძალაუფლებას მხოლოდ ,,ზემოთა წრეებს დაუტოვებდა“ (სდსის 2008: 508).

პ. გელაშვილის ანგარიშის თანახმად, ბათუმის ოლქში ავტონომიის მოუგვარებლობა აწუხებს ყველას, ,,დიდს და პატარას, ბეგს, გლეხს თუ სასულიერო პირს, ნასწავლს თუ უსწავლელს“ (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144: 12-13; სილაგაძე 1998: 22-23).

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა 1920 წლის 5 ნოემბერს მოწვეული დამფუძნებელი კრება, სადაც სიტყვით გამოვიდა აკ. ჩხენკელი. მისი თქმით: ,,...ჩვენ ისიც კი ვერ მოვასწარით, რომ მიგვეღო დებულება, რომელშიც უნდა ჩამოესხას წესი ბათომის მხარის ავტონომიური მმართველობისა. დეკლარატიულად ჩვენ ეს არა ერთხელ ვსთქვით ამ ტრიბუნიდან, მხოლოდ კანონით ჯერ არ გაგვიტარებია. თქვენ იცით, რომ ეს საკითხი ჩვენი დღის წესრიგში სდგას, როცა ჩვენ ნორმალურ მუშაობას დავიწყებთ, შევუდგებით კონსტიტუციის პროექტის და აგრეთვე ბათომის მხარის დებულების განხილვას, არ ვიცი შეიძლება ობიექტურმა პირობებმა, გარეშე საფრთხემ შეგვიშალოს ხელი, მაგრამ ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ყოველგვარ დაბრკოლებებს ვძლევთ“ (დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეორე) 1920: 9). საბოლოოდ, დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვიტა, რომ სამუსლიმანო საქართველოში საგარეო საფრთხის გამო დაეტოვებინა საგანგებო მმართველობა. მათთვის

ავტონომიის მინიჭების საკითხი კი გათვალისწინებული ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტში.

აღსანიშნავია დამფუძნებელი კრების ამავე სხდომაზე სპ. კედიას მიერ წარმოთქმული სიტყვა, სადაც მან ხაზი გაუსვა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისადმი ნდობის ხარისხს. მისი თქმით: ,,...ჩვენ უნდა გავანაღდოთ ის განცხადება, რომელიც მეჯლისმა წარმოადგინა და ის დაპირება, რომელიც მას აღუთქვით ჯერ კიდევ ბრძოლის დროს: ცნობა სამუსლიმანო საქართველოს თავისებურობისა და ამ თავისებურობის დამცველი ავტონომიისა. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ მეჯლისი და შეგნებული მუსლიმანი ქართველები, რომელნიც ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის, დღესაც ჩვენთან იქნებიან და ჩვენთან იბრძოლებენ საქართველოს საზღვრების დასაცავად“ (იქვე: 13).

გაზეთ ,,დროების“ თანახმად, 1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, ბათუმის ოლქიდან გაიწვიეს ბ. ჩხიკვიშვილი და მის ნაცვლად დაინიშნა გრიგოლ გიორგაძე. საქართველოს მთავრობამ შეზღუდა მისი უფლებები და იგი ბათუმის ოლქის კომისრის ნაცვლად იწოდა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულად (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №262). გრ. გიორგაძემ ადმინისტრაციულ აპარატში ადგილობრივი პოლიტიკოსები მიიწვია. ასევე, ჩამოაყალიბა სათათბირო ორგანო, რომელშიც შეიყვანა მეჯლისის 3, ქალაქის 2 და რაიონების თითო წარმომადგენელი.

1920 წლის მეორე ნახევარში მთელ საქართველოში და მათ შორის, ბათუმის ოლქშიც მკვეთრად გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა. იმავე წლის ოქტომბრის თვეში თბილისში გამართულ ეკონომიკურ თათბირზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფის პირას იყო მისული. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ბათუმის ოლქში. აზერბაიჯანის გასაბჭოებამ გამოიწვია ბაქოს ნავთის გატანის შეტყვეტა ბათუმის ნავსადგურიდან. ამას მოჰყვა ბათუმში ნავთის ქარხნებისა და მასთან დაკავშირებულ სახელოსნოთა გაჩერება, რომლის შედეგადაც იმატა უმუშევართა რაოდენობამ. 1920 წლის შემოდგომაზე ბათუმში მათმა რიცხვმა 5 500 კაცს მიაღწია. ასევე მძიმე იყო ბათუმის ოლქში მცხოვრებ გლეხთა ვითარებაც. ეს გამოწვეული იყო მიწის სიმცირით, ტყეებისა და საძოვრების გამოყენებისათვის

მემამულეთა მიერ დაწესებული დიდი გადასახადებით, ასევე, მიწათსარგებლობის კანონის მოუწესრიგებლობით (ცქვიტარია 1962: 167-169).

აკ. ჩხენკელის თქმით, ბათუმისა და არტაანის სოფლებში ,,მცხოვრებლებმა დიდი გაჭირვება, დარბევა, გაძარცვა-აწიოკება და ჟლეტა განიცადეს ამ ექვსი წლის განმავლობაში... მდგომარეობა აუწერელია. ქალი და ბავშვი ბევრ ალაგს უკვე სხვის მომკილ ყანებში აგროვებს თითო-ოროლა ქერის თავთავს“ (გაზ. ,,ერთობა“, 1920, №215).

გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველოში“ ვკითხულობთ: ,,წარმოუდგენელი სიძვირის გამო, ხალხი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. შიმშილი-სიღატაკე, გადამდები სენი მუსრს ავლებს მცხოვრებთ, ხალხის დახმარებისათვის თითქმის თავს არავინ იწუხებს. ხალხის ინტერესები აბუჩად აგდებული და დამცირებულია“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, № 297). ბათუმის ოლქში მძიმე ეკონომიკურ მგომარეობაზე საუბრობს მკვლევარი მამია ჯიჯიეშვილიც (ჯიჯიეშვილი 1957 : 95). ისტორიკოს ჩავლეიშვილის თანახმად კი, დაუწყიათ ბათუმში საშოვარზე ჩამოსული და სეზონური მუშების ქალაქიდან ადმინისტრაციული წესებით გასახლება (ჩავლეიშვილი 1987: 154-158). ისეთ დონეს მიაღწია ეკონომიკურმა კრიზისმა, რომ მუშებს ხელფასით მოთხოვნილების მინიმუმის დაკმაყოფილებაც კი აღარ შეეძლოთ (სდსის 2008: 511).

აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ბათუმის ოლქში რამდენადმე გააქტიურდნენ ბოლშევიკები. ართვინში მცხოვრებმა სომხებმა შექმნეს ბოლშევიკური ორგანიზაცია. ართვინშივე დაუწყიათ კომუნისტირი იდეოლოგიის გავრცელება საბჭოთა აზერბაიჯანიდან ჩამოსულ ემისრებს (ცქვიტარია 1973: 105-106).

ბოლშევიკები ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ პროფკავშირებზე, რაც, ნაწილობრივ, მოახერხეს კიდეც. კერძოდ, დაიმორჩილეს მეზღვაურთა პროფკავშირი. იგივეს ცდილობდნენ მენავთობეთა და მელითონეთა კავშირებზეც. ამან შეაშფოთა საქართველოს მთავრობა და 1920 წლის აგვისტოში ბათუმში ჩავიდა პროფკავშირების დელეგაცია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის ხელაძის მეთაურობით. ისინი ცდილობდნენ ბოლშევიკთა აგიტაციის განეიტრალებას (იქვე: 107). ამავე

მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გამოსცა ცირკულიარი, რომლის თანახმადაც, საზოგადო ორგანიზაციებს მინიმუმამდე უნდა შეემცირებინათ თავიანთ დაწესებულებათა შტატი. ,,ჩვენი რესპუბლიკისათვის და კერძოდ ბათუმისათვის ამ განცხადებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №19).

1920 წლის 14 სექტემბერს ბათუმში ჩავიდა II ინტერნაციონალის დელეგაცია (ცქვიტარია 1962: 171) ვანდერველდეს, მაკდონალდის, სნოუდენის, შოუს და სხვათა მონაწილეობით. მოგვიანებით ჩამოვიდა ამავე დელეგაციის წევრი კ. კაუტსკი. მათ შემოიარეს საქართველოს კუთხეები და 14 სექტემბერს ჩავიდნენ ბათუმში. ქართულმა მხარემ ქალაქის საბჭოს შენობაში საზეიმო შეხვედრა მოუწყო მათ.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ი. რამიშვილმა: ,,ჩვენი კარები ღიაა ძვირფასი სტუმრებისათვის. ჩვენ გესალმებით გულმხურვალეთ, მობრძანდით და ნახეთ ჩვენი მუშაობა... ჩვენ ვიბრძოდით, ვმუშაობდით და ბევრსაც მივაღწიეთ“ (ჯიჯიეშვილი 1957; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №210). სტუმართა საპატივცემულოდ, ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას – მარინეს გამზირს ეწოდა ინტერნაციონალის გამზირი, ხოლო ისინი არჩეულ იქნენ საქართველოს საპატიო მოქალაქეებად. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ვანდერველდე. მისი თქმით: ,,ჩვენ გვწამდა, რომ 1917 წლის რევოლუცია სწორი გზით წავიდოდა, მაგრამ რუსეთმა იმედები არ გაგვიმართლა... ჩვენი მიზანი მარტო ის არაა, რომ გავეცნოთ თქვენს მუშაობას, არამედ, ისიცაა, რომ დაგეხმაროთ თქვენი დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობაში“ (ჯიჯიეშვილი 1957: 149). სტუმართაგან ასევე სიტყვით გამოვიდა მაკდონალდი. მან აღნიშნა, რომ: ,,ჩვენ არაჩვეულებრივი გულმხურვალეობით გვესალმებიან. ამით და ამ ქვეყნის ნახვით ჩვენ ბედნიერი ვართ... ეს ქვეყანა დემოკრატიის სამეფოა. ჩვენ გვესმოდა ქართველი ხალხის გმირობა და მოხარული ვართ დავინახოთ არა წითელი დროშები, არამედ საქართველოს მუშათა და მოქალაქეთა მარჯვენის ნაყოფი, რომელიც გამოჭედილ იქნა ამდენი ხნის ბრძოლაში (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №210).

II ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა დაგმო ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ. ისინი დააპატიმრეს, მაგრამ რუსეთის საბჭოთა

საკონსულოს მოთხოვნით გაათავისუფლეს. დაპატიმრებულთა შორის გახლდათ ვინმე სერგო მელიკ-ოსიპოვი, რომელიც იყო რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის თანაშემწე და სომხეთის მოქალაქე. იგი ურიგებდა პროკლამაციებს თავის აგენტებს ხალხში გასავრცელებლად. საბჭოთა საკონსულოს მოთხოვნით, მელიკ-ოსიპოვი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“ 1920 №20).

საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაკავების შემდეგ, საქართველოში, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი შევალიე და ფრანგი ადმირალი დიუმენელი. შევალიემ საქართველოს მთავრობასთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ,,მშვიდობის ინტერესები მოითხოვენ აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას“ და საფრანგეთი საქართველოს სამხედრო საჭურველით დაეხმარება ბოლშევიკებთან ბრძოლაში (ჯიჯიეშვილი 1957: 149-150).

ბოლშევიკები ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ნ. ჟორდანია ინგლისელებს ჰპირდებოდა აჭარის გადაცემას 12-15 წლით, ან ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას (იქვე: 153). ამისათან დაკავშირებით, მოსკოვიდანაც იქნა რამდენიმეჯერ საპროტესტო ნოტა გამოგზავნილი. ეს ხმები, 1920 წლის 4 ნოემბერს, დაგმო საქართველოს მთავრობამ (სდსის 2008: 513).

აღნიშნულ თემას 1920 წლის 7 დეკემბერს გამოეხმაურა საქართველოს დამფუძ-ნებელი კრება. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ – გრ. ლორთქიფანიძემ დეპუტატებს გააცნო საბჭოთა რუსეთის ელჩის – შეიმანის მიერ, იმავე წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გამოგზავნილი ნოტა, სადაც აღნიშნული იყო ,,...ხმები ინგლისელების მიერ ბათომის მოსალოდნელ დაკავების შესახებ ამ ბოლო დროს იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ დაეუფლა ადგილობრივ პრესას, რომელიც იცნობებოდა, რომ ინგლისელების მიერ განზრახული დაჭერა ბათომისა ორ გვარის სახით უნდა მოხდეს ან იმ საიჯარო ხელშეკრულებით განხორციელებით, რომელიც თითქოს დაუდევს ინგლისელებთან საქართველოს მთავრობას, ან და სამხედრო ოკუპაციის წესით, რათა ამ რიგად უზრუნველყოფილი იქმნეს საქართველოს მიერ აღებული ინგლისის ვალი... მათი

განხორციელება საქართველოს უქადის ინგლისის ახალშენად გადაქცევას და საეჭვოდ გახდის მომავალში საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობას“ (დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეორე) 1920: 1-2).

საქართველოს მხრიდან ამ ნოტაზე პასუხი იყო შემდეგი: ,,...რაც შეეხება კერძოთ, ამ ბოლო დროს გავრცელებულ ხმებს ვითომდა ინგლისელების მიერ ბათომის დაკავების შესახებ – საქართველოსა და ინგლისს შორის თითქოს არსებულ საიჯარო ხელშეკრულების განსახორციელებლად თუ სამხედრო ოკუპაციის წესით, რითაც უნდა უზრნველ იქნას საქართველოს მიერ ინგლისის ვალის გადახდა, რომელიც ნამდვილად არ არსებობს, ამიტომ მაქვს პატივი დაგიმოწმოთ, რომ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვთ და სრულიათ არ შეეფერებიან სინამდვილეს“ (იქვე: 3).

იმავე წლის 18 ნოემბერს, საბჭოთა რუსეთმა მეორე ნოტა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს: ,,...უკანასკნელი დღეების შეთანხმების სახელმწიფოთა რადიო დეპეშები შეიცავენ ისეთ ცნობებს, რომელიც ჩემს მთავრობას არწმუნებს იმაში, რომ უკვე ოფიციალურად მუშავდება გეგმა ინგლისის, ან შეთანხმების სხვა რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალით ბათომის დაპყრობისა...“ (იქვე: 4). ამის საპასუხოდ, წერილი იქნა გაგზავნლი მოსკოვში ,,...რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო საფუძვლიანად ჩაგვეთვალა ხმები ბათომის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ“ (იქვე: 5-6). აღნიშნული საკითხი გაშუქებულ იქნა გაზეთ ,,ბათომის ფურცელშიც“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №71).

აშკარა იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ გამოგზავნილი ორივე ნოტა მიზნად ისახავდა, სამომავლოდ, საქართველოს ოკუპაციის ერთგვარ სამზადისს. ამ ცრუ ინფორმაციით, რუსეთი ცდილობდა, ვითომდა ინგლისელთაგან ბათუმის ოლქის გათავისუფლებას. სინამდვილეში კი, მან მთელი ყურადღება მიაპყრო იქითკენ, რომ დაესწრო ინგლისელებისათვის მისი დაკავება...

ამას დაემატა ბათუმში ბოლშევიკების გააქტიურება, რომელიც გამოიწვია გამოცდილი პარტიული მუშაკების ჩამოსვლამ. მათ შორის აღსანიშნავია ბ. ძნელაძე, რომელმაც დაიწყო კომკავშირის ჩამოყალიბება (ცქვიტარია 1973 :107-108). ბათუმის

ოლქში ბოლშევიკების ანტისამთავრობო გამოსვლებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილისიდან საბჭოთა რუსეთის საელჩო და ადგილზე ბათუმში მყოფი ამავე ქვეყნის საკონსულო. საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა-აგიტაციისთვის, 18 ნოემბერს დააპატიმრეს მეზღვაურთა პროფკავშირების ხელმძღვანელობა (სდსის 2008: 513).

გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ ,,ქალაქი სავსეა იმ შავ გულიანი კაცებით, რომელთაც გუშინ ხელში ეჭირათ ამფეთქებელი საშუალებანი საქართველოს დასამხობათ...

აქ არიან მოციქულნი აფხაზეთის ,,გადატრიალებისა“, აქ არიან აქტიური აგენტები მოსკოვის, ყირიმის (იგულისხმება თეთრგვარდიელები - გ.კ.) და არზრუმის ფერად რეაქციებისა.

... ფული ბევრი აქვთ, ხშირად ლეგალობის პერანგიც აცვიათ“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №20). ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბა ოქტომბრის შუა რიცხვებში. იმ პერიოდის პრესის ფურცლებიდან ვკითხულობთ, რომ: ,,ოლქის მდგომარეობა სახიფათოა. ბოლშევიკები და ქემალისტები ხალხში გავიდნენ სამუშაოდ. დღეს ჩვენ გვმართებს ფიქრი და შრომა, თუ როგორი გზით უნდა შევებრძოლოთ ამ მოვლენას“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №28). ვითარების დასარეგულირებლად, ქობულეთში სპეციალურად ჩავიდა ა. ჩხენკელი. მის შესახვედრად გაიმართა დიდი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ქობულეთის ყველა სოფლის წარმომადგენლები. ა. ჩხენკელი ,,ესაუბრა დიდხანს ხალხს, გააცნო დღევანდელი მდგომარეობა ყველა სახელმწიფოების და მოუწოდა ხალხს, რომ არ აყვნენ ავანტიურისტების ლაპარაკს, ხელი მიჰყონ მშვიდობიან ცხოვრებას და მუშაობას, ნუ გაუწევენ მთავრობას წინააღმდეგობას...“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №32).

ამავე დროს, თურქეთში გაძლიერდა ქემალისტური მოძრაობა. იგი ცდილობდა ოსმალეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას, მათ შორის, თვალი ეჭირა სამუსლიმანო საქართველოზეც. 1920 წლის 4 ნოემბერს, ბათუმსა და მის ოლქში პანთურქელებმა გამოაკრეს შემდეგი ანტიქართული პროკლამაცია:

,,პატივცემულო მამულიშვილნო!

რამდენიმე თვის განმავლობაში თქვენი გაჭირვებისა და უკიდურეს მდგომარეობის სიმწარის ხმა ჩვენც შეგვესმა. სამშობლოსადმი მამულიშვილობის შესანარჩუნებლად დღეს თქვენთან მოვდივართ და ხელს გიწვდით, უფრო მეტად დასაახლოებლად. აქაურ ამხანაგებთან ჩვენ უკვე შევერთდით მუშაობის გასაჩაღებლად. ღვთის შეწევნით, ჩვენ მალე, სულ მალე, დედა სამშობლოში, სარწმუნოებისა, ხალხისა, უფლება-ჭეშმარიტების მტრებთან უნდა ვიბრძოლოთ. ყოველ შემთხვევაში ღმერთი ჩვენთანაა! ჩვენი მტრების აგიტატორთა სურვილები და მისწრაფებანი უკვე მოგვეხსნა! სკოლების დამხურველი მტერი თავის ხიშტით პირდაპირ სარწმუნოებას ჰგმირავს. არ დაგავიწყდეთ! ჩვენ მოვსულვართ და გამარჯვებაც მოვიტანეთ... ბევრი დრო არ გავა და ღვთის დახმარებით მტერი დამარცხდება და გაიხარებს მუსულმანობა...“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №250).

თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქემალისტურ მოძრაობას და მსგავსი ტიპის განცხადებებს, ამაზე იმსჯელეს 1920 წლის 5 ნოემბერს გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე, რომლის სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ვკითხულობთ შემდეგს: ,,დღეს, როდესაც ქემალის იარაღი სამუსლიმანო საქართველოს საზღვრებთან ჟღარუნობს, ხომ იცით, ამით თუ რა მაცდურობაა აშლილი ქართველ მუსლიმანთა შორის, ეს მაცდურობა უნდა აღვკვეთოთ. ეს შეიძლება საღი პოლიტიკის წარმოებით...“ (დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეორე) 1920: 13).

დამფუძნებელ კრებაზე გაკეთებულ გამაფრთხილებელ განცხადებას, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო სცენარი, დიდი გულისყურით სჭირდებოდა ყურადღების მიქცევა, რადგან მას მართლაც დიდი დარტყმის მიყენება შეეძლო საქართველოსთვის. დამფუძნებელი კრების მასალებიდან ჩანს, რომ გარკვეულ ინციდენტს მართლაც ჰქონდა ადგილი ქობულეთში. 5 ნოემბერსვე გამართული სხდომის მიწურულს, დეპუტატმა ვ. ჯუღელმა გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: ,,ჩვენ გვაგვს უტყუარი ცნობა იმისა, რომ ცუდი მდგომარეობა არის იქ. ჩვენ ვიცით ის ყრილობა, რომელიც იყო ქობულეთში და რომელსაც დაესწრნენ ორმოცი სოფლის წარმომადგენლები. ჩვენ ვიცით გამოგზავნილი

ტელეგრამა ართვინიდან, ქემალ ფაშის აგენტების მუშაობა გაცხოველდა და ერთგვარ ნიადაგსაც პოულობსო... საქმე იმაშია, რომ შეიძლება აჭარა და მუსულმანი ქართველები ჩვენს წინააღდეგ გამოვიდნენ“ (იქვე: 33). ამავე დროს, „სედაი მილეთელებმა“ დაიწყეს ცრუ ინფორმაციის გავრცელება, თითქოს საქართველოს მთავრობა ებრძოდა მუსულმანურ სარწმუნოებას და მოსახლეობას მოუწოდებდნენ დაეწყოთ მზადება საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად (ახვლედიანი 1971: 119). „სედაი მილეთელთა“ ერთ-ერთ პროკლამაციაში კი ეწერა, რომ ,,სულ ახლო ხანებში ჩვენ ომს გამოვუცხადებთ ჩვენი სარწმუნოების და ხალხის მტრებს! ჩვენი ჯარები გიახლოვდებიან თქვენ“ (გაზ. ,,საქართველო“, 1920, №136).

საქართველოში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშემ 5 ნოემბერს მოსკოვს აცნობა: ,,აჭარის ყველა მსხვილ ცენტრში ხდება კონსპირაციული შეხვედრები. მიდის იარაღის და ვაზნების შესყიდვა. 20 ოქტომბერს ხალხმრავალი კრება შედგა პლატფორმა ,,თამარის“ ერთ-ერთ აგარაკზე. კრებაზე გამოვიდა რიზელი თურქი, ყველა მონაცემებით ოფიცერი, რომელმაც გააკეთა მოხსენება მუსტაფა ქემალის ამოცანებზე. მომხსენებელმა ურჩია დამსწრეთ, რომ დროზე ადრე არ დაეწყოთ რაიმე სეპარატიული ღონისძიებები და დაეცადათ დირექტივებისთვის თურქეთიდან“ (სდსის 2008: 514). ბათუმის ოლქში თურქების გააქტიურებას ადასტურებს პ. გელაშვილიც, რომლის თანახმადაც: ,,...ძალიან ფეხმოდგმულია თურქების აგენტები, რომლებსაც ხუცუბანიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ სულ ერთიანად ჩაუგდიათ ხელში ეს რაიონი. ისინი პირდაპირ გაბატონებულან: კოხში, თავში, ცხემლოვანში, ჭახათში, ხინოში და ტყემალ-კვერაში. ეს სოფლები წარმოადგენენ რაღაც ცალკე სახელმწიფოს. იქ არავის არ უშვებენ...“ (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144: 5-6). ქობულეთელ „სედაი მილეთელების“ მიერ ბაქოში გამართულ პანისლამისტურ ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს განუცხადებიათ, რომ: ,,თუ ქემალ-ფაშა წინ წამოვა, ჩვენ ბათუმის ოლქში 15 ათასი კაცი გვყავს მზად, რომ შევუერთდეთო... ეს სედაი მილეთელები ღამ-ღამობით სოფლებში აწყობენ კრებებს, უხსნიან ბაქოს ყრილობაზე შემუშავებული მოქმედების პროგრამას და ხალხს ამზადებენ ასაჯანყებლადო“ (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144: 6; სილაგაძე 1998: 16).

თურქეთმა თავიანთი აგენტების შემოგზავნა დაიწყეს ბათუმში. საფრთხე იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოს მთავრობამ 8 ნოემბერს გამოაცხადა ბათუმის გვარდიის მობილიზაცია, რამდენიმე დღეში კი 1890-1893 წლებში დაბადებულ მამაკაცთა საყოველთაო მობილიზაციაც დაიწყო (სდსის 2008: 514).

იმის გამო, რომ დღითი-დღე იზრდებოდა საშიშროება როგორც თურქეთის, ისე საბჭოთა რუსეთის მხრიდან, დეკემბრის თვეში ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა საფრანგეთის სამხედრო გემები. საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა უზრუნ-ველეყოთ როგორც საქართველოს მთავრობის წევრების, ისე უცხოელ მოქალაქეთა და დიპლომატთა ევაკუაცია. ამ მძიმე ვითარების ჟამს, უმნიშვნელოვანესი იყო ბათუმის ოლქის მცხოვრებთა პოზიცია. ამიტომაც, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში, ისიდორე რამიშვილმა, ჰაიდარ აბაშიძემ, პლატონ მიქაბარიძემ და სხვა ავტორიტეტულმა პირებმა ფეხით შემოიარეს თითქმის მთელი აჭარა და ესაუბრნენ ადგილობრივებს. მოსახლეობამ ყველგან გაუსვა ხაზი, რომ ისინი არ დაუშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე საქართველოს ერთიანობის მტრების პარპაშს და იბრძოლებდნენ ქვეყნის გაძლიერებისათვის.

1921 წლის 5 იანვარს გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობისა და ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიერ შემუშავებული ბათუმისა და მისი ოლქის ავტონომიის პროექტი. მასში ხაზგასმული იყო, რომ ,,სამუსლიმანო საქართველო შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს ფართო ავტონომიური მართვა-გამგეობით“ (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1921, №496).

1920 წლის მეორე ნახევარში, ბათუმის ოლქში არსებული რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, წარმატებით იქნა დასრულებული საქართველოს ამ ისტორიული ნაწილის მის ბუნებრივ სამშობლოში კონსოლიდაციის პროცესი.

დასკვნა

ნაშრომში – ,,საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)“ – განხილულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი.

დისერტაციის პირველ თავში წარმოდგენილია წყაროები და ისტორიოგრაფია, რომელიც გამოვიყენეთ მუშაობის პროცესში.

ნაშრომის მეორე თავში – **,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1917-1918 წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება)“** – განხილულია საქართველოს ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო ვითარება, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა მასზე. კერძოდ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რამდენადმე ხელსაყრელი მომენტი შექმნა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურე-ბისათვის. 1917 წლის აპრილის დამდეგს, ჩატარდა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრება. კრების მონაწილე პარტიებმა 1917 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოაყალიბეს ეროვნული ხელისუფლების ორგანო – „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო” (თავმჯდომარე ა. ჩხენკელი). ეს იყო პირველი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე პირები.

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს საბჭოთა მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს. უფრო მეტიც - გაემიჯნენ მას და 1917 წლის 15 ნოემბერს ჩამოაყალიბეს „ამიერკავკასიის კომისარიატი“, ხოლო 1918 წლის 10 თებერვალს – ამიერკავკასიის სეიმი.

1918 წელს დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი. რუსეთში სოციალისტურ გადატრიალებას სამოქალაქო ომი მოჰყვა. მან ზეგავლენა იქონია ამიერკავკასიაზეც.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) შედეგად, გართულდა ამიერკავკასიის საგარეო ვითარება. იგი თურქეთის ოკუპაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მას მოჰყვა ტრაპიზონის კონფერენცია (1918 წლის 14 მარტი – 5 აპრილი), თუმცა უშედეგოდ. თურქეთის არმიამ 1918 წლის აპრილში დაიკავა ბათუმი,

ოზურგეთი, ახალციხე. მაისში ბათუმის საზავო კონფერენციაზე (11 მაისი – 4 ივნისი) კი თურქეთის დელეგაციამ ახალი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა.

1918 წლის 26 მაისს, შინაგანი წინააღმდეგობებით დაუძლურებული ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღესვე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც, ფაქტობრივად, ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სადოქტორო ნაშრომის მესამე თავში – ,,**საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება**“ – დეტალურად გვაქვს მიმოხილული საქართველოს ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბების, პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის, დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და მისი ფორმირების საკითხები. აღნიშნულს ჩვენ ძირითადად ვხვდებით საარქივო მასალებსა იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე, ასევე, ცალკეულ მონოგრაფიებსა და საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის) სტენოგრაფიულ ანგარიშებში.

ამ თავზე მუშაობის დროს დეტალურად აღვადგინეთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები და შევეცადეთ გამოგვესწორებინა თანამედროვე პერიოდის ისტორიოგრაფიაში გაპარული უნებლიე შეცდომები.

მეოთხე თავში – ,,**საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული და ტერიტორიული საკითხისადმი 1918-1919 წლებში**“ – შევისწავლეთ და დეტალურად წარმოვადგინეთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი: 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმის ოლქში და მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში; 2 გარეშე ძალთა ინტერესთა ჭიდილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ქვეყნის პარლამენტის დამოკიდებულება; 3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა მესხეთში და მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში; 4. ,,ყარსის რესპუბლიკა“ დამფუძნებელი კრების აქტებში.

1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ზავით, აღდგა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომამდე არსებული საზღვარი. დაიკარგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ბათუმი-ყარსი-არტაანი), ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები (აბასთუმნისა და

აწყურის გამოკლებით). მოგვიანებით, მუდროსის ზავმა (30 ოქტომბერი) გააუქმა ბათუმის ხელშეკრულება, ოსმალებს კი ინგლისელები ჩაენაცვლნენ.

1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20-ათასკაციანი ჯარით. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი. დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი (საგენერალგუბერნატორო), რომელსაც სათავეში გენერალი კუკ-კოლისი ჩაუყენეს. 25 დეკემბერს ინგლისელები თბილისში შემოვიდნენ (ცუხიშვილი 1995: 21).

ინგლისის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის შემდეგ ფრანგები დარწმუნდნენ, რომ ინგლისისათვის კონკურენციის გასაწევად საჭირო იყო ალტერნატიული გეგმის შემუშავება. საქართველოში საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურმა შარდინმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასია გადაიქცეოდა შვეიცარიის მსგავს პატარა შტატების კავშირად, რომლის დედაქალაქი იქნებოდა თბილისი (ჩოხელი 1980: 121), თუმცა მისი სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხეს.

1919 წელს უკვე ნათელი გახდა, რომ არ გამართლდა ინგლისურ ორიენტაციაზე დამყარებული საქართველოს მთავრობის იმედები. ის ხომ ინგლისისაგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას მოელოდა.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმით შეწუხებული ბათუმის მოსახლეობა საბრძოლველად განეწყო მათ წინააღმდეგ. ამას ისიც დაემატა, რომ 1919 წლის 5 სექტემბერს ინგლისელებმა ბათუმში გამოაცხადეს საალყო მდგომარეობა (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 72). ამის საპასუხოდ, ბათუმში არალეგალურ კომიტეტთან არსებულ მებრძოლმა რაზმმა ,,სოხუმში გაგზავნეს – გუბელი, ბელენკი და ჩაკალოზიანი ,,ჯოჯოხეთური“ მანქანისა და ფეთქებადი ნივთიერების შესაძენად. ეს მანქანა ბათუმში ანასტასიადის ბინაზე ინახებოდა. ამფეთქებელთა ჯგუფმა კ. ბერძენიშვილის, ვ. ჩანგიშვილის, პ. ნოდიასა და ა. დუმბაძის და სხვათა ხელმძღვანელობით ააფეთქეს (ინგლისელთა - გ.კ.) გემი, რომელსაც თეთრგვარდიელებისათვის საომარი და საწვავი მასალა უნდა მიეწოდებინა“ (იქვე: 72). 1919 წლის ეს აჯანყება შეთქმულთათვის ბოლომდე სასურველი შედეგით არ დასრულდა, რადგან შეთქმულების ორგანიზატორები წინა დღით დააპატიმრეს.

საერთაშორისო ვითარება არც ინგლისელთათვის იყო სახარბიელო. აშკარა იყო, რომ რუსეთში სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდოდნენ ბოლშევიკები, რომელთაც თვალი ეჭირათ ამიერკავკასიაზე. ინგლისელები შიშობდნენ ბათუმის დაკარგვას, ამიტომაც, 1920 წლის 29 თებერვალს, ბათუმის კრიზისის გადასაწყვეტად, ქალაქის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ქალაქად) გამოაცხადებას შეეცადნენ (იქვე: 74). ამ ქმედებით ინგლისი ცდილობდა ბათუმის ექსპლუატაციაში შეზღუდვა არ ჰქონოდა. ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების მცდელობამ მთელ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მარტის თვეში საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში მოეწყო საპროტესტო მიტინგი. საქართველოს მთავრობამ დაგმო ინგლისელთა ეს ქმედება პრესის ფურცლებიდან და საპროტესტო ნოტებით მიმართა ანტანტის სახელმწიფოების და ევროპის სხვა ქვეყნების პარლამენტებს (სცსსა, ფ. 1833, ს. 772).

1920 წლის დასაწყისში რუსეთში სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა. იმავე წლის აპრილში კი საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ინგლისელებმა გააქტიურეს ბათუმიდან კონსტანტინეპოლსა და ყირიმში ფასეულობების, ნავთის პროდუქტებისა და სურსათის გატანა. ამან კიდევ უფრო გააუარესა ბათუმის ოლქის სოციალური და ეკონომიკური სურათი. სპეკულაციამ და სიძვირემ აქაურთა მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა. სწორედ ამის შემდეგ ბრძოლა ბათუმისათვის ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ ახალ ფაზაში შევიდა. ვრანგელისათვის იარაღისა და საომარი მასალის მიწოდებისათვის ინგლისელთა ხელის შესაშლელად ამფეთქებელთა ჯგუფმა გააძლიერა მუშაობა და თვით ბათუმში მოაწყო სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ ,,ჯოჯოხეთურ“ მანქანასა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. პირველად ააფეთქეს გემი ,,ვოზრაჟდენიე“ (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 78), 1920 წლის 23 აპრილს კი – კინტრიშის რკინიგზის ხიდი, რამაც შეუძლებელი გახადა რამდენიმე დღით მატარებელთა მოძრაობა და ნავთსადენის მოქმედება.

1920 წლის 30 აპრილს, ბათუმში, ერისთავის ქუჩაზე, ვინმე სერგო გუბელის ხელმძღვანელობით, მოკლეს გენერალი ლიახოვი, რომელიც ვრანგელისათვის ბათუმის ოლქში სამხედრო ნაწილებს ქმნიდა და ყირიმში აგზავნიდა. გუბელი

ინგლისელებმა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას უსათუოდ ელოდა დახვრეტა, მაგრამ მის დასაცავად ბათუმში, აზიზიეს მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, რამაც აიძულა გენერალ-გუბერნატორი გუბელი თავდებით გამოეშვა, რომელმაც აზიზიეს მოედანზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა. ხალხმა გუბელი ბათუმიდან გააპარა (ამხფ, ფ. 4 ს. 372: 79).

ამავე პერიოდში, ამერიკელთა მხარდაჭერით, შეიქმნა დიდი სომხეთის პროექტი. სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების გამოსარკვევად, პარიზიდან ლონდონში ჩავიდა სომხეთის დელეგაცია, სადაც ეს საკითხები განიხილებოდა 1920 წლის თებერვალ-მარტში. ამ კომისიაზე სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა შავ ზღვაზე გასასვლელის უზრუნველყოფა და მისთვის მთელი ლაზისტანის სანჯაყის გადაცემა.

აშშ-ის მანდატის სომხეთზე გავრცელება მიზნად ისახავდა ,,დიდი სომხეთის“ იდეის სისრულეში მოყვანას, რომელიც მათ პლაცდარმად იქცეოდა ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობას ცდილობდა თეთრგვარდიელი დენიკინიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში დეტალურადაა შესწავლილი მისი დამოკიდებულება ინგლისელებთან და კადეტ მასლოვთან. ჩვენ, ძირითადად, გავამახვილეთ ყურადღება ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილ დეტალებზე, კერძოდ, თუ როგორ იბრძვის დამფუძნებელი კრება კიდევ ერთი დამპყრობლის წინააღმდეგ, რა დადგენილებებს ღებულობს და რამდენად სწორია ისინი. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, სამწუხაროდ, ამ უცხოელ დაპყრობლებს ზოგიერთი ქართველიც უჭერდა მხარს.

პოლიტიკურ დაძაბულობას მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. დამფუძნებელმა კრებამ არა ერთი სხდომა დაუთმო ამ პრობლემის განხილვას და მის აღმოსაფხვრელად მიიღო დადგენილებანი. თუმცა, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ეკონომიკური პოლიტიკა ყოველთვის ეფექტური არ იყო. ეს, პირველ რიგში, გამოიხატა ქართული ფულის – ბონის გაუფასურებაში. დეპუტატთა ნაწილი სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდა ინგლისური კომპანია ,,სიბუნიონისათვის“ საქონლის შემოტანისთანავე ერთი მილიარდი ბონის გადახდას, რომელიც ქართული

ბიუჯეტისათვის საკმაოდ მძიმე ტვირთად იქცა. ეს ინგლისური კომპანია საქართველოში პირველადი მოხმარების საქონლის ერთადერთ შემომტანად, ანუ მონოპოლისტად იქცა. სოციალ-ფედერალისტების თქმით, ქვეყნის მთავრობას ანტიმონოპოლიური პოლიტიკა უნდა შეემუშავებინა და სხვა ეკონომიკური პარტნიორებიც მოენახა, რათა სურსათის ფასები გაიაფებულიყო. სამწუხაროდ, მთავრობის წარმომადგენლებმა ეს რჩევა არ გაითვალისწინეს.

1918-1919 წლებში შექმნილ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებას დამფუძნებელი კრების არაერთი სხდომა მიეძღვნა, სადაც მთავრობის პოლიტიკისაგან განსხვავებული მოსაზრებები იქნა გამოთქმული.

ამ დროისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია არსებობდა, რომლებიც გამოხატავდნენ პოლიტიკური მოვლენებისადმი საზოგადოების განწყობას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ და ,,სედაი მილეთი“. პირველი წარმოადგენდა ეროვნული მიმართულების მოძრაობას, მეორე კი – ანტიქართულ ძალას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ მიმოვიხილეთ აქამდე ნაკლებად ცნობილი საარქივო საქმე – ,,სედაი მილეთის“ მასალები“ (იგი შედგება 126 გვერდისაგან). მასში ისეთი დეტალებია აღწერილი, რომლებიც, გარკვეულწილად, ნათელს ჰფენს იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სურათს.

1918-1919 წლებში მესხეთში აქტიურად დაიწყო მუშაობა ოსმალთა აგენტურამ. მასალებიდან ირკვევა, რომ 1918 წლის მარტ-აპრილში გააქტიურდა მუსლიმთა შეიარაღებული ბანდები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ახალციხის სოფლებს. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა ამ მხარეში დემოკრატიული რეფორმები გაეტარებინა. აღნიშნულს დამფუძნებელი კრებაც (1919 წლის 21 მარტი) გამოეხმაურა. მომდევნო, 22 მარტის სხდომაზე სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციამაც გააკეთა განცხადება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა განხორციელებულიყო თვითმმართველობის რეფორმები (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №5).

ბრესტის, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების დროს, ბათუმის ოლქთან ერთად, აქტუალური იყო მესხეთის კუთვნილების საკითხიც. ბრესტის

ზავით, არდაგანი და ყარსი, ბათუმის ოლქთან ერთად, წილად ერგო ოსმალებს. მან 1918 წლის 19 მარტს აიღო არდაგანი. ტრაპიზონის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელმა მოითხოვა არდაგანის უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ (ტრაპიზონის საზავო კონფერენცია... 1998: 99-106). ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებით, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ანუ სამუსლიმანო საქართველო, მესხეთი (აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით) წილად ერგო ოსმალეთს. ახალციხეში შემოვიდა ოსმალთა ჯარი, რომლის დიდი ნაწილი შედგებოდა გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი მუსლიმებისაგან (ლომსაძე 1997: 400-415).

ოსმალეთმა ეკონომიკურად უკიდურესობამდე დაასუსტა ახალციხის მაზრის ადგილობრივი მოსახლეობა. ქალაქი ახალციხე სოფელს დაემსგავსა, ჩაკვდა ვაჭრობა და მაღაზიებიც დღითი დღე იკეტებოდა. გლეხობას უკიდურესად უჭირდა. მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილობდა.

ახალციხეში ფეხი რომ მყარად მოიკიდეს, ოსმალებმა დაიწყეს თურქოფილი ბეგების შევიწროებაც, რადგან მათ ბოლომდე არ ენდობოდნენ.

თურქული ორიენტაციის ქართველ ბეგებსა და ოსმალებს შორის ურთიერთობა ამავე წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბერში კიდევ უფრო დაიძაბა. საკუთრივ ბეგებს შორისაც თავი იჩინა განხეთქილებამ. 1918 წლის 3 ნოემბერს, სანამ ძალაუფლება ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში იყო, ახალციხის ციხეში გაიმართა კრება. ბეგების ნაწილი მიიჩნევდა, რომ მესხეთის საქართველოდან გამოყოფა არ იყო აუცილებელი და იგი ავტონომიის სტატუსით უნდა დარჩენილიყო მის შემადგენლობაში. მხოლოდ რამდენიმე ბეგი (მაგალითად, ბახში-ბეგ მაჩაბელი) იყო ისეთი, რომელიც საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა ყოველგვარი ავტონომიის გარეშე. სწორედ ამას მოჰყვა 5 ნოემბრის კრება, რომელზეც ბეგებმა ჩამოაყალიბეს თავისი მთავრობა ომარ ყიფიანის მეთაურობით.

მუდროსის ზავით, ოსმალებს ინგლისელები ჩაენაცვლნენ, რომლებმაც ქართულ მხარეს განუცხადეს, რომ 1918 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ახალციხე-ახალქალაქის მაზრები დაცლილი იქნებოდა ოსმალებისაგან და იგი გადაეცემოდა საქართველოს. მართლაც, 19 ნოემბერს, ოსმალთა ჯარმა დაიწყო

არტაანის მიმართულებით გადაადგილება, თუმცა, სანამ წავიდოდნენ, მთლიანად გაუძარცვავთ აქაურობა.

1918 წლის 4 დეკემბერს ქართულ ჯარს საშუალება მიეცა ახალციხეში შესულიყო. მას სათავეში გენერალი გელოვანი ედგა. ამრიგად, სეპარატისტულად განწყობილი მესხი ბეგების ავანტიურამ მარცხი განიცადა.

მესხეთის მოსახლეობის ნაწილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობას გამოხატავდა სერვერ-ბეგ ათაბაგი. მკვლევარ ვ. ნოზაძის თანახმად, თავიდან იგი ანტიქართული პოზიციის არ იყო (ნოზაძე: 49). მართალია, ათაბაგს საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, მაგრამ 1919 წლის 1 იანვარს გაიმართა ახალციხის გლეხთა ყრილობა, რომელმაც დაგმო სეპარატიზმი და საქართველოსთან თანაარსებობის სურვილი გამოთქვა.

1919 წლის 1 თებერვალს, ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორად, ბ. მაყაშვილის ნაცვლად, დაინიშნა გ. მაზნიაშვილი. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა, ომარ ყიფიანი და 3 ოსმალო ემისარი კი დაპატიმრებულ იქნენ (ლომსაძე 1997: 299).

3 თებერვალს ახალციხეში ინგლისელთა ჯარი შევიდა. 5 თებერვალს გენერალი მაზნიაშვილი შეტევაზე გადავიდა და სეპარატისტი მესხი ბეგებისაგან რამდენიმე სოფელი გაათავისფლა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულყოფილად არ არის შესწავლილი სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“, ე. წ. ,,ყარსის რესპუბლიკის“ საკითხი. ამასთან დაკავშირებით არსებობს მკვლევარ მ. სიორიძის ,,საისტორიო მაცნეში“ გამოქვეყნებული რამდენიმეგვერდიანი სტატია ,,ყარსის რესპუბლიკა“, რომელიც, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომშია შესული. საკითხს გარკვეულწილად შეეხნენ მკვლევრები – ვ. ნოზაძე და შ. ლომსაძე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ზ. დიდიმამიშვილის მემუარი ,,დღიური წერილები“ და გენერალ შ. მაღლაკელიძის მოგონებანი. მიუხედავად ამისა, საკითხის ბევრი დეტალი ბურუსითაა მოცული. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ,,ყარსის რესპუბლიკის“ პრობლემა მეტ-ნაკლები სისრულით იქნა განხილული კრების სხდომებზე.

1919 წლის იანვარში ჩამოყალიბებულ ,,ყარსის რესპუბლიკის“ შემადგენლობაში მოიაზრებოდა ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები – ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩათვლით. ამას ემატებოდა სურმალოს, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების დიდი ნაწილი (სიორიძე 1995: 24-28).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ,,ყარსის რესპუბლიკა“, ძირითადად, ოსმალთა ინიციატივით ჩამოყალიბდა. თურქულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ამ სეპარატისტული რესბუბლიკის ჩამომყალიბებელთა საბოლოო მიზანი იყო მისი გაერთიანება ოსმალეთის სახელმწიფოსთან. მკვლევარი მალხაზ სიორიძე კი მიიჩნევს, რომ ეს მოსაზრება მცდარია და ,,ყარსის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბების უკან სამუსლიმანო საქართველოს“ სეპარატისტულად განწყობილი ზედა ფენები იდგნენ. ისინი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ისეთი ,,რესპუბლიკა“, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საქართველოს, ისე ოსმალეთის სახელმწიფოსაგან (სდსინ 2008: 465). მკვლევართა ნაწილის აზრით, ამის უკან იდგა ინგლისი. ეს უკანასკნელი მოსაზრება, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა ინგლისი, მყარდება დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშებიდანაც – როგორც ჩანს, ისინი ცდილობდნენ ამ ტერიტორიების დაპყრობას.

საბოლოოდ, გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით, ქართულმა ჯარმა 1919 წლის 7 მარტს აიღო ახალციხე და აქედან განდევნა სერვერ ბეგის ,,ისლამური არმია“. ამის შემდეგ სერვერ ბეგი ჩავიდა ბათუმში და თავი შეაფარა მასლოვის მთავრობას. იგი პერმანენტულად გზავნიდა მემორანდუმებს პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და ,,მუსლიმური ეროვნული ყრილობის“ სახელით მოითხოვდა ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის ქართული მაზრებისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილის ჩათვლით (ეჩმიაძინი) საქართველო-სომხეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბებას. ინგლისის მისია სერვერ ბეგს ამ მისწრაფებაში დახმარებას აღუთქვამდა...

1919 წლის აპრილის პირველ ნახევარში სეპარატისტებისაგან გაწმენდილ იქნა ფოცხოვი და არტაანიც. 1919 წლის 13 აპრილს დაშლილად გამოცხადდა ე.წ. ,,ყარსის

რესპუბლიკის“ მეჯლისი, ხოლო 12-კაციანი მთავრობა კუნძულ მალტაზე იქნა გადასახლებული.

ყარსში მიმდინარე მოვლენებს ცოტა დაგვიანებით (1919 წლის 4 აპრილს) გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრება. როგორც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ირკვევა, დამფუძნებელ კრებას ჩამოუყალიბებია ახალციხეში მიმდინარე მოვლენების შემსწავლელი საგანგებო კომისია, რომელსაც სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატი გ. ანჯაფარიძე. მან, 1919 წლის 4 აპრილს, დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარმოადგინა საკმაოდ ვრცელი, 11-გვერდიანი ანგარიში. კომისია შეეცადა დაედგინა ახალციხეში მომხდარი აჯანყების მიზეზები. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში ქართველ მეცნიერებს დღემდე არ გამოუყენებიათ თავიანთ ნაშრომებში, არადა, მასში ძალიან საინტერესო დეტალებია აღწერილი და გაანალიზებული.

დისერტაციის მეხუთე თავში – ,,**ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1920 წელს და საქართველოს პარლამენტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი**“ – საუბარი გვაქვს 1920 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე და იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა მისი განსჯა საქართველოს პარლამენტში.

1920 წლისათვის აშკარა გახდა, რომ რუსეთში სამოქალაქო ომი ბოლშევიკების გამარჯვებით დასრულდებოდა. შესაბამისად, ინგლისელებისა და დენიკინელების პოზიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ვეღარ იყო ისეთი მტკიცე. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა თვისი ჯარები შეეყვანა ამ ტერიტორიაზე. აღნიშნულმა მოვლენებმა ასახვა ჰპოვა საზოგადოების განწყობაზე. ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი თანაუგრძნობდა ქართულ ჯარს და ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. გააქტიურდა ეროვნულ-პატრიოტული ძალები, რომელიც გაზეთ ,,სამუსლიმანო საქართველოს“ ფურცლებიდან სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა ქართველ ერს, რათა ისინი არ წამოგებოდნენ დენიკინელების, ოსმალების, აზერბაიჯანელებისა და ბოლშევიკი აგენტების პროვოკაციებს (გაზ. ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №320). აღნიშნულს გამოეხმაურა 1920 წლის 19

მარტს გამართული საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადგინა: ,,1. მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 59).

ბათუმის ოლქში მყოფი ინგლისელები, ქართული ჯარის საწინააღმდეგოდ, მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროვოკაციებს. ქართული ჯარის ბათუმის ოლქში შემოსვლას გარკვეული ინციდენტიც მოჰყვა. ქობულეთის რაიონში, მდინარე ჩოლოქთან, მათ მოსახლეობის ნაწილი აღუდგა წინ. ესენი იყვნენ ძირითადად ანტიქართულად განწყობილი ძალები, რომლებსაც ,,სედაი მილეთის“ პარტია აერთიანებდა.

ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ბათუმის ოლქით დაინტერესებული იყო ოსმალეთის მთავრობაც. მართალია, მას იმის ძალა არ გააჩნდა, რომ ბათუმის ოლქში დიდი სამხედრო ძალები გადმოესროლა, მაგრამ პატარ-პატარა ბანდფორმირებების შემოგზავნას ახერხებდა. სწორედ ისინი ღებულობდნენ მონაწილეობას ქობულეთისა და ხულოს ტერიტორიაზე ქართული საქმის საწინააღმდეგო პროვოკაციებში (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №45).

ბათუმის ოლქის მკვიდრთა წარმომადგენლობითი ყრილობის მიერ არჩეულმა მეჯლისმაც დაგმო უცხო სახელმწიფოთა აგენტების ანტიქართული ქმედებანი (გაზ. ,,საქართველო“, 1920, №93). 1920 წლის 23 აპრილს გამართულ მეჯლისის სხდომაზე მემედ აბაშიძე გამოეხმაურა აღნიშნულ საკითხს: ,,...ჩვენი მტრები ყოველივე ზომებით ცდილობენ და ილაშქრებენ ჩვენს წინააღდეგ, რომ ხელი შეგვიშალონ ხალხის მისწრაფების და სურვილების განხორციელებაში...

თქვენ მოწოდებული ხართ გააკეთოთ დიდი საქმე. ჩვენ ბევრი საკითხი გვაქვს გადასაჭრელი. მე დარწმუნებული ვარ, თქვენი მუშაობა ნაყოფიერი იქნება და ქვეყნას სამშვიდობოს გაიყვანთ...“ (გაზ. ,,საქართველო“, 1920, №97).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უცხო სახელმწიფოთა ანტიქართულ ქმედებებს გამოეხმაურა დამფუძნებელი კრებაც. ერთ-ერთ სხდომაზე შემუშავებულ იქნა ქართული საზოგადოების პოლიტიკური მრწამსი ,,...ჩვენ არ დაგვივიწყნია ძველი ანდერძი, რომელიც ამბობს: საქართველომ არ უნდა დაკარგოს არტანუჯ-

არტაანის ხაზი, თუ არ უნდა თავის მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ გვახსოვს მეორე ანდერძი, რომელიც დაიწერა ბათომში...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 40).

შეიძლება ითქვას, რომ დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში დეტალურად არის მიმოხილული ბათუმის ოლქში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და თუ რა ზეგავლენას ახდენდა ყოველივე ეს ქართულ საზოგადოებაზე.

მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ცდილობდნენ ქალაქ ბათუმის დასაკუთრებას. იგი, ერთი მხრივ, გახლდათ მოხერხებული ნავსადგური ბაქოდან ნავთობის ტრანზიტისათვის, მეორეს მხრივ კი – ევროპა-აზიის მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი. საბოლოო ჯამში, ევროპის ცნობილ დიპლომატებში მომწიფდა ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად, იგივე პორტო-ფრანკოდ გამოცხადების იდეა. პირველად აღნიშნული იდეა გააჟღერა იტალიელმა დიპლომატმა კარლო სფორცამ, რომელიც გახლდათ იტალიის უმაღლესი კომისარი კონსტანტინეპოლში (ტაბაღუა 1982: 89). ანალოგიურ აზრამდე მივიდნენ ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებიც (იქვე: 90).

25 თებერვლის მიწურულს ლონდონის კონფერენციის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება – ბათუმი გამოცხადებულიყო თავისუფალ ნავსადგურად ერთა ლიგის მანდატის ქვეშ, რომლის უსაფრთხოებას დაიცავდა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის თითო ბატალიონი (სიორიძე 2011:139).

კონფერენციის წევრები ცდილობდნენ, აღნიშნული გადაწყვეტილება მის საბოლოო აღსრულებამდე საიდუმლოდ შეენახათ, მაგრამ 1920 წლის 5 მარტს იტალიის სამხედრო მისიამ საქართველოს მთავრობას აცნობა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების ამბავი (გაზ. ,,ერთობა“ 1920 №62). აღნიშნულს ადასტურებს გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკაც“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №61).

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების მცდელობამ მთელ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მარტის თვეში საქართველოს თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რომელმაც პიკს მიაღწია 19 მარტს. საქართველოს მთავრობამ დაგმო ეს ქმედება პრესის ფურცლებიდან და საპროტესტო

ნოტებით მიმართა ანტანტის სახელმწიფოების და ევროპის სხვა ქვეყნების პარლამენტებს (სცსსა, ფ. 1833, ს. 772).

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა მოკავშირეთა სან-რემოს კონფერენციის 1920 წლის 18-23 აპრილის სხდომებზეც, სადაც დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთისა და იტალიის სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო. მათ თავი შეიკავეს ბათუმში თითო ბატალიონის გაგზავნაზე იმ მოტივით, რომ ეს რუსეთთან ომის ტოლფასი იქნებოდა, რითაც ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილება უგულებელყვეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრიტანეთს მოკავშირეთა იმედი არ უნდა ჰქონოდა. საბოლოოდ, სან-რემოს კონფერენციაზე ბათუმის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები ისევ ღიად დარჩა და ვერც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიზმის წინააღმდეგ ფრონტის ორგანიზება მოხერხდა (ჯოჯუა 1997:164). სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ბათუმის ხელში ჩაგდებას ცდილობდა აზერბაიჯანიც. ეს დასტურდება 1920 წლის 8 აპრილს გამართული დამფუძნებელი კრების მასალებიდან (საქართველოს დამფუძნებელი კრების... (წიგნი პირველი) 1920: 8).

თუმცა სიტუაცია მალევე შეიცვალა – 1920 წლის აპრილის ბოლოს, საბჭოთა რუსეთმა გამოიყენა ანტანტის სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოება და დაიკავა აზერბაიჯანი. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებსაც იგივე ბედი ელოდათ.

1920 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა ისე იყო შეპყრობილი სოციალისტური რევოლუციის ,,ექსპორტზე გატანით“, რომ ოსმალეთი ამის ,,ნოყიერ ნიადაგად“ მოეჩვენათ. იქაც ხომ ანტანტას ებრძოდნენ, თანაც ბოლშევიკური იდეებიც მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო თითქოს. სწორედ ამიტომ, მუსტაფა ქემალს უზარმაზარი დახმარება გაუწიეს... (თოიძე 1991: 46-50). ყველაფერ ამისთვის კი ამიერკავკასია პლაცდარმი უნდა ყოფილიყო...

აშკარა გახდა, რომ მოსკოვი ამიერკავკასიას არავის დაუთმობდა. ინგლისელებისა და ამერიკელებისათვის რუსეთის ნედლეულს და გასაღების

უზარმაზარ ბაზარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ მათ ამიერკავკასიის დატოვებაზე დაიწყეს ფიქრი.

რეალური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, არ შეეძლო წინ აღდგომოდა საშიშროებას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან (იგულისხმება რუსეთი და ოსმალეთი). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა დააყენა საკითხი ინგლისის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ ცნობის შესახებ (ცუხიშვილი 1995: 94). 1920 წლის 12 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდი კერზონის ინიციატივით, დასვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ აღიარების შესახებ, რაც იმავე დღეს გადაწყდა დადებითად. ამ ფაქტს დიდი გამოძახილი მოჰყვა საქართველოში.

14 იანვარს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა. აღნიშნულის გამო მადლობა გადაუხადეს ინგლისს, ,,რომლის მხურვალე დახმარებით საქართველოს ერს ეღირსა დღევანდელი დღე...“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი მესამე) 1920: 5-6).

1920 წლის აპრილში ინგლისსა და საქართველოს შორის, ბათუმის საკითხის გამო, ვითარება დაიძაბა. მარტის დასაწყისში ნ. ჟორდანიამ ინგლისელებთან შეთანხმების გარეშე დაიწყო ქართული ჯარების ბათუმის ოლქის მიმართულებით გადასროლა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა: „მიენდოს მთავრობას მტკიცე ნაბიჯი გადადგას მოკავშირეთა მიმართ, რათა ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდეს“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება... (წიგნი პირველი) 1920: 59).

1920 წლის აპრილ-მაისში ქართული ჯარი მიუახლოვდა ქობულეთს, ხოლო 7 ივლისს შევიდა ბათუმში, სადაც მოეწყო აღლუმი, მთავარსარდალ გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით. აღლუმს მოუძღოდა აჭარის მეჯლისი მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით. აქვე იყვნენ საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები: პ. საყვარელიძე, გრ. ვეშაპელი, ს. ფირცხალავა, ი. გობეჩია. დაშვებულ იქნა ინგლისისა

და საფრანგეთის დროშები და საზეიმო ვითარებაში აღიმართა საქართველოს ბაირაღი.

ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთების შემდეგ აუცილებელი იყო მისი ადმინისტრაციული მოწყობა. ამ მიზნით, 1920 წლის ივნისის ბოლოს ბათუმში ჩავიდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ჩამოყალიბებული საგანგებო კომისია. მასში შედიოდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, დათა ვაჩნაძე, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ ვეშაპელი და ივანე გობეჩია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომელთა მოსაზრებებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მემედ აბაშიძის აზრით, საქართველოს შემადგენლობაში აჭარის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება. ჰაიდარ აბაშიძის თქმით კი, უმჯობესი იქნებოდა აჭარის საქართველოსთან შეერთება ყოველგვარი ავტონომიის გარეშე (სურგულაძე 1994: 63). ანალოგიურად ფიქრობდა თბილისში ჩასული ჯემალ ბეგ ხიმშიშვილიც (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №168).

ბათუმის ოლქის კომისრად დაინიშნა სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი. მას, პირველ რიგში, უნდა გამოევლინა და დაესაჯა ბათუმის ოლქში მოქმედი ანტიქართული ძალები და მათი ხელშემწყობი პირები (გაზ. ,,ერთობა“ 1920 №168).

ამ პერიოდში ბათუმში გააქტიურდა ბოლშევიკური ორგანიზაცია (ამხფ, ფ. 4, ს. 372: 64-65). გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ: ,,...კომუნისტები წინააღმდეგ გზას დაადგნენ...“ (გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ 1920 №132). ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ბათუმის ,,ოლქში თითქმის ძველებურად ნავარდობდნენ ტყუპი, ქემალ-ლენინის აგენტები და პოხიერ ნიადაგზე შხამს უნთხევენ...“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №30).

პ. გელაშვილის ანგარიშის თანახმად, ბათუმის ოლქში ავტონომიის მოუგვარებლობა აწუხებს ყველას, ,,დიდს და პატარას, ბეგს, გლეხს თუ სასულიერო პირს, ნასწავლს თუ უსწავლელს“ (ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144: 12-13; სილაგაძე 1998: 22-23). აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა 1920 წლის 5 ნოემბერს მოწვეული დამფუძნებელი კრებაც. საბოლოოდ, დამფუძნებელმა კრებამ გადაწყვიტა, რომ

სამუსლიმანო საქართველოში საგარეო საფრთხის გამო დაეტოვებინა საგანგებო მმართველობა. მათთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი კი გათვალისწინებული ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტში.

1920 წლის 14 სექტემბერს ბათუმში ჩავიდა II ინტერნაციონალის დელეგაცია (ცქვიტარია 1962: 171) ვანდერველდეს, მაკდონალდის, სნოუდენის, შოუს და სხვების მონაწილეობით. მოგვიანებით ჩამოვიდა ამავე დელეგაციის წევრი კ. კაუტსკი. II ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა დაგმო ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“ 1920 №20). ბოლშევიკები ავრცელებდნენ ხმებს, რომ თითქოს ნ. ჟორდანია ინგლისელებს ჰპირდებოდა აჭარის გადაცემას 12-15 წლით, ან ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას (ჯიჯიეშვილი 1957: 153). ამისათან დაკავშირებით, მოსკოვიდანაც იქნა რამდენიმეჯერ საპროტესტო ნოტა გამოგზავნილი. აღნიშნული, 1920 წლის 4 ნოემბერს, დაგმო საქართველოს მთავრობამ (სდსის 2008: 513).

ამ თემას 1920 წლის 7 დეკემბერს გამოეხმაურა საქართველოს დამფუძნებელი კრება. მისი განცხადებით ,,...ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვთ და სრულიათ არ შეეფერებიან სინამდვილეს“ (დამფუძნებელი კრება... (წიგნი მეორე) 1920: 3). საკითხი გაშუქდა გაზეთ ,,ბათომის ფურცელშიც“ (გაზ. ,,ბათომის ფურცელი“ 1920 №71). აშკარა იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ გამოგზავნილი ორივე ნოტა მიზნად ისახავდა სამომავლოდ საქართველოს ოკუპაციის ერთგვარ სამზადისს. ამ ცრუ ინფორმაციით, რუსეთი ცდილობდა, ვითომდა ინგლისელთაგან ბათუმის ოლქის გათავისუფლებას. სინამდვილეში კი, მან მთელი ყურადღება მიაპყრო აქეთკენ, რათა დაესწრო ინგლისელებისათვის მისი დაკავება...

1920 წლის მეორე ნახევარში, ბათუმის ოლქში არსებული რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, წარმატებით იქნა დასრულებული საქართველოს ისტორიული ნაწილის მის ბუნებრივ სამშობლოში კონსოლიდაციის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონ. 5, საქმ. 8**
2. სცსსა, ფ. 1818, ს. 116
3. სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 179
4. სცსსა, ფ. 1819, აღ. 1, ს. 41
5. სცსსა, ფ. 1833, ს. 772
6. სცსსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 35
7. სცსსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 37
8. სცსსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 53
9. სცსსა, ფ. 1834, აღ. 2, ს. 60
10. სცსსა, ფ. 1836, ს. 73
11. სცსსა, ფ. 1861, აღ. 2, ს. 42
12. სცსსა, ფ. 1874, ან.1, ს.2
13. სცსსა, ფ. 2344, ან.1, ს.184
14. ორცსა, ფ. 11, ს. 506
15. ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 144
16. ორცსა, ფ. 24-ს/48, ან. 2, ს. 176
17. **აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფ.7, ან.1, ს. 752**
18. აცსა, ფ. 61, ან. 1, ს.1
19. აცსა, ფ.67, ან.1, ს. 5
20. აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 13
21. აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.15
22. აცსა, ფ. 61, ან. 1, ს.1
23. **აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწრთა ფონდი (ამხფ), ამხფ ფონ. 2 საქ. 87**
24. ამხფ, ფ. 4 ს. 87
25. ამხფ, ფ. 4 ს. 372

26. ამხფ, ფ. 5, ს. 242

27. გაზეთი ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №1

28. გაზეთი ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №2

29. გაზეთი ,,განახლებული მესხეთი“, 1919, №9

30. გაზეთი ,,ერთობა“, 1917, №153

31. გაზეთი ,,ერთობა”, 1917, №154

32. გაზეთი ,,ერთობა“, 1918, №7

33. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №5

34. გაზეთი ,,ერთობა”, 1919, №7

35. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №9

36. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №22

37. გაზეთი ,,ერთობა“ 1919 №96

38. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №135

39. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №145

40. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №177

41. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №230

42. გაზეთი ,,ერთობა“, 1919, №232

43. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №62

44. გაზ. ,,ერთობა“: 1920, №70

45. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №75

46. გაზეთი ,,ერთობა“: 1920, №82

47. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, № 94

48. გაზეთი ,,ერთობა“ 1920, №148

49. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №168

50. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №175

51. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №215

52. გაზეთი ,,ერთობა“, 1920, №262

53. გაზეთი ,,საქართველო“, 1917, №95

54. გაზეთი ,,საქართველო”, 1917, №240

55. გაზეთი ,,საქართველო“, 1917, № 253

56. გაზეთი ,,საქართველო”, 1917, № 256

57. გაზეთი ,,საქართველო”, 1917, № 258

58. გაზეთი ,,საქართველო”, 1917, №260

59. გაზეთი ,,საქართველო“, 1918, № 84

60. გაზეთი ,,საქართველო“, 1919, №7

61. გაზეთი ,,საქართველო“, 1919, №19

62. გაზეთი ,,საქართველო“, 1920, №58

63. გაზეთი ,,საქართველო, 1920, №66

64. გაზეთი ,,საქართველო“, 1920, №136

65. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №4

66. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №5

67. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №7

68. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №10

69. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, დამატება №12

70. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №223

71. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №40

72. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №45

73. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №57

74. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №61

75. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №64

76. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №93

77. გაზეთი ,,საქართველოს რესუბლიკა“, 1920, №97

78. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №132

79. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №135

80. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №146

81. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №151

82. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №148

83. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №151

84. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №173

85. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №210

86. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №250

87. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №320

88. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №321

89. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №331

90. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, № 297

91. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №320

92. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №321

93. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №331

94. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №356

95. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №375

96. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1920, №390

97. გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო“, 1921, № 496

98. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №19

99. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №20

100. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №24

101. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №25

102. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №26

103. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №28

104. გაზეთი ,,ბათუმის ფურცელი“, 1920 №29

105. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №30

106. გაზეთი ,,ბათუმის ფურცელი“, 1920 №31

107. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №32

108. გაზეთი ,,ბათომის ფურცელი“, 1920, №71

109. გაზეთი ,,სახალხო საქმე“, 1920, №843

110. გაზეთი ,,Закавкаскаиа Речь“, 1927, №66

111. აბაშიძე 1963: აბაშიძე ჰ., წერილები, თბ.

112. აბაშიძე 1973: აბაშიძე მ., რჩეული ნაწერები, ბათუმი

113. აბაშიძე 1998: აბაშიძე მ., თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, თბ.

114. აბაშიძე 1920: აბაშიძე ჰ., მოგონება, გაზ. ,,საბჭოთა აჭარა“, №142

115. ავალიშვილი 2011: ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ.

116. ასათიანი 1928: ასათიანი ალ., ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, პარიზი

117. ახვლედიანი 1971: ახვლედიანი ხ., საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921), ბათუმი

118. ბენდიანიშვილი 2001: ბენდიანიშვილი ალ., საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ.

119. გოგოლიშვილი 2005: გოგოლიშვილი ო., სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი

120. გოგოლიშვილი 2010: გოგოლიშვილი ო., დიდი სახელმწიფოების ბათუმის ოლქით დაინტერესება პირველი მსოფლიო ომის წინ, სამეცნიერო კრებული ,,აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში''

121. გოგოლიშვილი 2012: გოგოლიშვილი ო., ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან, სამეცნიერო ჟურნალი ,,მეცნი და ტექნოლოგიები'', თბ., № 1-3

122. გოგოლიშვილი 2012: გოგოლიშვილი ო., ბათუმის ოლქი 1914-1917 წლეებში, სამეცნიერო ჟურნალი ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები'', თბ.

123. გურული 2002: გურული ვ., საქართველოს საგაერეო-პოლიტიკური ორიერნტაცია (1917 წლის მარტი – 1918 წლის მაისი), ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ. IX, თბ.

124. გურული... 2011: გურული ვ., ზოსიძე ნ., ალექსაია ს., საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნემდე), თბ.

125. გურული... 2013: გურული ვ., ჯიქია ლ., ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში, გამომცემლობა ,,მერიდიანი“, თბ.

126. გუგუნავა 1997: გუგუნავა ნ., მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ,,გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი

127. ვადაჭკორია 2006: ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ.

128. ვაჭარაძე 2014: ვაჭარაძე ანტ., სიჭინავა დ., 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები http://www.archives.gov.ge/ge/scientific-publications

129. ზოსიძე 1995: ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918–1920 წლებში, ბათუმი

130. ზოსიძე 2014: ზოსიძე ნ., ბათუმი დენიკინელთა გეგმებში (1919–1920 წწ), ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, V. ბათუმი

131. ზოსიძე 2016: ზოსიძე ნ., კუკულაძე გ., ,,სედაი მილეთელთა“ ბათუმის ოლქში საქმიანობის ზოგიერთი უცნობი დეტალი, ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2016, 1(18)

132. თოიძე 1991: თოიძე ლ., ინტერვენციაც ოკუპაციაც ძალდატანებითი გასაბჭოებაც ფაქტობრივი ანექსიაც, თბ.,

133. კარალიძე 2008: კარალიძე ჯ., ბათუმის ოლქის აღდგენა (1903 წელი), საისტორიო მაცნე XVI-XVII, (შრომების კრებული), ბათუმი

134. კირთაძე 1997: კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ.

135. ლეჟავა 1969: ლეჟავა ა., საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დენიკინელები, ,,მაცნე“ (ისტორიის სერია), N5

136. მანველიძე 2008: მანველიძე ი., ზოსიძე ნ., ,,ტერიტორიულ-სასაზღვრო

საკითხები საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში 1919-1921 წლებში“, ,,საიასტორიო მაცნე“ XVI-XVII, ბათუმი

137. მაღლაკელიძე 1953: მაღლაკელიძე ს., ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, (დოკუმენტები), ,,საისტორიო მოამბე“, №7

138. მესხია 1997: მესხია ე., სამხრეთ -დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი

139. მესხია 1999: მესხია ე., საქართველოს ერთიანობის მედროშე, ბათუმი

140. ნოზაძე 1989: ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ.

141. ოქროპირიძე 1996: ოქროპირიძე უ., დენიკინი და აჭარის გარშემო შექმნილ პრობლემები (წერილი I), ,,ჭოროხი“, N2

142. ოქროპირიძე 2001: ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათუმი

143. ჟორდანია 1990: ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ.

144. საერთაშორისო სამართლისა და ... 1949: საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები. შეადგინა და კომენტერები დაურთო დ. ენუქიძემ,

145. საისტორიო... 1992: საისტორიო მოამბე, №63-64

146. საქართველო და გარესამყარო 2010: საქართველო და გარესამყარო, საგანმანათლებლო პროგრამა ,,საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნის დამდეგამდე“), შემდგენელი პროფესორი ვ. გურული

147. საქართველოს... 1972: საქართველოს ისტორიის ნარკვევები VI ტომი, თბ.

148. საქართველოს... 2012: ისტორია, რედ. პროფ. მ. ნათმელაძე, ტომი მეოთხე, თბ.

149. საქართველოს დემოკრატიული... 1990: დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ.

150. საქართველოს... 2003: საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, რედ. ვ. გურული, თბ.

151. ტრაპიზონის კონფერენცია 1998: ტრაპიზონის საზავო კონფერენცია

(დოკუმენტების კრებული), იგი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ისტორიის მეცნ. კადიდატმა ნ. ზოსიძემ, ბათუმი

152. ეროვნული საბჭო... 1917: ეროვნული საბჭო (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი პირველი, თბ.

153. საქართველოს პარლამერნტი... 1918: საქართველოს პარლამენტის (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ.

154. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი პირველი, თბ.

155. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი მეორე, თბ.

156. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი მესამე, თბ.

157. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1919: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი მეოთხე, თბ.

158. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1920: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი პირველი, თბ.

159. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1920: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი მეორე, თბ.

160. საქართველოს დამფუძნებელი კრების... 1920: საქართველოს დამფუძნებელი კრების (სტენოგრაფიული ანგარიში), წიგნი მესამე, თბ.

161. სილაგაძე 1998: სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, 1917-1918 წწ., თბ.

162. სილაგაძე 1998: სილაგაძე ა., გურული ვ., პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.). პ. გელაშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დმოკრატიულლი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. თბ.,

163. სილაგაძე 1996: სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს განუყოფლო-

ბისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ.1, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ.

164. სიორიძე 1995: სიორიძე მ., ,,ყარსის რესპუბლიკა“, ,,საისტორიო მაცნე“ N1

165. სიორიძე 1996: სიორიძე მ., ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო (1918–1919) – ,,საისტორიო მაცნე“ N5, ბათუმი

166. სიორიძე 2002: სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი

167. სიორიძე 2007: სიორიძე მ., ბათუმის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე (1920 წ.) – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები V, ბათუმი

168. სიორიძე 2011: სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბ.

169. სდსინ 2008: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები (აჭარა)III, ბათუმი

170. სიხარულიძე 1973: სიხარულიძე ი., მემედ აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები. წიგნში: მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათუმი

171. სურგულაძე 1972: სურგულაძე ა., საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ.

172. სურგულაძე 1991: სურგულაძე პ., ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბ.

173. სურგულაძე 1992: სურგულაძე პ. სურგულაძე ა., საქართველოს ისტორია (1783-1990 წწ.), თბ.

174. სურგულაძე 1994: სურგულაძე აბ., ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძის, ბათუმი

175. სურგულაძე 1996: სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი

176. სურგულაძე 1998: სურგულაძე აბ., ყადირ შერვაშიძე – თამარის ორდენის რაინდი, ქუთაისი

177. ტაბაღუა 1982: ტაბაღუა ი., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე, ,,მაცნე“, (ისტორიის სერია), №3

178.ტაბაღუა 1989: ტაბაღუა ი., საქართველო და ევროპის სახელმწიფოები (1918-1921). – გაზ. ,,თბილისი“, 12 ივლისი

179. ქართული... 1992: ქართული ემიგრანტული ლიტერატურა ,,დაბრუნება“ ტ-3., თბ.

180. ღამბაშიძე 1964: ღამბაშიძე გ, ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919 წ.), თბ.

181. ღამბაშიძე 1970: ღამბაშიძე გ, იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს, თბ.

182. ცინაძე 2011: ცინაძე ზ., საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნები (ოფიციაური მონაცემების მიხდვით), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, თბ.

183. ცუხიშვილი 1995: ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბ.

184. ცუხიშვილი 1996: ცუხიშვილი რ., ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921), თბ.

185. ცქვიტარია 1962: ცქვიტარია პ., აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2, (1914-1918 წწ.), ბათუმი

186. ცქვიტარია 1973: ცქვიტარია პ., აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922), ბათუმი

187. ჭანტურია 2006: ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბ.

188. ჯაფარიძე 1994: ჯაფარიძე შ., ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენისათვის 1918-1921 წწ., ბათუმი

189. ჯიჯიეშვილი 1957: ჯიჯიეშვილი მ., ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათუმი

190. ჯოჯუა 1997: ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ.

191. ბატუმ ი ეგო... 1906: Ватумь и его окрестносни, Ват.

192. დოკუმენტი... 1957: Документы внешней политики СССР, Т. I, М.

193. დოკუმენტი... 1990: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб.

194. მეჟდუნაროდნიე... 1957: Международные отношения и внешняя политика СССР (сб. документов) 1871-1957 гг., М.

195. ნიტი 1923: нитти ф., Европа над бездной, изд-во ,,мисл“, Петроград

196. ზაკავკაზსკი სეიმ... 1918: Закавказскй сеймь (Стенографчискй отчот)., Тиф.

197. ჯორჯი 1957: Ллойд Джорж, правда о мирных договорах, т. II, М.

198. კუნინა 1954: Кунина А. Е., Провал Американских планов завоевания мирового господства в 1917-1920 гг., М.

199. შტეინ 1949: Штеин Б., ,,Русский вопрос“ на парижской мирной конференции (191-1920 гг.), М.

200. ჩოხელი 1980: Чохели А. И.. Политика Франции в отношении Грузии (1917-1921), Тб.

201. Чавлеишвили 1987: Чавлеишвили М. И., Октябрьская революсия и борба за установление Советской вдасти в Аджарий (1917-1921 гг.), Батуми,

202. https://www.facebook.com/notes

203. http://www.spekali.tsu.ge/

204. http://iberiana.wordpress.com/about/georgia-usa/

205. https://burusi.wordpress.com/2010/02/14/treaty-of-versailles-1919/#jp-carousel-37541
206. http://ai-ia.info/online-arqivi/119-vaxtang-guruli-saqartvelos-saxelmcifoebrivi-damoukideblobis-agdgena.htm
207. http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/istoria
208. http://www.for.ge/view.php?for
209. http://ka.wikipedia.org/wiki/
210. http://www.batumicc.ge